

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მერაბ ჭუმბურიძე

ებრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა
(ახ. წ. I-VIII სს.)

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა – 07.00.06– არქეოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული
პროფესორი, ომარ ლანჩავა

ქუთაისი

2009 წ.

წინათქმა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-არქეოლოგიურ გამოკვლევას, რომლის მიზანია დასავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემის კვლევა სამხედრო-პოლიტიკურ კონტექსტში. აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობა გასულ საუკუნეში დაიწყო და ცალკეული ციხე-ქალაქებისა და სიმაგრეების, ასევე თავდაცვის სისტემის ცალკეული მონაკვეთების კვლევის შედეგად გაჩნდა მოსაზრება, რომ თავდაცვითი ნაგებობები შეადგენენ ევრისის სამეფოს მესვეურების მიერ კარგად გააზრებული გეგმის მიხედვით ჩამოყალიბებულ ერთიან სისტემას, რომელიც იქმნებოდა სხვადასხვა დროს და ემსახურებოდა განსხვავებული მიზეზებით განპირობებული ამოცანების განხორციელებას.

საკვლევი თემატიკის აქტუალობა განსაზღვრულია საქართველოს მდებარეობით გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან რეგიონში, რაც განაპირობებდა ქართველთა მიერ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გარეშე მტრებისაგან ქვეყნის დასაცავად სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო ნაგებობების შექმნას. ისინი ჩვენი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენენ და მათი შესწავლა სხვადასხვა ეპოქის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარების აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის საჭირო და აუცილებელია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვითი სისტემების კვლევას ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის, რადგან ციხე-სიმაგრეთა არქიტექტურაში აისახებოდა სამხედრო-საბრძოლო გამოცდილება, სტრატეგია, ტაქტიკა და შეიარაღების მიღწევები. ნაშრომის აქტუალობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ გვიანანტიკურ და ადრეშუასუკუნეების ეპოქებში არსებულ რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მიღებული ზოგადად სამხედრო საქმის და განსაკუთრებით თავდაცვის სტრატეგიისა და ტაქტიკის უნიკალური გამოცდილების აღდგენას პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის.

ნაშრომის წყაროთმცოდნეობითი ბაზა დაფუძნებულია ქართულ და უცხოურ (რომაულ, ბიზანტიურ, სომხურ) წერილობით წყაროებზე, მდიდარ ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობასა და არქეოლოგიურ მასალებზე (ფორტიფიკაცია, თავდაცვითი და შეტევითი შეიარაღების სახეობები და სხვა).

შესავალი

§ 1. ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემის წარმოქმნისათვის

კავკასია სამყაროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონია. მასზე გადის ევროპისა და აზიის, ასევე მცირე აზიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დამაკავშირებელი საერთაშორისო საგზაო მაგისტრალები. კავკასია მდიდარია ბუნებრივი რესურსებით (საკვები ბაზა, სასარგებლო წიაღისეული, საცხოვრებელი პირობები). შესაბამისად, აქ უძველესი დროიდან დასახლდნენ ადამიანები და შეიქმნა სხვადასხვა კულტურები და ცივილიზაციები. აქ მცხოვრები ხალხები აქტიურად ჩაერთვნენ საერთაშორისო კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში და მოექცნენ მეზობელი, თუ შორეული სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების გამო კავკასიამ შეიძინა მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული რეგიონის სტატუსი და გადაიქცა საომარ არენად იმპერიული მიზნების მქონე ერებისა თუ მოთარეშე მომთაბარე ტომებისათვის.

ქართველები, რომლებიც სამხრეთ კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ, სხვა ხალხებთან ერთად წარმატებით იცავდნენ თავს ათასწლეულთა მანძილზე, რაც ძირითადად მათ მიერ შექმნილი უნიკალური თავდაცვითი სისტემების მეშვეობით ხდებოდა.

კავკასიური თავდაცვის სისტემის მოდელები ჯერაც უცხო და უცნობია ფართო საზოგადოებისათვის და მოითხოვს საგანგებო მეცნიერულ შესწავლას. თავდაცვითი ნაგებობები მდებარეობდა სტრატეგიულ ადგილებში, გააჩნდათ საუცხოოდ ორგანიზებული სასიგნალო სისტემა და ქმნიდნენ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ჯაჭვს (კოპალიანი, წიკლაური, 2000, გვ. 83-84).

ქართველთა საზრუნავი საკუთარი სამშობლოს დაცვა მუდმივად იყო. პ. ზაქარაია აღნიშნავს, რომ მტრის მომზადებულად დახვედრისათვის საჭირო იყო საზღვრების, გზების, ხეობების ჩაკეტვა (ზაქარაია, 1973, გვ. 3). შესაბამისად, ისტორიული აუცილებლობა იწვევდა სამხედრო-თავდაცვით, საფორტიფიკაციო, სტრატეგიულ ნაგებობათა მასიური მშენებლობის საჭიროებას (Мшвениерадзе, 1959, გვ. 28).

საქართველოში ციხე-სიმაგრეები ძველთაგანვე შენდებოდა, მაგრამ სასიმაგრო სისტემას ორგანიზებული სახე მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ მიეცა (ზაქარაია, 1973, გვ. 4).

ანტიკურ ეპოქაში შექმნილ ქართლისა და კოლხეთის სამეფოებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობას. იგივე ტრადიცია გაგრძელდა ძველი კოლხეთის მემკვიდრე ეგრისის სამეფოში, რადგანაც ქვეყნის უსაფრთხოება ბევრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იყო აწყობილი თავდაცვის სისტემა (ზაქარაია, 1973, გვ. 47). ჩვენი ვარაუდით, ლაზეთის გეოსტრატეგიული ინტერესები განაპირობებდა სასიმაგრო სისტემის შექმნისათვის სამეფო ხელისუფლების საქმიანობას (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62). რაც შეეხება ციხეების კუთვნილებას, ვფიქრობთ, რომ რადგანაც მათი მშენებლობა დაკავშირებულია სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარებასთან და ერთიანი გეგმის შესაბამისად ხორციელდებოდა, ისინი ასევე სახელმწიფო კუთვნილებაში იმყოფებოდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომელიც ვერ ხედავს ლაზიკის ციხეების ინდივიდუალურ ამგებელ-მფლობელებს, ანუ არსად ჩანს, რომ ისინი კერძო მფლობელობაშია (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 514).

შუა საუკუნეების ქვეყნისათვის სასიმაგრო ნაგებობანი უცილობელი კუთვნილებაა. ისინი გამოიყენებოდა გზების, გადასასვლელების, გზაჯვარედინების ჩასაკეტად. ციხე-სიმაგრეთა განლაგება საჭირო იყო მოსახერხებელ ადგილებში, რათა შეესრულებინათ თავიანთი ფუნქცია (ლანჩავა, 1996, გვ. 64; Закарая, 1969, გვ. 13; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 63).

თავდაცვა საჭირო იყო როგორც ქვეყნისათვის, ასევე მისი ცალკეული რეგიონებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, სიმაგრეთა განლაგება ხდებოდა ეგრის-ლაზეთის ბუნებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრების გარშემო (Закарая, 1969, გვ. 13; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 69). პ. ზაქარაიას მიხედვით, საქართველოს სიმაგრეები იყოფა შემდეგ ძირითად სახეებად: ქალაქები, ციხეები, ციხე-დარბაზები, გალანები, კოშკები, გადამღობი კედლები და ბუნებრივი სიმაგრეები (ზაქარაია, 1960, გვ. 5).

საქართველოსთვის დამახასიათებელი სასიმაგრო ნაგებობებიდან ეგრის-ლაზიკაში ძირითადად იქმნებოდა: ციხე-ქალაქი, ციხე-სიმაგრე, გამაგრებული სამხედრო ბანაკები. ასევე გამოიყენებოდა ბუნებრივი სიმაგრეები. სასიმაგრო ნაგებობები მრავალგვარი იყო და განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფუნქციით, ფორმებითა და ზომებით.

ეგრის-ლაზიკის თავდაცვით სტრატეგიაში ძირითად საყრდენ პუნქტებს ციხე-ქალაქები წარმოადგენდნენ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ქალაქი უმთავრესად სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი იყო, მასთან შეერთებულ ციხეს კი

სამხედრო დანიშნულება ჰქონდა (ჯავახიშვილი, 1946, გვ. 40). ფიქრობენ, რომ ადრეშუასაუკუნეების ყველა ციხე-ქალაქი უპირატესად სამხედრო-სტრატეგიული და პოლიტიკური პუნქტი იყო და მათი დაწინაურება ძირითადად პოლიტიკური ამბებით იყო ნაკარნახევი. რადგან პირველად იქმნებოდა ციხე, ამიტომ წინ მათი სტრატეგიული დანიშნულებაა წამოწყული (ჭილაშვილი, 1970, გვ. 34-35). ქალაქი თავისთავად სიმაგრე უნდა ყოფილიყო, ამიტომ წარმოდგენელია გალავნისა და კოშკების გარეშე (ზაქარაია, 1973, გვ. 7). პ. ზაქარაია ასევე შენიშნავს, რომ ქალაქებს გალავნის გარდა ჰქონდათ ისეთი საერთო ნიშანი, როგორცაა შიდა-ციხე-ციტადელი (ზაქარაია, 1960, გვ. 5).

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით ციხეს სამეგარი დანიშნულება ჰქონდა: დასაცავი, საგუშაგო და ხალხის სახიზარი. (ჯავახიშვილი, 1946, გვ. 42). ციხეები იგებოდა ციხე-ქალაქთა გარშემო და ქმნიდა დაცვის ერთიან ჯაჭვს, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ცალკეული რეგიონების დაცვას. ამავე ფუნქციის მატარებელი იყო სიმაგრე, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ზოგადი ცნების გამომხატველია და ამიტომაც უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა (ჯავახიშვილი, 1946, გვ. 42). პ. ზაქარაია სიმაგრეში ყველა სახის თავდაცვით ნაგებობას გულისხმობს (ზაქარაია, 1973, გვ. 46). არსებობდა ბუნებრივი სიმაგრეებიც. ეგრისის სასიმაგრო სისტემაში იგებოდა გამაგრებული სამხედრო ბანაკებიც, რომლებიც თავდაცვისა და სამხედრო ნაწილების კონცენტრაციისათვის უფრო მეტად დროებით გამოიყენებოდა შესაბამისი სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად.

სასიმაგრო ნაგებობებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა განლაგებას, რაც განაპირობებდა სტრატეგიულად გამართული ადგილების - მთა, მდინარეთა შესაყარი, კონცხი, სრამებითა და ციცაბოთი დაცული ფართობის შერჩევას (ზაქარაია, 1973, გვ. 4; Закарая, 1969, გვ. 13). საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა ასევე დაკავშირებულია საბრძოლო იარაღების განვითარებასთან. ყველა სიმაგრის აგებისას აუცილებელი იყო იმ ეპოქაში არსებული თავდაცვითი თუ შეტევითი იარაღების გათვალისწინება (ზაქარაია, 1960, გვ. 4).

ეგრის-ლაზიკის სასიმაგრო სისტემა შეიქმნა საერთო სტრატეგიული, კარგად გააზრებული გეგმის შესაბამისად და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის; მისი ძირითადი მიზნები იყო: ა) გარეშე მტრების შემოსევებისაგან სახელმწიფოს დაცვა; ბ) შიდა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა; გ) ადგილობრივი და საერთაშორისო სავაჭრო-

სატრანზიტო გზების უსაფრთხოება (ლანჩავა, 1996, გვ. 64; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62; ჭუმბურიძე, 2000, გვ. 51-52).

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ეგრისის ხელისუფლება ქვეყნის თავდაცვის სისტემის აგებისას ითვალისწინებდა არა მარტო საკუთარ, არამედ საერთაშორისო ინტერესებს და ცდილობდა კავკასიის გეოპოლიტიკაში თავისი ადგილის დამკვიდრებას და მინიჭებული ფუნქციის განხორციელებას. დ. ახვლედიანი სამხედრო თეორეტიკოსების ა. მაკნიკოლის და ბ. ლიდელ-ჰარტის მოსაზრებების მიხედვით სამ ასპექტს განიხილავს: I. დიდი სტრატეგია-ნაციონალური და ზენაციონალური მიზნის განხორციელების იდეა ყველა საშუალებით; II სტრატეგია - დიდი სტრატეგიის სამხედრო საქმის ორგანიზაცია და განხორციელება; III. ტაქტიკა - სამხედრო მოქმედებები მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებისათვის სამხედრო ოპერაციის ზონის ერთ სექტორში (ახვლედიანი, 2004, გვ. 43).

ვფიქრობთ, რომ კავკასიის რეგიონში რომის (ბიზანტიის) იმპერიის დიდი სტრატეგიიდან გამომდინარე ეგრისის სამეფო ქმნიდა თავდაცვის სისტემას საკუთარი სტრატეგიის განსახორციელებლად შესაბამისი ტაქტიკის გათვალისწინებით. ეგრის-ლაზიკა იყო „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსათვის საწინააღმდეგო ტიხრი" (Prokopi, De Bp, II, 28), რაც მისი ძირითადი ფუნქცია და საერთაშორისო ვალდებულებაა, რომელიც მთლიანად ემთხვევა ქვეყნის ინტერესებს. სწორედ ამ ამოცანის განხორციელებისათვის იქმნება სიმაგრეთა ერთიანი სისტემის სხვადასხვა ქსელი.

დ. ახვლედიანი მიიჩნევს, რომ ეგრისის „დიდი სტრატეგიულ“ ამოცანაში შედიოდა კავკასიონის ხაზის გამაგრება და ძირითადი სიმაგრეები მდ. რიონის მარჯვენა მხარეს იყო აგებული (ახვლედიანი, 2004, გვ. 47). ვფიქრობთ, რომ ამ ამოცანას უზრუნველყოფდა არა მარტო მთისწინა, არამედ ზღვისპირა თავდაცვითი ხაზების გამართული ფუნქციონირება.

დ. ლომიტაშვილის მიხედვით, ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა ანტიკურ სამყაროში არსებული რომაული და ბერძნული სისტემიდან, შედარებით ბერძნულთან იხენდა სიახლოვეს, რადგან აქ მკვეთრად დომინირებდა ლანდშაფტის პრიორიტეტი. ეგრისის სამეფოს თავდაცვა რთული და არაერთგვაროვანი რელიეფიდან გამომდინარე ეყრდნობოდა რეგიონალურ სისტემათა ერთობლიობას, რომელიც ქვეყნის ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნიდა. საერთო სისტემის ეფექტურობა დამოკიდებული იყო ცალკეულ სისტემათა

მტკიცედ ფუნქციონირებაზე და მათ შორის კოორდინირებულ-შეთანხმებულ მოქმედებაზე. თავის მხრივ კი ამ სისტემების მოქმედება ბევრად იყო დამოკიდებული გამართულ სიგნალიზაციაზე. სავარაუდოა, რომ აღნიშნულ ეპოქაში ინფორმაციის გადაცემა სხვა დანარჩენ საშუალებებთან ერთად, დამით კოცონით, დღის განმავლობაში კი კვამლით წარმოებდა (ლომიტაშვილი, 2003ხ, გვ. 208).

დღეისათვის ეგრის-ლაზეთის სამეფოს თავდაცვითი სისტემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1) ზღვისპირა სასიმაგრო ხაზი; 2) რიონ-ყვირილას სასიმაგრო ხაზი; 3) მთისწინა ზოლის სასიმაგრო ხაზი. ო. ლანჩავა ასახელებს ჭოროხის ხეობის თავდაცვის ხაზსაც, რასაც ჩვენც ვეთანხმებით (ლანჩავა, 1996, გვ. 63-64. ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62; ჭუმბურიძე, 2000, გვ. 51).

საკითხის შესწავლამ გვაჩვენა, რომ ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში თვით მისი სიძლიერის ეპოქაში (IV-Vსს.) შედიოდა მხოლოდ მდ. ჭოროხის ქვედა წელი, სადაც ჯერჯერობით ფიქსირდება მხოლოდ აფსაროსის ციხესიმაგრე, რომელიც სავარაუდოდ IV საუკუნის მეორე ნახევრიდან VI საუკუნის დასაწყისამდე მიტოვებულია (კახიძე, 2002a, გვ. 15-16) და გვარას ციხე, რომელიც შესწავლის პროცესშია და მასზე რაიმეს თქმა ამჯერად ძნელია. შესაბამისად, ჭოროხის ხეობაში ლაზეთის მიერ შექმნილი თავდაცვის ხაზზე საუბარი ამ ეტაპზე არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად.

§ 2. წერილობითი წყაროები

გვიანანტიკური და ადრესაშუალო საუკუნეების საქართველოს და კერძოდ ეგრის-ლაზიკის თავდაცვითი სისტემების, ციხე-ქალაქებისა და სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობების, სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის, ჯარების სახეობებისა და შეიარაღების, სამხედრო ოპერაციების, სტრატეგიული გზებისა და მაგისტრალების შესახებ ფრიად მცირე წერილობითი წყაროები შემოინახა თანამედროვე ეპოქამდე. მიუხედავად ამისა, ისინი უადრესად მნიშვნელოვან და საინტერესო ინფორმაციას გვაძლევენ I–VIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორიის აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქისა და რეგიონისათვის ძირითადი ქართულენოვანი წერილობითი წყაროა “ქართლის ცხოვრება.” მასში დაცულია ლეონტი მროველის მიერ რედაქტირებული “ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა” (ქართლის ცხოვრება, I, 1955). ლეონტი მროველი სხვა ძველი წყაროებითაც (ქართული და უცხოური) სარგებლობდა და მისი ცნობების დიდი ნაწილი, როგორც შენიშნავს გ. გამყრელიძე, ახალი არქეოლოგიური გათხრებით დოკუმენტურად დადასტურდა (გამყრელიძე, 2005, გვ. 17).

“ქართლის ცხოვრებაში” ასევე შემონახულია ჯუანშერის თხზულება “ცხოვრება მეფის ვახტანგისი,” და “მატიანე ქართლისაი,” რომლებიც მოგვითხრობენ V და VII–VIII საუკუნეების ეგრისის ისტორიის შესახებ, მათ შორის ურთიერთობაზე ქართლთან, ბიზანტიასა და ირანთან. აქვეა საინტერესო ინფორმაციები დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქებთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება, I, 1955), რომელთა სანდლობაც არქეოლოგიურმა კვლევებმა უცილობლად დაადგინა; კერძოდ, ციხე-გოჯის “სამზღუდიანობა,” “ქუთათისის საყდარი” და სხვა (ლანჩავა, 2007, გვ. 11).

ქართულ წერილობით წყაროთა შორის შეიძლება დავასახელოთ ჰაგიოგრაფიული ძეგლებიც: იოანე საბანიძის “აბო თბილელის მარტვილობა” (ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, 1935) და ანონიმი ავტორის “დავით და კონსტანტინეს მარტვილობა” (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946), რომლებშიც გვხვდება ცნობები ეგრისის ციხე-ქალაქებზე.

შედარებით მრავალრიცხოვანი არიან და შესაბამისად, მრავაფეროვნებით გამოირჩევიან ბერძნულ-რომაულ-ბიზანტიური წყაროები. ისინი უნიკალურ მასალებს გვაწვდიან არა მარტო საქართველოს და მეზობელი ქვეყნების

პოლიტიკური ურთიერთობებისა და სამხედრო კონფლიქტების შესახებ, არამედ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული საფორტიფიკაციო პუქტებისა და ლაზიკის ციხე-ქალაქებთან დაკავშირებით.

ამ ნუსხას იწყებს ცნობილი ბერძენი მწერალი სტრაბონი (ძვ. წ. 64–ახ. წ. 24 წწ.), რომლის თხზულებაში “გეოგრაფია” (ყაუხჩიშვილი, 1957) საყურადღებო ცნობებია დაცული სამხედრო-საზღვაო ბრძოლების, კოლხეთის საომარი ნაგებობის (კამარების) და კოლხი მეზღვაურების, ფლოტისათვის საჭირო ხე-ტყისა და სელის, სასაზღვრო ქალაქ სარაპანას (შორაპანი) შესახებ.

თავისი ინფორმაციის მრავალმხრივობით მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რომაელი ისტორიკოსის, ერთ დროს მცირე აზიის პროკონსულის, კორნელიუს ტაციტუსის (50–117 წწ.) ნაშრომი “ანალები” (გამყრელიძე, 1973). ის მოგვითხრობს აღმოსავლეთის საზღვარზე და შავიზღვისპირეთში რომაელთა ლეგიონების განლაგებაზე, კავკასიონის სტრატეგიულ გადასასვლელებზე, ანიკეტის აჯანყებაზე. გ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ცნობა მხოლოდ ტაციტუსთან გვხვდება (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 21).

ძალზე საინტერესოა ახ. წ. I საუკუნის რომაელი ავტორის, პლინიუსის „ნატურალური ისტორია“, რომელშიც დასახელებულია აფსაროსის და სებასტოპოლისის კასტელუმები, ასევე ფასისი და პიტიუნტი (Plin. NH, VI, 11, 12, 14, 16). პლინიუსი აფსაროსის შემდეგ ასახელებს ქალაქ მარტიუმს, ხოლო შიდა კოლხეთში სურიუმს. კოლხური ქალაქები (ფასისი, სებასტოპოლისი) ნახსენებია აგრეთვე ახ. წ. I საუკუნის ავტორ პომპონიუს მელას „ქვეყნიერების აღწერილობა“-ში, (De chronographia, 1, 19, 111).

ეგრის-ლაზიკის თავდაცვის სისტემის შესწავლისათვის ფასდაუდებელია ახ. წ. II საუკუნის I ნახევრის რომაელი დიდმოხელის, კაპადოკიის პროვინციის პროკონსულის, ფლავიუს არიანეს „პერიპლუსი“ ანუ „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, რომელიც წარმოადგენს მისი სამმართველო პროვინციისა და მეზობელი მხარეების საინსპექციო თვალსაზრისით შემოვლისა და იქ ჩატარებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს რომის იმპერატორ ადრიანესადმი. ეს ნაშრომი დაიწერა ახ. წ. 131 წელს (ფლავიუს არიანე, 1961). ფლავიუს არიანემ შემოგვინახა ზუსტი ინფორმაცია ახ. წ. II საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისამდე მოსახლე ტომებზე (კოლხები, სანები (ჭანები), მაკრონ-ჰენიოხები, ზიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები); სრულად აღწერა რომაული ციხე-სიმაგრეები (აფსაროსი, ფასისი,

სებასტოპოლისი) და მათი გარნიზონები; ასევე შეამოწმა ჯარების მდგომარეობა, მათი იარაღთა და სურსათით მომარაგება; გადმოგვცა ცნობები ადგილობრივ მებრძოლებზე და სხვა მასალები.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ინფორმაციებია დაცული სხვა ავტორებთანაც. მაგალითად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ადგილობრივ ტომთა შესახებ საუბრობენ ახ. წ. II საუკუნის მწერალი დიონიოს პერიეგეტი (ყაუხნიშვილი, 1967) და გეოგრაფი კლავდიოს პტოლემეაიოსი, რომელიც თავის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ (ლომოური, 1955) აგრეთვე ხუთ კოლხურ ქალაქს ასახელებს: მადია, ძადრისი, სარაკე, სურიონი და მესლესოსი. ახ. წ. III საუკუნის ავტორები იპოლიტე რომაელი და ევსევი კესარიელი (ყაუხნიშვილი, 1961) საუბრობენ აფსაროსზე.

შემდეგი პერიოდის (ახ. წ. IV–V სს.) ეგრის–ლაზიკის ციხე-ქალაქებზე საინტერესო ცნობები გვხვდება გეოგრაფ კასტორიუსის საგზაო რუკაზე–„Tabula Peutingeriana“ (ყაუხნიშვილი, 1963); რავენელი ანონიმის კოსმოგრაფიაში (K. Milher, 1916); ისტორიკოს ამიანე მარცელინუსთან (Ammian. Marc. Res Gestae, XXII, 19, 11); ქალაქებსა (ქუთაისი) და შავიზღვისპირას მოსახლე ტომებზე არის საუბარი ფლავიუს არიანეს „პერიპლუსის“ ანონიმ ავტორთან (Anon. Periplus, §, 4).

V საუკუნის ეგრისის ისტორიაზე საუბრობს პრისკე პანიონელი (ბიზანტია–ეგრისის დიპლომატიური და საომარი კონფლიქტი, მეფე წათეს ვიზიტი რომში, ეგრის–სვანეთის კონფლიქტი და მისი საერთაშორისო–პოლიტიკური ასპექტები, საომარი ოპერაციები) (Prisc. Pan. fr.). V საუკუნის ბიზანტიელ ავტორ თეოდორიტე კვირელთან დაცულია ცნობა რომაელთა სამფლობელოს და პონტოს უკიდურეს საზღვარზე – პიტიუნტში იოანე ოქროპირის გადასახლებასთან დაკავშირებით (Theod., V, 34).

ფრიად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია VI საუკუნის ბიზანტიური წყაროები. მაგალითად, მწერალი იოანე ლიდე გვამცნობს, რომ ეგრისის – ლაზიკის სახელმწიფო მოგვევლინა ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მონათესავე ტომები ლაზების პეგემონობით (Joann Lydus, De magister, III, 34, ყაუხნიშვილი, 1965). ისტორიკოს ზოსიმეს შრომაში „ახალი ისტორია“, მოთხრობილია 252 წელს გუთების (სკვითები) ლაშქრობაზე ლაზეთში, აქაური ქალაქების თავდაცვით დონისძიებებზე და ადგილობრივ სამხედრო ძალებზე (Zosim, Hist. Nova, ყაუხნიშვილი 1961).

განსაკუთრებით აღსანიშნავია VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის, პროკოპი კესარიელის “ომი გოთებთან” და “ომი სპარსელებთან,” რომლებიც წარმოადგენენ ბიზანტია–ირანის ე. წ. “დიდი ომიანობის” ისტორიას. (Procop. De BP, II; De BG, VIII; ყაუხჩიშვილი, 1965). მათში აღწერილია: მოწინააღმდეგე მხარეთა გეოპოლიტიკური ინტერესები; სტრატეგიული მიზნები და ამოცანები; დიპლომატიური ურთიერთობები; ეგრისის საერთაშორისო ფუნქცია და ვალდებულებები; სამხედრო ოპერაციები; საომარი ტაქტიკა და შეიარაღება; ეგრისის ციხე–ქალაქები და სიმაგრეები. შეიძლება ითქვას, რომ ეს თხზულებები საუკეთესო პირველწყაროა VI საუკუნის ეგრისის თავდაცვის სისტემების შესასწავლად და ზოგიერთი სასიმაგრო პუნქტის ლოკალიზაციისათვის.

არანაკლები მნიშვნელობისაა VI საუკუნის მეორე ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის თხზულება “იუსტინიანეს მეფობისათვის” (Agat. Hist. II, III, IV, ყაუხჩიშვილი, 1936), რომელიც ო. ლანჩავას შენიშვნით, პროკოპი კესარიელის “ისტორიის” გაგრძელებაა (ლანჩავა, 2007, გვ. 11). გვინდა აღვნიშნოთ, რომ აგათია დაწერილებით აღწერს ლაზეთში მიმდინარე ბრძოლათა პერიპეტიებს; ასევე იმ დროის სამხედრო შეიარაღებას და ტაქტიკას; საუბრობს ფორტიფიკაციაზე და მიუთითებს ციხეთა ფუნქციებზე.

VI საუკუნის ეგრისის ციხე–ქალაქების შესახებ საინტერესო მასალები შეიძლება მოვიძიოთ ასევე სხვა ავტორებთანაც, რომელთა შორისაა: სტეფანე ბიზანტიელი („ეთნიკა“), მენანდრე (“ისტორია”), მენანდრე პროტიქტორი (Men. Prot. fr. 11), იუსტინიანე (Justin, Novelle, XXVIII, XXXI, XXXIII).

შედარებით მცირეა VII–VIII საუკუნის წერილობითი წყაროები, თუმცა მათშიც შესაძლოა სათანადო ინფორმაციების მოძიება. VII საუკუნის წყაროთა შორის შეიძლება დავასახელოთ: „პასქალური ქრონიკა;“ რავენელი ავტორის „კოსმოგრაფია;“ „სომხური გეოგრაფია“ (რომელშიც ეგრისზე საუბრისას დასახელებულია მასში შემავალი ოთხი ქვეყანა: „მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი, რომლებიც არიან ხალდები“, ხოლო ქალაქთა შორის კი ტრაპიზონი) (Армянская география VII века по р.х., 1877); ანასტასი აპოკრისიარის წერილი (662 წ.) და თეოდოსი განგრელის „მოგონებები“ მაქსიმე აღმსარებლის შესახებ (მათი მიხედვით VII საუკუნის 60-იანი წლებისათვის მეფობა კარგა ხნის გაუქმებულია და ეგრისს პატრიკოსები მართავენ; აქვეა ნახსენები “მოხერესი” და “თაკვირია”–“სვანიდის” ციხეები). VIII საუკუნეს მიეკუთვნება ეპიფანე კონსტანტინეპოლელის “ანდრიას ცხოვრება” და მწერალ იოანე

კონსტანტინეპოლელის თხზულება, რომელშიც მოხსენიებულია აფსაროსი (ყაუხიშვილი 1941; ყაუხიშვილი 1952).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ გვიანდელ ისტორიკოსებთან გვხვდება ცნობები ადრეულ საუკუნეებზე: VIII-IX საუკუნეების მოღვაწის გიორგი სინკელოზის „ქრონიკაში“ ნათქვამია, რომ იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა (193-211 წწ.) დაიმორჩილა კოლხეთი, ე. ი. ლაზიკა (Georg. Syncell, ყაუხიშვილი 1941); X საუკუნის ბიზანტიელი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტი აღწერს ბოსფორელთა მეფე სავრომატეს ლაშქრობას ლაზეთისა და რომის წინააღმდეგ დიოკლეტიანეს იმპერატორობის (284-305 წწ.) დროს (Const. Porphy., De adm. imp. LIII, ყაუხიშვილი 1952); VII-IX საუკუნეებით დათარიღებულ ბიზანტიურ საეკლესიო ნოტიციებში ჩამოთვლილია ეგრისის საეკლესიო ცენტრები.

§ 3. არქეოლოგიური წყაროები

ეგრისის–ლაზიკის სამეფოს თავდაცვის სისტემის შესასწავლად მონაცემთა სიმცირის გამო უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური კვლევებისას მოპოვებულ წყაროებს, რომელთა შორის არის როგორც ეპიგრაფიკული მასალები, ასევე სხვადასხვა სახის არტეფაქტები და საფორტიფიკაციო ნაგებობები.

უპირველესად, უნდა დავასახელოთ შემთხვევით და არქეოლოგიური გათხრებისას ნაპოვნი ეპიგრაფიკული ძეგლები. გ. გამყრელიძე შენიშნავს, რომ მათ თითქმის დოკუმენტის ღირებულება გააჩნიათ (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 24). ისინი შესრულებულია სხვადასხვა მასალაზე – პაპირუსი, ქვა, ლითონი, თიხის აგური, თიხის მილები და სხვა კერამიკული ნაწარმი.

ციხისძირში ნაპოვნი რომაული დამდიანი აგური ლათინური წარწერით – VEXFA (ტაბ. XXVI, 3). ვ. ლექვინაძე მას II-III საუკუნეებით ათარიღებს და მიიჩნევს, რომ F და A ასოები XII Fulminatae და XV Apollinaris ლეგიონთა სახელების შემოკლებებია (Леквинадзе, 1967, გვ. 87-88); შპაიდელი კი FA-ს ფასისთან აკავშირებს და თვლის, რომ ის სწორედ ფასისის გარნიზონის სახელოსნოში იყო დამზადებული (შპაიდელი, 1985, გვ. 134-138).

ეგვიპტეში (ფაიუმი) ნახეს ახ. წ. II საუკუნის პაპირუსის ფრაგმენტი, რომელშიც მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი. იტალიაში (ქ. ნოლა) აღმოჩნდა წარწერა მარციუს პლეტორიუს ცელერის დაჯილდოვების შესახებ, რომელიც ერთ დროს აფსაროსის დამხმარე რაზმების (numeratorum) მეთაური ყოფილა. გონიოში იპოვნეს რომაული სამხედრო შენაერთის ტვიფრიანი აგური (ტაბ. XXVI, 8), რომლის წარწერაში (შებრუნებით SAGI) იკითხება მშვილდოსნების კოჰორტა – სპეციფიკური აღჭურვილობის დამხმარე სამხედრო რაზმი. აქვეა ნანახი კიდევ დამდიანი აგურის ორი ფრაგმენტი (ტაბ. XXVI, 4, 6), რომლებზეც იკითხება COH, II (Cohors II Claudiana). აფსაროსის კასტელუმში აღმოჩნდა ასევე ბრინჯაოს სამფეხა კანდელაბრი, რომლის ქვედა ფრიზის წარწერა (C. COH AVR C.R) ასე იშიფრება – C.COH(ors) AVR(elius) C (ivium) R(omanorum). აფსაროსშივე ნაპოვნ ახ. წ. II საუკუნის წყალსადენის მილებზე გამოსახულია მეათე „Fretensis“ სახელობის ლეგიონის ნიშანი X. ამ მილებს შემოტანილ პროლექტად თვლიან (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 91-93; Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002, გვ. 35;

კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 28).

პიტუნტის კასტელუმის ტერიტორიაზე ახ. წ. II საუკუნის ფენაში აღმოჩნდა თიხის ფილა (ტაბ. XXVI, 1, 2), რომელზეც ოთხკუთხა დამდაა—GXV. მეორე ფილის ფრაგმენტი წარწერის ნაშთით—G, დადასტურდა ციხის დასავლეთ კარიბჭესთან. ისინი ანალოგიების მიხედვით იშიფრება—LEG(io) XV (Apollinaris). იქვე ახლოს ინკიტის ტბასთან იპოვნეს ფილა (ტაბ. XXVI, 5) ოთხკუთხა დამლით — LEG(io). მათი მიხედვით ვარაუდობენ XV აპოლონისეული ლეგიონის გარნიზონის არსებობას პიტუნტში. (თოდუა, 2003a, გვ. 26-27; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84; Кигурадзе, Лордкиპანიძე, Тодуа, 1987, გვ. 88-91; გამყრელიძე, თოდუა, 2006, გვ. 18). პიტუნტში აღმოჩენილია აგრეთვე მრავალრიცხოვანი გრაფიტო და დიპინტები (კერამიკაზე ამოკაწრული და საღებავით დატანილი წარწერები), რომელთა მეშვეობით ფიქრობენ, რომ რომაულ ლეგიონებში ლაზიკის ზღვისპირა ქალაქების ელინური და ელინიზებული მოსახლეობის წრიდან იყვნენ მობილიზებული ჯარისკაცები (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 47).

ფასისთან ახლოს, სოფ. მოედნის სასიმაგრო ნაგებობაში მიკვლეულია დამდიანი აგური წარწერით — LEG, რომელსაც ასევე XV ლეგიონის კუთვნილებად თვლიან (თოდუა, მურვანიძე, 1997, გვ. 108-111).

1986 წელს ქ. ვანის გათხრებისას გვიანელინისტურ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით, რომლის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნული სტელა აღმართულია “სურიში”. წარწერა შეისწავლა თ. ყაუხჩიშვილმა და ივარაუდა სურისა და ვანის იგივეობა (ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 131-143).

აღსანიშნავია ასევე სხვა არქეოლოგიური მონაცემები. მათ შორის მთელი რიგი მდიდრული სამარხები და განძები, რომელთა ნაწილი ასევე სამარხულ კომპლექსს წარმოადგენს და ნაპოვნია ისტორიული კოლხეთის სხვადასხვა ნაწილში: კლდეეთი, თაგილონი, სარგვეში, გონიო, ციხისძირი, ღია და სხვა (Лордкиპანიძე, 1989, გვ. 343).

მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლზე გამოვლენილი არტეფაქტები შეიარაღების სახით — შუბები, სატევრები, დანები, ცულები, ისრისპირები, კატაპულტის დეტალები, ქვის ჭურვები, ადამიანისა და ცხენის ჯავშნები, ფარები, მუზარადები.

ყველაზე მრავალრიცხოვანია და შედარებით უკეთაა შემონახული საფორტიფიკაციო ნაგებობები — ციხე-ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, რომლებიც ძირითად წყაროს წარმოადგენს ეგრისის თავდაცვის სისტემათა შესწავლისას.

§ 4. ისტორიოგრაფია

1930 წელს ნოქალაქევეში აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით დაწყებული არქეოლოგიური გათხრების შემდეგ გვიანანტიკურ-ადრებიზანტიური (I–VIII სს.) ხანის ეგრის-ლაზიკის სამეფოს შესახებ მნიშვნელოვანი რაოდენობის არქეოლოგიურ-ისტორიული ლიტერატურა დაგროვდა, რომლებიც ეხებიან ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა ასპექტებს: წარმოშობა და განვითარება, ვაჭრობა და ეკონომიკური მდგომარეობა, საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკური და საომარი კონფლიქტები, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ფორტიფიკაცია და სამხედრო საქმე, რელიგია და კულტურა, ისტორიული წყაროები. ისინი გამოყენებულია შესაბამის საკითხებზე მსჯელობისას.

ეგრისის ცალკეულ ციხე-ქალაქებსა და სიმაგრეებზე საინტერესო მოსაზრებები, მათ შორის ზოგიერთი პუქტის ლოკალიზაციის შესახებ ეკუთვნის აკად. ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც შეისწავლა და გააანალიზა ბერძულ-ლათინური წყაროები (ყაუხჩიშვილი, 1936; ყაუხჩიშვილი, 1941; ყაუხჩიშვილი, 1952; ყაუხჩიშვილი, 1961; ყაუხჩიშვილი, 1963; ყაუხჩიშვილი, 1965). ამ თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია თ. ყაუხჩიშვილის გამოკვლევები (ყაუხჩიშვილი, 1951; ყაუხჩიშვილი, 1967).

ლაზიკის ციხე-ქალაქების წარმოშობა-კუთვნილებასა და იდენტიფიკაციაზე (ქუთაის-მოხირისი, უქიმერიონი და სხვა), გზებსა და მაგისტრალაზე, ისტორიულ გეოგრაფიაზე ფასდაუდებელი შეხედულებები ეკუთვნის აკად. ნ. ბერძენიშვილს (ბერძენიშვილი, 1975).

ეგრისის სამეფოს წარმოშობასა და მისი ისტორიის სხვადასხვა საკითხებს განიხილავს აკად. ს. ჯანაშია (ჯანაშია, 1949; ჯანაშია, 1952; ჯანაშია, 1959; ჯანაშია, 1987). იგივე პრობლემებზე მუშაობდა აკად. გ. მელიქიშვილი (Меликишвили, 1959; მელიქიშვილი, 1970).

ეგრისის სამეფოს ისტორიასა და ისტორიულ გეოგრაფიას, პოლიტიკური ცენტრების პრობლემას, ქრისტიანულ კულტურასა და ციხე-ქალაქთა ლოკალიზაციის საკითხებს იკვლევს აკად. დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი, 1977; მუსხელიშვილი, 1980; მუსხელიშვილი, 2004).

ბერძულ-ლათინურ წყაროებს, ლაზეთის სამეფოს წარმოქმნა-განვითარებას, პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრებს, საქართველო-რომის და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობებს, ბიზანტია-ირანის ომებს, ციხე-ქალაქებს,

მატერიალურ და სულიერ კულტურას ეძღვნება აკად. ნ. ლომოურის ნაშრომები (ლომოური, 1955; ლომოური, 1958; ლომოური, 1963; ლომოური, 1965; ლომოური, 1968; ლომოური, 1973; ლომოური, 1989; ლომოური, 1998; Ломоури, 1981; Ломоури, 1987).

გვიანანტიკური ხანის ლაზეთისა და რომის ურთიერთობებზე, რომის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე კავკასიაში, სავაჭრო გზებისა და მაგისტრალების დანიშნულებაზე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებსა და რომაულ საფორტიფიკაციო პუნქტებზე, აგრეთვე სხვა საკითხებზე, უაღრესად მნიშვნელოვანი შეხედულებები აქვს აკად. ო. ლორთქიფანიძეს (Лордкипаниძე, 1957; Лордкипаниძე, Мухელიшვილი, 1970; ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1973; Лордкипаниძე, 1989; ლორთქიფანიძე, 1994).

კოლხეთის (ლაზიკის) შავიზღვისპირა ციხე-ქალაქებზე ფრიად საინტერესოა თ. მიქელაძის გამოკვლევები (მიქელაძე, 1977; მიქელაძე, 1978).

ანტიკური კოლხეთის ქალაქებზე, ზოგიერთი მათგანის ლოკალიზაციაზე, ეკონომიკასა და სავაჭრო ურთიერთობებზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან მ. ინაძის ნაშრომები (ინაძე, 1959; ინაძე, 1962; ინაძე, 1994).

ქალაქ ფასისის ლოკალიზაციას მიუძღვნა სპეციალური მონოგრაფია მ. ბერძნიშვილმა (ბერძნიშვილი, 1969).

VII–VIII საუკუნეების ეგრისის ისტორიისა და მისი პოლიტიკური ცენტრის საკითხებისადმი საინტერესო მოსაზრებები აქვს აკად. მ. ლორთქიფანიძეს (ლორთქიფანიძე, 1994; ლორთქიფანიძე, 1995).

ეგრის–ლაზიკის საგარეო პოლიტიკას, ბიზანტია–ირანის ომებს და მათ კონტექსტში ეგრისის ქალაქების (ნოქალაქევის) მნიშვნელობას იკვლევდა გ. გოზალიშვილი (გოზალიშვილი, 1944; გოზალიშვილი, 1972).

რომისა და ბიზანტიის გეოპოლიტიკურ ინტერესები სამხრეთ–აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და მათი შესაბამისი მიზან–ამოცანებით განპირობებული სტრატეგიული ქმედებები აღნიშნულ რეგიონში შეისწავლა ე. კახიძემ (კახიძე, 2002a; კახიძე, 2002b).

ერთ–ერთი პირველი, ვინც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა თავდაცვითი ნაგებობების კვლევას, იყო აკად. მ. ჯავახიშვილი. მისი ფუძემდებლური მოსაზრებები ქართულ ქალაქთა წარმოშობაზე, მათ რაობასა და ფუნქციებზე, ციხეთა და სიმაგრეთა დანიშნულებაზე, ასევე ფორტიფიკაციის სხვადასხვა საკითხებზე დღესაც არ კარგავენ თავის მნიშვნელობას. საინტერესოა აგრეთვე

დიდი მეცნიერის მიერ განხილული ეგრისის ისტორიის ცალკეული ასპექტები (ჯავახიშვილი, 1946; ჯავახიშვილი, 1951).

საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის ხელოვნებასთანაა დაკავშირებული დ. მშვენიერაძის გამოკვლევა, რომელშიც გაანალიზებულია ეგრისის ზოგიერთ ციხე-სიმაგრეთა არქიტექტურა (Мшвениераძე, 1959).

ციხე-ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაზე აქვს რიგი ნაშრომები გამოქვეყნებული აკად. ა. აფაქიძეს (აფაქიძე, 1963; აფაქიძე, 1965; აფაქიძე, 1975).

ქართულ ციხე-ქალაქებს და ციხე-სიმაგრეებს სპეციალურად სწავლობდა აკად. პ. ზაქარაია, რომლის ნაშრომთა უდიდესი ნაწილი დასავლეთ საქართველოს სასიმაგრო ნაგებობებს ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ სწორედ მას ეკუთვნის მოსაზრება ეგრისში თავდაცვის ერთიანი სისტემის არსებობის შესახებ, რომელიც ქვეყნის მესვეურთა მიერ კარგად მოფიქრებული სიმაგრეთა განლაგებით იყო შექმნილი. მან ასევე შეისწავლა არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე ცნობილი, არამედ უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით აღმოჩენილი ციხეებიც (ზაქარაია, 1960; ზაქარაია, 1971; ზაქარაია, 1973; ზაქარაია, 1980; ზაქარაია, კაპანაძე, 1991; ზაქარაია, კაპანაძე, 1999; ზაქარაია, 2001).

ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორის ციხე-სიმაგრეებზე მუშაობს დ. ლომიტაშვილი, რომელმაც ნოქალაქევის რეგიონში მანამდე უცნობი ოთხი ციხე აღმოაჩინა. უადრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი დასკვნა, რომ VII საუკუნიდან ნოქალაქევი აღარ არის ეგრისის დედაქალაქი (ლომიტაშვილი, 2003a; ლომიტაშვილი, 2003b).

დასავლეთ საქართველოს თავდაცვით ნაგებობებს იკვლევდა ვლ. ლექვინაძე, რომელმაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებულ რომაულ ციხე-სიმაგრეთა სისტემას “პონტოს ლიმესი” უწოდა (Леквинадзе, 1961; Леквинадзе, 1966; Леквинадзе, 1968; Леквинадзе, 1969; Леквинадзе, 1972; Леквинадзе, 1973).

“პონტოს ლიმესის” შესახებ ეს მოსაზრება გაიზიარა გ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც შეისწავლა ბიჭვინთის არქეოლოგიური ძეგლები: რომაული სიმაგრის ფორტიფიკაცია, ინფრასტრუქტურა, გარნიზონის შემადგენლობა, დასახლება (ლორთქიფანიძე, 1991).

ლაზიკაში არსებულ რომაულ თავდაცვით სისტემაზე მუშაობდა ამერიკელი მეცნიერი შპაიდელი, რომელმაც მასთან დაკავშირებით იხმარა ტერმინი “კავკასიის საზღვარი” (შპაიდელი, 1985).

ეგრის-ლაზიკის სამეფოს თავდაცვის ერთიან სისტემაზე პირველი

მონოგრაფია შექმნა ო. ლანჩავამ, რომელსაც ასევე ეკუთვნის დებულება, რომ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზნით ეგრისში (როგორც შავიზღვისპირეთში, ასევე ქვეყნის შიგნით) წარმოიქმნა ციხე-ქალაქები და სიმაგრეები, რომლებიც გაერთიანდა თავდაცვის მთლიანი სისტემის შემადგენელ ცალკეულ სასიმაგრო ხაზებში. მას აგრეთვე აქვს ფრიად საინტერესო მოსაზრებები მოხირის-ქუთაისისა და უქიმერიონ-მოწამეთას იგივეობასთან დაკავშირებით (ლანჩავა, 1994; ლანჩავა, 1995; ლანჩავა, 1996; ლანჩავა, 2007).

ლაზიკის ზღვისპირას განლაგებულ რომაულ თავდაცვით სისტემაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები გააჩნია თ. თოდუას, რომელიც მას უწოდებს “პონტო-კავკასიის საზღვარს”. ის აგრეთვე მუშაობს რომაულ ფორტიფიკაციასა და შეიარაღებაზე, რომელიც დასახლებების ხასიათზე, რომელიც კულტურის გავრცელებისა და სხვა საკითხებზე (თოდუა, 1988; თოდუა, 1989; თოდუა, 1991; თოდუა, 1997; თოდუა, 2002; თოდუა, 2003a; თოდუა, 2003b; თოდუა, 2007; თოდუა, 2008).

დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და დასახლებებს (ფასისი, მთისძირი), ასევე რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის სხვადასხვა საკითხებს (მათ შორის ბიოგარემოს და საომარ მოქმედებათა სარბიელს, წერილობით წყაროთა მონაცემებს, ბრძოლის სცენებს და შეიარაღებას) იკვლევს გ. გამყრელიძე (გამყრელიძე, 1982; Gamkrelidze, 1992; გამყრელიძე, 1998; გამყრელიძე, 2002; გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005; გამყრელიძე, თოდუა, 2006).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საომარი იარაღების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანი მასალები მოვიძიეთ რ. ფუთურიძის ნაშრომში (ფუთურიძე, 1959). ანტიკური ხანის იარაღ-საჭურველზე აქვს საინტერესო გამოკვლევები მ. ფირცხალავას (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005; ფირცხალავა, 2005). გვიანანტიკურ-ადრებიზანტიურ ეპოქათა შეიარაღებაზე ასევე გამოვიყენეთ გ. ლომთათიძის (ლომთათიძე, 1957), ლ. წითლანაძის (წითლანაძე, 1973), ზ. ბრაგვაძის (ბრაგვაძე, ჩიგოგიძე, 2002), ს. ხარაბაძის (ხარაბაძე, 2003), ზ. ანჩაბაძის (Анчабадзе, 1964), ი. ვორონოვის (Воронов, 1975; Воронов, 1979; Воронов, 1980; Воронов, Бгажба, 1987), მ. თრაფშის (Трапш, 1961), ო. ბლაჟბას (Бгажба, 1979; Бгажба, Гунба, Воронов, 1983; Воронов, Бгажба, 1987) ნაშრომები. უკანასკნელ ოთხ ავტორს აქვს საყურადღებო, თუმცა ზოგჯერ საკამათო მოსაზრებები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ციხე-სიმაგრეთა ისტორიაზე.

ანტიკური სამყაროს სამხედრო ხელოვნების (ტაქტიკა და სტრატეგია, ჯარების სახეობები და სოციალური შემადგენლობა, შეიარაღება) საკითხები დეტალურად განხილული კ. დელბრიუკის სპეციალურ გამოკვლევაში (Делбрюк, 1937). ლაზიკაში მყოფ რომაულ არმიაზე საუბრობს ალ. ნონეშვილი (ნონეშვილი, 1998). ანტიკური ეპოქის სამხედრო თეორიის საკითხებს ეხება ასევე დ. ახვლედიანი (ახვლედიანი, 2004a; ახვლედიანი, 2004b).

ეგრის-ლაზიკის ისტორიული გეოგრაფიის პრობლემებზე მუშაობს გ. გრიგოლია, რომელსაც ყურადსადები შეხედულებები აქვს ზოგიერთი ქალაქისა და ციხე-სიმაგრის ლოკალიზაციის, ასევე სავაჭრო და საღაშქრო გზების მიმართულებებთან დაკავშირებით (გრიგოლია, 1989; გრიგოლია, 1994a; გრიგოლია, 1994b; გრიგოლია, 1998).

შიდა ეგრისის ქალაქებსა და ციხეებს (ვარდციხე, შორაპანი, სკანდა, ნამაშევი, დიმი, საზანო) იკვლევს ვ. ჯაფარიძე. მანვე ივარაუდა აღმოსავლეთ კოლხეთის სასაზღვრო სისტემის არსებობა. საინტერესოა მისი მოსაზრებები ზოგიერთი პუნქტის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, ასევე ციხე-ქალაქთა წარმოქმნა-განვითარების და ფორტიფიკაციის შესახებ (ჯაფარიძე, 1974; ჯაფარიძე, 1979; . Джапаридзе, 1982; ჯაფარიძე, 1989; ჯაფარიძე, 1990; Джапаридзе, 1991; ჯაფარიძე, 1999; Джапаридзе, 2003).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და ციხეებს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, განსაკუთრებით 1959–62 წლებიდან, როდესაც სოფ. გონიოში, ბათუმსა და ციხისძირში ჩატარდა პირველი არქეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც ახლაც წარმატებით გრძელდება. აფსაროსთან დაკავშირებით აღსანიშნავია ა. კახიძის, შ. მამულაძის, მ. ხალვაშის, ლ. ასლანიშვილის ნაშრომები (კახიძე, ხალვაში, 1998; მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001; მამულაძე, 2002; ასლანიშვილი, 2004; კახიძე, მამულაძე, 2004).

ბათუმის ციხეზე აქვთ მნიშვნელოვანი გამოკვლევები ა. ინაიშივილს, ა. კახიძეს, დ. ხახუტაიშივილს, აბ. სურგულაძეს, ჯ. ჩხეიძეს, ს. გოგიტიძეს: (ინაიშივილი, 1965; კახიძე, ხახუტაიშივილი, 1988; ჩხეიძე, 1996; სურგულაძე, 1983; გოგიტიძე, 1999; სიხარულიძე, 1959).

ციხისძირის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე მრავალმა მეცნიერმა იმუშავა. მათ შორის გამოირჩევა ნ. ხოშტარიას (ხოშტარია 1962), ა. ინაიშივილის (ინაიშივილი, 1973; ინაიშივილი, 1974) და ნ. ინაიშივილის (ინაიშივილი, 1993) ნაშრომები.

ეგრისის თავდაცვის სისტემაში შემაჯავლი ციხე-ქალაქებისა და სხვა საფორტიფიკაციო პუნქტების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემები მოვიძიეთ გ. გაბუნias, ვ. სადრაძის, ვ. ჩიხლაძის, ი. სიხარულიძის, გ. საითიძის, ი. ადამიას სამეცნიერო მონოგრაფიებსა და სტატიებში (გაბუნია, 1996; სადრაძე, 2003; ჩიხლაძე, 2003; სიხარულიძე, 1970; საითიძე, 1990; ადამია, 1979).

დისერტაციის თემატიკასთან დაკავშირებით ჩვენც გამოვაქვეყნეთ რამოდენიმე ნაშრომი, რომლებშიც განხილულია სხვადასხვა პრობლემები: (ჭუმბურიძე 1999a; ჭუმბურიძე, 1999b; ჭუმბურიძე, 2000; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005; ლანჩავა, ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006; ჭუმბურიძე, 2006; ჭუმბურიძე, 2007; ჭუმბურიძე, 2008).

თავი I

ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ. წ. I-III საუკუნეებში.

§ 1. ეგრისის სამეფოს წარმოშობა და ისტორიული განვითარების გზა ახ. წ. IV საუკუნემდე

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე დაიწყო ახალი ქართული პოლიტიკური გაერთიანების წარმოქმნა, რომელსაც ქართული მატრიანები ეგრისს, ხოლო რომაულ-ბიზანტიური წყაროები ლაზიკას უწოდებენ.

სწორედ ეგრისის – ლაზიკის სახელმწიფო მოგვევლინა ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ, რომელმაც გააერთიანა დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მონათესავე ტომები ლაზების ჰეგემონობით. ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე მიუთითებს VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი იოანე ლიდე (Joann Lydus, De magister, III, 34, ყაუხჩიშვილი 1965, გვ. 236; ლომოური, 1968, გვ. 3).

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის ანტიკური ავტორები ადასტურებენ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროთა მოსახლეობა არ იყო ერთგვაროვანი (ლომოური, 1968, გვ. 6; მელიქიშვილი, 1970, გვ. 540-541; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 82-83). საერთოდ აღნიშნული ეპოქა დასავლეთ საქართველოში რთული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრებით აღინიშნა (ლორქიფანიძე, 1991, გვ. 4). ლაზიკის სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესს თან სდევდა შესაბამისი ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 82). სათანადო ვითარების წარმოდგენისათვის ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ახ. წ. II საუკუნის I ნახევრის რომაელი დიდმოხელის, კაპადოკიის პროვინციის პროკონსულის, ფლავიუს არიანეს „პერიპლუსი“ ანუ „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, რომელიც წარმოადგენს მისი სამმართველო პროვინციისა და მეზობელი მხარეების საინსპექციო თვალსაზრისით შემოვლისა და იქ ჩატარებული საქმიანობის შესახებ ანგარიშს რომის იმპერატორ ადრიანესადმი. ეს ნაშრომი დაიწერა ახ. წ. 131 წელს (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 4-5; ლომოური, 1968, გვ. 6).

ფლავიუს არიანეს მიხედვით ახ. წ. II საუკუნის დასაწყისში შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტიდან სებასტოპოლისამდე მოსახლეობენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები (ჭანები), მაკრონ-ჰენიოხები, ზიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები, სანიგები (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 42-43). ჩამოთვლილ ტომთაგან

ზოგიერთი ისტორიული კოლხეთის მიწა-წყალზე თავიანთ სამეფოს ქმნის (მელიქიშვილი, 1970, გვ. 541).

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე შემდეგი პოლიტიკური ვითარება ისახება. ქ. ტრაპეზუნტი და მისი მოსაზღვრე კოლხების და სანების მიწა-წყალი შედის კაპადოკიის პონტოს პროვინციაში (ლომოური, 1968, გვ. 7). მათ უშუალოდ ესაზღვრება მაკრონ-ჰენიოხთა გაერთიანებული სამეფო, რომელსაც უჭირავს თანამედროვე ჭანეთის ნაწილი ცენტრით ქ. ათინასთან (ჯანაშია, 1959, გვ. 22-23; ლომოური, 1968, გვ. 8; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 83).

მაკრონ-ჰენიოხთა ჩრდილოეთით მდ. არქაბისის მიღმა ცხოვრობენ ზიდრიტები. მდ. არქაბისი გაიგივებული იყო მდ. არხავესთან (მელიქიშვილი, 1970, გვ. 544). შემდეგ მისი გაიგივება მოხდა მდ. ორხოფთან, სოფ. ხოფას მახლობლად (ლომოური, 1963, გვ. 13-14).

ფლაგიუს არიანეს „პერიპლუსის“ V საუკუნის ანონიმი რედაქტორი ზიდრიტების განსახლების საზღვრებს მიუთითებს მდ. არქაბისსა და მდ. აფსაროსს შორის, რომელსაც თვლიან მდ. ჭოროხად. თუმცა არ გამოირიცხება ზიდრიტების საზღვარი მდ. ჭოროხის ჩრდილოეთითაც (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 84). ქართლის ცხოვრების მიხედვით ქართლის მეფე ფარნავაზი აჭარა-კლარჯეთის მიმდებარე შავიზღვისპირეთს ფლობდა (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 24). შესაძლოა, ეს იყოს გამოძახილი ფლაგიუს არიანესთან ფიქსირებული ვითარებისა (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 84; Меликишвили, 1959, გვ. 136). ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ზიდრიტები ცხოვრობდნენ აფსაროსის ციხე-სიმაგრის ჩრდილოეთით და ეკავათ თანამედროვე აჭარა-ქობულეთის მხარე. ისინი ახ. წ. II საუკუნისათვის ქართლის მეფე ფარსმანის ქვეშევრდომები არიან, მისი სახელმწიფოს დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ ზღვისპირეთში და შესაბამისად, მათი განსახლებაც უფრო ფართო ტერიტორიაზე ივარაუდება (ლომოური, 1968, გვ. 8-10).

ზიდრიტების ჩრდილოეთით ლაზების სამეფოა. ისინი მდ. ფაზისის (რიონის) ორივე ნაპირზე არიან განსახლებული, უჭირავთ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური რაიონი და მათი მიწა-წყალი ვრცელდება აჭარა-ქობულეთის საზღვრიდან დაახლოებით მდ. ხობამდე (ჯანაშია, 1959, გვ. 23; ლომოური, 1965, გვ. 74-75; ლომოური, 1968, გვ. 10; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 84). ამ ცნობებს ადასტურებენ სხვა ავტორებიც: II საუკუნის მწერალი დიონიოს პერიეგეტი (ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 151) და იმავე ეპოქაში მოღვაწე გეოგრაფი კლავდიოს

პტოლემეაიოსი (ლომოური, 1955, გვ. 45).

ლაზების ჩრდილოეთით, მდ. ხობსა და სებასტოპოლისს შორის, მდებარეობს აფსილებისა და აბაზგების სამეფოები. არიანეს მონაცემებიდან არ ჩანს სად გადიოდა საზღვარი ლაზებსა და აფსილებს შორის, მაგრამ ქართულ წყაროთა მითითებით ის მდ. ეგრისწყალზე უნდა იყოს (ლომოური, 1998a. გვ. 8), რომელიც გაიგივებულია მდ. დალიძგასთან (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 106-113).

აბაზგების ჩრდილოეთით სანიგების სამეფოა, რომელიც სებასტოპოლისიდან მდ. აქეუნტამდე ვრცელდებოდა (ლომოური, 1968, გვ. 10).

უცხოური წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახ. წ. II საუკუნის 30-იან წლებში არსებობდა ოთხი სახელმწიფოებრივი გაერთიანება: ლაზების, აფსილების, აბაზგების და სანიგების. მათი წარმოქმნის პერიოდის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული.

ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, აღნიშნული სამეფოები ჩამოყალიბდა არა უგვიანეს ახ. წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრისა. მას საფუძვლად დაედო ფლავიუს არიანეს ცნობა იმის შესახებ, რომ აფსილთა მეფე იულიანემ მეფობა რომის იმპერატორ ადრიანეს მამის, ტრაიანესაგან (98-117 წწ.) მიიღო (ჯანაშია, 1949, გვ. 210). ამავე ცნობაზე დაყრდნობით ასევე წარმოიქმნა მოსაზრება, რომ მეფედ დამტკიცების პრაქტიკა აფსილების მიმართ დამკვიდრდა ტრაიანეს დროს, ხოლო დანარჩენ სამეფოთა მიმართ კი განხორციელდა ადრიანეს დროს (Меликишвили, 1959, გვ. 372). მოგვიანებით აღინიშნა, რომ შესაძლებელია დასახელებულ სამეფოებს მანამდეც ჰქონდათ გარკვეული დამოკიდებულება რომთან, ხოლო მათი მეფეთა რომაელ იმპერატორთაგან ხელდასხმა მეტყველებს რომის მიერ ახალი პოლიტიკური ერთეულების ცნობაზე (მელიქიშვილი, 1970, გვ. 546). არიანეს ცნობა გახდა არგუმენტი კიდევ ერთი ვარაუდისა, რომლის მიხედვით დასავლურ-ქართულ სამეფოთა წარმოქმნა არა ტრაიანეს, არამედ უფრო ადრეულ ეპოქაში მოხდა. ამ მოსაზრებას ამყარებს კორნელიუს ტაციტუსის ცნობები ახ. წ. 69 წელს პონტოში მომხდარი ანიკეტის აჯანყების შესახებ. რომაელთაგან დამარცხებული ანიკეტი თავს აფარებს მდ. ხობს, სადაც მას შემწეობა გაუწია „სედოხეზების“ მეფემ, რომელშიც ლაზების მეფე უნდა იგულისხმებოდეს (ჯანაშია 1987, გვ. 63; ლომოური, 1968, გვ. 11). „სედოხეზები“ ერთ-ერთი ლაზური ტომია, რომლის მეფე არა ტომის ბელადი, არამედ ნამდვილი მეფეა (ჯანაშია, 1949, გვ. 189-190). ამჟამად მიღებულია, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე დასახელებულ სამეფოთა წარმოქმნა ახ. წ. I საუკუნის მიწურულს მოხდა

(ღომოური, 1968, გვ. 12).

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა ჩამოყალიბების პირობებისა და მათი ხასიათის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამოდენიმე მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, იგი მთლიანად რომის იმპერიის პოლიტიკური მიზნების განხორციელების შედეგია. რომაელებმა ერთიანი კოლხეთის ნაცვლად მის ადგილზე ოთხი სამეფოს შექმნას შეუწყვეს ხელი (ჯავახიშვილი, 1951, გვ. 174). მეორე მოსაზრების თანახმად, ასეთი პოლიტიკა რომს არ სჭირდებოდა და შესაბამისად, ამ სამეფოთა წარმოქმნა მთლიანად არის ნაყოფი ქვეყნის შინაგანი განვითარებისა (ჯანაშია, 1952, გვ. 312; კეჭაღმაძე, 1961, გვ. 12-15). მესამე მოსაზრება დაკავშირებულია ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მთიელ ტომთა მოძალეობა-ჩამოსახლებასთან (მელიქიშვილი, 1970, გვ. 547-548; Меликишвили, 1959, გვ. 87-88). არსებობს აღნიშნული მოვლენის სხვაგვარი ახსნაც, რომელიც ითვალისწინებს კოლხეთის სამეფოს ძველადარსებულ თავისებურებებს და ახალი სამეფოების წარმოქმნას განაპირობებს ერთიანი კოლხეთის დაშლით და იმ კონკრეტული საერთო-პოლიტიკური სიტუაციით, რომელიც შეიქმნა ამიერკავკასიასა და მეზობელ ქვეყნებში (ღომოური, 1968, გვ. 21).

ვფიქრობთ, რომ გვიანანტიკურ ხანაში კოლხეთის ტერიტორიაზე ახალი სამეფოების ჩამოყალიბება რთული პროცესია და მისი ახსნა ერთი რომელიმე კონკრეტული მიზეზით არ უნდა იყოს მართებული. რა თქმა უნდა, აქ ძირითადი ქვეყნის განვითარებაა, მაგრამ არც მის შიგნით მიმდინარე ეთნიკური ცვლილებები და მით უმეტეს, საგარეო-პოლიტიკური ვითარების ზეგავლენა გამოირიცხება.

მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულების ფორმირება დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებითაც. მათ შორის გამოირჩევა მთელი რიგი მდიდრული სამარხები და განძები, რომელთა ნაწილი ასევე სამარხულ კომპლექსს წარმოადგენს და ნაპოვნია ისტორიული კოლხეთის სხვადასხვა ნაწილში: კლდეეთი, თავიღონი, სარგვეში, გონიო, ციხისძირი, ღია და სხვა (Лордкипანიძე, 1989, გვ. 343).

საერთოდ, დასავლურ-ქართული პოლიტიკური ერთეულების და, კერძოდ, ლაზეთის სამეფოს შესახებ ცნობები ახ. წ. II-III საუკუნეებისათვის ფრიად მწირია და არ იძლევა საშუალებას წარმოვიდგინოთ მისი ჩამოყალიბება-განვითარების სრული სურათი. თუმცა მისი ცალკეული ფრაგმენტების აღდგენა როგორც წერილობითი წყაროების, ასევე არქეოლოგიური მასალების გამოყენებით სავსებით შესაძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ეგრის-ლაზეთის სამეფოს წარმოქმნა ხანგრძლივი პროცესია და იგი რამოდენიმე საუკუნე გაგრძელდა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 105). მას უკავშირებენ ეგრისელთა ანუ ძველი წყაროების „მეგრთა“ თაოსნობას, რომლებიც ეთნიკურად ლაზთაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ და უცხოელთა თვალში აქ არანაირ ცვლილებას ადგილი არ ჰქონდა. ამ ვითარებას ხსნიან იმ ფაქტით, რომ საკუთრივ ეგრისის ტერიტორია უმდიდრესი რაიონი იყო მთელს ლაზიკაში და სწორედ აქ მდებარეობდა ყველა მნიშვნელოვანი ქალაქი მისი ცენტრის ჩათვლით (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 89). ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ II საუკუნეში მოხსენიებული სახელწოდება „ლაზები“ უფრო პოლიტიკურ დატვირთვას ატარებს და მასში იგულისხმებიან არა მხოლოდ საკუთრივ ლაზები, არამედ სხვა ტომებიც, რომლებზეც ვრცელდება მათი პოლიტიკური ძალაუფლება (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 85; ჯანაშია, 1959, გვ. 24).

წყაროთა სიმცირის გამო ძნელია, მაგრამ მეტ-ნაკლები სიზუსტით მაინც შესაძლებელია ზღვისპირეთში მოსახლე ტომთა განსახლების და მათი პოლიტიკური საზღვრების დადგენა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 5). II საუკუნის 30-იან წლებში ფლავიუს არიანე სანიგებსა და ლაზებს შორის აფსილებსა და აბაზგებს მოიხსენიებს და სებასტოპოლისს სანიგების ტერიტორიაზე ასახელებს (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 39-41), ხოლო კლავდიოს პტოლემეაიოსი მოგვიანებით სებასტოპოლისს ლაზთა დასახლების სამფლობელოში ათავსებს (ლომოური, 1955, გვ. 45). თუ პტოლემეაიოსის ჩვენება სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ ცხადია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე გარკვეული ცვლილებები მოხდა და ეს დაკავშირებულია ლაზიკის გაძლიერებასთან და მის მიერ ჩრდილო-დასავლეთის ტერიტორიის შემოერთებასთან, რაც უნდა მომხდარიყო II საუკუნის შუა ხანებში. ამ დროისათვის ლაზიკა აღმოსავლეთითაც ფართოვდება (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 86-87).

კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ დასახელებული ხუთი ქალაქიდან ერთ-ერთი სარაკე, რომელიც იდენტიფიცირებულია შორაპანთან (ლომოური, 1968, გვ. 50; ჯაფარიძე, 1990, გვ. 6), ყველაზე აღმოსავლეთით მდებარეობს და სტრაბონის დროიდან ვიდრე VI საუკუნემდე კოლხეთ-ლაზიკაშია ლოკალიზებული. შესაბამისად, არგვეთის მხარე II საუკუნის 50-60-იან წლებში ეგრისის სამეფოს ეკუთვნის (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 88). ამას შეიძლება ადასტურებდეს „ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ცნობა ფარსმან II-ის სიკვდილის შემდეგ სპარსთა მიერ მეფედ დასმული მირდატის დამარცხების შესახებ მეგრნთა, სომეხთა და ბერძენთა

მიერ („ქართლის ცხოვრება“, 1955, გვ. 53-54). II საუკუნის 60-იან წლებში „მეგრნი“, რომელშიც იგულისხმება მთელი ეგრისის მოსახლეობა, ებრძვის ქართლის მმართველს და შესაძლოა ეს ხდება რომის (ბერძენთა) მხარდაჭერით, რომელიც დაინტერესებული უნდა ყოფილიყო თავისი ვასალური სამეფოს გამოყენებით ძლიერი ქართლის წინააღმდეგ (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 91). ყოველ შემთხვევაში შავი ზღვის სანაპიროზე მდგომი რომაული გარნიზონების ერთ-ერთ ფუნქციას სწორედ იბერიისაგან რომის ვასალურ ტერიტორიათა დაცვა წარმოადგენდა (ლომოური, 1968, გვ. 37).

II საუკუნის II ნახევარში ეგრისის სამეფოს გაძლიერებას უკავშირდება კოლხეთში არსებული სამეფოების მძაფრი შეტაკებანი, რომელთაც შედეგად მოჰყვა ლაზთა სამეფოს დაწინაურება და მისი საზღვრების ჩრდილოეთით გადაწევა (Меликишвили, 1959, გვ. 379; მელიქიშვილი, 1970, გვ. 552). დასავლეთ საქართველოს სამეფოთა და ტომთა შორის ბრძოლა აპრიორად არის გაზიარებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგრამ კონკრეტული დრო და ვითარება სამწუხაროდ წყაროებით არ არის დასაბუთებული (ლომოური, 1968, გვ. 40).

შესაძლოა ეგრისის სამეფოს გაძლიერებას II საუკუნის მიწურულს ადასტურებს VIII-IX საუკუნეების მოღვაწის გიორგი სინკელოზის „ქრონიკაში“ დაცული ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ იმპერატორმა სეპტიმიუს სევერუსმა (193-211 წწ.) დაიმორჩილა კოლხეთი, ე. ი. ლაზიკა (Georg. Syncell, ყაუხჩიშვილი 1941, გვ. 68). ეს მომხდარა 211 წელს. სევერუსის მიერ ლაზეთის იარაღით დაიმორჩილება გულისხმობს, რომ მას ჰქონდა ლაზეთთან გარკვეული გართულებები, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ლაზთა მიერ რომაელთაგან განდგომაში (ლომოური, 1968, გვ. 73; Ломоури, 1981, გვ. 240).

III საუკუნის ეგრის-ლაზეთის სამეფოს შესახებაც საკმაოდ მცირე ცნობები არსებობს. ისინი ძირითადად 50-იანი წლების და შემდგომ მოვლენებს ასახავენ. ვარაუდობენ, რომ დასავლურქართულმა სამეფოებმა ისარგებლეს რომის იმპერიის კრიზისით და III საუკუნის დასაწყისიდან მიიღეს უფრო მეტი დამოუკიდებლობა (Ломоури, 1981, გვ. 245). მათ შორის განსაკუთრებით ლაზეთი ჩანს დაწინაურებული, რომელიც შესაძლოა უკვე აღიქმება, როგორც კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური მემკვიდრე (ლორთქიფანიძე 1991, გვ. 5).

ლაზეთის ძლიერებაზე შესაძლოა მიუთითებდეს შემდეგი მოვლენებიც, რომლებიც გუთების შემოსევებთან არის დაკავშირებული. V-VI საუკუნეების

ბიზანტიელი ისტორიკოს ზოსიმეს შრომაში „ახალი ისტორია“, მოთხრობილია 252 წელს გუთების ლაშქრობის შესახებ, რომელთაც ავტორი სკვითებს უწოდებს. ისინი თავს დაესხნენ პიტიუნტს, მაგრამ დამარცხდნენ და უკან დაბრუნდნენ. შემდგომში ისინი კვლავ გამოჩნდნენ უკვე ფაზისთან, მაგრამ ვერ აიღეს და ისევ პიტიუნტს მიადგნენ, რომელიც ამჯერად აიღეს, გაძარცვეს და შემდეგ ტრაპეზუნტზე გაილაშქრეს (Zosim, Hist. Nova, ყაუხჩიშვილი, 1961, გვ. 266-268).

ზოსიმეს ზოგიერთი ცნობის მიხედვით ვარაუდობენ, რომ გუთების წინააღმდეგ რომაული გარნიზონების მხარდამხარ იბრძვის ადგილობრივი მოსახლეობა. ქ. ფაზისთან გუთების მარცხი ადგილობრივი სახელმწიფოს, ეგრის-ლაზეთის ძლიერების უდავო საბუთია (მელიქიშვილი, 1970, გვ. 553-554; ლომოური, 1968, გვ. 42; Ломоури, 1981, გვ. 277). იმავე ზოსიმეს ცნობით, გუთები კვლავ გამოჩნდნენ ფაზისთან 275 წელს, მაგრამ არ არის ცნობილი აიღეს თუ არა ქალაქი (ლომოური, 1968, გვ. 42-43). ეს ფაქტი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ერთადერთი ძალა კავკასიასა და მცირე აზიაში, რომელსაც შეუძლია ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიოს გუთების შემოსევას, არის ლაზეთის სამეფო (Ломоури, 1981, გვ. 277).

ამ ფონზე უცნაურად ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ III საუკუნის I ნახევარში ქართლის სამეფომ შეინარჩუნა სახელმწიფოებრივი ერთიანობა ეგრისთან, რომელიც მოიპოვა I-II საუკუნეებში (შოშიაშვილი, 1998, გვ. 67; ლეთოდიანი, 2003, გვ. 12-13, 38). ეს ერთიანობა დარღვეულა მეფე ამაზასპის მეფობის დასასრულს, როდესაც ირანთან იძულებითი მოკავშირეობის გამო რომაელებმა წააქეზეს და მხარი დაუჭირეს დასავლეთ საქართველოს გამგებელთა განდგომას ქართლის მეფისაგან (შოშიაშვილი, 1998, გვ. 67-72). ამას მოჰყვა ბრძოლა, სადაც რომაელებმა და მისმა მოკავშირეებმა დასავლეთ საქართველოში და სომხეთში დაამარცხეს ამაზასპი, რომელიც დაიღუპა ამ ბრძოლაში (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 57; შოშიაშვილი, 1998, გვ. 72). ეს ამბები III საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მოხდა.

ვიფიქრობთ, რომ ამგვარი მოსაზრების გაზიარება არ იქნება მართებული. ეგრისის საკმაო ძლიერება გამორიცხავს მისი მთლიანი ტერიტორიის ქართლის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნას. აქ შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ აღმოსავლეთი ეგრისის (არგვეთის) დაქვემდებარება ქართლისადმი, რომელიც შესაძლებელია კვლავ მომხდარიყო III საუკუნის დასაწყისში და ასევე ეგრისის სამხრეთით მდებარე ზიდრიტების ტერიტორია.

ლაზეთის სამეფოს ძლიერებაზე უნდა მეტყველებდეს ცნობები ბრძოლების შესახებ ჩრდილოეთის ტომებთან, კერძოდ სარმატებთან. X საუკუნის ბიზანტიელი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტი აღწერს ბოსფორელთა მეფე სავრომატეს ლაშქრობას ლაზეთისა და რომის წინააღმდეგ დიოკლეტიანეს იმპერატორობის (284-305 წწ.) დროს (Const. Porphy., De adm. imp. LIII, ყაუხიშვილი, 1952, გვ. 289). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლაზეთში სავრომატე მხოლოდ ლაზებს ეომება (მელიქიშვილი, 1970, გვ. 554; Меликишвили 1959, გვ. 381). აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ლაზიკა ფორმალურად რომის გავლენის სფეროდ ითვლება, თუმცა რომაული გარნიზონები ლაზეთში ამ დროს არ ჩანან (ლომოური, 1968, გვ. 43).

არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილი ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური ერთეულების მოსახლეობის მატერიალური კულტურა ადასტურებს გარკვეულ პროგრესს ეკონომიკურ ვითარებაში II-III საუკუნეებში წინა პერიოდთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური აღმავლობა გამოიხატა საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებაში, რაც ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებასთანაც არის დაკავშირებული.

ელინისტური ხანის დასასრულისათვის დასავლეთ საქართველოს ქალაქების დაცემა-დაქვეითება განპირობებული იყო პოლიტიკური ვითარების გართულებით. გარეშე მტერთა შემოსევებმა ქვეყნის გაჩანაგება და ხელოსანთა და მიწათმოქმედთა გადატაკება გამოიწვია, რასაც ძვ. წ. I საუკუნის ბოლოსათვის საგარეო ვაჭრობის შესუსტება მოჰყვა (ინაძე, 1959, გვ. 771-772; ინაძე, 1962, გვ. 119).

წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაპოვრები ახ. წ. I საუკუნიდან ადასტურებენ ახალი ტიპის ქალაქების აღმოცენებას, რომლებიც სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტებს წარმოადგენენ (ინაძე, 1959, გვ. 772-773). ისინი ძირითადად შავი ზღვის სანაპიროზე წარმოიქმნენ: აფსაროსი, ფაზისი, დიოსკურია – სებასტოპოლისი, პიტიუნტი.

ისტორიული კოლხეთის შიდა რაიონების შესახებ წყაროებში სათანადო ცნობები თითქმის არ გვხვდება. სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ იხსენიებს სარაპანას, ანუ შორაპანს; პლინიუსი საუბრობს სურიუმზე; კლავდიოს პტოლემეისი „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ ხუთ ქალაქს ასახელებს: მადიას, ძადრისს, სარაკეს, სურიონს და მეხლესოსს. დასახელებული პუნქტების უმრავლესობის ლოკალიზაცია დღემდე პრობლემური საკითხია, მაგრამ თუ მათ შესახებ გამოთქმული ვარაუდები სამართლიანია, მაშინ იარსებებს საბუთები იმისა, რომ ლაზეთის შიდა რაიონებში ქალაქები და დასახლებული პუნქტები I-II

საუკუნეებში იწყებენ აღმოცენებას (ღომოური, 1968, გვ. 49-51).

ქალაქთა არსებობა კი ერთ-ერთი ძირითადი საბუთია იმისა, რომ უკვე II-III საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში აშკარაა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა აღორძინება. სწორედ ამ დროისათვის ივარაუდება აღდგენა იმ ძველი მჭიდრო ურთიერთობათა ტრადიციებისა, რაც ჰქონდა ძველ კოლხეთს ანტიკურ სამყაროსთან (ღომოური 1968, გვ. 51-52; ინაძე, 1962, გვ. 81-121).

§ 2. რომის იმპერიის გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში

ძვ. წ. I საუკუნე ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ არენაზე მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა, რომლებმაც თავიანთი გავლენა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებზეც მოახდინეს (Лордкипаниძე, 1989, გვ. 338). სწორედ ამ დროიდან იწყება რომის აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურება. მცირე აზია რომაელთა ინტერესების სფეროდ გამოცხადდა და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა მისი დაუფლებისათვის. ამიერიდან რომი ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თანმიმდევრულად ახორციელებს სამხედრო ექსპანსიას და ცდილობს ამ ფრიად აქტიურ გეოპოლიტიკურ სივრცეში მყარად დამკვიდრებას, რისთვისაც საკმაოდ ოსტატურად იყენებს აქ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. კოლხეთი და იბერია თავიანთი ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო აღმოჩნდნენ რომის პოლიტიკურ ინტერესთა ორბიტაში. მათ განეკუთვნათ როლი რომის საყრდენი პლაცდარმისა პართიის, პონტოს სამეფოსა და სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში (Лордкипаниძე, 1989, გვ. 338).

რომაელები საქართველოში პირველად ძვ. წ. 65 წელს გამოჩნდნენ. მათი ისტორიოგრაფიის მიხედვით, ცნობილი სარდალი გნეუს პომპეუსი აქ მშვიდობიანი მიზნით შემოვიდა და თითქოს მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფალთა ორჭოფულმა მოქმედებამ აიძულა იგი სამხედრო ძალის გამოყენებისათვის მიემართა (ლომოური, 1998b, გვ. 36). ფიქრობენ, რომ პომპეუსი რომის ინტერესებიდან გამომდინარე ამიერკავკასიის დასამორჩილებლად ნებისმიერ საბაბს მოძებნიდა (ჯანაშია, 1952, გვ. 182-185; Амиранашვილი, 1938, გვ. 166). მიზეზიც ხელსაყრელი გამოჩნდა, დამარცხებული პონტოს მეფის მითრიდატეს დევნა და მისი მოკავშირეების დასჯა (ჯანაშია, 1987, გვ. 54). სწორედ ამ საბაბით დაიწყო იბერია-კოლხეთის მიმართ რომაელთა სპეციფიკური ინტერესების განხორციელება (მელიქიშვილი, 1970, გვ. 502).

რომს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული გამორჩენა; აქაური ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ახალი სავაჭრო გზებისა და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება (გამყრელიძე, ფორცხაღავა, ყიფიანი, 2005, გვ. 58). რომაელთა კავკასიაში დამკვიდრება გარკვეული ისტორიულ-მითოლოგიური და შიდა პოლიტიკური მიზეზებითაც იყო განპირობებული (კახიძე, 2002a, გვ. 6).

კოლხეთი, იბერია და ალბანეთი რომს იზიდავდა ასევე იმ თვალსაზრისით,

რომ აქ გადიოდა შორეულ აღმოსავლეთთან (ჩინეთი, ინდოეთი, ცენტრალური აზია) დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი საგზაო არტერიები (Лордкиपанидзе, 1957, გვ. 381, ჯანაშია, 1987, გვ. 62). საყურადღებოა, რომ პომპეუსი კავკასიაში ლაშქრობისას სწორედ ამ გზებს მიჰყვება და მისი ერთ-ერთი მიზანიც მათი დაზვერვა-შესწავლა იყო. კავკასიაზე გამავალი „აბრეშუმის გზის“ მაგისტრალები განსაკუთრებით აქტუალური ხდება პართიის მიერ სამხრეთის გზების დაუფლების შემდეგ. ეს მას საშუალებას აძლევდა რომთან გართულებული ურთიერთობების შემთხვევაში დაეკეტა ისინი და საიმედოდ გაეკონტროლებინა (მელიქიშვილი, 1970, გვ. 502-503; Саникидзе, 1953, გვ. 5). ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მიმხიდველი კოლხეთი იყო, რადგანაც სწორედ მას უკავშირდებოდა უღელტეხილების მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაზე გამავალი კიდევ ერთი მაგისტრალი და თუ პართია შეძლებდა იბერიისა და ალბანეთის დაკავებას, რომი მაინც შეინარჩუნებდა სავაჭრო კავშირურთიერთობას აღმოსავლეთთან. კოლხეთის ზღვისპირას გამავალი კიდევ ერთი გზა რომს აკავშირებდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან, რომელიც მონობის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო (ჯანაშია, 1959, გვ. 17; ჯანაშია, 1987, გვ. 62; ლომოური, 1958, გვ. 104). საერთაშორისო ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომისათვის. სწორედ რომის მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის დროიდან იწყება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება და აღმავლობა (ლომოური, 1968, გვ. 52; Лордкипанидзе, Мухელიшვილი, 1970, გვ. 40; Лордкипанидзе, 1957, გვ. 381).

გარდა ვაჭრობისა, კოლხეთსა და იბერიაზე გამავალ ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ გზებს ჰქონდათ სამხედრო-სტრატეგიული ბარიერის მნიშვნელობა. მათი საიმედოდ დაცვის შემთხვევაში სამხრეთისაკენ გზა მოჭრილი ჰქონდათ მომთაბარე ტომებს. მხოლოდ ამ გადასასვლელი გზებისა და უღელტეხილების მფლობელს შეეძლო თავისი ინტერესების შესაბამისად გამოეყენებინა მომთაბარე ნომადები, როგორც სამხედრო მოკავშირეებად, ასევე მტრის ტერიტორიათა დასარბევად (Ломоури, 1981, გვ. 106; ჯანაშია, 1952, გვ. 182-186; მელიქიშვილი, 1970, გვ. 502; გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 58; Лордкипанидзе, 1989, გვ. 339).

კავკასიის სახელმწიფოებში რომაელებს ასევე აინტერესებდათ ადგილობრივი ფრიად მდიდარი ეკონომიკური რესურსები (Лордкипанидзе, 1989, გვ. 338; Ломоури, 1981, გვ. 107). მათ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან გაჰქონდათ ლითონი, ხე-ტყე, მარცვლეული, ტყავეული, ღვინო, სელი (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005,

გვ. 64).

პომპეუსმა კავკასიაში ლაშქრობის შედეგად დაიმორჩილა და რომის გავლენას დაუქვემდებარა აქაური სამეფოები. წინა აზიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული მოწყობისას მან ადგილობრივი ქვეყნების მმართველებად იქაური დიდკაცობის წარმომადგენლები დანიშნა (Ранович, 1949, გვ. 11, Голуницова, 1951, გვ. 106). ასევე მოიქცა პომპეუსი კოლხეთში, სადაც „კოლხთა დინასტიად“ არისტარქე დატოვა, რომელიც სავარაუდოდ, შესაძლოა კოლხთა ერთ-ერთი სკეპტუხი იყო. ფიქრობენ, რომ არისტარქეს ხელისუფლება რომის მხარდაჭერას ეყრდნობა (ლომოური, 1998a, გვ. 42), თუმცა რომის სუზერენიტეტი კოლხეთზე ამ დროს ნომინალური უნდა ყოფილიყო (მათიაშვილი, 2005, გვ. 92). ამ დროისათვის კოლხეთში არ დგანან რომაული სამხედრო გარნიზონები.

როგორი იყო არისტარქეს ძალაუფლება და კოლხეთის რა ნაწილი ექვემდებარება მას, სამწუხაროდ უცნობია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არისტარქეს რეზიდენცია დიოსკურიაში მდებარეობდა (გამყრელიძე, 2002, გვ. 63), მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შიდა კოლხეთის „სკეპტუხიებზე“ მისი მმართველობა ეფემერული იყო (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 62).

მდგომარეობა მკვეთრად გაართულდა რომში სამოქალაქო ომების პერიოდში, რამაც გარეშე აგრესიასთან ერთად მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა კოლხეთს და უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე (მათიაშვილი, 2005, გვ. 95). ვარაუდობენ, რომ ამ დროს გაჩნდა კოლხეთის მმართველ წრეებში ანტირომაული პოლიტიკური დაჯგუფებები (ლომოური, 1998a, გვ. 45).

შემდგომი მოვლენები ისტორიულ წყაროებში ნაკლებადაა ასახული. ცნობილია, რომ მარკუს ანტონიუსმა გაატარა გარკვეული ღონისძიებები, რის შედეგადაც აღდგა ან თავიდან შეიქმნა რომზე დამოკიდებული სამეფოები. მათ შორის იყო პონტოს სამეფო, რომელსაც ძვ. წ. 40 წლის ახლო ხანებში შეუერთდა კოლხეთი (ლომოური, 1998a, გვ. 45; Ломоури, 1981, გვ. 126). ვარაუდობენ, რომ ეს მოვლენა მოხდა ძვ. წ. 36 წელს (მათიაშვილი, 2005, გვ. 96). არის სხვა მოსაზრებაც, რომლის თანახმად კოლხეთი პონტოს სამეფოს შეუერთეს ოქტავიანე ავგუსტუსის დროს (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 64; მელიქიშვილი, 1970, გვ. 507). სწორედ პონტოს სამეფოს საშუალებით ხორციელდება კოლხეთზე რომის გავლენა (Шелов, 1969, გვ. 71; Ломоури, 1981, გვ. 125-127).

რომის აღმოსავლური პოლიტიკის ქვაკუთხედს ამ დროისათვის წარმოადგენდა საკუთარ საზღვრებთან ფაქტობრივად მასზე დამოკიდებული პოლიტიკური

ერთეულების შექმნა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სასაზღვრო რეგიონებში რომის ინტერესების დაცვა და მიზნების განხორციელება. თუმცა რომმა ამ ეტაპზე ვერ მოახერხა შიდა კოლხეთის სრული დამორჩილება (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 65).

ოქტავიანე ავგუსტუსის, ტიბერიუსის და კალიგულას დროს კოლხეთის სტატუსი არ შეცვლილა (თოდუა, 2003a, გვ. 7; Тодуа, 1990, გვ. 78-79; თოდუა, 2003b, გვ. 71). საერთოდ ავგუსტუსის დროს აღმოსავლეთის ფრონტზე ხორციელდება იმპერიის ოფიციალური საგარეო პოლიტიკის კურსი, რაც მშვიდობის უზრუნველყოფას გულისხმობს. შესაბამისად, რომი ამ მიმართულებით თავისი გავლენის დამკვიდრებას დიპლომატიური გზით ცდილობს. სწორედ ამით აიხსნება, რომ აღმოსავლეთში სულ ოთხი ლეგიონია განლაგებული, რომელთაც ზურგს პროვინციაში შეკრებილი რაზმები და რომზე დამოკიდებულ სამეფოთა სამხედრო ნაწილები უმაგრებენ. სწორედ ეს მცირე სამეფოები ასრულებენ თავისებური ბუფერის როლს რომსა და პართიას შორის (ლომოური, 1998a, გვ. 46-47; Ломоури, 1981, გვ. 135; Бокшанин, 1966, გვ. 151-152; Машкин, 1949, გვ. 522). პართიასთან ურთიერთობებში ძირითად როლს ასრულებდა სომხეთი, შესაბამისად, გაიზარდა მისი მეზობელი ქვეყნების, კოლხეთის, იბერიისა და ალბანეთის მნიშვნელობა, რომლებიც ჩაერთვნენ საერთაშორისო ურთიერთობებში (ლომოური, 1998a, გვ. 47-48, Ломоури, 1981, გვ. 139).

6. ლომოურის ვარაუდით, დასავლეთ საქართველოსთან მიმართებაში ავგუსტუსის პოლიტიკას განსაზღვრავდა შავიზღვისპირეთში რომის ინტერესები, რომლის მიხედვითაც შავიზღვისპირეთი ერთი პიროვნების ხელისუფლებას უნდა დაქვემდებარებოდა. ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებდა ამ რეგიონის უდიდესი მნიშვნელობა სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით. განსაკუთრებით დიდი როლი ენიჭებოდა კოლხეთს სომხეთზე რომაელთა ბატონობისათვის (Ломоури, 1981, გვ. 142-143). აღნიშნული ვითარება შენარჩუნდა ახ. წ. I საუკუნის 60-იან წლებამდე. ფიქრობენ, რომ ეს პერიოდი წარმოადგენდა ამ რეგიონის რომის იმპერიაში უშუალო ინკორპორირების მოსამზადებელ ეტაპს (კახიძე, 2002a, გვ. 6).

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ ვარაუდს, რადგან მიუხედავად ამ რეგიონისადმი დიდი ინტერესისა, რომაელთა მიერ გატარებული ღონისძიებები ნამდვილად არ არის მიმართული მისი უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში შეყვანისათვის, თუნდაც ამ კონკრეტულ მომენტში.

რომის იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკა შეიცვალა იმპერატორ ნერონის დროს, რომელმაც აირჩია აგრესიული საგარეო დოქტრინა და გეზი ბუფერული სახელმწიფოების ლიკვიდაციისაკენ აიღო. ახ. წ. 63 წელს გაუქმდა პოლემონიდების სამეფო და ის რომის იმპერიის პროვინციად გამოცხადდა. ამასთანავე დაიწყო კავკასიაში რომაელთა პოზიციების განტკიცება. ვარაუდობენ, რომ კოლხეთი რომის პროვინციულ მმართველობას დაექვემდებარა (ლომოური, 1998a, გვ. 60, ლანჩავა, 1996, გვ. 33; ლანჩავა, 2007, გვ. 82; Меликишвили, 1959, გვ. 333; Инадзе, 1968, გვ. 240-244; კახიძე, 2002a, გვ. 6-7; ნონეშვილი, 1998, გვ. 23; თოდუა, 2003a, გვ. 7). თუმცა ფიქრობენ, რომ აქ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ დასავლეთი კოლხეთი, სადაც მათი დასაყრდენი სანაპირო ქალაქები უნდა ყოფილიყო (გამყრელიძე, 2002, გვ. 68; გამყრელიძე ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 63). ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. მეტიც, ვფიქრობთ, რომ იმპერიის პროვინციულ მმართველობას დაექვემდებარა მხოლოდ კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში განლაგებული სამხედრო პუნქტები, რომელთა გაჩენაც სწორედ ამ დროიდან ივარაუდება (თოდუა, 2003a, გვ. 10).

ნერონი ფრიად აქტიურად ემზადებოდა დიდი აღმოსავლური ლაშქრობისათვის, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი შავიზღვისპირეთის ქვეყნებს უნდა შეესრულებინათ (Ломоური, 1981, გვ. 170). ისინი ჯერ კიდევ კორბულონის ლაშქრობისას ამარაგებდნენ არმიას მატერიალური და ადამიანთა რესურსებით. მთავარი დატვირთვა შავიზღვისპირა პორტებზე, ძირითადად კი ტრაპეზუნტზე მოდიოდა (Ломоური, 1981, გვ. 209).

ფიქრობენ, რომ ზოგიერთი წარუმატებლობის მიუხედავად რომმა შეძლო მისთვის საინტერესო რეგიონში დასაყრდენის გაჩენა, რომლის მეშვეობითაც მას შეეძლო ამიერკავკასიის გაკონტროლება და ბოსფორთან საიმედო კომუნიკაციების დამყარება, სადაც ინტენსიურად ვითარდებოდა მომთაბარეთა გააქტიურების პროცესი (კახიძე, 2002a, გვ. 7).

პონტოს სამეფოს და დასავლეთ კოლხეთის რომის პროვინციად გადაქცევას უკავშირებენ ანიკეტის აჯანყებას ახ. წ. 69 წელს. მარცხის მიუხედავად, ამ აჯანყებამ და ნერონის წარუმატებელმა საგარეო პოლიტიკამ აღმოსავლეთში აიძულა რომი შეეცვალა პოლიტიკური კურსი და შეერბილებინა დამოკიდებულება კავკასიის ქვეყნების მიმართ, რაც გამოიხატა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიულ-ტომობრივ ერთეულთა ერთგვარი დამოუკიდებლობის ცნობაში, რათა შეენარჩუნებინათ პოლიტიკური გავლენა მათზე (ლომოური, 1998a, გვ. 60-61;

ჯანაშია, 1949, გვ. 189-191).

რომისათვის საკმაოდ დაიძაბა ვითარება კოლხეთში, სადაც რიონისპირეთში ხდება ლაზთა სამეფოს ფორმირება. ასევე იბერია იწყებს ექსპანსიას ჭოროხის სექტორში შავ ზღვაზე გასასვლელის მოსაპოვებლად. რომი რეგიონში თავისი მიზნების მისაღწევად მოკავშირეებს იყენებს ძველი ელინური პოლისების სახით და ცდილობს ქალაქური ცხოვრების განვითარებას. ისინი აარსებენ ახალ პუნქტებსაც. კოლხეთის ძველ ბერძნულ დასახლებებთან ახალი ციხესიმაგრეები იგება (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 163), რომლებიც გარდა იმისა, რომ იცავენ რომის სამფლობელოებს ჩრდილოეთის ტომთა თავდასხმებისაგან, რეალურად ემსახურებიან კოლხეთში რომაული პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფას. მათი ფუნქციაა აგრეთვე იბერიის ფაქტორის დაბალანსება (ლომოური, 1998a, გვ. 61). იგივე მიზეზით კოლხურ ქალაქებში რომაელთა სამხედრო ძალის ყოფნა ხელსაყრელი იყო ლაზეთის ახალშექმნილი სახელმწიფოსათვისაც (Ломоури, 1981, გვ. 225-242). აღმოსავლეთის საზღვრების მთელს პერიმეტრზე ხდება მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების კონცენტრაცია, რომელიც ასევე ემსახურებოდა იმპერიის მიზნების დაცვას. მოხდა კაპადოკია-მცირე არმენიაში სასაზღვრო ხაზის მოდერნიზება, რომლის ძირითადი საყრდენი პუნქტი ტრაპეზუნტი გახდა, რომელიც მოგვევლინა სახმელეთო და საზღვაო-სამხედრო ძალების მთავარ ბაზად (კახიძე, 2002a, გვ. 7-8).

ახ. წ. I საუკუნის მიწურულს აღმოსავლეთში ვითარება კვლავ გართულდა. იმპერატორი ტრაიანე (98-117 წწ.) ყველა მიმართულებით ააქტიურებს შეტევით პოლიტიკას. სწორედ ამ დროს ხდება ტრაიანეს მიერ დასავლეთ საქართველოში არსებული სახელმწიფოების მეფეთა დანიშვნა, რაც ალბათ უპირველესად მათი პართიის წინააღმდეგ აქტიურ გამოყენებაზე მიუთითებს (ლომოური, 1998a, გვ. 54-55; Ломоури, 1981, გვ. 182).

ახ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან კვლავ იცვლება რომის საგარეო პოლიტიკა, რაც გამოიხატება აქტიურ შეტევით პოლიტიკაზე უარის თქმით და თავდაცვაზე თანდათანობით გადასვლით. ადრიანემ (117-138 წწ.) თავისი ყურადღება იმპერიის საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფასა და მეზობლებთან მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარებაზე გადაიტანა (ინაძე, 1955, გვ. 313-314; Ломоури, 1981, გვ. 189). რომაელები საკუთარი საზღვრების დასაცავად ბარბაროსების მოძალებისაგან აგებენ ხისა და ქვის სიმაგრეებს, ცდილობენ მოკავშირე ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას, რათა მათ დაიცვან საკუთარი და რომაელთა

სამფლობელოები მომთაბარეთაგან და საჭიროების შემთხვევაში გამოიყვანონ მოკავშირე ძალები (ინაძე, 1955, გვ. 314). განსაკუთრებით ცდილობს რომი ამიერკავკასიულ სახელმწიფოთა გამოყენებას. იბერიას დიდი როლი ენიჭება პარტიისა და სომხეთის წინააღმდეგ. შესაბამისად, რომი ცდილობს შეინარჩუნოს ასეთი მძლავრი მოკავშირე მეგობრული ურთიერთობებით, მით უმეტეს, რომ იბერია მტკიცედ ფლობს დარიალის ხეობას და იყენებს მას თავისი ნება-სურვილის მიხედვით. სწორედ ამ ურთიერთობათა განმტკიცებას ემსახურება ჯერ კიდევ ვესპასიანეს მიერ კეისრის მეგობარ და რომაელთა მოყვარულ იბერთა მეფისა და ხალხისათვის ქ. მცხეთის კედლების გამაგრება (ყაუხჩიშვილი, 1951, გვ. 234; ინაძე, 1955, გვ. 320; წერეთელი, 1958, გვ. 5-20). ფიქრობდნენ, რომ შესაძლებელია მცხეთაში რომაული გარნიზონი იღვა (Кудрявцев, 1949, გვ. 60). თუმცა არის საწინააღმდეგო მოსაზრებაც (Меликишвили, 1959, გვ. 351). ასევე ვარაუდობენ რომაელთა სამხედრო შენაერთის არსებობას დარიალის ხეობაში (წითლანაძე, 1971, გვ. 63-64; თოდუა 2003a, გვ. 16-17).

იბერიაში სამხედრო ძალის ჩაყენებით რომი ფორმალურად აკმაყოფილებდა პარტიის მოთხოვნასაც ჩრდილოეთის გზებზე კონტროლის დაწესების შესახებ (ინაძე, 1955, გვ. 325).

რომი აქტიურად მიმართავს ზომებს კოლხეთში პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებისათვის. ფლავიუს არიანე მდ. ენგურის შესართავთან გარკვეულ სამუშაოებს ატარებს, შესაძლოა გამაგრებული საყრდენი პუნქტის შექმნის მიზნით (თოდუა, 1991, გვ. 120-127; ლომოური, 1998a, გვ. 62).

II საუკუნის პირველ ნახევარში ქართლის სამეფოს გაძლიერებას უკავშირდება რომთან დაძაბული ურთიერთობები. ფარსმან II აქტიურად გამოდის რომაელთა წინააღმდეგ, ცდილობს მათ განდევნას კოლხეთიდან და მეზობელი ადგილებიდან (მელიქიშვილი, 1970, გვ. 529; გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 67). თუმცა რომი იბერიის ექსპანსიის წინააღმდეგ აქტიურად იყენებს ღაზებს და ხელს უწყობს მათ შემდგომ გაძლიერებას.

იბერია-რომის ურთიერთობა გაუმჯობესდა ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) დროს (ლომოური, 1998b, გვ. 58, ინაძე, 1955, გვ. 326-327; მელიქიშვილი, 1970, გვ. 531).

სამწუხაროდ, ისტორიული წყაროები არაფერს ამბობენ რომისა და დასავლეთ საქართველოს ურთიერთობაზე ადრიანეს მემკვიდრეების დროს. ვიცით მხოლოდ, რომ ანტონიუს პიუსმა ღაზებს მეფედ მისცა პაკორი. ფიქრობენ, რომ ეს ცნობა ასახავს დამარცხებული ქვეყნისათვის მმართველის დანიშვნას (Меликишвили, 1959,

გვ. 379; მელიქიშვილი, 1970, გვ. 552). მაგრამ არის მოსაზრებაც, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ და რომლის მიხედვითაც აღნიშნული ფაქტი იყო მხოლოდ ჩვეულებრივი აქტი რომის იმპერატორის მიერ ლაზების მეფე მალასას მემკვიდრის დამტკიცებისა (Ломоури, 1981, გვ. 238).

რომის იმპერიაში II საუკუნის 60-იან წლებში შექმნილი მორიგი სირთულეების დროს, ლაზეთი, როგორც ჩანს, დროებით თავს აღწევს იმპერიის მარწუხებს, მაგრამ როგორც ფიქრობენ, 166 წ. „აბრეშუმის დიდი გზის“ ოფიციალურად გაფორმება და სეპტიმიუს სევერუსის მიერ აღმოსავლეთის ერთიანი თავდაცვითი ხაზის განმტკიცებისაკენ მიმართული ღონისძიებები გარდაუვალს ხდის იმპერიის ფარგლებში ლაზეთის დაბრუნებას (კახიძე, 2002a, გვ. 10). გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ დროისათვის რომის ინტერესებში ნამდვილად არ შედის დასავლეთ საქართველოში ძლიერი და თავისუფალი სახელმწიფოს არსებობა, თუმცა საფიქრებელია, რომ ლაზეთი უკვე ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას და მთელ დასავლეთ საქართველოში პეგემონობის მოპოვებას (Ломоури, 1981, გვ. 240).

არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომ რომი ნაკლებად ერევა ლაზეთის საშინაო საქმეებში. მას მხოლოდ სამხედრო ვალდებულება, მცირე ხარკის აღება და მისი სიუხერენობის ცნობა აინტერესებს (კეჭაყმაძე, 1961, გვ. 13). ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია სწორედ ამიტომ უწყობს ხელს რომი ლაზეთის საზღვრების გაფართოვებას ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით.

III საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ახლო აღმოსავლეთში. ეს განპირობებული იყო როგორც რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისით, რომელმაც შესაბამისად სამხედრო ძლიერების შესუსტება გამოიწვია, ასევე ბარბაროსული სამყაროს გააქტიურებით. ამავე დროს პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძლიერი ძალა, სასანიური ირანი გამოვიდა, რამაც შეცვალა ძალთა თანაფარდობა წინა აზიაში (შოშიაშვილი, 1998, გვ. 64; კახიძე, 2002a, გვ. 12). ამიერიდან ეს ორი ძალა იბრძვის ამიერკავკასიაში პირველობისათვის მეტ-ნაკლები წარმატებით. პირველი ეტაპი მეტოქეობისა ირანელთა უპირატესობით აღინიშნა. შესაბამისად მთელი რიგი რაიონები, მათ შორის ქართლი, სასანიანთა პოლიტიკურ ორბიტაზე აღმოჩნდა, მაგრამ III საუკუნის 70-იანი წლებიდან ინიციატივა უკვე რომის ხელში გადადის. განსაკუთრებით დიოკლეთიანეს დროს ხდება მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება, რის შედეგად რომი კვლავ იმტკიცებს პოზიციებს სომხეთში, ქართლსა

და მესოპოტამიაში (შოშიაშვილი, 1998, გვ. 67; Ломоури, 1981, გვ. 247-249).

III საუკუნე აღინიშნა დასავლურქართული სახელმწიფოს გაძლიერებით. ის ნელ-ნელა იმტკიცებს პოზიციებს აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მიმართულებით (კახიძე, 2002a, გვ. 12). მიუხედავად იმისა, რომ საუკუნის I ნახევარში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში იდგნენ რომაული გარნიზონები, მათი მთავარი ფუნქცია არა ადგილობრივ მმართველებზე ზეგავლენა, არამედ ჩრდილოეთიდან ბარბაროსთა შემოსევებისთვის წინააღმდეგობის გაწევა გახდა, რაც თავის მხრივ დასავლურქართულ სამეფოთა ინტერესში შედიოდა (მელიქიშვილი, 1970, გვ. 553; Ломоури, 1981, გვ. 274-275).

რომი თავისი სამხედრო ძლიერების შესუსტების ფონზე ცდილობს სამხრეთ კავკასიური გაერთიანებების კეთილგანწყობის მოპოვებას (კახიძე, 2002a, გვ. 12). ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ რომაელები ხელს უწყობენ ლაზეთის გაძლიერებას. მით უმეტეს, რომ III საუკუნის 70-იან წლებამდე შავ ზღვაზე ძირითადად გოთები ბატონობენ (Ломоури, 1981, გვ. 275). ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ დროიდან შეიძლება ლაზიკას მინიჭებოდა „ბარბაროსების საწინააღმდეგო თავდაცვის ზღუდის“ ფუნქცია (Proc. BP. II, 28).

§ 3. რომაული გარნიზონების სტატუსის საკითხი აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ხდება რომაელთა სამხედრო კონტინგენტების გამოჩენა და დამკვიდრება, რაც აისახება შავი ზღვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში რომაული ციხე-სიმაგრეების წარმოქმნით. რადგანაც შავი ზღვისპირეთს რომის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკაში მთავარი ადგილი ეჭირა, ამიტომ აქაური კომუნიკაციების ფლობას მცირე აზიასა და კავკასიაში თავისი სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად უპირატესი მნიშვნელობა ჰქონდა.

რომაული გარნიზონებისა და გამაგრებული პუნქტების საქართველოში გამოჩენის თარიღების, მათი ფუნქციის განსაზღვრის და მოქმედების ვადების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა.

ვ. ლექვინაძის მიხედვით, რომაული თავდაცვითი სისტემის საფუძვლის ჩაყრა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ხდება იმპერატორ ვესპასიანეს დროს (70-79 წწ.) და დაკავშირებულია მის მიერ აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლის მოდერნიზაციარეორგანიზაციასთან (Леквинадзе, 1969, გვ. 76). ვესპასიანემ გაზარდა რომაული ლეგიონების რიცხვი კაპადოკიაში. კერძოდ, მან აქ განაღობა დამატებითი ორი ლეგიონი (XII და XVI) მელიტენასა და სატალაში XV ლეგიონთან ერთად. სწორედ ამ ღონისძიებებს უკავშირდება ე. წ. „პონტოს ლიმესის“ ჩამოყალიბებაც (Леквинадзе, 1969, გვ. 76), რომელიც ემორჩილებოდა კაპადოკიის ლეგატს. თუმცა აქვე მკვლევარმა აღნიშნა, რომ სახელწოდება „ლიმესი“ ამ რეგიონისათვის პირობითია, რადგან აქ განლაგებული ციხესიმაგრეთა სისტემა თავისი სპეციფიკით განსხვავდება ტიპური რომაული „ლიმესებისაგან“, რომლის ქვეშ იგულისხმება რომის იმპერიის საზღვრების დაცვის ორგანიზაცია ერთმანეთთან სპეციალური კომუნიკაციებით (კეთილმოწყობილი გზები, საყარაულო რაზმები, შუალედური ფორტები) დაკავშირებული ციხესიმაგრეთა სისტემით. ასევე ხაზგასმული იყო ის ფაქტიც, რომ შესაბამის ლიტერატურაში საერთოდ აღმოსავლეთის საზღვართან მიმართებაში ტერმინი „ლიმესი“ არ გამოიყენებოდა, რადგან ამ რეგიონის თავდაცვითი სისტემა გამოირჩეოდა გარკვეული თავისებურებებით. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ვ. ლექვინაძემ მიზანშეწონილად ჩათვალა აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში განლაგებული რომაული გარნიზონების დისლოკაციის ხაზისათვის მისი სპეციფიკისა და ადგილმდებარეობის მიხედვით ეწოდებინა

„პონტოს ლიმესი“ (Леквинадзе, 1969, გვ. 75). ვარაუდს „პონტოს ლიმესის“ შექმნის შესახებ, სადაც კაპადოკიაში მდგარი ლეგიონების ვექსილაციები განლაგდნენ, იზიარებენ შ. მამულაძე, ე. კახიძე, მ. ხალვაში (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 163). აღნიშნული მოსაზრება ასევე გაიზიარა გ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ რომაელთა „ლიმესმა“ აღმოსავლეთში ერთიანი, კარგად ორგანიზებული თავდაცვითი ხაზის, მაღალორგანიზებული კომუნიკაციის ხასიათი მიიღო და მისი გაფორმება ახ. წ. II საუკუნისათვის მოხდა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 43). მანვე გამოთქვა ვარაუდი, რომ შესაძლოა დასავლეთ საქარველოს შავიზღვისპირეთში რომაული ჯარის ნაწილები ძვ. წ. I საუკუნის 60-იან წლებში ჩადგნენ. მკვლევარი ასევე საუბრობს იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ. წ. 27 – ახ. წ. 14 წწ.) დროს დიოსკურიაში კასტელუმის აგების შესახებ, რომელსაც იმპერატორის ეპითეტის მიხედვით სებასტოპოლისი ეწოდა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 42).

ის ასევე ფიქრობს, რომ კოლხეთის ზღვისპირეთში რომაული პუნქტების ძირითადი დანიშნულება ზღვაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა და აქედან გამომდინარე შესაძლოა რომსა და ლაზეთს შორის გარკვეულ შეთანხმება-ხელშეკრულების არსებობა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 59).

იმპერატორ ავგუსტუსის მიერ სებასტოპოლისში კასტელუმის დაარსებას ასევე ადასტურებს ნ. ლომოური, რომელიც აღნიშნავს, რომ რომაული გარნიზონები კოლხეთში სწორედ ამ დროს ჩადგნენ, ხოლო ნერონის დროს, როდესაც კოლხეთი იმპერიის პროვინცია გახდა, დაიწყო სანაპირო პუნქტების გამაგრება და გარნიზონების ჩაყენება (Ломоური, 1981, გვ. 211). იგივე მოსაზრება ეკუთვნის აგრეთვე მ. ინაძეს (Инадзе, 1968, გვ. 241-242).

რაც შეეხება „პონტოს ლიმესს“, ნ. ლომოური ეჭვქვეშ აყენებს მის არსებობას. ის თვლის, რომ არ არსებობს საფუძველი იმისა, რომ რომაელებმა შექმნეს კოლხეთში მუდმივმოქმედი სისტემა ფორტიფიკაციული ნაგებობებისა, რომელიც უცვლელად ფუნქციონირებდა I-VI საუკუნეებში (Ломоური, 1981, გვ. 217).

„პონტოს ლიმესის“ არსებობას დელიკატურად, მაგრამ მაინც უარყოფს ამერიკელი მეცნიერი შპაიდელი. მისი აზრით, რადგანაც შავიზღვისპირას განლაგებული რომაულ ციხესიმაგრეთა ჯაჭვის ფუნქციას წარმოადგენდა ადგილობრივი ტომების მეკობრეობის აღაგმვა, ზღვაოსნობისა და ვაჭრობის უსაფრთხოება, რომის ძალაუფლების განმტკიცება იბერიასა და ალბანეთში, ამიტომ სამართლიანი და სტრატეგიული თვალსაზრისით უმჯობესი იქნება თუ მას „კავკასიის საზღვარს“ ვუწოდებთ (შპაიდელი, 1985, გვ. 134). იგივე მოსაზრება

გაიზიარა ო. ლანჩავამ (ლანჩავა, 1996, გვ. 34; ლანჩავა, 2007, გვ. 83).

ფრიად საინტერესო შეხედულებები ეკუთვნის თ. თოდუას, რომელიც ემხრობა კოლხეთში რომაული გარნიზონების ნერონის იმპერატორობის დროს განლაგებას. აღნიშნული ვარაუდის სისწორის დასადასტურებლად მკვლევარი იყენებს იოსებ ფლავუსის ცნობას პონტოსა და მეოტიდის ირგვლივ მცხოვრები ხალხების შესახებ, რომელთა მორჩილებას და მშვიდობას ზღვაზე, რომელზეც უწინ ცურვა არ შეიძლებოდა, იცავს 3000 პოპლიტი და ორმოცი ხომალდი (JOS. FL., Bell Jud., II, 16, 4). აღნიშნული ცნობა ეხება ახ. წ. 66 წ. მოვლენებს (Блаватский, 1985, გვ. 231), შესაბამისად, რომაული სამხედრო შენაერთები საქართველოს ზღვისპირეთში უკვე დგანან. თ. თოდუას საეჭვოდ მიაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი წინამორბედი იმპერატორების დროს მომხდარიყო, როდესაც აღმოსავლეთის საზღვარზე მხოლოდ ოთხი ლეგიონი იდგა. ის ფიქრობს, რომ ამ რესურსებით რომაელები ვერ შეძლებდნენ აღმოსავლეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე, კავკასიის ჩათვლით, სამხედრო შენაერთების განლაგებას. სამაგიეროდ ეს უნდა მომხდარიყო ნერონის დროს, რომელმაც ყურადღება გაამახვილა კავკასიაში რომაელთა პოზიციების გამტკიცებაზე და ამ ამოცანის გადაჭრისათვის აღმოსავლეთის საზღვარზე თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს. ვ. ლეჟინაძისაგან განსხვავებით თ. თოდუა კაპადოკია-მცირე არმენიის საზღვარზე XII და XV ლეგიონების გადმოყვანას ახ. წ. 57 წლიდან ვარაუდობს. მკვლევარი ფიქრობს, რომ ნერონი კოლხეთის შავიზღვისპირეთს, მისი უაღრესად დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო ვერ დატოვებდა დაუცველად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იმპერია არათუ განამტკიცებდა თავის გავლენას კავკასიაში, არამედ ვერ უზრუნველყოფდა შავ ზღვაზე ვაჭრობას და ვერ შეაჩერებდა ჩრდილოეთიდან მომთაბარეთა შემოსევას (თოდუა, 2003a, გვ. 8-9).

შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების ჩადგომას თ. თოდუა ვარაუდობს ახ. წ. 57-66 წლებს შორის, ყოველ შემთხვევაში, აფსაროსსა და სებასტოპოლისში მაინც, რასაც მოწმობს პლინიუსის ცნობა ამ ორ პუნქტში კასტელუმების არსებობის შესახებ და არქეოლოგიური მონაცემები (თოდუა, 2003a, გვ. 9-10; თოდუა, 2003b, გვ. 73).

თ. თოდუა „პონტოს ლიმესის“ არსებობას ეჭვქვეშ აყენებს, რადგანაც „ლიმესის“ ცნების ქვეშ იგულისხმება მაღალორგანიზებული თავდაცვითი ხაზი და კარგად გამართული საკომუნიკაციო ქსელის სისტემა, რომელიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული სირთულეების და საერთოდ ამ

პერიოდში რომაელთა ძალების მცირერიცხოვნების გამო აქ ვერ შეიქმნებოდა. მკვლევარი მნიშვნელოვან არგუმენტად მიიჩნევს იმ ფაქტსაც, რომ რომაული ხანის ავტორები აღნიშნულ თავდაცვით ხაზს არა „ლიმესად“, არამედ „რომაელთა სამფლობელოდ“, ან უმეტეს შემთხვევაში „საზღვრად“ მოიხსენიებენ. შესაბამისად, თ. თოდუა იმპერიის სამხედრო ძალებით ამ საკმაოდ კარგად დაცულ ზონას „პონტო-კავკასიის საზღვარს“ უწოდებს (ტაბ. I) და მის ძირითად ამოცანად ამიერკავკასიაში რომაელთა პოზიციების განმტკიცებას და ჩრდილო კავკასიის გაკონტროლებას განსაზღვრავს. პონტო-კავკასიის სასაზღვრო თავდაცვითი სისტემა ნერონის დროს იწყებს ჩამოყალიბებას და სრულდება ვესპასიანეს დროს ახ. წ I საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს (თოდუა, 2003a, გვ. 11-12, ტაბ. I; თოდუა, 2003b, გვ. 76).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოთქვა ვ. ჯაფარიძემ. მკვლევარი ფრთხილად ეკიდება მსგავს თეორიებს, რადგან მათ მთავარ სისუსტედ სხვადასხვა დროით დათარიღებული, ან დაუთარიღებელი ძეგლების ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში გაერთიანება და კონკრეტულ პოლიტიკურ მომენტთან დაკავშირება მიაჩნია, შესაბამისად, „პონტოს ლიმესის“ თეორიის ხარვეზად სწორედ ამ მომენტებს აღიარებს. ის თვლის, რომ შემდგომ დაკონკრეტებას საჭიროებს პიტიუნტისა და სებასტოპოლისის სასიმაგრო ნაგებობების თარიღები, რადგან მ. შპაიდელი საერთოდ არ იცნობდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და არც ვ. ლექვინაძეს გააჩნდა სათანადო მონაცემები, როდესაც წარმოადგინა კონცეფცია „პონტოს ლიმესის“ შესახებ (ვ. ჯაფარიძე, 1999, გვ. 178-179, 185).

როგორც ზემოთაღნიშნული საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო შეხედულებების მიმოხილვამ გვაჩვენა, ისტორიოგრაფიაში არ არსებობს ერთი, ყველას მიერ გაზიარებული მოსაზრება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული სამხედრო თავდაცვითი სისტემის დაფუძნების თარიღის, სტატუსისა და სახელის შესახებ. ერთადერთი, რაშიც თითქმის ყველა მკვლევარი ერთი აზრისა გახლავთ, არის ამ სტრატეგიული ხაზის ფუნქცია.

რომაული საფორტიფიკაციო სისტემის სტატუსის განსაზღვრისათვის, ჩვენი აზრით, საჭიროა სწორედ მისი ფუნქციის სხვადასხვა დეტალების გარკვევა, რაც თავისთავად მოგვიყვანს შესაბამის დასკვნამდე.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია განისაზღვროს, რა მნიშვნელობა და სტატუსი აქვს ჩვენთვის საინტერესო რეგიონს რომის იმპერიისათვის.

ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ახ. წ. 63 წელს იმპერატორმა ნერონმა აღმოსავლური პოლიტიკის გააქტიურების კვალად გააუქმა აღმოსავლეთში არსებული ბუფერული სახელმწიფოები, კერძოდ, პონტოს ვასალური სამეფო და შეუერთა იმპერიას პროვინციის სახით. სწორედ ამ დროს შევიდა იმპერიის ფარგლებში ისტორიული კოლხეთი, რომელზეც პოლიტიკურ გავლენას რომი პონტოს სამეფოს მეშვეობით ახორციელებდა (თოდუა, 2003ა, გვ. 7-8; Ломоური, 1981, გვ. 209-210; Меликишвили, 1959, გვ. 333; Инадзе, 1968, გვ. 240-244).

თუმცა გ. გამყრელიძემ გამოთქვა ფრიად საყურადღებო მოსაზრება, რომლის მიხედვით პონტოს სამეფო მხოლოდ დასავლეთ კოლხეთს ფლობდა და შესაბამისად, სწორედ ეს რეგიონი შევიდა რომის პროვინციის შემადგენლობაში (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 65; გამყრელიძე, 2002, გვ. 47, 68-69).

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ რომმა პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ შეიერთა მისი ნაწილი პროვინციის სახით, მაგრამ შესაძლოა ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე სწორედ ამ დროს რომაელთა დასტურით, მათივე ინტერესების შესაბამისად, შეიქმნა ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებსაც ახ. წ. II საუკუნის 30-იან წლებში ამ ტერიტორიაზე ადასტურებს ფლავიუს არიანე (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 43). ვვარაუდობთ, რომ მათი სახით ჩამოყალიბდა ახალი ბუფერული სამეფოები, რომელთა მიწაზე მათივე თანხმობით განლაგდნენ რომაული გარნიზონები, რომელთა იქ ჩადგომა იყო კიდევ პირობა რომის მიერ ამ პატარა სახელმწიფოთა ცნობისა.

თუ გავითვალისწინებთ იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და რომაელთა სამხედრო ძალების შედარებით სიმცირეს აღმოსავლეთში, ეს ვარაუდი არცთუ უსაფუძვლოდ გვეჩვენება. რადგანაც ისტორიული კოლხეთის ტერიტორიის პროვინციად გამოცხადება შესაბამისად მოითხოვდა აქ საჯარისო ნაწილების განლაგებას არა მარტო ზღვის პირას, არამედ ქვეყნის სიღრმეში, რაც ჯერჯერობით არც წერილობითი და არც არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება. მათი არსებობა აუცილებელი იქნებოდა არა მხოლოდ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის, არამედ თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად, რაც ნამდვილად არ იქნებოდა ადვილი განსახორციელებელი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ეს კი, როგორც გ. გამყრელიძე ვარაუდობს, რომაელებმა ვერ მოახერხეს შიდა კოლხეთში პომპეუსიდან ნერონამდე (გამყრელიძე, 2002, გვ. 68). ნ. კეჭალმაძე ფლავიუს არიანეს „პერიპლუსის“ კომენტარებისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რომი იმდენად როდი

ეროლა ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში, რომ ახალი წყობის დამყარების სურვილი გასჩენოდა. ეს რომს არც აინტერესებდა. მისი მიზანი იყო მხოლოდ ქართველთაგან რომის სიუხერენობის ცნობა, მცირე ხარკის გაღება და სამხედრო ვალდებულება (კეჭაღმაძე, 1961, გვ. 13). მკვლევარი თავისი მოსაზრების დასადასტურებლად იყენებს აგათია სქოლასტიკოსის ცნობასაც (Agath. III, 5), რომლის მიხედვითაც ძლიერ და მამაც ლაზებს თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონითი სახე მიუციათ რომაელებთან კავშირის წყალობით. ეს კი ნათელი მაგალითია იმისა, რომ რომაელთა როლი ქვეყნის განვითარების შინაგანი ძალების მოქმედების დროს ნულს უდრიდა და ისტორია თავის საქმეს აკეთებდა ყოველგვარი კომპრომისების გარეშე რაიმე უცხო გავლენის წინაშე (კეჭაღმაძე, 1961, გვ. 15).

ს. ყაუხჩიშვილი საქართველოს ზღვისპირეთში რომაული გარნიზონების არსებობას არ თვლიდა ნიშნად იმისა, რომ ამ ქვეყანას რომი ფლობს. მათი მიზანი იყო იმპერიის დაცვა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეებისაგან. სწორედ ამან განაპირობა ადგილობრივ მმართველებთან შეთანხმებით მათ ციხე-ქალაქებში რომაული სამხედრო ნაწილების ჩადგომა, რომელთა ურთიერთობა ლაზიკის სამეფოსთან მშვიდობიან ხასიათს ატარებს, თუნდაც ზურგის უზრუნველყოფის გამო (ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 63).

დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ერთეულები რომ რომის პროვინციაში შესულიყვნენ, მაშინ აქ რომაელთა სამხედრო ადმინისტრაციასთან ერთად აუცილებლად გამოჩნდებოდა სამოქალაქო მმართველობის ადმინისტრაციაც, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ. აქ მხოლოდ მეფეები ჩანან, რომელთაც საკუთარი ადმინისტრაციული მმართველობა და მართლმსაჯულება უნდა ჰქონოდათ.

როგორც ცნობილია, ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარიდან რომი აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლს აწესრიგებს სამი ძირითადი პრინციპით: 1. სამხედრო უშიშროება, 2. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, 3. ადმინისტრაციული მართვისა და მართლმსაჯულების შემოღება (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 43-44; ლანჩავა, 1996, გვ. 33; ლანჩავა, 2007, გვ. 82). ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება ბოლო ორი პრინციპის დასავლეთ საქართველოსადმი მისადაგება, რადგანაც მას ვერ წარმოვიდგენთ უშუალოდ იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის ფარგლებში.

ქართველი მკვლევარები საერთოდ ახ. წ. I-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში ვერ ხედავენ რომანიზაციის ნიშნებს, შერეული ეთნიკური ჯგუფების წარმოქმნას, რომელი ხელსნური ნაწარმისა და მონეტების მასიურ გავრცელებას. შესაბამისად, ფიქრობენ, რომ რომაული კულტურის გავლენა საკმაოდ ზედაპირული იყო და მას ქვეყნის სიღრმეში არ შეუღწევია. აქ არც რომაული სამართლებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები დანერგილა (თოდუა, 1989, გვ. 723; ებრალიძე, 2005, გვ. 85; ვარშალომიძე, 2001, გვ. 10-11).

ზემოთაღნიშნული ნათლად ადასტურებს, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ერთეულები, განსაკუთრებით ეგრის-ლაზეთი, რომის ვასალური სამეფოებია და არა პროვინციები. ყოველ შემთხვევაში ეს ნამდვილად ასეა ფლავიუს არიანეს ეპოქაში (ლომოური, 1968, გვ. 31; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 86). ჩვენი აზრით, იგივე უნდა ვივარაუდოთ თუნდაც ნერონის დროიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ალოგიკური ჩანს ის ფაქტი, რომ ნერონის დროს იმპერია პროვინციად აქცევს დასავლეთ საქართველოს და შემდეგ გაურკვეველი მიზეზების გამო უარს ამბობს ამ რეგიონის ინკორპორირებაზე და ქმნის აქ ახალ პოლიტიკურ სისტემას ვასალური სამეფოების სახით.

საყურადღებოდ გვჩვენება ასევე, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსი კოლხეთის მოსაზღვრედ კაპადოკიის პონტოს აცხადებს სამხრეთ მეზობლად, ხოლო არიანეს მიხედვით ლაზეხსა და კაპადოკიის პონტოს შორის კიდევ სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არსებობს, რაც ნ. ლომოურის თქმით, ნიშანდობლივ უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ კაპადოკიის პონტოს ტერიტორია ქ. ტრაპეზუნტის სანახებს დიდად არ უნდა გასცილებოდა (ლომოური, 1955, გვ. 56-57). ნიშანდობლივია ასევე, რომ ეგრის-ლაზიკის სამეფო თავისი ძლიერების ხანაში ფლობს ზიდრიტების, მაკრონ-ჰენიოხების და ჭანების ტერიტორიას (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 92). ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია, თუნდაც კრიზისში მყოფი რომის იმპერიის მიერ თავისივე ვასალური სამეფოსათვის საკუთარი პროვინციის ნაწილის დათმობა.

ჩვენი ვარაუდით, რომაელების მიერ ახ. წ. 63 წელს პონტოს ბუფერული სამეფოს გაუქმება განპირობებული იყო აღმოსავლეთის საზღვრის კორექტირებით, რაც ნიშნავდა თავდაცვის უკეთ ორგანიზაციის მიზნით სასაზღვრო ხაზის დაახლოებით ერთ ხაზზე გასწორებას დასაცავი მანძილის შესამცირებლად. ამას თვალნათლივ ადასტურებს აღმოსავლეთი საზღვრის დისლოკაცია რუკაზე (ტაბ. I). ეს კი სრულიად დასაშვებია, თუ გავითვალისწინებთ I-II საუკუნეებში იმპერიის

აღმოსავლეთის საზღვარზე, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე, რომის სამხედრო ძალების მცირერიცხოვნებას, როგორც ამას შენიშნავს თ. თოდუა (თოდუა, 2003b, გვ. 73).

ასეთ ვითარებაში ისტორიული კოლხეთის ტერიტორიის რომის პროვინციად გამოცხადება გამოიწვევდა სასაზღვრო ხაზის კონფიგურაციის შეცვლას და მის დაგრძელებას, რაც შესაბამისად მოითხოვდა დამატებით საომარი ძალების ჩამოყვანას დასავლეთიდან და ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობას, რაც ნამდვილად არ იქნებოდა ადვილი იმპერიაში ეტაპობრივად მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისების ფონზე.

ახ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან კი რომაელთა პოლიტიკა აღმოსავლეთში ძირითადად თავდაცვაზე გადადის. საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის რომი ეფექტურ დიპლომატიას ირჩევს, რაც უპირველეს ყოვლისა, მოკავშირე ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება-განმტკიცებით გამოიხატა (Ломоури, 1981, გვ. 189). ასევე ხდება საზღვართა დაცვის გასაუმჯობესებლად ახალი სიმაგრეების მშენებლობა საზღვრის პერიმეტრსა და მის გარეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, კერძოდ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, დარიალის და დარუბანდის გადასასვლელებში. ასეთი ციხე-სიმაგრეები ჩვენი ვარაუდით, წარმოადგენდნენ სამხედრო ბაზებს, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებოდა მობილური სამხედრო შენაერთებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ ექნებოდათ ვასალური და მეგობრული სამეფოების შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა.

სწორედ ასეთი ტიპის სამხედრო ბაზებად წარმოგვიდგება რომაული კასტელუმები კოლხეთის სანაპიროზე და დარიალის ხეობაში, სადაც მათი ყოფნა ივარაუდება ახ. წ. I-II საუკუნეებში (თოდუა, 2003a, გვ. 16; წითლანაძე, 1971, გვ. 63-64; Cambridge encyclopedia of archaeology, 1980, გვ. 238; Дolidze, Шмерлинг, 1956, გვ. 7). დ. მინდორაშვილიც მიუთითებს, რომ ქართული და სომხური წყაროების მიხედვით, ახ. წ. I საუკუნეში დარიალის ციხე უკვე ფუნქციონირებდა (მინდორაშვილი, 2005, გვ. 125). ზოგიერთ მკვლევართა აზრით, ვესპასიანეს დროს I საუკუნეში რომაული სამხედრო შენაერთები იდგნენ მცხეთაშიც (Момзен, 1949, გვ. 358), თუმცა სხვები უარყოფენ ამ მოსაზრებას (Меликишвили, 1959, გვ. 351). სამაგიეროდ დასტურდება რომაელთა მიერ მცხეთის საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობა ახ. წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერით (წერეთელი, 1958, გვ. 5-20; თოდუა, 2003a, გვ. 16). იმპერატორ დომიციანეს (81-96 წწ.) XII ლეგიონის

ნაწილები გაუგზავნია ალბანეთში „კასპის კარების“ სამეთვალყურეოდ (თოდუა, 2003a, გვ. 18; Ямпольский, 1950, გვ. 177). ძნელი წარმოსადგენია, რომ დარიალსა და „კასპის კარებთან“ მყოფი რომაული გარნიზონები აღმოსავლეთის საზღვრის რომელიმე მონაკვეთის, თუნდაც პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილებია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რომაული გარნიზონები არ წარმოადგენდნენ არც „პონტოს ლიმეს“, არც „კავკასიის საზღვარს“, არც „პონტო-კავკასიის საზღვარს“, თუ მის რომელიმე ნაწილს. ისინი აღმოსავლეთის საზღვრის კაპადოკია-მცირე არმენიის თავდაცვითი ხაზის ჩრდილოეთით მდებარე ფორპოსტებია, რომლებიც იცავენ იმპერიის პროვინციებს ჩრდილოეთიდან, აწესრიგებენ ვაჭრობასა და ზღვაოსნობას შავი ზღვის სანაპიროზე და განახორციელებენ რომის იმპერიის გეოსტრატეგიულ ინტერესებს კავკასიაში.

§ 4. ეგრის-ლაზიკის ზღვისპირა ციხე-ქალაქები ახ. წ. I-III საუკუნეებში

ახ. წ. I საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში ჩნდებიან რომაელთა სამხედრო ნაწილები, რომლებიც რომის იმპერიის გეოსტრატეგიული ინტერესების შესაბამისად იმდროინდელი სამხედრო სტრატეგიის, ტაქტიკისა და სამშენებლო ტექნოლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით ქმნიან საფორტიფიკაციო ნაგებობებს (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62). სავარაუდოდ, შესაძლებელია რომისა და ლაზეთის სამეფოს შორის სათანადო შეთანხმების არსებობა, რაც წარმართავდა მათ ურთიერთობას ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე (ლანჩავა, 1996, გვ. 37). ამ შეთანხმებას სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო ხასიათი უნდა ჰქონოდა და ეფუძნებოდა ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებს (თოდუა, 2003a, გვ. 170).

რომის იმპერიის ინტერესი კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება და დაცვა იყო. ლაზეთის ახლადშექმნილი სამეფოს ხელისუფლების ძირითად საზრუნავს კი საკუთარი ტერიტორიის დასაცავად შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფა (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62). მთავარი ინტერესი კი მდგომარეობდა ქვეყნის გაძლიერებასა და ტერიტორიის გაფართოებაში ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით. ლაზები ხომ თავს ძველი კოლხების მემკვიდრეებად თვლიდნენ (Agath, II, 18). შესაბამისად, ლაზთა პოლიტიკური მმართველების მისწრაფება ისტორიული კოლხეთის ფარგლებში სრული პეგემონობის მოპოვება და ძველი საზღვრების აღდგენა იქნებოდა, რასაც მოგვიანებით (IV ს.) მიაღწიეს კიდევ. გარდა ამისა საკუთარი თავდაცვის სისტემა ქვეყანას საშუალებას მისცემდა განეხორციელებინა შემდეგი მიზნები: ა) გარეშე მტრების შემოსევებისაგან სახელმწიფოს დაცვა; ბ) შიდა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა; გ) ადგილობრივი და საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების უსაფრთხოება (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62).

ვფიქრობთ, რომ ეგრის-ლაზეთის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ. წ. I-III საუკუნეებში ჩამოყალიბების სტადიაშია და ის ძირითადად მაინც რომის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობით ვითარდება, მაგრამ ქვეყნის გაძლიერების კვალდაკვალ თანდათანობით დამოუკიდებელ ხასიათს იღებს და

აპრობებს თავის როლს რომისა და პართია-ირანის გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროში (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62).

I-III საუკუნეებში ეგრის-ლაზეთის თავდაცვის სისტემა შემდეგ სახეს იღებს: I - ზღვისპირა ციხესიმაგრეები: აფსაროსი, ბათუმის ციხე, ციხისძირი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი. ამ ხაზის ჩამოყალიბება იწყება ახ. წ. I საუკუნეში, ხოლო აყვავების ხანაა II-III საუკუნეები. ციხესიმაგრეთა ძირითადი ტიპი ამ დროს კასტელაა (ლანჩავა, 1996, გვ. 63; ლანჩავა, 2007, გვ. 97; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62; ჭუმბურიძე, 2000, გვ. 51-52).

II – ეგრის-ლაზიკის შიდა ქალაქები და სოფლები, რომლებიც ძირითადად უცხოური წერილობითი წყაროებითაა ცნობილი და სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ მათი ნაწილის სავარაუდო ლოკალიზაცია შესაძლებელია: მაღია, ძადრისი, სარაკე (შორაპანი), სურიონი, მესლესოსი (მოხირისი?) (კლავდიოს პტოლემეისი, 1955, გვ. 45; სტრაბონი, XI, 2, 17; XI, 3, 4; პლინიუსი, NH, VI, 13).

დღეისათვის წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე გარკვეულია მხოლოდ ზღვისპირა ხაზის ფუნქციონირების საკითხები, თუმცა ზოგიერთი სტრატეგიული პუნქტის ლოკალიზაცია ამჟამადც სადავო რჩება.

აფსაროსი – ციხესიმაგრეა დასავლეთ საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და ლოკალიზებულია მდ. ჭოროხის შესართავთან მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ გონიოში (ტაბ. II). ის ზღვასთან ახლოს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას დგას და აკონტროლებს მნიშვნელოვან საზღვაო და სახმელეთო გზებს. სიმაგრე ბუნებრივი წინაღობების გამო ძნელი მისადგომია. გამონაკლისად თვლიან მხოლოდ სამხრეთ კედელს (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 164).

ანტიკური წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, აფსაროსს განსაზღვრავენ როგორც ერთადერთ მნიშვნელოვან სიმაგრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 164; მამულაძე, 2002, გვ. 13). ამასთან ის არ იყო რიგითი ციხე და წარმოადგენდა საქალაქო დასახლებას და სავაჭრო ცენტრს (კახიძე, 2002a, გვ. 10; ჯაფარიძე, 1999, გვ. 184; მიქელაძე, 1977, გვ. 36).

აფსაროსის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში ჩნდება ახ. წ. I საუკუნიდან. პლინიუსი ასახელებს აფსაროსის და სებასტოპოლისის კასტელუმებს (Plin., NH, VI, 11, 12, 14); ფლავიუს არიანეს (II ს.) მიხედვით აქ რომაული

გარნიზონი დგას (Arr., PPE, 6); III საუკუნის ავტორები იპოლიტე რომაელი და ევსევი კესარიელი მას ბანაკად თვლიან (ყაუხჩიშვილი 1961, გვ. 20, 32).

ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ვარაუდობენ, რომ აფსაროსში ქალაქური ტიპის დასახლება ელინისტურ ხანაში ჩნდება (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 165). არ გამოირიცხება საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობა პოლემონების მმართველობისას ახ. წ. I საუკუნის პირველ ნახევარში (Broun, 1994, გვ. 178). აფსაროსში უცხოელთა პირველი ნაკადის არსებობას ვარაუდობენ ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე, რასაც ადასტურებს ციხესიმაგრის სამხრეთ კარიბჭის და აბანოთუბნის არქეოლოგიური მონაცემები. ამავე პერიოდს უკავშირებენ წყალგაყვანილობის პირველ ხაზს და დაუდგენელი გეგმარების და ხასიათის ქვის არქიტექტურის ნაშთებს (კახიძე, მამულაძე, 2004, გვ. 65).

რომაული ციხესიმაგრის არსებობა დასტურდება ახ. წ. I საუკუნის 70-იანი წლებიდან (კახიძე, 2002a, გვ. 10; მამულაძე, 2002, გვ. 23; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 165; კახიძე, მამულაძე, 2004, გვ. 65; Леквинадзе, 1969, გვ. 76; თოდუა, 2003a, გვ. 10). სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებული ტრადიციით, თავდაპირველი რომაული სამხედრო ბანაკები დროებითი ხასიათისაა და ხითაა ნაგები (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 82. თოდუა, 2003a, გვ. 11). რა ხდება ამ თვალსაზრისით აფსაროსში ჯერჯერობით გაურკვეველია (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 165; კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 27).

აფსაროსის არქეოლოგიური კვლევის მონაცემებით, I-II საუკუნეთა მიჯნაზე აიგო მძლავრი საძირკვლის მქონე კედლები თავისი ოთხი კარიბჭითა და 22 კოშკით, რომელიც საფორტიფიკაციო სისტემის ძირითადი ნაწილია. როგორც კედლები, ასევე კარები და კოშკები ნაგებია რომაული სამხედრო ხელოვნების პრინციპების მიხედვით (კახიძე, მამულაძე, 2004, გვ. 65) და წარმოადგენს უიშვიათეს ძეგლს რომაული სასიმაგრო არქიტექტურისა (Леквинадзе, 1969, გვ. 77).

შეიძლება ითქვას, რომ დადასტურებულია პლინიუსის და არიანეს დროინდელი კულტურული ფენების და შენობათა ნაშთები (ჯაფარიძე, 1999, გვ. 184), თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ არიანეს მიერ აღწერილი კასტელუმი ჯერ არ არის მიკვლეული (თოდუა, 2003a, გვ. 20).

აფსაროსის კასტელუმი რომაული სტანდარტების მიხედვით საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა ის ყველაზე მასშტაბური და გრანდიოზულია კოლხეთის სანაპიროზე (ლანჩავა, 1996, გვ. 8; ლანჩავა, 2007, გვ.

71; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 164; ჯაფარიძე, 1999, გვ. 184; ლეკვინაძე, 1969, გვ. 77) და ასრულებს ძირითად ფუნქციას ამიერკავკასიაში რომაელთა ბატონობის ფორპოსტისა (ჯაფარიძე, 1999, გვ. 184; კახიძე, 2002a, გვ. 11).

ციხესიმაგრის ზომები ვ. ლექვინაძის მიხედვით 194X245 მეტრია (ლექვინაძე, 1969, გვ. 77), ხოლო შ. მამულაძე, ე. კახიძე და მ. ხალვაში მას 195-222 მეტრით განსაზღვრავენ. კედლების სიმაღლე 5 მეტრია, ხოლო კუთხეებთან, სადაც კოშკებია აღმართული – 7 მეტრი. ამჟამად აქ 18 კოშკია, თავდაპირველად კი 22 იყო (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 164). მე-20 კოშკის წინ აუგიათ საგზაო დაცვის, ე. წ. ბენეფიციარების საყარაულო პოსტი (კახიძე, მამულაძე, 2004, გვ. 65). როგორც აღინიშნა, აფსაროსს ოთხი კარიბჭე ჰქონდა, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ ერთმანეთის პირდაპირ, ინტერიერში ურთიერთგადამკვეთი ქუჩების შესაბამისად (ლანჩავა, 1996, გვ. 7; ლანჩავა, 2007, გვ. 70; ლეკვინაძე, 1969, გვ. 78), მაგრამ ზოგი მკვლევარი ვარაუდობს მხოლოდ ორ ან სამ შესასვლელს (კომახიძე, 1980, გვ. 37-46).

II-III საუკუნეებით თარიღდება აფსაროსის რომაული თერმების, ყაზარმის, Principia-ს ნაშთები, კანალიზაციის და წყალმომარაგების სისტემები, ჭა, ქვაფენილიანი გზები. ციხის სამხრეთ-დასავლეთით განლაგებული იყო სამეურნეო-სახელოსნო უბანი. კულტურულ ფენებში გამოვლინდა მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა: სამშენებლო, სამზარეულო და სამეურნეო კერამიკა, არქიტექტურული დეტალები, მონეტები, მინისა და საიუველირო ნაწარმი (კახიძე, მამულაძე, 2004, გვ. 65; კახიძე, 2002a, გვ. 10; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 166; მამულაძე, 2002, გვ. 13; ლანჩავა, 1996, გვ. 8; ლანჩავა, 2007, გვ. 71; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 52).

აფსაროსის ხუროთმოძღვრების შესწავლა პირველად დაიწყო ვ. ლექვინაძემ, რომელმაც გამოავლინა სამი სამშენებლო ფენა. I მათგანი დათარიღდა I-III საუკუნის დასაწყისით; II ფენა – III-IV საუკუნეებით (ლექვინაძე, 1969, გვ. 79). თუმცა აღსანიშნავია, რომ მეცნიერი ცოტა ხნით ადრე პირველ სამშენებლო პერიოდს III-V საუკუნეებს მიაკუთვნებდა (ლექვინაძე, 1961, გვ. 241); საერთოდ კი მიუთითებდა სიძნელებზე ძეგლის ზუსტ დათარიღებაში, რის მიზეზად არქეოლოგიურ შეუსწავლელობას ასახელებდა.

ვ. ჯაფარიძე აფსაროსის გალავნის უძველეს წყობას ფლავიუსების (69-96 წწ.) ეპოქით ან წინარე ხანით განსაზღვრავს. მისივე მოსაზრებით, ძველ კასტელაზე დაშენებული პილონებიანი თაღელების გათლილი კვადრების წყობა V-VI

საუკუნეებს მიეკუთვნება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 182-183). იგივე ვარაუდი გამოთქვას სხვებმაც (ხახუტაიშვილი, კახიძე, მამულაძე, ინაიშვილი, ხალვაში, ჯაფარიძე, აფხაზავა, ნონეშვილი, 1997, გვ. 50).

აფსაროსის ძლიერების დაქვეითება III საუკუნის შუა ხანებისათვის იწყება და დაკავშირებულია რომის იმპერიის სამხედრო ძლიერების შესუსტებასთან. გუთებმა მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთის სანაპიროებზე ლაშქრობათა მთელი სერია მოაწვევს (თოდუა, 2003a, გვ. 30; Wolfram, 1979, გვ. 11-14). მათ შემდეგ სარმატებიც მოჰყვნენ (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 29). თუმცა წყაროები არაფერს ამბობენ აფსაროსში სამხედრო ოპერაციების შესახებ, მაგრამ ნაქალაქარის სტრატეგია უჩვენებს, რომ ციხე-სიმაგრე III საუკუნის II ნახევარში დროებით წვევტს ფუნქციონირებას (კახიძე, 2002a, გვ. 12-13; მამულაძე, 2002, გვ. 14).

რომის ხელისუფლება შესაბამისი ზომების მიღების შემდეგ კვლავ აღადგენს აღმოსავლეთის საზღვარს და ახდენს მის განახლება-განმტკიცებას. ამ დროს, III-IV საუკუნეთა მიჯნაზე უნდა აღმდგარიყო აფსაროსიც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 52; კახიძე, 2002a, გვ. 13; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 168).

ბათუმის ციხე – მდებარეობს თანამედროვე ქალაქ ბათუმის შემოსასვლელთან, მდ. ყოროლის წყლის (ბათისის) მარცხენა სანაპიროზე, სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვან ადგილას (ტაბ. III). აქედან მშენებრივად ჩანს მდ. ჭოროხის დელტა და კახაბრის ველი (კახიძე, 2002b, გვ. 114), რაც მათი გაკონტროლების საშუალებას იძლევა.

ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში ბათუმის ციხის სტატუსის შესახებ კონკრეტული მსჯელობა ძნელია. ადრეული რომაული წყაროებიც თითქმის არანაირ ცნობას არ იძლევიან მის შესახებ. პლინიუსი (Plin. NH, VI, 11, 224) და არიანე (Arrian. PPE, 6) ასახელებენ მხოლოდ მდ. ბათისს და არაფერს ამბობენ აქ დასახლებული პუნქტის არსებობაზე. თუმცა საინტერესოა, რომ პლინიუსი (Plin. NH, VI, 12) აფსაროსის შემდეგ ასახელებს ქალაქ ბატიუმს, რომელიც ზოგი მეცნიერის ვარაუდით ბატიუმის სახეშეცვლილი ფორმაა (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170; ყაუხჩიშვილი, 1977, გვ. 113; გოგიტიძე, 1999, გვ. 100-101). ჯერჯერობით ეს მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზად რჩება, მაგრამ თუ ის სისწორეს შეესაბამება, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსის (V, 10, 5) მადია ბატიუმის დამახინჯებული ფორმა იყოს (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170, 176; მამულაძე, 2002, გვ. 25-26). ფრიად საინტერესო ვარაუდია, რაც დამატებით კვლევს მოითხოვს. მით უფრო, რომ არქეოლოგიური შესწავლის

მიუხედავად ჯერ ვერ იქნა დადგენილი ციხის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი (კახიძე, 2002b, გვ. 114). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ო. ლანჩავას მოსაზრება, რომელიც არ გამორიცხავს ძველი სამოსახლოს ადგილზე ლაზთა ინტერესებიდან გამომდინარე თავდაცვითი პუნქტის გაჩენას, რომელიც შეასრულებდა პლაცდარმის როლს სამხრეთი ტერიტორიების შემომტკიცებისათვის ბრძოლაში (ლანჩავა, 1996, გვ. 11).

ფიქრობთ, რომ ეს ყურადსაღები ვერსიას, მით უმეტეს, თუ არსებობდა სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო შეთანხმება რომსა და ლაზეთს შორის (თოდუა, 2003a, გვ. 170). თუ გავითვალისწინებთ I-II საუკუნეებში რომაული შეიარაღებული ძალების სიმცირეს საერთოდ აღმოსავლეთში და კერძოდ, კოლხეთის სანაპიროზე, რაც აძნელებდა ამ რეგიონში რომის ინტერესების დაცვას, მაშინ შესაძლებლად გვესახება ლაზეთის მიერ რომაულ ციხესიმაგრეთა შორის საკუთარი თავდაცვითი პუნქტების დაარსება, თუნდაც იმავე რომაელთა დახმარებით. ასეთი ციხეების წარმოქმნით სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული ლაზეთის სამეფო კარი, რომელსაც საკუთარი სტრატეგიული მიზნების განხორციელება-დაცვა სჭირდებოდა. წარმოუდგენელია, რომ მხოლოდ რომის სამხედრო კონტინგენტების იმედზე ყოფილიყო ლაზეთი, თუნდაც გაძლიერებული იბერიის შესაჩერებლად, რომელიც მიზანმიმართულად მოიწვედა შავი ზღვისკენ. ამავე სიმაგრეებს შეეძლოთ რომაული ციხეებისათვის ფორპოსტის როლის შესრულებაც.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ქალაქი ბათუმი ყალიბდება II-VI საუკუნეებში (სურგულაძე, 1983, გვ. 80). ძალზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამასთან დაკავშირებით ა. ინაიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბათუმი ისეთი დასახლებული პუნქტი იყო, სადაც რომაელთა გარნიზონი არ იდგა, მაგრამ წარმოადგენდა რომელიმე ქართული თემის დასახლებას, რომელსაც შესაძლებელია ციხეც გააჩნდა, ხოლო რადგანაც ბათუმში რომაული გარნიზონები არ იდგა, არიანეს აქ არაფერი ესაქმებოდა (ინაიშვილი, 1965, გვ. 69-75). საინტერესოა, რომ გვიანანტიკურ ეპოქაში ბათუმის სამოსახლოს მნიშვნელოვანი როლი დასტურდება არქეოლოგიური მასალების მიხედვით (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 58).

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ბათუმის დასახლება არიანეს მოგზაურობის შემდეგ ახ. წ. II საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიძლება დაწყებულიყო (სიხარულიძე, 1959, გვ. 79-81; ჩხეიძე, 1996, გვ. 11-12). ზოგიერთი

მეცნიერი არ გამოირიცხავს II საუკუნის შემდგომ ხანებში რომაული საგუშაგო კოშკის ანდა სამხედრო-საზღვაო ნავსადგურის დაარსებას (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001 გვ. 170; მამულაძე, 2002, გვ. 26). ბათუმის ციხის დაგეგმარება სწორკუთხედიან, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის გარეთ ადრეული ციხის ნანგრევებია (კახიძე, 2002, გვ. 114; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 45-47). მის ძირითად სამშენებლო ფენას ადრეშუასაუკუნეებით ათარიღებენ (Леквинадзе, 1967, გვ. 505-510), მაგრამ გამოთქმულია ვარაუდი, რომ შემორჩენილ ნაგებობას წინ ხის კონსტრუქციები უსწრებდა (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989, გვ. 41; კახიძე, 2002b, გვ. 114).

ციხისძირი – შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო აფსაროსისა და ბათუმის შემდეგ (ტაბ. IV). პირველი საფორტიფიკაციო ნაგებობა აქ III საუკუნის ბოლოს უნდა აშენებულიყო. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ციხისძირი მანამდე აფსაროსის ავანპოსტს წარმოადგენდა (ინაიშვილი, 1993, გვ. 121; შპაიდელი, 1985, გვ. 138-139; თოდუა, 2003a, გვ. 34; Braund, 1994, გვ. 189).

IV საუკუნეში აქ საქალაქო დასახლება წარმოიქმნა (ინაიშვილი, 1993, გვ. 121, კახიძე, 2002b, გვ. 113), თუმცა ციხისძირის მიდამოებში ქალაქური ტიპის დასახლების გაჩენას ვარაუდობენ II საუკუნეშიც (ინაიშვილი, 1965, გვ. 73). ფიქრობენ, რომ ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ის დიდი სავაჭრო გზა, რომელიც მცირე აზიიდან ბათუმ-ციხისძირის უბანზე გავლით ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და რომის აღმოსავლეთ პროვინციებს დასავლეთ საქართველოსთან აკავშირებდა (სურგულაძე, 1983, გვ. 79).

გ. გრიგოლია ფიქრობს, რომ ციხისძირი პტოლემეაიოსის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში მოხსენიებული მეორე სებასტოპოლისია, რომელიც აფსაროსსა და ფასისს შორის მდებარეობდა და თავისი რელიეფითა და სტრატეგიული მონაცემებით უნიკალურ პუნქტს წარმოადგენდა, რადგან საიმედოდ დარაჯობს სახმელეთო და საზღვაო მაგისტრალს. მკვლევარი ასევე ვარაუდობს, რომ ციხისძირი შავი ზღვის სანაპიროს ამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური რეგიონის ცენტრია, რომელიც II საუკუნიდან დაწინაურდა და შესაძლოა „ქვეყნის“ მმართველის რეზიდენციაც იყო. II საუკუნის მეორე ნახევრიდან რომაელები აქ ციხე-სიმაგრეს აშენებენ. სწორედ ამიტომ არ იხსენიებს არიანე ციხისძირს (გრიგოლია, 1994, გვ. 85-97).

სხვა მკვლევარებიც აღიარებენ, რომ II-III საუკუნეებში ციხისძირი რომაულ

ციხესიმაგრეთა სისტემაში შემავალი სიმაგრეა, სადაც რომაული გარნიზონი იდგა (Леквинадзе, 1967, გვ. 797-800; Лордкиपანიძე, 1989, გვ. 339).

არქეოლოგიური მასალების (კერამიკული და მინის ნაწარმი, სამარხეული ინვენტარი, მონეტები) მიხედვით დასტურდება, რომ ციხისძირს II საუკუნის შემდეგ დაუწვია ფუნქციონირება (ინაიშვილი, 1993, გვ. 44-109; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170). ფრიად საინტერესოა 1907 წელს შემთხვევით აღმოჩენილი განძი, რომელსაც II-III საუკუნეებს მიაკუთვნებენ; ასევე შემთხვევით ნაპოვნი რომაული დამდიანი აგური ლათინური წარწერით – VEXFA. ვ. ლექვინაძე მას II-III საუკუნეებით ათარიღებს და მიიჩნევს, რომ F და A ასოები XII Fulminatae და XV Apollinaris ლეგიონთა სახელების შემოკლებებია (Леквинадзе, 1967, გვ. 87-88); შპაიდელი კი FA-ს ფასისთან აკავშირებს და თვლის, რომ აგური სწორედ ფასისის გარნიზონის სახელოსნოში იყო დამზადებული (შპაიდელი, 1985, გვ. 138). იგივე აზრს სხვებიც ემხრობიან (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170; თოდუა, 2003a, გვ. 34).

თ. თოდუა ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე თვლის, რომ ციხისძირის მშენებლობაში რომაული ლეგიონების ცალკეული ვექსილაციების მონაწილეობა არ გამოირიცხება. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით რომაული საფორტიფიკაციო სისტემა აქ არ არის გამოვლენილი, მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ III-IV საუკუნეთა მიჯნაზე აქ იდგა რომაელთა მცირერიცხოვანი სამხედრო შენაერთი (თოდუა, 2003a, გვ. 35). ამავე მოსაზრებას იზიარებს ო. ლანჩავა (ლანჩავა, 1996, გვ. 17).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება გამოირიცხოს ციხისძირის, როგორც ადგილობრივი საქალაქო დასახლების წარმოქმნა-განვითარების შესაძლებლობა. აქ ხომ იმპორტულთან ერთად ადგილობრივი კერამიკაცაა წარმოდგენილი (ინაიშვილი, 1974, გვ. 151). ვვარაუდობთ, რომ ბათუმის მსგავსად (ინაიშვილი, 1965, გვ. 85) ციხისძირიც რომელიმე ქართული თემის საქალაქო დასახლებას წარმოადგენდა, თუნდაც II-III საუკუნეებში, ხოლო იმპორტული კერამიკა, საუველირო ნაწარმი და ნუმიზმატიკური მასალა აქ შესაძლოა აღმოჩნდა იმ მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების შედეგად, რომელიც ჰქონდა რომის იმპერიას აღმოსავლეთის პროვინციებთან (ინაიშვილი, იაშვილი, 1991, გვ. 75).

ფასისი – ფრიად მნიშვნელოვანი კოლხური ციხე-ქალაქი, რომელიც ლოკალიზდება თანამედროვე ქ. ფოთის ტერიტორიაზე მდ. რიონის შესართავთან,

შავი ზღვის ნაპირზე (ტაბ. V). ფასისი ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მოიხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: სტრაბონის (I ს.) „გეოგრაფია“, ფსევდო-პლუტარქეს (I ს.) „მდინარეებისა და მთების სახელების შესახებ“, პლინიუს უფროსის (I ს.) „ნატურალური ისტორია“, პომპონიუს მელას (I ს.) „ქვეყნიერების აღწერილობა“, ფლავიუს არიანეს (II ს.) „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, კლავდიოს პტოლემეაიოსის (II ს.) „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ფსევდო-ორფეუსის (III ს.) „არგონავტიკა“, ზოსიმეს (VI ს.) „ახალი ისტორია“ (გამყრელიძე, 1998, გვ. 5; გამყრელიძე, 2002, გვ. 72-73). თუმცა წერილობითი წყაროები ძველი ფასისის ადგილმდებარეობას ზოგადად განსაზღვრავენ, დღეისათვის მისი ზუსტი ლოკალიზება მნიშვნელოვან პრობლემად რჩება და არქეოლოგიურად არ არის დადასტურებული (გამყრელიძე, 1998, გვ. 7; გამყრელიძე, 2002, გვ. 72-73).

წერილობითი წყაროები ფასისის შესახებ მრავალგზისაა გაანალიზებული სხვადასხვა კუთხით მკვლევართა მიერ. გ. გამყრელიძე მათ მიერ გამოთქმულ 12 მოსაზრებას და ვარაუდს ჩამოთვლის, რომელთა შორის გამოყოფს აკად. ო. ლორთქიფანიძისა და თ. მიქელაძის მიერ წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების შედეგად მიღებულ დასკვნას, რომ ფასისის სახელით ცნობილი სხვადასხვა ეპოქის ქალაქები უნდა იქნეს გამოკვლეული მდ. რიონის შესართავის აუზში ქვემო ჭალადიდსა და ზღვის სანაპიროზე გრიგოლეთ-ყულევს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე (ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1973, გვ. 33; გამყრელიძე, 1998, გვ. 8). თავად გ. გამყრელიძე III-VII საუკუნეების ფასისად თვლის ე. წ. „ნატეხების“ ნამოსახლარს, რომელიც აღმოჩნდა ქ. ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, მალთაყვის ზღვასთან შეერთების ადგილიდან კილომეტრნახევარზე ტბაში. მკვლევარის მოსაზრებით ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში ან ტორფიან ჭაობში, ამიტომ ქალაქი სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა (გამყრელიძე, 1998, გვ. 3; გამყრელიძე, 2002, გვ. 78; Gamkrelidze, 1992, გვ. 101-109).

ქ. ფასისი ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი იყო (Лордкиपანიძე, 1957, გვ. 377-384). ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა უცილობლად განაპირობებდა საქალაქო დასახლების აღმოცენება-განვითარებას, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მონაკვეთზე მდებარეობდა.

I-III საუკუნეების ფასისის შესახებ არქეოლოგიური მასალები დადასტურებულია ქ. ფოთის აეროდრომის მიდამოებში, ადგილ ნაჯიხურის ჩრდილოეთით, სადაც აღმოჩნდა აგურის და კრამიტის ფრაგმენტები, გოფირებულ ზედაპირიანი ამფორის ნატეხები, კესარიაში იმპერატორ ადრიანეს სახელით (117-138 წწ.) მოჭრილი ვერცხლის დიდრაქმა (გრიგოლია, 1973, გვ. 44; გამყრელიძე, 1998, გვ. 17). დაახლოებით ამავე ადგილებში ვარაუდობდა რომაული ხანის ფასისის კვალის მიგნებას თ. მიქელაძე (მიქელაძე, 1978, გვ. 20).

ამავე პერიოდში უნდა იყოს წარმოქმნილი „ნატეხების“ ნამოსახლარი, რომლის თარიღი III-VIII საუკუნეებით განისაზღვრა. როგორც არქეოლოგიური კვლევის შედეგად გაირკვა, „ნატეხები“ ძველი, ადგილობრივი ნამოსახლარია, რომელიც დღეს პალიასტომის ტბაში, ზღვის შესართავიდან დაახლოებით კილომეტრზე მდებარეობს და 900 კვადრატულ მეტრს მოიცავს, ხოლო ნაპირზე ჯერჯერობით 500 კვადრატულ მეტრზეა გაშლილი. აქ აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ყველაზე მრავალრიცხოვანია კერამიკა, რომლის დიდ ნაწილი ადგილობრივი წარმოებისაა და მხოლოდ დაახლოებით 25%-ია უცხოური წარმოშობის. მათ შორის გამოიყოფა ჩრდ. შავიზღვისპირეთის II-III საუკუნეების ფენებში ნაპოვნი ამფორების მსგავსი ბაცმოყავისფროდ გამომწვარი ამფორები (გამყრელიძე, 2002, გვ. 88-97).

სამწუხაროდ, დღეისათვის აღარ არსებობს არიანეს მიერ აღწერილი ფასისი, რომელსაც, როგორც ჩანს მიაგნო დიუბუა დე მონპერემ რიონის მარცხენა ნაპირზე, 700 მეტრის დაშორებით, ქ. ფოთის აეროდრომის მიდამოებში, „ნაჯიხურად“ წოდებულ ადგილზე (ლანჩავა, 1996, გვ. 21; ლანჩავა, 2007, გვ. 77; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 55; Dubois de Montpereux, 1839, გვ. 67-76, tab. XVIII). მის მიერ შედგენილი სქემატური გეგმის მიხედვით ფასისი სწორკუთხა კვადრატული ფორმის სიმაგრეა (ზომებით 175X175 ნაბიჯზე), კუთხეებში წრიული კოშკებით გამაგრებული. თ. ლანჩავა თვლის, რომ მრგვალი კოშკების არსებობა გათხრების გარეშე ძნელად დასამტკიცებელია (ლანჩავა, 1996, გვ. 18).

ეს ადგილი XX ს. 50-იან წლებში მოიხილა ნ. ლომოურმა, რომელმაც დააფიქსირა სიმეტრიულად განლაგებული ოთხი ბორცვი, სავარაუდოდ კოშკები, რომელთა შორის არსებული ფართობი 2,5 ჰექტარი იყო (170X150 მმ), რაც სრულიად კმაროდა ერთ კოჰორტამდე ჯარის ნაწილის ჩასაყენებლად (Ломоури, 1957, გვ. 90). არიანესეული სიმაგრე ბოლოს ნახა და გამოიკვლია გ. გრიგოლიამ გასული საუკუნის 60-იან წლებში. მან მიაგნო ვარდისფერ კირსხნარზე აგურით

ნაგები კომპის წყობას, რომელი წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს, იმპერატორ ადრიანეს სახელზე მოჭრილ მონეტას და სხვა არტეფაქტებს (გრიგოლია, 1973, გვ. 36). აღნიშნული მონაპოვრებით დადასტურდა არიანეს ცნობისა და ღიუბუა დე მონპერეს ლოკალიზაციის სისწორე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 55; ლანჩავა, 1996, გვ. 21).

სამწუხაროდ, ფასისში ჯერ არ გამოვლენილა ახ. წ. I საუკუნის არქეოლოგიური მასალები თავდაპირველ ციხე-სიმაგრესთან დაკავშირებით, რომლის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის არიანე: „წინათ გალავანი ალიზისა იყო და მასზე იდგა ხის კომპები, მაგრამ ახლა გალავანიც და კომპებიც გამომწვარი აგურითაა ნაშენი. იგი ნაგებია მაგარ საძირკველზე... კედელს შემოვლებულია აქვს ორმაგი თხრილი...“ (Arr. PPE, 9). აღნიშნული ცნობიდან ირკვევა, რომ ფასისში ადრე ხის დროებითი სასიმაგრო ნაგებობა – „Pila muralia“ ყოფილა. მსგავსი ნაგებობები ფუნქციონირებდა ახ. წ. I საუკუნეში მუდმივი სამხედრო ბანაკის აგებამდე ბრიტანეთში და რეინ-დუნაისპირეთში, სადაც მათი ნაშთებია აღმოჩენილი (თოდუა, 2003a, გვ. 11; Webster, 1985, გვ. 168-169).

ფასისის უადრესად დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ციხე-ქალაქი გამორჩეულად იყო გამაგრებული. თავად არიანესაც ამ მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაუტარებია. მისივე თქმით ფასისი „იმდაგვარად იყო მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდებოდა ბარბაროსთაგან“ (Arr., PPE, 9). რომაელთა გარნიზონიც თ. თოდუას თქმით, რაოდენობრივად და თვისობრივად თანამედროვე ე. წ. „კომანდოსთა“ ტიპისა უნდა ყოფილიყო, ლოდსატყორცნი მანქანებით აღჭურვილი (თოდუა, 2003a, გვ. 21).

ფასისის სიმტკიცეს და სიძლიერეს შესანიშნავად ადასტურებს ისტორიკოს ზოსიმეს ცნობა, რომ 256 წელს მას ალყა შემოარტყეს სკვითებმა (გუთებმა), მაგრამ ვერ აიღეს და უკუიქცნენ (Zos., Hist., nova, I, 32-33). როგორც თ. თოდუა აღნიშნავს, გასაოცარია, რომ გუთებმა დაუბრკოლებლად აიღეს და ააოხრეს მთელი რიგი ძლიერი და მრავალრიცხოვანი გარნიზონებით დაცული ქალაქები, მათ შორის პიტიუნტი და ტრაპეზუნტი, ფასისს კი ვერაფერი დააკლეს. მკვლევარის ვარაუდით ფასისის დაცვაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო ადგილობრივ მოსახლეობას (თოდუა, 2003a, გვ. 32).

უდავოდ საყურადღებო მოსაზრებაა და მეტიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფასისის იცავდნენ არა მარტო ქალაქის მცხოვრებლები, არამედ ლაზეთის გაძლიერებული სამეფოს სამხედრო კონტინგენტები, რომლებიც საკუთარ ტერიტორიაზე მდგომ

რომაელებს ქმედით დახმარებას უწევენ, რითაც იცავენ თავიანთ ქვეყანასა და მოსახლეობას.

სებასტოპოლისი – არიანეს დროს, ახ. წ. II საუკუნის 30-იან წლებში, რომაელთა უკიდურესი საყრდენი პუნქტი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადაც დაასრულა კიდევ მან თავისი საინსპექციო მოგზაურობა (ტაბ. VI). სებასტოპოლისის ციხესიმაგრე სოხუმის ციხესთანაა გაიგივებული. მის შესახებ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ცნობებს გვაწვდიან პლინიუსი (I ს.) (Plin., NH, VI, 14), პომპონიუს მელა (I ს.) (De chronographia, 1, 19, 111), არიანე (II ს.) (Arr., PPE., 26, 115). მათი ცნობების თანახმად დიოსკურია-სებასტოპოლისი ერთ-ერთი თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი პუნქტი იყო (ლანჩავა, 1996, გვ. 23; ლანჩავა, 2007, გვ. 78). მის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა კასპიის კარების სამხრეთი გადმოსასვლელის მეთვალყურეობა და ევალებოდა იმპერიის საზღვრების დაცვა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებისაგან. სებასტოპოლისი ასევე აკონტროლებდა სავაჭრო-სატრანსპორტო მაგისტრალს და წარმოადგენდა საკომუნიკაციო პუნქტს და შესაძლოა სტრატეგიულ პლაცდარმს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების მიმართ (თოდუა, 2003a, გვ. 24).

სებასტოპოლისის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლინდა I-V საუკუნეების 3 კულტურული ფენა, რომელთაგან მეორე ფენა დათარიღდა II-III საუკუნეებით, ხოლო მესამე კი I საუკუნით (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 126; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 57; Воронов, 1980, გვ. 14).

III ფენაში აღმოჩნდა I საუკუნის სამშენებლო კომპლექსი (აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 125-126), რომელსაც თ. თოდუა რომაულ გარნიზონს უკავშირებს და სებასტოპოლისში და აფსაროსში რომაული გარნიზონების განლაგებას I საუკუნის ბოლოსათვის ვარაუდობს (თოდუა, 2003a, გვ. 10-11). ციხესიმაგრის ფუნქციონირების თარიღს I-IV საუკუნეებით განსაზღვრავენ ლ. შერვაშიძე და ლ. სოლოვიოვი (Шервашидзе, Соловьёв, 1960, გვ. 178). I-II საუკუნეებში ახალი სიმაგრეების აგებაზე საუბრობს ზ. ანჩაბაძე (Анчабадзе, 1964, გვ. 196).

ვ. ლექვინაძეს მიხედვით, რომელმაც შეასრულა სოხუმის ციხის ხუროთმოძღვრული გამოკვლევა, პლინიუსის მიერ მოხსენებული და არიანეს მიერ მონახულებული ციხე-სიმაგრე აქ არ დადასტურდა. მისი აზრით სებასტოპოლისში დაფიქსირებული 2 კასტელადან პირველი აგებულია III საუკუნეში. მეცნიერი ასევე უშვებს შესაძლებლობას, რომ I საუკუნეში აქ იდგა დროებითი სიმაგრე, ე. წ. „Pila muralia“ ფასისის მსგავსად (Леквинадзе, 1966, გვ. 210).

სებასტოპოლისის რომაულ ციხესიმაგრეს II-IV საუკუნეებით ათარიღებს გ. ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 57), ხოლო თ. თოდუა ადრეული კასტელუმის ფუნქციონირებას I-II საუკუნეებით განსაზღვრავს (თოდუა, 2003a, გვ. 23). ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ II საუკუნიდან აქ მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობა დგას. მისი ფართობი დაახლოებით 1 ჰექტრამდეა (0,6-0,8 ჰა). გ. ლორთქიფანიძე სებასტოპოლისს საშუალო, ე. წ. საკოპორტო ციხესიმაგრეთა კატეგორიას აკუთვნებს (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 5), ხოლო ვ. ლექვინაძის და თ. თოდუას მიხედვით თავდაპირველი კასტელუმი ნუმერული, ანუ მცირე სიმაგრეა (თოდუა, 2003a, გვ. 23; Леквинадзе, 1969, გვ. 96). არიანეს დროს აქ 200-კაციანი გარნიზონი იდგა (Леквинадзе, 1969, გვ. 84; ლანჩავა, 1996, გვ. 27; თოდუა, 2003a, გვ. 23).

სებასტოპოლისის გვიანდელი კასტელუმის (III ს.) ფართობი გაცილებით დიდია (2-2,5 ჰა) და შესაბამისად მას უფრო მრავალრიცხოვანი გარნიზონის განთავსება შეეძლო. ო. ლანჩავა თვლის, რომ ამ მონაცემების მიხედვით სებასტოპოლისი საშუალო კატეგორიის ციხესიმაგრეა და მას საკოპორტო კასტელუმს უწოდებს, რითაც იზიარებს გ. ლორთქიფანიძის მოსაზრებას (ლანჩავა, 1996, გვ. 27).

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით სებასტოპოლისი აყვავებას განიცდის II-III საუკუნეებში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 57; ლანჩავა, 1996, გვ. 25; აფაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 126; Воронов, 1980, გვ. 14; Анчабадзе, 1964, გვ. 164). ის III საუკუნისათვის მცირე გარნიზონიანი ციხე-სიმაგრიდან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად გადაიქცა, რასაც ადასტურებს მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალებით მდიდარი კულტურული ფენა, რომელიც შეტყვევებს განვითარებულ საქალაქო ცხოვრებაზე (Анчабадзе, 1964, გვ. 196-197; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 58).

ეფიქრობთ, რომ არ არის გამორიცხული სებასტოპოლისის აყვავება და საქალაქო ცენტრად ჩამოყალიბება უკავშირდებოდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას და ჩრდილოეთის მიმართულებით გაფართოვებას, რასაც გ. მელიქიშვილი და დ. მუსხელიშვილი II საუკუნის II ნახევრიდან (Меликишвили, 1959, გვ. 178-179; Мусхелишвили, 1988, გვ. 383), ხოლო ნ. ლომოური III საუკუნიდან (ლომოური, 1998, გვ. 41) ვარაუდობენ.

პიტიუნტი – ლოკალიზებულია თანამედროვე ქ. ბიჭვინთაში, მდ. ბზიფის შესართავის აღმოსავლეთით, კონცხზე (ტაბ. VII). ქართული წყაროები მას „ბიჭვინთას“ უწოდებენ. ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის მას მოიხსენიებენ

შემდეგი რომაელი და ბიზანტიელი ავტორები: სტრაბონი (I ს.) (Strabo, XI, II, 14), პლინიუსი (I ს.) (Plin., NH, VI, 16), არიანე (II ს.) (Arr., PPE, 18), ზოსიმე (V-VI სს.) (Zosim., I, 32), პროკოპი კესარიელი (VI ს.) (PC. BP, II, 29).

სტრაბონი ბიჭვინთას „დიდ პიტიუნტს“, ზოსიმე „ციხე-სიმაგრეს“, ხოლო პლინიუსი „უმდიდრეს ქალაქს“ უწოდებენ (ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 38). სწორედ აქ გადმოდის ახ. წ. II საუკუნიდან რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტი სებასტოპოლისიდან (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 59). ო. ლანჩავას უდავოდ მიაჩნია, რომ რომაელები I-II საუკუნეებში აგებენ ბიჭვინთაში ჯერ ხისა და შემდეგ ქვითკირის ციხე-სიმაგრეს, სადაც აყენებენ მუდმივ გარნიზონს (ლანჩავა, 1996, გვ. 30; ლანჩავა, 2007, გვ. 81). ხის თავდაცვითი ნაგებობების ნაშთები აღმოჩნდა ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც გ. ლორთქიფანიძე I-II საუკუნეებით ათარიღებს და ჰოლანდიის, ინგლისის და ღუნაისპირეთის ხის ძეგური ნაგებობების ნაშთების ანალოგიით ე. წ. „Pila muralia“-ად მიიჩნევს. შესაბამისად, მკვლევარი ვარაუდობს, რომ რომაელები ჯერ კიდევ არიანეს მოგზაურობამდე უყრიან საფუძველს სამხედრო პლაცდარმს, რომელიც II-III საუკუნეთა მიჯნაზე ხანგრძლივ სამხედრო ბანაკად – კასტელუმად და ძირითად საყრდენ პუნქტად გადაიქცა (ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 38; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 81-82).

თ. თოდუა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ძირითად არგუმენტად არიანეს მიერ პიტიუნტის ციხე-სიმაგრედ მოუხსენიებლობა მიაჩნია (თოდუა, 2003a, გვ. 25). არიანე პიტიუნტს მხოლოდ პატარა ნავმისადგომს უწოდებს (Arr. PPE. 18; (Кигурадзе, Лордкипანიძე, Тодуа, 1987, გვ. 91; Анчабадзе, 1964, გვ. 198).

რომაელთა მიერ პიტიუნტში გარნიზონის ჩაყენებას და კასტელუმის მშენებლობას თ. თოდუა ვარაუდობს არიანეს მოგზაურობის შემდეგ, 132-152 წლებს შორის, რასაც ადასტურებს იმ ფაქტით, რომ იმპორტული ნაწარმი და მონეტები მასობრივად ამ დროიდან ვრცელდება; ასევე კასტელუმში ნაპოვნი მის მიერ გაშიფრული ლათინურენოვანი წარწერით, რომელშიც 152 წლის კონსულების – გლაბრიონესა და ჰომულის სახელები იკითხება. მკვლევარი აღნიშნულ ხანაში რომაული გარნიზონის მიერ კასტელუმის მშენებლობის უტყუარ მოწმობად მიიჩნევს ნაქალაქარზე აღმოჩენილ XV ლეგიონის ტვიფრიან კერამიკული ფილის ფრაგმენტებს (თოდუა, 2003a, გვ. 26-27). ერთი მათგანი გამოვლინდა ინკიტის ტბასთან მრგვალი სადარაჯო კოშკის II-III საუკუნეების ფენაში, მეორე იპოვნეს კასტელუმის II საუკუნის ფენაში, მესამე კი აღმოჩნდა კასტელუმის დასავლეთ

ცენტრალური კარიბჭის II-III საუკუნეთა მიჯნის ფენაში. მსგავსი ფილები ნაპოვნია კაპადოკიის ციხე-სიმაგრე სატალაში, სადაც მდებარეობდა XV ლეგიონის მუდმივი ბანაკი (Кигурадзе, Лордкипანიძე, Тодუა, 1987, გვ. 88-89; თოდუა, 2003ა, გვ. 27; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84; Леквинаძე, 1969, გვ. 87).

II-III საუკუნეების პიტიუნტის კასტელუმის გეგმა ჯერჯერობით არ გამოვლენილა, მაგრამ გვიანდელი ციხესიმაგრის ზომები ძირითადად უნდა ემთხვეოდეს მას (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84-85; ლანჩავა, 1996, გვ. 30-31). კასტელუმის ზომები (140X170 მმ.) იძლეოდა საშუალებას ერთ კოჰორტამდე გარნიზონის განთავსებისა (600 ჯარისკაცი). აქედან გამომდინარე პიტიუნტის კასტელუმი საკოჰორტო, საშუალო სიდიდის ციხე-სიმაგრედ შეიძლება ჩაითვალოს (თოდუა, 2003ა, გვ. 27; Кигурадзе, Лордкиპანიძე, Тодუა, 1987, გვ. 91; Леквинаძე, 1969, გვ. 86).

კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა II და III-IV საუკუნეებით დათარიღებული რამდენიმე ნაგებობა: მეთაურის რეზიდენცია – პრეტორიუმი, სამხედრო ადმინისტრაციის შენობები – პრინციპია, „ლეგატის სასახლე“. პრეტორიუმის ეზოში განლაგებული იყო საცხოვრებელი ოთახები, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვა. თავად პრეტორიუმი ისეა დაგეგმილი, რომ საჭიროებისამებრ შესაძლებელი იყო მისი ციტადელად გადაქცევა. განსაკუთრებით გრანდიოზული ყოფილა ნაქალაქარის XIII ნაკვეთში გათხრილი ნაგებობა. სავარაუდოდ, აქ უნდა ყოფილიყო სასამართლო, ტრიბუნალი, სამხედრო შტაბის ოთახები, ოფიცერთა საკრებულო, საწყობები და სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები. აქ დაფიქსირდა მოზაიკური იატაკი, კანალიზაცია, მიწისქვეშა გათბობის სისტემა, აბანოს კომპლექსი, სამკურნალო სახლი და სხვა. არქეოლოგიური მასალა ძირითადად წარმოდგენილია სანათურ-ჭრაქებით, სუფრისა და სამზარეულო კერამიკით, რკინის სამეურნეო იარაღებით, მინის ჭურჭლით, მონეტებით და სხვა. კასტელუმის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებული ჰქონდა ყაზარმებს. ვარაუდობენ ექვსამდე ყაზარმას, რომელშიც ერთი კოჰორტა უნდა დაბინავებულიყო (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 85-91; ლორთქიფანიძე, 1977, გვ. 40; ლანჩავა, 1996, გვ. 11; ლანჩავა, 2007, გვ. 81).

პიტიუნტში, ზოსიმეს ცნობის მიხედვით, ყოფილა კარგად მოწყობილი ნავსადგური (Zoc. HN, 1, 32). ამას ადასტურებს შიდა ნავსადგური, რომელსაც ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან შემოჭრილი თანამედროვე ჭაობის ტერიტორია ეკავა (თოდუა, 2003ა, გვ. 29). პიტიუნტს პატარა ნავმისადგომს ჯერ

კიდევ არიან უწოდებდა (Arr. PPE, 18). თ. თოდუა ფიქრობს, რომ ახ. წ. I საუკუნის შუა ხანებში რომაელთა მიერ შექმნილი „პონტოს ფლოტის“ გარკვეული კონტინგენტი პიტიუნტში, ფასისსა და სებასტოპოლისში იდგა (თოდუა, 2003ა, გვ. 29).

პიტიუნტის კასტელუმისა და შიგ განთავსებული ნაგებობების მასშტაბურობა და ის ფაქტი, რომ აქაური სიმაგრე აღემატებოდა ფასისისა და სებასტოპოლისის სამხედრო ბანაკებს, აძლევს ზოგიერთ მკვლევარს საშუალებას ივარაუდონ, რომ სწორედ პიტიუნტშია II-III საუკუნეებში აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში განლაგებული ჯარისა და ფლოტის ნაწილების ბირთვი, შტაბითა და პრეტორის რეზიდენციით (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 91). თ. თოდუა ასევე პიტიუნტს ასახელებს რომაული ციხე-სიმაგრეების სისტემის ავანპოსტად (თოდუა, 2003ა, გვ. 30). უდავოდ საფუძვლიანი მოსაზრებებია, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ ფაზისის და აფსაროსის კასტელუმები არა ნაკლები სიდიდისაა და მათი აღჭურვილობაც ფრიად მნიშვნელოვანია, არც გარნიზონებია რიცხობრივად ნაკლები, მაშინ ფრიად გაძნელებულია მათ შორის რომელიმესათვის პრიორიტეტის მინიჭება.

III საუკუნის 50-იან წლებში პიტიუნტმა ორჯერ განიცადა ჩრდილო-შავი ზღვისპირელი მომთაბარეების შემოსევა, რომელთა შესახებ გვაწვდის ცნობებს V-VI საუკუნეების. ისტორიკოსი ზოსიმე (Zos., Hist., nova, I, 32-33). მისი მიხედვით, სკვითებს (გუთებს, ბორანებს და სხვ.) ორჯერ დაულაშქრავთ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი. პირველი თავდასხმა მოხდა ახ. წ. 255-256 წლებში და გუთების მარცხით დამთავრდა. ფაქტობრივად ეს იყო სერიოზული გამოცდა ზღვისპირა თავდაცვის სისტემისათვის, რომლის საყრდენ პუნქტად პიტიუნტის სამხედრო გარნიზონი გამოვიდა სუკესიანუსის მეთაურობით ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად. გუთები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. მეორე ლაშქრობა 257 წელს განხორციელდა. პირველად გუთები ფასისს მიაღწენ და ალყა შემოარტყეს, მაგრამ ვერ აიღეს და კვლავ პიტიუნტს მიუბრუნდნენ. ამჯერად მათ მოახერხეს ქალაქის აღება და გაძარცვა. სავარაუდოდ, ამ დროს იქნა განადგურებული სებასტოპოლისი და აფსაროსი (თოდუა, 2003ა, გვ. 31-32; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 52; Воронов, 1980, გვ. 83; Леквинадзе, 1969, გვ. 90).

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად დასტურდება პიტიუნტის ტრაგედია, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქი მალე აღდგა. III საუკუნის ბოლოს სასიმაგრო ნაგებობანი შემოავლეს პიტიუნტის საქალაქო დასახლებას, ხოლო კასტელუმი კანაბას ხარჯზე გააფართოვეს. შესაბამისად, გაიზარდა გარნიზონის რიცხვიც

(700-800 ჯარისკაცი) (თოდუა, 2003a, გვ. 34). პიტეუნტი III საუკუნის ბოლოს ასევე დაწინაურდა ეკონომიკური ცხოვრების თვალსაზრისით, რაც შესანიშნავად აისახა ნუმიზმატიკურ მასალებში. ამ პერიოდის 100-ზე მეტი მონეტაა წარმოდგენილი არქეოლოგიურ მონაპოვარში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 92; Анчабадзе, 1964, გვ. 199), შესაბამისად, პიტეუნტი კვლავ ჩაერთო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში.

§ 5. შიდა ეგრისის ციხე-ქალაქები ახ. წ. I-III საუკუნეებში

ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან ისტორიული კოლხეთის ზღვისპირა რეგიონში დაიწყო ახალი ტიპის სამხედრო-სტრატეგიული ციხე-ქალაქების წარმოქმნა-განვითარების პროცესი, რაც დასტურდება წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მონაპოვრებით. ძველი კოლხეთის მემკვიდრე ეგრის-ლაზეთის სამეფოს შიდა რაიონებში არსებული საქალაქო დასახლებათა შესახებ კი ცნობები ისტორიულ წყაროებში თითქმის არ გვხვდება.

სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მოხსენებულია სარაპანა (Strabo, XI, 2, 17; XI, 3, 4); პლინიუსთან გვხვდება სურიუმი (Plin., NH, VI, 13); კლავდიოს პტოლემეაიოსი კი 5 ქალაქსა და სოფელს ასახელებს: მაღია, ძადრისი, სარაკე, სურიონი და მესლესოსი (Cl. Ptol., Geogr., V, 9, 6). ბერძენ ავტორებთან ხშირად გვხვდება ძველი კოლხეთის დედაქალაქი აია. ფსევდო სკილაქს კარიანდელი საუბრობს ბარბაროსულ ქალაქზე, საიდანაც იყო მედეა. აპოლონიოს როდოსელი, ლიკოფრონ ქალკიდელი და კალიმაქე კვირინელი ასახელებენ კვტაიისს, რომელიც ქუთაისთან უნდა იყოს გაიგივებული (ლომოური, 1968, გვ. 47-50).

შორაპანი – იდენტიფიცირებულია სტრაბონის სარაპანისსა და კლავდიოს პტოლემეაიოსის სარაკესთან და წარმოადგენს აღმოსავლეთ კოლხეთის უმნიშვნელოვანეს ძეგლს (ტაბ. VIII). ის იყო სასაზღვრო ციხესიმაგრე და ბოლო სანაოსნო პუნქტი ფაზისზე. მდინარეების – ყვირილასა და ძირულას შესართავში აგებული ციხის ლოკალიზაცია არასოდეს ყოფილა სადავო. უაკ ფრანსუა გამბა, დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე, რაინეგსი, ტოლოჩანოვი და იევლევი, პლატონ იოსელიანი, გიორგი წერეთელი იძლევიან ინფორმაციას შორაპნის შესახებ (ჯაფარიძე, 1999, გვ. 9-11; Джапаридзе, 1991, გვ. 2).

უცხოური და ქართული წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით შორაპნის ძველი ციხე-ქალაქი ორი ძირითადი ნაწილის სახით წარმოიდგინება: ორი მდინარის შესართავთან, კონცხზე არსებული ქვედა ქალაქისა და კლდოვან ბორცვზე ნაშენი ციტადელისაგან. ასევე ქალაქის ორგანულ ნაწილად მიიჩნევა ციტადელის აღმოსავლეთით გამოვლენილი სამოსახლოს ტერიტორია (ჯაფარიძე, 1990, გვ. 1-2; Джапаридзе, 1991, გვ. 2).

შორაპანი ფრიად მნიშვნელოვანი პუნქტი ჩანს ახ. წ. I საუკუნიდან (ჯაფარიძე, 1999, გვ. 29; ლანჩავა, 1996, გვ. 48; ლანჩავა, 2007, გვ. 89). ციხეზე გათხრების შედეგად დადასტურებულია იმ დროის სასიმაგრო ნაგებობის ფრაგმენტი

(კლდოვანი ქანის მოზრდილი, სანახევროდ დამუშავებული ქვებით დუღაბზე ნაშენი წყობა, სავარაუდოდ საყრდენი კედელი). ქვედა ქალაქშიც ივარაუდება სინქრონული ნაგებობის ნაშთები (ძირითადად სამშენებლო კერამიკა), ხოლო ციხის აღმოსავლეთით არსებულ სამოსახლოზე გამოვლენილია ამ ხანის ნასახლართა ნიშნები. არსებობს ინფორმაცია სამარხთა აღმოჩენების შემთხვევებზე. აღნიშნული მონაცემები დამატებით მატერიალურ საფუძველს იძლევიან „სარაკეს“ შორაპანთან იდენტიფიკაციის თვალსაზრისით (ჯაფარიძე, 1990, გვ. 6; ჯაფარიძე, 1999, გვ. 29-30).

სურიონი – კლავდიოს პტოლემეაიოსთან ამ სახელით დადასტურებული პუნქტი პლინიუსთან სურიუმის სახელით არის მოხსენებული, რომელიც მას ქალაქს უწოდებს (ღომოური, 1968, გვ. 48-50).

პლინიუსის და კლავდიოს პტოლემეაიოსის სურიონ-სურიუმი სპეციალისტთა აღიარებით ერთი და იგივე ქალაქი უნდა იყოს (გრიგოლია, 1998, გვ. 92). შესაბამისად, მრავალმა მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება ამ ქალაქის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით. მკვლევართა ნაწილი სურიონ-სურიუმს მდ. ყვირილას ნაპირას, შორაპნის ქვევით მდებარე სოფ. სვირთან აიგივებენ (ღომოური, 1968, გვ. 49; Ломоури, 1957, გვ. 109-110; Еремян, 1939, გვ. 92-94). აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ვ. ჯაფარიძე, რომელიც აღნიშნავს სოფელ მეორე სვირის მონაკვეთში მნიშვნელოვანი პუნქტის მდებარეობას, რომელიც „ციხურას“ სახელითაა ცნობილი და ადგილობრივ სამოსახლოთა ცენტრი უნდა ყოფილიყო. აღნიშნულ მონაკვეთში სამოსახლოთა კონცენტრაცია შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო ფაზისის მაგისტრალითა და ე. წ. „სკანდის შარას“ არსებობით. ივარაუდება სვირის მონაკვეთში საბაჟოს არსებობაც (ჯაფარიძე, 1999, გვ. 35-36).

სურიუმის ლოკალიზაციის განსხვავებული ვარიანტი აქვს მოცემული ნ. ხოშტარიას, რომელიც მას ქ. ვანთან აიგივებდა, მახლობლად მდებარე სოფ. ციხესულორისა და მდ. სულორის სახელების დამთხვევის საფუძველზე (Хоштариа, 1962, გვ. 74-75).

1986 წელს ქ. ვანის გათხრებისას გვიანელინისტურ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ფილის ფრაგმენტი ბერძნული წარწერით, რომლის მიხედვით ჩანს, რომ აღნიშნული სტელა აღმართულია სურიში. წარწერა შეისწავლა თ. ყაუხჩიშვილმა და ივარაუდა სურისა და ვანის იგივეობა (ყაუხჩიშვილი, 1987, გვ. 131-143).

ვანი მიაჩნია ასევე პლინიუსის სურიუმად მ. ინაძეს, რომელიც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ პლინიუსი სურიუმს აწმყო დროში მოიხსენიებს. მკვლევარისათვის

საყურადღებო მნიშვნელობა აქვს პლინიუსის მითითებას ქ. სურიუმის თანამოსახელე მდინარის ფასისთან შეერთების ადგილამდე დიდი გემებით ნაოსნობის შესახებ, რაც იმის მაუწყებელია, რომ ფასისის მაგისტრალზე მდებარე სახელგანთქმული ქალაქი სურისი კოლხეთზე რომაელთა გაბატონების შემდეგ არ კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც საქონლის გამანაწილებელი დიდი სავაჭრო ცენტრი, საიდანაც რომაელი ვაჭარ-საქმოსნები მსხვილ კომერციულ ოპერაციებს ახორციელებდნენ შავიზღვისპირეთის ცენტრებთან (ინაძე, 1994, გვ. 207). საინტერესოა, რომ მ. ინაძეს შენიშნული აქვს რომაელი ვაჭრების ანალოგიური საქმიანობა დიოსკურიაში (Инадзе, 1968, გვ. 236-243). თავისი მოსაზრების დამადასტურებლად მიაჩნია მკვლევარს ვანში დიდი რაოდენობით ვერცხლის და ოქროს რომაული მონეტების და ახ. წ. I საუკუნის პერგამონული წითელლაკიანი კერამიკის აღმოჩენა, რაც მეტყველებს რომაელთა მიერ ფასისის მაგისტრალზე კონტროლის დაწესებაზე. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მ. ინაძე ვარაუდობს ვანის მცირე ხნით აღორძინებას და იმოწმებს ნ. მათიაშვილის მოსაზრებასაც (ინაძე, 1994, გვ. 208; მათიაშვილი, 1977, გვ. 50).

საინტერესო მცდელობა სური-სურიუმის ლოკალიზაციისა ეკუთვნის გ. გრიგოლიას, რომელიც გადაჭრით უარყოფს სვირსა და ვანთან აღნიშნული პუნქტის იდენტიფიკაციას. მისთვის ძირითადი ამოსავალია სამანძილე მონაცემები. მდ. ფაზისის შესართავსა და სურის შორის, რაც პლინიუსის მიხედვით 38500 ნაბიჯი, ანუ 38 კმ-ია (სულორამდე 80 კმ-ია, სვირამდე კიდევ უფრო მეტი). გარდა ამისა მეცნიერს თანამედროვე სვირის მახლობლად არ ეგულება ახ. წ. I-IV საუკუნეების სურიუმთან მისადაგებული ძეგლი, ხოლო ვანი 200 წლის დანგრეულად მიაჩნია, სადაც არ არის მიკვლეული პლინიუსის დროინდელი ქალაქის ნაშთები (გრიგოლია, 1998, გვ. 93-95). აღნიშნული არგუმენტები მკვლევარს აძლევს საფუძველს იფიქროს, რომ ვანის წარწერაში მოხსენებული სური სხვაა, ხოლო პლინიუს-პტოლემეაიოსის ქალაქი სურიუმი სხვა. პლინიუსის მიერ ხსენებული სამანძილე მონაცემების გათვალისწინებით მდ. რიონის აუზში გ. გრიგოლიასათვის ყველაზე უფრო საყურადღებო რეგიონია მდ. ტეხურის ხეობა, რომლის შესართავი ზღვის ძეგლი სანაპიროდან 38-40 კმ-ით არის დაცილებული. ასევე ტეხურის ხეობა „სირ“ ფუძიანი ტოპონიმებისა (ნოსირი) და გვარების (სირია) გავრცელებითაც იქცევს ყურადღებას, საიდანაც შესაძლოა ბერძნულ-რომაული „სურ“-ფუძიანი სახელწოდებათა წარმოება. ტოპონიმისა და ჰიდრონიმების თანხვდომის მაგალითებზე (მდ. ფასისი და ქ. ფასისი; მდ. აბაშა და ქ. აბაშა...)

დაყრდნობით მკვლევარი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია მდ. ტეხურს ძველად სირი ან ბერძნულ-რომაული გაფორმებით სურიუმი რქმეოდა, შესაბამისად თანამოსახელე ქალაქი ამავე მდინარის ხეობაშია საძიებელი. ასეთად გ. გრიგოლიას ციხე-გოჯი-არქეოპოლისი მიაჩნია, რომელიც „სირ“-ძირიანი ტოპონიმების გავრცელების მიხედვით ძველად სირიების გვარ-ტომთა სამოსახლო ქვეყნის ცენტრი უნდა ყოფილიყო (გრიგოლია, 1998, გვ. 95-99). არქეოპოლის-ნოქალაქევი სურიუმად ვ. ლატიშევმაც მიიჩნია გასული საუკუნის 40-იან წლებში (Латишев, 1949, გვ. 289), მხოლოდ ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე (გრიგოლია, 1998, გვ. 92).

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარს თავისი მოსაზრება ზემოთმოყვანილი არგუმენტებით აქვს განმტკიცებული და საერთოდ ახალი არქეოლოგიური მონაცემებით ციხე-გოჯი – არქეოპოლისის რეგიონი საკმაოდ დატვირთულ პუნქტს წარმოადგენს (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 4), ვფიქრობთ, რომ პლინიუსისა და კლავდიოს პტოლემეაიოსის მიერ დასახელებული ქალაქი მაინც უფრო მდ. ფასისის მაგისტრალზე, მის ნაპირებთანაა საძებნი. პლინიუსი მიუთითებს, რომ ქალაქი მდებარეობს ფასისის აუზში ერთ-ერთი შენაკადი მდინარის ნაპირას (Plin., NH, VI, 13). აქ არ ჩანს ქალაქი მდინარეთა შესართავთანაა განლაგებული თუ მდინარის ხეობაში, როგორც ამას გ. გრიგოლია ვარაუდობს (გრიგოლია, 1998, გვ. 95).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნ. ლომოურის შეხედულება, რომ პტოლემეაიოსის „გეოგრაფიის“ ძირითად წყაროებად საგზაო-სავაჭრო რუკები და ვაჭარ-მოგზაურთა ჩანაწერები გამოიყენებოდა. შესაბამისად, მის მიერ აღნიშნულ პუნქტებს გარკვეული ეკონომიკური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ (ლომოური, 1968, გვ. 50). მათთვის კი სანაოსნო მდინარის პირას მდებარეობა აუცილებელი იყო, თუნდაც იმის გამო, რომ ხომალდებისათვის ადვილად მისაწვდომი ყოფილიყო. პლინიუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რაც რა თქმა უნდა შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქალაქისათვის სახელის მიმცემი მდინარე ფასისს უერთდება იმ ადგილას, სადამდეც ის სანაოსნოა დიდი ხომალდებისათვის. მსგავსი გემების ციხე-გოჯი – არქეოპოლისამდე მიღწევა ძნელი წარმოსადგენია. თანაც პლინიუსი არ საუბრობს შენაკად მდინარეებზე ნაოსნობის შესახებ.

გარდა ამისა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მდ. ფასისის კალაპოტი ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის უფრო სამხრეთითაა საგულგებელი, ვიდრე დღეს (გრიგოლია, 1998, გვ. 77), სურიონ-სურიუმი უფრო სხვაგანაა, ვიდრე იქ, სადაც მას გ. გრიგოლია ასახელებს.

ჩვენი ვარაუდით, აქ ფასისის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალის არსებობა შეიძლება გამოვიყენოთ ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად. რომაელები ხომ ჯერ კიდევ ძვ. წ. I საუკუნეში ინტერესდებიან მდ. ფასისის ამ ფუნქციით (პომპეუსის ლაშქრობა). ძნელი წარმოსადგენია, რომ ახ. წ. I-II საუკუნეებში რომაელები არ იყენებენ ამ მაგისტრალის შესაძლებლობებს და მხოლოდ ზღვისპირა სახმელეთო და საზღვაო გზების გამოყენებით კმაყოფილდებიან. მ. ინაძე ფიქრობს, რომ რომაელები ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ამყარებენ კონტროლს ფასისის მაგისტრალზე და შესაბამისად, მათ ხელშია ასევე ადგილობრივი მოსახლეობის სავაჭრო ურთიერთობა ზღვისპირა ქალაქებთან, თუნდაც კოლხეთის ბუნებრივი სიმდიდრის ექსპორტირებისათვის (ინაძე, 1994, გვ. 208). ხოლო თუ ეს გზა მოქმედია, შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ კოლხეთის მემკვიდრე ლაზეთის სამეფოს ინტერესი ძველი სავაჭრო-სახელოსნო საქალაქო ცენტრების აღდგენის და ახალი პუნქტების დაარსების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სურიონ-სურიუმი სწორედ ფასისის მაგისტრალის გასწვრივ არის საძებნი, ხოლო სვირსა და ვანს შორის უპირატესობას ამ უკანასკნელს ვანიჭებთ, თუნდაც იმის გამო, რომ დიდი ხომალდების ნაოსნობა სვირამდე შეუძლებლად გვეჩვენება.

მეხლესოსი – ნ. ლომოურის ვარაუდით, ლაზეთის ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული და უხვმოსავლიანი ოლქის, მოხერისის მხარეში უნდა მდებარეობდეს (ლომოური, 1968, გვ. 50-51), რომელიც შეეფერება დღევანდელ ქვემო იმერეთს და მოიცავს ტერიტორიას მდ. ცხენისწყალსა და მდ. რიონს შორის (ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 208-210; ჯანაშია, 1952, გვ. 320-321). სწორედ აქ ასახელებს პროკოპი კესარიელი ლაზიკის ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქს „მოხერესი“ (Procop., De BP, II, 29). იგივე ქალაქს „მუხურისს“ უწოდებს აგათია სქოლასტიკოსი (Agath., III, 6; II, 19, 22). ნ. ლომოურის ვარაუდით, შესაძლოა იგივე ქალაქია დასახელებული იუსტინიანეს ერთ-ერთ ნოველაში დამახინჯებული ფორმით – „მურისიოს“ (Justin, Novelle, XXXI (XXXIII). პტოლემეაიოსის ერთ-ერთ ხელნაწერში ეს პუნქტი ასევე აღნიშნულია ფორმით „მეხრესოს“. სწორედ ამ მიზეზის გამო მიიჩნია ნ. ლომოურმა პტოლემეაიოსის „მეხლესოს“-„მეხრესოსი“ ბიზანტიური წყაროების მოხირის-მუხირისად და გამოთქვა ვარაუდი, რომ შემდეგ ეპოქაში დაწინაურებული ლაზეთის ერთ-ერთი ქალაქი უკვე II საუკუნეში აღმოცენებულა (ლომოური, 1968, გვ. 50-51).

კლავდიოს პტოლემეაიოსთან ლაზეთის ქალაქების თუ დასახლებული

პუნქტების სიაში მოხსენებული „მეხლესოს“-ის ადგილმდებარეობის დადგენა, როგორც შენიშნავს ვ. ჯაფარიძე, კონტექსტის მიხედვით თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერი თავად გამოთქვამს ვარაუდს ბიზანტიურ წყაროებში დასახელებული მოხირისის ლოკალიზაციის თაობაზე და მას ნამაშევის ციხესთან აიგივებს, რომელიც მდ. გუბისწყალზე, სოფ. დიდ გუბში მდებარეობს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 122-132).

მოხირისი გეგუთთან გააიგივა დიუბუა დე მონპერემ (Dubois de Montpereux, 1839, გვ. 200-210). ეს მოსაზრება გაიზიარეს კ. კეკელიძემ და ვლ. ჩაკვეტაძემ (კეკელიძე, 1961, გვ. 29, ჩაკვეტაძე, 1958, გვ. 25).

ს. ყაუხჩიშვილი მუხირისის ლოკალიზაციას სოფ. დაბლაგომთან ახდენს (ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 210). მას სრულიად ეთანხმება დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი, 1977, გვ. 125).

მუხირისად მიიჩნია გ. გამყრელიძემ სოფ. მთისძირის (ტაბ. IX, სურ. 2) ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლი (გამყრელიძე, 2002, გვ. 158-159).

ფრიად მნიშვნელოვანია ო. ლანჩავას მოსაზრება მოხირისისა და ქუთაისის იდენტურობის შესახებ (ლანჩავა, 1996, გვ. 177-180). ბიზანტიური ეპოქის მუხირის-მოხირისის საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით. ამჯერად შევნიშნავთ, რომ დღეისათვის არსებული მასალების საფუძველზე ძნელია პტოლემეაიოსის მეხლესოსის არსებობის დადასტურება და ადგილმდებარეობის განსაზღვრა, თუმცა ვფიქრობთ, რომ მისი ძიება მდ. ფასისის გასწვრივ ან მასთან ახლოს არის მიზანშეწონილი.

ძადრისი – ჯერჯერობით ამ პუნქტის იდენტიფიცირება წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების მიხედვით ვერ ხერხდება. არც ერთი ვარაუდი და მოსაზრება მასთან მიმართებაში არ არის გამოთქმული.

მადია – ეს პუნქტიც ჯერჯერობით არ არის ლოკალიზებული. თუმცა ბოლო დროს ჰიპოტეზის დონეზე გამოითქვა ფრთხილი მოსაზრება მადიას და ბათუმის (ბატიუმის) იგივეობასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება პლინიუსის მიერ აფსაროსის შემდეგ დასახელებულ მარტიუმს შეესაბამებოდეს (Plin., NH, VI, 12) (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170-176; მამულაძე, 2002, გვ. 25-26; გოგიტიძე, 1999, გვ. 100-101). რა თქმა უნდა, საინტერესო ვარაუდია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ პტოლემეაიოსი მადიას არა ზღვისპირას, არამედ შიდა კოლხეთის პუნქტებთან ასახელებს.

დიდი ბარბაროსული ქალაქი – კუტაია – ქუთაისი? – ძვ. წ. IV საუკუნის

„პერიპლუსის“ ავტორს, ე. წ. ფსევდო სკილაქს კარიანდელს კოლხეთის შიგნით დასახელებული აქვს მდ. ფასისის აყობებით 180 სტადიონის მანძილზე დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. აქვე არის მდ. რისი (Pseudo - Scyl., 81). ამ ცნობაში მოცემული მანძილის გამოყენებით და მდ. რისის მდ. ფიხორთან გაიგივებით გ. გრიგოლიამ ძველი კოლხეთის დიდი ქალაქის ლოკალიზაცია მოახდინა „ნამარნუს“ ნამოსახლართან, რომელიც თანამედროვე სოფ. კოდორთან, მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს (ტაბ. IX, სურ. 1). აღნიშნული ძველი შედეგა რამდენიმე ნაწილისაგან. მისი ცენტრალური ნაწილი 5 მეტრამდე სიმაღლის მოგრძო ბორცვია (170X80 მმ.), რომელსაც ირგვლივ შემოუყვება 3-4 მეტრი სიღრმის და 55-80 მეტრი სიგანის თხრილი, ხოლო გარს აკრავს ოთხი მოგრძო ბორცვისაგან შემდგარი სარტყელი. ნამოსახლარს გარს აკრავს 4-5 მეტრი სიგანის მეორე თხრილი. აქ დადასტურებულია ქვის 2 მეტრამდე სისქის კედლის ფრაგმენტი, რომელიც გალაგნის ნაშთს წარმოადგენს და ძვ. წ. IV საუკუნეზე ადრეული უნდა იყოს. არქეოლოგიური მასალის მიხედვით (ძირითადად ადგილობრივი და იმპორტული კერამიკა) ნამარნუს აყვავების ხანა ძვ. წ. V-IV სს-ია (გრიგოლია, 1973, გვ. 50-57).

მიუხედავად იმისა, რომ ნამარნუ მართლაც მნიშვნელოვანი ძეგლია და გ. გრიგოლიას მიხედვით ის 20 ჰექტარზე გაშლილი ქალაქური ტიპის სამოსახლოა, ვფიქრობთ, რომ ფსევდოსკილაქსის „პერიპლუსში“ მოცემული მანძილის მიხედვით მედეას სამშობლო ქალაქის ძიება არ არის მართებული.

ბერძნულ წყაროებში „ქალაქი საიდანაც იყო მედეა“ იწოდებოდა კუტაიად და ეს დამაჯერებლად დაასაბუთა ოთ. ლორთქიფანიძემ. მაგალითად, ელინისტური ეპოქის პოემაში „ალექსანდრა“ დასახელებულია „კუტაიელი ასული“, ე. ი. მედეა-კოლხთა მეფის აიეტის ასული. აიეტი „კუტაიელად“ იხსენება აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“. ელინისტური ეპოქის პოეტის კალიმაქე კვირინელის თხზულებაში „მიზეზები“ საუბარია „აიეტისის კუტაია“-ზე, ე. ი. კოლხთა მეფის სატახტო ქალაქზე. VI საუკუნის ბიზანტიელი მეცნიერი სტეფანე თავის „ეთნიკაში“ ასე განმარტავდა – „კუტაია კოლხური ქალაქი, მედეას სამშობლო“. შესაბამისად, ელინისტური ხანის ბერძნულ მწერლობაში მოხსენებულ ქალაქ „კუტაიას“ – კოლხთა მეფე აიეტის სატახტო ქალაქს თითქმის ყველა მკვლევარი თანამედროვე ქუთაისის მიდამოებში ვარაუდობს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 34-36).

ასევე არ ეპარება ეჭვი “მედეას ქალაქის,” “აიეტის ქალაქის” და “დიდი ბარბაროსული ქალაქის” იგივეობაზე “კუტაია”–“კუტაიისი”-სთან გ. გაბუნias

(გაბუნია, 1996, გვ. 237).

რაც შეეხება მანძილს (180 სტადიონი), რომელიც ფსევდოსკილაქსს აქვს დასახელებული, სპეციალურ ლიტერატურაში ტექსტის დამახინჯებად არის აღიარებული და გამოთქმულია ვარაუდი, რომ თავდაპირველად დაწერილი 280 სტადიონი უნდა ყოფილიყო (ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 36). ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებისათვის ზღვის სანაპირო ხაზის სოფ. ჭალადითან მდებარეობის გათვალისწინებით 280 სტადიონი შესაძლოა მართლაც შეესატყვისება დღევანდელი ქუთაისის დაბლობ ადგილებს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 41-42; ლორთქიფანიძე, მიქელაძე, 1975, გვ. 27). რაც შეეხება მდ. რისი-ს, იგი თანამედროვე რიონის ზემო წელთან არის გაიგივებული (ყაუხჩიშვილი, 1967, გვ. 37-38; ჯანაშია, 1952, გვ. 275) და შესაბამისად, კიდევ ერთი საბუთია კუტაიას ქუთაისად მიჩნევისა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 42-43). ამასთან დაკავშირებით საინტერესო ცნობაა დაცული VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის თხზულებაში „ომი გოთებთან“: „ამ მხარეს ჩამოუღის მდინარე, სახელად რეონი, სადაც კოლხებს ძველად აუგიათ ციხე, რომელიც შემდგომ ხანებში მათ მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან დაბლობზე მდებარეობდა და მათი აზრით ადვილი მისასვლელი იყო, მაშინ ამ ციხეს ელინთა ენაზე კოტაიონს უწოდებდნენ, ახლა კი მას ლაზები კოტაისს ეძახიან. ენის უცოდინარობის გამო სახელის სწორი გამოთქმა შერყვნეს. ასე მოგვითხრობს ამას არიანე“ (Proc. BG, IV, 14, 47). აქვეა მეორე ჩვენება ქუთაისის შესახებ: „სხვები კი ამბობენ, ძველს დროში ამ ადგილას ქალაქი იყო და კვიტაიონი ეწოდებოდაო; აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კვიტაიელს ეძახდნენ“ (Proc. BG, VIII, 14). აშკარაა, პროკოპიმ იცის, რომ კოტაისი ძველი ქალაქია და მის ლოკალიზაციას თანამედროვე ქუთაისის ციხესთან ახდენს. სამწუხაროდ, პროკოპის არ გაუკეთებია ქუთაისის ციხის აღწერა. ის მხოლოდ ამ ციხის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე საუბრობს (ლანჩავა, 1996, გვ. 71). პროკოპი კესარიელისა და სხვა ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით გ. გაბუნია ფიქრობს, რომ “დიდი ქალაქი კუტაიისი” საგულგებელია თანამედროვე ქუთაისის დაბლობ ნაწილსა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე (გაბუნია, 1996, გვ. 242).

ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რომ პროკოპი იყენებს ფრაგმენტს ფლავიუს არიანეს „აღანთა ისტორიიდან“, რომელსაც II საუკუნეში ჰქონია ცნობები ქუთაისის შესახებ. სამწუხაროდ, ძნელია დავადგინოთ დაბლობზე მდებარე ციხე როდის დაინგრა და რას ეძახიან ლაზები კოტაისს, უკვე დანგრეულ

ციხეს თუ მის ნაცვლად სხვაგან აგებულ სიმაგრეს.

კუტაია-კოტაისის თანამედროვე ქუთაისთან იდენტიფიცირება ძირითადად ხდებოდა წერილობითი წყაროების საფუძველზე. არქეოლოგიური მასალები ფრიად მცირე იყო და უფრო შემთხვევითი მონაპოვრებით იყო წარმოდგენილი (ძვ. წ. IV ს. ატიკური არიბალოსი, III ს. შავლაკიანი სამარილე; ახ. წ. II-III სს. მიჯნის. სარდიონის ინტალიო). თუმცა, როგორც აღნიშნავდა აკად. ოთ. ლორთქიფანიძე, ქ. ქუთაისში მდ. რიონის მარჯვენა ნაპირის გორაკ-ბორცვიან ნაწილში აღმოჩენილი ძვ. წ. VIII-V საუკუნეების ვრცელი და მძლავრი დასახლების ვაკეზე მდებარე „კუტაიასთან“ იდენტიფიცირების საკმარისი საფუძველი ჯერ არ არსებობდა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 57-59).

2005 წლის ზაფხულში, ქ. ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის, გრიშაშვილის და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთ-ერთი ახალმშენებლობის (სწრაფი კვების ბლოკი “ნიკალა”) მონიტორინგისას შემთხვევით აღმოჩნდა კულტურული ფენები, რომელიც შეისწავლა ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქუთაისის განყოფილების და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის დეპარტამენტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი – პროფ. ო. ლანჩავა; წევრები – რ. ისაკაძე, მ. ჭუმბურიძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. ქარციძე).

სამწუხაროდ, ძეგლის დიდი ნაწილი განადგურებული აღმოჩნდა, მაგრამ კვლევამ მაინც შთაბეჭდავი შედეგები მოიტანა. გამოიკვეთა ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ნამოსახლარის და ძვ. წ. III-II საუკუნეთა სამაროვნის ნაშთები. სამშენებლო ქვაბულში გამოვლენილი მონაცისფრო-შავი ფენა მრავლად შეიცავს ძელური და წნული ნაგებობების ნაშთებს, გამომწვარი თიხის ბათქაშის მრავალრიცხოვან ფრაგმენტებს და ხის ნაგებობათა ნახანძრალ, ნახშიროვან-ნაცროვან შრეებს. ქვაბულის ვერტიკალურ ჭრილში გამოიკვეთა დამრეცილკალთიანი ჩაღრმავებები, რომლებიც ხის საცხოვრებელი სახლების სარდაფები უნდა იყოს. კულტურულ ფენაში ფიქსირებული არტეფაქტების დიდი ნაწილი ადგილობრივი კერამიკაა. საყურადღებოა რკინის საღნობი ქურის თიხის საქშენი მილის ნაშთები წიდებთან ერთად. შემდეგ ამ უბანზე ძვ. წ. III-II საუკუნეების სამაროვანი გაუმართავთ, კრამიტით გადახურული ორმოსამარხითა და ქვევრსამარხებით. საინტერესოა, რომ საკუთრივ ქუთაისის ტერიტორიაზე ქვევრსამარხები აქამდე ცნობილი არ იყო (ლანჩავა, 2007, გვ. 46; ლანჩავა,

ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006, გვ. 25-26). აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მდებარეობს ქალაქის ვაკე ნაწილში და წარმოადგენს გორაკ-ბორცვიან ნაწილში არსებული მძლავრი დასახლების გაგრძელება-განვითარებას. აქვე ახლოს, მდ. რიონის მიმართულებით, ახლანდელი ტაბიძის (ყოფილი სევასტოპოლის) ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, 1963 წელს აკად. ოთ. ლორთქიფანიძემ არქეოლოგიური დაზვერვების დროს ზოგი მოსახლის ეზოში დააფიქსირა ძვ. წ. VI-V საუკუნეების კერამიკის შემცველი კულტურული ფენები.

საინტერესოა, რომ “ნიკალას” სამშენებლო ქვაბულში ოთხივე მიმართულებით ისახებოდა ძეგლის გაგრძელება, რაც მომდევნო კვლევისათვის საყურადღებო პერსპექტივებს შლიდა. ეს ვარაუდი დადასტურდა 2007 წლის ნოემბერში, როდესაც იქვე მახლობლად (გრიშაშვილის ქ. მე-4 შეს. №9), „ამხანაგობა ქრონიკის“ კუთვნილ ნაკვეთში მდებარე სამშენებლო მოედანზე, ქვაბულის გაჭრის დროს გამოვლინდა არქეოლოგიური ძეგლი (ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კულტურული ფენა).

„ნიკალას“ ტერიტორიაზე გათხრილი კულტურული ფენის მსგავსად აქაც დადასტურდა საცხოვრებელი და სამეურნეო (რკინის სახელოსნო) დანიშნულების, თიხის ბათქაშით შელესილი ხის ნაგებობების ნაშთები, რომლებიც გამართულია მოყვითალო გრუნტში ჩაჭრილი (მრგვალი, ელიფსური, წაგრძელებული და კუთხეებმომრგვალებული) 0,5 -1,0 მეტრამდე სიმაღლის ორმოების თავზე.

სულ აღმოჩნდა ცხრა ორმო (სავარაუდოდ ნაგებობა). “ნიკალასაგან” განსხვავებით რამდენიმე მათგანი (№1-№2-№3-№4-№6-№7) წარმოადგენდა ურთიერთდაკავშირებული სათავსოებისაგან შემდგარ კომპლექსს. ზოგ მათგანს ზემოდან ბათქაშების კომპაქტური ყრილი ადევს. ორმოების გარშემო კედლების ხის კონსტრუქციების კვალის დადგენა ვერ მოხერხდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ძირითადად ორმოების კონფიგურაციას იმეორებდნენ.

ქვაბულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, 8X5 მ. ფართობის მონაკვეთზე, გამოიკვეთა დიდი ზომის რიყის ქვების ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ოდნავ წაგრძელებული ოვალური ყრილი, რომლის იატაკის დონეზეც რიყის ქვები აფენია. მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა მშრალად ნაწყობი რიყის ქვების ორი რიგი.

ყრილის გარშემო და ინტერიერშიც აღმოჩნდა ქურის საქშენი მიღების რამდენიმე ფრაგმენტი და რკინის წიდეები. მათი სიმრავლის მიხედვით საქმე რკინის

სახელოსნოსთან (ქურა?) გვაქვს, თუმცა რიყის ქვებს არსად ეტყობათ ძლიერი ცეცხლის კვალი. ინტერიერში ცეცხლისგან დაზიანებული კოლხური თეთრი (ტრიობოლი) გამოვლინდა, რომლის ერთ მხარეზე მკრთალად იკითხება ხარის? თავი.

სავარაუდოდ, ამ დასახლებამ ფუნქციონირება შეწყვიტა ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს ან III საუკუნის დასაწყისში. რის შემდეგაც დასახლების ამ უბანზე (სექტ. I-II-III) ელინისტური ხანის (III-II სს.) სამარხები გაჩნდა. ელინისტური ხანის დასახლების კვალი გათხრილ სექტორებში ჯერ არ ჩანს.

ქვაბულში ორი დერგსამარხი დაფიქსირდა. აღმოჩნდა ასევე ორმოსამარხი. სამარხები აქაც ადრეანტიკურ ფენაშია ჩაშვებული და გრუნტზე დევს. ორმოსამარხში 40 სმ-მდე სიგრძის, ტანში ოდნავ მოხრილი რკინის სატევარი (სავარაუდოდ ბერძნული მახაირა) იდო ტარზე შერჩენილი 5 მანჭვალით. ბრინჯაოს ზურგშეზნექილი, მრგვალგანივკეპითიანი, თავებზემსხვილებული სამაჯური სამარხს ელინისტური ხანით (დაახლ. III-II სს.) ათარიღებს.

არქეოლოგიური ძეგლის სხვა არტეფაქტებიდან აღსანიშნავია აგრეთვე კარგად შენახული რკინის წაღდი, რომელსაც მრგვალი სატარე ნახვრეტი და სწორი, დახვეწილი ტანი აქვს, რითაც საგრძნობლად განსხვავდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნიმუშებისაგან და თითქმის იმეორებს იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ ფორმას.

ქვაბულში დაფიქსირებულ ფენაში და ორმოებში ამოსული კოლხური კერამიკის (დოქები; კანელურებიანი დერგები; ორყურა და ცალყურა ქოთნები; კოჭობები; ბრტყელძირა, ფეხიანი, სხვადასხვა ვარიანტის კოლხური სასმისები) არაელინიზირებულ ფორმები ანალოგიებით ძვ. წ. VI-IV საუკუნეებით თარიღდება.

საინტერესოა ასევე იმპორტული კერამიკა: ჯამების (სავარაუდოდ სინოპური) პირის, გვერდისა და ღრუ ქუსლის ფრაგმენტები; მცირეაზიური ცენტრების შავლაკიანი ჭურჭლის ორი ფრაგმენტი (თხელკედლიანი ჭურჭლის გვერდი, პირმოყრილი ჯამის პირის ნატეხი); სხვადასხვა საწარმოო ცენტრის იმპორტული ამფორების პირისა და გვერდის ფრაგმენტები (ლანჩავა, ისაკაძე, ქ. ქუთაისში გრიშაშვილის ქ. №4 შესახვევში 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, გვ. 1-15).

აქვე აღვნიშნავთ, რომ 2008 წლის ნოემბერში რუსთაველის პროსპექტზე, ზემოთაღნიშნული არქეოლოგიური ძეგლების მახლობლად, გაბაშვილის გორის ფერდობების ვაკე გაგრძელებაზე, კვლავ ახალმშენებლობების წინასწარი

მონიტორინგისას გამოვლინდა სავარაუდოდ წინარე და ადრეანტიკური ხანის კულტურული ფენები.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ტერიტორიის შემდგომი კვლევა მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს ვაკეზე მდებარე ელინისტური და გვიანანტიკური „კუტაია“-„კოტაისთან“ მიმართებაში. როგორც ვარაუდობენ, სწორედ აქ გადმოდის საქალაქო ცხოვრების ცენტრი ელინისტურ ხანაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების გამო და შესაბამისად, ამ ეპოქის კულტურული ფენები (ხის წნულის ანაბეჭდიანი ბათქაშის ფრაგმენტები, ადგილობრივი და შედარებით მცირერიცხოვანი იმპორტული კერამიკა) ქალაქის შემოგარენში, დაბლობ ადგილებში ფიქსირდება („ფარნალის გორა“, „ბარონის ბორცვი“, კვახჭირი, გეგუთი, „ციხურა“, მადლაკის დასახლება). აქ ნაპოვნი მასალები გარე სამყაროსთან მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტების მაუწყებელია (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 58; ლანჩავა, 1995, გვ. 21).

ახ. წ. III საუკუნიდან, როგორც ამას არქეოლოგიური კვლევის შედეგები გვიდასტურებენ, ახალი ეტაპი იწყება ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში. ეგრისის სამეფოს წარმოქმნა-განვითარებამ ქუთაისის მიმართ სხვა ინტერესების წარმოშობა განაპირობა, რომელთა შესაბამისობაში ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე და განსაკუთრებით სტრატეგიული მოსაზრების გამო საქალაქო ცხოვრების ცენტრი კვლავ გორაკ-ბორცვიან ნაწილში, ე. წ. „უქიმერიონის“ გორაზე გადმოდის.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, აშკარაა უკვე II საუკუნიდან ცხოვრების გამოცოცხლება ბაგრატის ტაძრის მიდამოებში, რაც ეგრისის სამეფოს წარმოქმნის პერიოდს ემთხვევა (ლანჩავა, 1995, გვ. 21). თუმცა ქუთაისის ციხის გვიანანტიკური ხანის კულტურული ფენების ნაშთებიდან მომდინარე ჯერჯერობით მცირერიცხოვანი მასალის საფუძველზე ძნელია ნათელი წარმოდგენის შექმნა ამ დროის ქალაქის შესახებ (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 59).

მიუხედავად ამისა III საუკუნიდან უკვე ფიქსირდება საქალაქო დასახლების კვალი. ამ დროის ნამოსახლარის ნაშთები (ხის საცხოვრებელი ნაგებობანი თიხატკეპნილი იატაკით, მასზე გამართული კერები, რიყის ქვით მოკირწყლული ქუჩების და მოედნის ფრაგმენტები) საკმაოდაა გამოვლენილი ე. წ. „არქიელის გორის“ ტერიტორიაზე (ლანჩავა, 1994, გვ. 60-61; ლანჩავა, 1995, გვ. 21; ლანჩავა, 1996, გვ. 79; ლანჩავა, 2007, გვ. 109). სწორედ ეს დასახლება დაედო საფუძვლად III-IV საუკუნეთა მიჯნაზე დიდი ციხე-ქალაქის წარმოშობას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

თავი II

ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ. წ. IV-VIII საუკუნეებში

§ 1. ეგრისის სამეფო და ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში

ახ. წ. IV საუკუნიდან ეგრის-ლაზეთის სამეფოს შემდგომი გაძლიერების პროცესი გრძელდება (ლომოური, 1968, გვ. 66). ფიქრობენ, რომ IV საუკუნის პირველ ნახევარში აქ ჯერ კიდევ დგანან რომაულ-ბიზანტიური გარნიზონები. იმპერატორმა კონსტანტინე I-მა იმპერიის ერთ-ერთ ოლქს მიათვალა „მთელი ზღვისპირეთი... ფაზისზე მდებარე სიმაგრეებამდე“ (Zocim., HN, II, 33). აქ გულისხმობენ თანამედროვე მდ. რიონს და მასზე მდებარე სიმაგრეებს. ამ დროს რიონზე მხოლოდ ქ. ფაზისის ციხეა, რომელიც წინა საუკუნეებში რომაელთა ხელში იყო. დანარჩენი ციხე-ქალაქები და სიმაგრეები ქვეყნის შიგნით მდებარეობდა და იქ ბიზანტიელებს არაფერი ესაქმებოდათ. ვფიქრობთ, რომ არ არის გამორიცხული ზოსიმე მდ. ფაზისში თანამედროვე მდ. ჭოროხს გულისხმობდეს, როგორც ეს მანამდელ და შემდეგდროინდელ ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში ხდება.

აქვე შევნიშნავთ, რომ არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ III-IV საუკუნეების მიჯნაზე შავიზღვისპირა რომაული ციხე-სიმაგრეების ხელახლა აღდგენას. განახლებული და გაზრდილია სებასტოპოლისის კასტელუმი, რომლის ფართობი უკვე 2 ჰექტარია და ერთ კოჰორტას იტევს. გაფართოვებულია პიტიუნტის კასტელუმი, ხოლო საქალაქო დასახლებისათვის სასიმაგრო ნაგებობანი შემოუვლიათ (თოდუა, 2003a, გვ. 33-34; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 170). ძირითადად წერილობითი წყაროების საფუძველზე იგივეს ფიქრობენ აფსაროსის მიმართაც (კახიძე, 2002a, გვ. 14-15; მამულაძე, კახიძე ე., ხალვაში, 2001, გვ. 168). ამავე პერიოდში უნდა აღდგენილიყო ციხისძირი (Леквинадзе, 1967, გვ. 799; ინაიშივილი, 1993, გვ. 114; კახიძე, 2002a, გვ. 15; თოდუა, 2003a, გვ. 34) და ფაზისი, სადაც არის დამზადებული ციხისძირის აგური (თოდუა, 2003a, გვ. 34).

IV საუკუნის მეორე ნახევრიდან მდგომარეობა შეიცვალა. ეგრისის გაძლიერება-დაწინაურებაზე მეტყველებს მისი ტერიტორიის მნიშვნელოვნად გაფართოვების ფაქტი. სამხრეთი საზღვარი მდ. ჭოროხის შესართავის სამხრეთით მდებარე მაღალი მთიანეთის, ჭანეთის მთებს მოადგა. ისტორიკოსის ამიანე მარცელინის ცნობების მიხედვით (Ammian. Marc., Res Gestae, XXII, 19, 11), 368 წელს

სპარსელთაგან დევნილი არმენიის მეფე პაპი 5 თვე იმალებოდა მაღალ მთებში, ლაზიკის მახლობლად. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნ. ლომოური ეგრისის სამხრეთ საზღვარს მდ. ჭოროხის შესართავის სექტორში გულისხმობს, საიდანაც გაძევებულია იბერიის სამეფო (ლომოური, 1968, გვ. 67-68; ლომოური, 1973, გვ. 159-160). თუმცა მეცნიერთა ნაწილი ეგრისის სამეფოს სამხრეთ საზღვრებს გაცილებით უფრო სამხრეთით ათავსებს. გ. მელიქიშვილი ეყრდნობა რა პროკოპი კესარიელის ცნობას, რომლის მიხედვით რომის სამფლობელო აღწევდა რიხემდე, ხოლო მის იქით თვითთავადი ხალხი ცხოვრობს, რომელიც არავის არ ემორჩილება პოლიტიკურად, მაგრამ მათ მღვდელმსახურებას ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ, ფიქრობს, რომ IV საუკუნის 60-იანი წლებიდან ეს ხალხი ლაზეთის მიერ იყო დამორჩილებული. V საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაზეთის დასუსტების შემდეგ ისინი კვლავ განთავისუფლდნენ ლაზთა პოლიტიკური ბატონობიდან (Меликишвили, 1959, გვ. 390). ამავე მოსაზრებას იზიარებს დ. ლეთოდიანი და ეგრისის საზღვარს ტრაპიზონის მიდამოებში მიიჩნევს (ლეთოდიანი, 2003, გვ. 49-50). მკვლევარს ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს VII საუკუნის სომეხი ანონიმი გეოგრაფის ცნობა, რომელიც ეგრისზე საუბრისას ასახელებს მასში შემავალ ოთხ ქვეყანას: „მანრილი, ეგრევიკი, ლაზივი, ჭანეთი, რომლებიც არიან ხალდეები“, ხოლო ქალაქთა შორის კი ტრაპიზონს (Армянская география VII века по р.х., 1877, გვ. 38-39, 16).

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით დ. ლეთოდიანი ეგრის-ლაზიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს IV საუკუნის 60-იან წლებში ჭანეთის მთებთან, ხოლო შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე კი ტრაპიზონამდე ათავსებს და ფიქრობს, რომ პროკოპისტან დაფიქსირებული კონფესიონალური გავლენა ეგრისის ეპისკოპოსისა ტრაპიზონის მიმდებარე დასახლებულ პუნქტებზე არის ნაკავლევ იმისა, რომ ეს ტერიტორია ადრე მოქცეული იყო ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში.

ივ. ჯავახიშვილი ეგრისის სამხრეთ მიჯნას ქ. პეტრასთან დებს (ჯავახიშვილი, 1960, გვ. 424). დაახლოებით ამავე რეგიონში ქ. ფასისსა და ციხისძირს შორის, კერძოდ მდ. სუფსაზე ან მდ. ნატანებზე ვარაუდობს ლაზიკის საზღვარს გ. გრიგოლია, რომელიც ძირითადად კლავდიოს პტოლემეაიოსის გეოგრაფიულ სახელმძღვანელოს ეყრდნობა (გრიგოლია, 1994, გვ. 127-133).

დაახლოებით პეტრასთან გულისხმობს ლაზთა საზღვრებს ნ. ბერძენიშვილი, თუმცა არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა ის მდ. ჭოროხამდე მიდიოდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ გადასცდებოდა მას (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 484).

IV საუკუნის ბოლოდან ვიდრე V საუკუნის 60-70-იან წლებამდე ეგრისის ძლიერების ხანაში მის სამხრეთის საზღვარს რიზესთან გულისხმობს გ. მელიქიშვილი (Меликишвили, 1959, გვ. 390-391). ამავე მოსაზრებას იზიარებს დ. მუსხელიშვილი, რომელიც პროკოპის ჩვენების და „სომხური გეოგრაფიის“ ცნობის მიხედვით ეგრისის ფარგლებში გულისხმობს მაკრონ-ჰენიოხთა და ზიდრიტთა განსახლების ტერიტორიას (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 100-102; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 93-95).

ვფიქრობთ, რომ შესაძლოა მაკრონ-ჰენიოხთა სამეფო, რომელიც ირანის მეფე შაბურ I-ის (242-272 წწ.) დროს პერსეპოლისთან აღმოჩენილი წარწერის თანახმად ირანის ხელში იყო (ლომოური, 1968, გვ. 68), IV საუკუნეში ეგრისის შემადგენლობაში შევიდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ ტერიტორიის ირანისთვის წართმევაში ეგრისის სამხედრო ძალები მონაწილეობდნენ იმ პირობით, რომ შემდეგ მიეღოთ მასზე პოლიტიკური მმართველობის უფლებები. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ეგრისის სამხრეთი საზღვრის ტრაპიზონთან გადაწევა არ მიგვაჩნია რეალურად. ჩვენი ვარაუდით, ეგრისისა და ბიზანტიის საზღვარი ხოფასა და რიზეს შუა უნდა ყოფილიყო. ამის საფუძველს გვაძლევს V საუკუნის პირველ მეოთხედში შედგენილი რომის იმპერიის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობათა ოფიციალური ნუსხა— „Notitia dignitatum“, რომელშიც ჩამოთვლილია იმპერიის ოლქებში არსებული ყველა სამხედრო ნაწილი და პუნქტები, რომელიც IV-V საუკუნეთა მიჯნის ვითარებას ასახავს. ნ. ლომოური დამაჯერებელი არგუმენტაციით ამტკიცებს, რასაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, რომ აღნიშნულ დოკუმენტში პოლემონის პონტოს პროვიციაში მოხსენებული სამხედრო ნაწილები ლაზიკის საზღვრებს გარეთ, ჭანეთის, პოლემონის პონტოს და მცირე არმენიის ტერიტორიაზე მდებარეობს (ლომოური, 1989, გვ. 67-72). ამავე მოსაზრებას იზიარებს ე. კახიძე, რომელიც „ნოტიციაში“ ჩამოთვლილ ზოგიერთ პუნქტს (ჰისოსი, პითიე, კაენე პარემბოლე) ტრაპიზონსა და რიზეს შორის ათავსებს, ხოლო რიზეში რომაული საფორტიფიკაციო ნაგებობის და გარნიზონის არსებობას ვარაუდობს (კახიძე, 2002a, გვ. 17; კახიძე 2002b, გვ. 122). ჰისოსს ტრაპიზონიდან 30 კმ-ში, კაენე პარემბოლეს 60 კმ-ში, ხოლო პითიეს (ოფი) კაენე პარემბოლადან დასავლეთით 10 კმ-ით ათავსებს კონს. ცუკერმანი (ტა. XXV) (Zuckerman, გვ. 530-538; ლანჩავა, 1996, გვ. 34, რუკა I). თუ IV-V საუკუნეების ეგრისში არც ერთი ბიზანტიური გარნიზონი არ დგას, ხოლო ყველაზე ახლო ბიზანტიური სიმაგრეები კაენე პარემბოლესა ან რიზეში მდებარეობს, მაშინ სრულიად კანონზომიერად

შესაძლებელია დაგუშვათ, რომ ეგრისისა და ბიზანტიის საზღვარი IV საუკუნეში და V საუკუნის 60-იან წლებამდე რიზეს მახლობლად გადიოდა.

თუ ეგრისის სამხრეთი საზღვრის საკითხი დღემდე სადავოა, არანაირი პრობლემა არ არსებობს ჩრდილოეთის საზღვართან დაკავშირებით, რომელიც ბიზანტიური და სომხური წყაროების მიხედვით კავკასიონის მთავარ ქედზე გადის. მენანდრე პროტიქტორის მონათხრობით ბიზანტიელი ელჩები სპარსეთის მეფეს უმტკიცებდნენ, რომ ლაზთა მეფეები ადგენენ სვანთა წინამძღოლებს იმპერატორ თეოდოს I-ის (379-395 წწ.) დროიდან და წარუდგენენ ლაზთა მეფეების შესაბამის სიას, რომელიც თარიღდება IV საუკუნის მიწურულიდან V საუკუნის 60-70-იან წლებამდე (ლომოური, 1968, გვ. 70-71; ლომოური, 1973, გვ. 161; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 102-103; ჯანაშია, 1952, გვ. 313-314; Меликишвили, 1959, გვ. 382-384).

შედარებით ადრე უნდა დაექვემდებარებინა ლაზეთს აფშილები, აბაზგები და სანიგები. პროკოფი კესარიელის ცნობით, აფშილები და აბაზგები ლაზთა ქვეშევრდომები არიან (Procop., De BG, VIII, 2, VIII, 3, VIII, 10). იგივე ივარაუდება სანიგების, მისიმიანთა ტომების და სკუმის (ლენხუმი) მიმართ (ლომოური, 1968, გვ. 71-72; ჯანაშია, 1952, გვ. 317; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 103-105; ლეთოდინი, 2003, გვ. 48).

აღმოსავლეთით ეგრისის საზღვარი ლიხის ქედამდე აღწევს. დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ „სომხური გეოგრაფიის“ ცნობით ეს ქვეყანა აღმოსავლეთით კავკასიის მთის ტოტამდე ვრცელდება, რომელიც გაჰყოფს მას და ივერიას (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 103). იგივე მოსაზრების არიან სხვა მეცნიერებიც (ლომოური, 1973, გვ. 160-161; ლეთოდინი, 2003, გვ. 54-55).

ქართულ ისტორიოგრაფიაში IV საუკუნის ბოლოდან ეგრისის-ლაზეთის ჰეგემონობით მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება აღიარებული ფაქტია. ბიზანტიური წყაროების მიხედვითაც ლაზები ძლიერი და მამაცი ტომია, რომელნიც სხვა ტომებზე მბრძანებლობენ და ამაყოფენ კოლხთა ძველი სახელით (Agath. III, 5). ისინი არც ხარკს იხდიან და მათი ერთადერთი ვალდებულება ჩრდილოეთის საზღვრების დაცვაა მომთაბარეთაგან. შესაბამისად, ეგრისის ტერიტორიაზე IV-V საუკუნეებში აღარ დგას რომაელთა ჯარი და ლაზეთის მეფეები რომისადმი მხოლოდ ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, რაც გამოიხატება მათ მეფედ კურთხევაში (Procop. De BP, II, 15) და შესაბამისი ინსიგნიების გაგზავნაში (Agath. Hist., III, 15).

ლაზეთის მეფეებს თავად ჰყავთ ვასალები აბაზგების, სვანეთის, სკვიმიის

მთავრების სახით, რომელთა მოვალეობა იყო ხარკის გადახდა და სამხედრო სამსახური. გამონაკლისი მხოლოდ აფშილეთია, რომელიც უშუალოდ შევიდა ლაზეთის შემადგენლობაში (ლომოური, 1968, გვ. 77-78; ჯავახიშვილი, 1960, გვ. 274; ლეთოლიანი, 2003, გვ. 67; Меликишвили, 1959, გვ. 384; ბერძენიშვილი, 1990, გვ. 491-492; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 113-116; ჯანაშია, 1952, გვ. 318).

ლაზეთის ასეთი გაძლიერება თანდათანობით მიმდინარე პროცესია და გამოწვეული იყო მთელი რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორებით.

უპირველეს ყოვლისა, ძირითადი მაინც თავად ქვეყნის შინაგანი ეკონომიკური განვითარებაა. ეგრის-ლაზეთი მდ. რიონის ხეობაში, მის ორივე ნაპირზე მდებარეობდა, რაც მას საშუალებას აძლევდა ძველთაგანვე მიწათმოქმედების განვითარებისა. ასე უნდა ყოფილიყო გვიანანტიკურ-ადრეშუასაუკუნეების ეპოქაში, განსაკუთრებით მდ. რიონის შუა წელზე, ქუთაისსა და ნოქალაქებს შორის ვაკე ნაწილში, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით გარკვეულ მთლიანობას წარმოადგენს. ბიზანტიური წყაროებიც ხომ კოლხეთის მიწა-წყლის საუკეთესო მხარეს, „მოხირისს,“ მდ. რიონსა და მდ. ცხენისწყალს შორის გულისხმობენ (Procop. De BG, VIII, 14; ლომოური, 1968, გვ. 76). სწორედ ქვეყნის შიგნით სამეურნეო განვითარების შედეგია ახალი ქალაქების წარმოშობა (მოხერის – ქუთაისი, როდოპოლისი, შორაპანი, არქეოპოლისი). ამ დროს არც ერთი ახალქალაქი არ ჩანს დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებში, რაც ნიშანია სხვა მოძმე ტომებთან შედარებით ლაზეთის დაწინაურების. ეკონომიკური და კულტურული მიღწევანი კი მიუთითებს, რომ ლაზიკა ახალი ურთიერთობების განვითარების გზით საგრძნობლად უსწრებს წინ სხვა ტომებს, რომლებიც ლაზთა უმჭიდროესი გავლენის ქვეშ ექცევიან (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 493-494).

ქვეყნის შიდა განვითარების შედეგად მიღწეულ პოლიტიკურ გაერთიანებას თავის მხრივ მოჰყვა სავაჭრო ურთიერთობათა აღმავლობა. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე დ. მუსხელიშვილი საუბრობს ეგრისის სამეფოს განვითარებულ საზღვაო ვაჭრობაზე მეზობელ ქვეყნებთან, რასაც ადასტურებს IV-V საუკუნეებში ბიზანტიური ოქროს მონეტების, ე. წ. სოლიდების მიმოქცევა. სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის მაჩვენებელია რომაული საგზაო რუკა – „Tabula Peutingeriana“, შედგენილი V საუკუნის მეორე ნახევარში გეოგრაფ კასტორიუსის მიერ. ეგრის-ლაზეთის ტერიტორიაზე შავი ზღვის პირას სებასტოპოლისამდე გადიოდა ერთი ასეთი მაგისტრალი, რომელიც შემდეგ უკან იხევდა, გადაჭრიდა დასავლეთ საქართველოს და სომხეთის დედაქალაქ არტაშატს

აღწევდა. ასევე არსებობდა მდ. კოდორის ხეობით ჩრდილოეთ კავკასიაში გადაშავალი „მისიმინეთის გზა“ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 124-125).

ეფიქრობთ, რომ არც ყვირილა-რიონის მაგისტრალის უგულველყოფა იქნება მიზანშეწონილი. შორაპანი, როდოპოლისი და ქუთაისი ხომ სწორედ მის გასწვრივ მდებარეობდნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ეგრის-ლაზეთის გაძლიერებას ხელი შეუწყო საგარეო-პოლიტიკურმა ვითარებამაც. III საუკუნის ბოლოს რომის იმპერიის ცენტრმა აღმოსავლეთში გადმოინაცვლა, რამაც III-IV საუკუნეთა მიჯნაზე აღმოსავლეთში რომის ბატონობის დროებითი განმტკიცება გამოიწვია. IV საუკუნის პირველ ნახევარში რომი ჯერ კიდევ ასერსებს პოზიციების შენარჩუნებას ამიერკავკასია-მესოპოტამიაში. მას ასევე შესწევს ძალა ადადგინოს დაზიანებული ციხესიმაგრეები ლაზეთში და ჰყავდეს სამხედრო ძალა. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ რომის იმპერია (ბიზანტია) პოზიციებს თანდათან კარგავს. 363 წელს ირანთან დადებული ზავის შედეგად რომაელებმა უარი თქვეს სომხეთის საქმეებში ჩარევაზე, ხოლო 377-378 წლებში სომხეთი საერთოდ დაკარგეს. თანადროულად ცნეს ირანის ბატონობა სომხებმაც. IV საუკუნის 70-იანი წლებიდან ირანმა მოიპოვა ბატონობა ქართლზე. 387 წლის საზავო ხელშეკრულებით სომხეთის მხოლოდ ერთი მეხუთედი ერგო ბიზანტიას, დანარჩენი კი ირანს (ღომოური, 1968, გვ. 73-74; ჯანაშია, 1952, გვ. 316-317).

ამკარაა, რომ ძალთა ბალანსი ამიერკავკასიაში ირანის სასარგებლოდ შეიცვალა, რომელიც აგრესიულად მოიწვეს ხმელთაშუა და შავი ზღვებისაკენ. ის იმორჩილებს ალბანეთს, ქართლს, სომხეთს და თანმიმდევრულად ახორციელებს ამ ფრიად მნიშვნელოვანი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიას და ცდილობს ბიზანტიის განდევნას აღნიშნული გეოპოლიტიკური სივრციდან.

ბიზანტიას კიდევ ერთი საგარეო-პოლიტიკური პრობლემა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომთა გააქტიურებამ შეუქმნა. თუ III საუკუნეში გუთები ესხმიან თავს მცირე აზიას და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, IV საუკუნის 60-იანი წლებიდან ისინი ჰუნებმა შეცვალეს, რომლებიც სისტემატურ თავდასხმებს აწარმოებდნენ დუნაისპირეთსა და მცირე აზიის პროვინციებზე. სწორედ ჰუნებმა გაანადგურეს IV საუკუნის 70-იან წლებში პიტიუნტი, რომელიც ბიზანტიის მცირეაზიული პროვინციების შორეულ მისადგომებს იცავდა (ღორთქიფანიძე, 1991, გვ. 93).

დასავლეთში ვესტგოთების აჯანყებისა და მათთან 378 წელს განცდილი მარცხის შემდეგ ბიზანტია ვეღარ ახერხებს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ირანს (ლომოური, 1968, გვ. 74). მას ასევე აღარ შესწევს ძალა აღმოსავლეთ საზღვრის ჩრდილოეთის ფორპოსტები აღადგინოს და შეინარჩუნოს ლაზეთის სანაპიროზე.

ეგრის-ლაზეთი IV საუკუნეში ფაქტობრივად გამოვიდა ბიზანტიის დაქვემდებარებიდან და მისი გარნიზონები აქ აღარ დგანან (ჯანაშია, 1952, გვ. 317; ლანჩავა, 1996, გვ. 36; ლეთოლიანი, 2003, გვ. 50).

ასეთ ვითარებაში ერთადერთი ძალა, ვისაც შეეძლო ბიზანტიისათვის მოკავშირეობა გაეწია და დახმარებოდა მას შეენარჩუნებინა არსებული ვითარება ამიერკავკასიაში, მხოლოდ ლაზეთი იყო. განსაკუთრებით დიდი იყო ლაზეთის როლი ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეებისათვის საზღვრების ჩაკეტვაში, რაც ჯერ კიდევ III საუკუნეში გამოიკვეთა და განსაკუთრებით აქტუალური IV საუკუნეში გახდა.

ფიქრობენ, რომ ლაზეთის გაძლიერება მიმართულია რომის იმპერიის წინააღმდეგ, რომელიც იძულებულია უბრალოდ შეურიგდეს არსებულ ვითარებას (ჯანაშია, 1952, გვ. 315-317). არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომ ლაზეთის გაძლიერება არ უკავშირდება მხოლოდ რომის საშინაო-საგარეო გართულებებს და ეს პროცესი სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული (Меликишвили, 1959, გვ. 382-384). ნ. ლომოური ვარაუდობს, რომ ლაზეთის და ბიზანტიის ურთიერთობა ნებაყოფლობით კავშირზე იყო დამყარებული, რადგან შექმნილ ვითარებაში ბიზანტიის ხელისუფლებას მორჩილ ვასალზე უფრო ძლიერი მოკავშირე ესაჭიროება. შესაბამისად, იგი იძულებულია შეურიგდეს ლაზეთის გაძლიერებას და ხელი შეუწეოს მის ტერიტორიულ გაფართოვებას განსაკუთრებით ჩრდილოეთით, „რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათი მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გავლით რომაელთა მიწაწყალში არ შემოჭრილიყვნენ“ (Procop. De BP, II, 15; ლომოური, 1968, გვ. 74-75). ლაზეთის ამ ფუნქციაზე საუბრობენ ასევე გ. მელიქიშვილი და ე. კახიძე (კახიძე, 2002b, გვ. 116; Меликишвили, 1959, გვ. 75).

ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ნ. ლომოურის მოსაზრებას და ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერია ასევე არ ეწინააღმდეგებოდა ლაზიკის ტერიტორიების გავრცობას სამხრეთის მიმართულებით. თუ მისი მოკავშირე – ვასალი შეძლებდა ძიდრიტების და მაკრონ-ჰენიოხთა ტერიტორიების კონტროლს, რომი მოახერხებდა მეტი სამხედრო ძალების მობილიზებას უშუალოდ აღმოსავლეთი პროვინციების

დასაცავად. ასევე არ გამოვრიცხავთ, რომ სამხრეთის ტერიტორიებზე პოლიტიკური კონტროლი იყო კიდევ პირობა და მოთხოვნა ლაზიკისა ჩრდილოეთის ზეკარების დაცვისათვის.

შექმნილ ვითარებაში ლაზეთში რომაული გარნიზონების ყოფნა არ არის სავარაუდო (Меликишвили, 1959, გვ. 382-385; ლომოური, 1989, გვ. 66; ლანჩავა, 1996, გვ. 36; ჯანაშია, 1952, გვ. 317-318). როგორც აღნიშნავს ნ. ლომოური, ამ სავსებით სწორ დებულებას ადასტურებენ პროკოპი კესარიელის მონაცემები: „ისინი მტკიცედ იცავდნენ საზღვრებს ისე, რომ არც ფულს დებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად“ (Procop. De BG, II, 15). შესაბამისად, VI საუკუნემდე გამოირიცხება ლაზეთში რომაული ჯარის ყოფნა (ლომოური, 1989, გვ. 66).

მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ბიზანტიის უშუალო დიქტატიდან გამოსვლა არ ნიშნავდა მათი ჯარების მიერ ქვეყნის დატოვებას და ბიზანტია კვლავ ფლობდა ეგრისზე პოლიტიკური ზეწოლის საშუალებებს (კახიძე, 2002b, გვ. 117, 121). კერძოდ, მას უშუალოდ ემორჩილებოდა პოლემონის პონტოს პროვინციაში შემავალი „აბაზგია“ და IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნის პირველ ნახევარში, ეგრისის ძლიერებისა და აყვავების პერიოდში, აქ ბიზანტიური გარნიზონები იღვა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 117; ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 191-193; Леквинадзе, 1969, გვ. 88; თოდუა, 2003a, გვ. 37-38). სხვა მკვლევართა აზრით კი ბიზანტია ასევე აკონტროლებდა ეგრისის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთს მდ. ფასისის მარცხენა სანაპიროდან მდ. ჭოროხის შესართავამდე, რომელიც კაპადოკიის პონტოს გამგებლობაში იყო (გრიგოლია, 1994, გვ. 132-133).

თუ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებებს, მივიღებთ პარადოქსულ სიტუაციას. აღმოჩნდება, რომ ყველა მკვლევართა აღიარებით თავისი ძლიერების მწვერვალზე მყოფი ეგრის-ლაზეთი დამოუკიდებლად აკონტროლებს თავისი ზღვისპირა ტერიტორიების მხოლოდ მცირე ნაწილს, მდ. გუდავადან მდ. ფაზისამდე (ფაქტიურად თანამედროვე სამეგრელოს ზღვისპირეთს), ხოლო სხვაგან რომაელთა (ბიზანტიელთა) გარნიზონები დგანან. ეს ხდება იმ დროს, როდესაც „კაკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი“ (Procop. De BG, II, 28), ბიზანტიელნი კი მთელი სამხედრო ძალების დაძაბვით ძლივს ახერხებენ აღმოსავლური პროვინციების დაცვას. არქეოლოგიური და წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ IV საუკუნის მეორე ნახევრიდან აფსაროსში არ დგანან უცხო ქვეყნის

სამხედრო ნაწილები (კახიძე, 2002b, გვ. 118-119; კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 30-32). იგივე შეიძლება ითქვას ფასისის (თოდუა, 2003a, გვ. 36) და პიტიუნტის მიმართ (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 105).

ყველა მონაცემის მიხედვით აშკარაა, რომ V საუკუნის 60-იან წლებამდე ლაზიკა ბიზანტიის იმპერიის ძირითადი საყრდენი და ერთადერთი ამიერკავკასიური მოკავშირეა (Braund, 1994, გვ. 271) და ეს ხდება დასავლეთში გართულებული საგარეო პოლიტიკური ვითარების ფონზე. V საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტია ებრძვის ვანდალების შემოტევას, ხოლო 30-იანი წლებიდან ჰუნებს ატილას მეთაურობით. 441-442 და 447-452 წლებში ბიზანტიამ განიცადა ატილას ურდოთა შემოსევა და მძიმე ფასად იყიდა ზავი. გართულდა საშინაო ვითარება „ნესტორიანული“ და „მონოფიზიტური“ მწვალებლური რელიგიური მიმართულებების გამო, რომლებიც იდეოლოგიურ იარაღად იქცნენ აღმოსავლური პროვინციების მოსახლეობისათვის ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში (ლომოური, 1968, გვ. 85-86).

მაგრამ ვითარება იცვლება V საუკუნის 50-60-იანი წლებიდან, როცა იწყება ვითარების დაძაბვა ბიზანტიასთან. ლაზეთის მეფე გუბაზი ბიზანტიის საგარეო და შინაგანი სირთულეების გათვალისწინებით ცდილობს თავის დადევას იმპერიისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან, რასაც ბიზანტიური წყაროების მიხედვით ორი ომი მოჰყვა. პრისკე პანიონელი მოგვითხრობს, რომ იმპერატორ მარკიანეს (450-458 წწ.) ჯარი გაუგზავნია ლაზეთში, რომელიც საომარი მოქმედების შემდეგ უკან დაბრუნდა. გუბაზ მეფეს ჰქონდა უშედეგო მცდელობა სპარსეთისათვის დახმარება ეთხოვა, რის შემდეგაც ელჩების მეშვეობით კვლავ ბიზანტიის იმპერატორს სთხოვა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. მოლაპარაკების საგანი გახდა გუბაზის მიერ ეგრისის ტახტზე თანამოსაყდრედ მისივე ვაჟის წათეს საკითხი. იმპერატორი ითხოვდა, რომ გუბაზი ან თვით ყოფილიყო ტახტზე ან შვილისათვის დაეთმო მეფობა. გუბაზმა ბოლო პირობა არჩია, ტახტი შვილს დაეთმო და გარკვეული საგარანტიო პირობების მიღებით, ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად უკვე იმპერატორ ლეონ I ეწვია 465 წლის ხანძრის შემდეგ (Prisc. Pan., fr. 25, 26, 34). ნ. ლომოური ვარაუდობს, რომ ლაზეთის მეფე შეეცადა ბიზანტიის ვასალობიდან თავის დახსნას, მაგრამ უშედეგოდ (ლომოური, 1973, გვ. 167-169; ლომოური, 1968, გვ. 85-86). იგივეს ფიქრობს დ. მუსხელიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ბიზანტია არც ისე დაუძლურებული იყო, რომ სრული თავისუფლება მიეცა ლაზიკისათვის. მკვლევარი ასევე თვლის,

რომ ბიზანტიასთან კონფლიქტის მიზეზი მარტო თანამოსაყდრეობის საკითხი როდი იყო. მისი აზრით ძირითადი მიზეზი ბიზანტია-ეგრისის კონფლიქტისა იყო ისეთი ფუნდამენტური პრობლემა, როგორცაა ტერიტორიული პრეტენზიები. კერძოდ, ბიზანტიის მიერ მდ. ღალიძგასა და მდ. კოდორს შორის ტერიტორიის და ასევე სამხრეთით ეგრისის კუთვნილი მიწების მიტაცება-დაკავება. შესაბამისად ბიზანტიამ ასე დასაჯა ვასალი, რომელმაც სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოინდომა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 119, 151-153).

ბიზანტიის მიერ ეგრისის სამხრეთი საზღვრის ხელყოფის მცდელობა მიიჩნია მასთან კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დ. ლეთოდიანს, რომელიც თვლის, რომ ეს დაპირისპირება ეგრისის სამეფოს სახელმწიფო საზღვრის ხოფა-ხუფათთან გადმოტანით დასრულდა. ხოფა-ტრაპიზონს შორის მცხოვრები ხალხები დამოუკიდებლად გამოცხადნენ და ეგრისის ეპისკოპოსს მათზე კონფესიური გავლენა შეუნარჩუნდა (ლეთოდიანი, 2003, გვ. 59-60, 65).

აღნიშნული მოვლენების სხვაგვარი ინტერპრეტაცია ეკუთვნის გ. გრიგოლიას, რომელიც ფიქრობს, რომ გაძლიერებული ლაზიკის სამეფო ველარ ეგუება ძველი კოლხეთის კუთვნილი ტერიტორიის დაკარგვას და იბრძვის ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად. პრისკე პანიონელის ზემოთმოყვანილი ცნობები მკვლევარს აძლევს საშუალებას ივარაუდოს, რომ რომაელებმა დიდი ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, მაგრამ წარმატების გარეშე. მეფე გუბაზმა კი დიდი ბრძოლითა და დიპლომატიურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის გამოყენებით მოახერხა ლაზიკის სამეფოს მთლიანობის აღდგენა დიოსკურიას-სებასტოპოლისიდან მოყოლებული აფსაროს-ჭოროხის სექტორის ჩათვლით. შესაბამისად, V საუკუნის 50-70-იანი წლები არის ეგრის-ლაზიკის ძლიერების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პერიოდი (გრიგოლია, 1994, გვ. 133-140).

V საუკუნის მეორე ნახევარში ეგრისის დასუსტების ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევენ 457-474 წლებს შორის სვანეთის განდგომას და დამოუკიდებლობის მოპოვებას. ნ. ლომოური თვლის, რომ წყაროების უქონლობის გამო ძნელია ამ ფაქტის მიზეზების გარკვევა. მკვლევარის აზრით სვანეთის მთავრებმა ისარგებლეს ეგრის-ლაზიკისა და ბიზანტიას შორის ვითარების გართულებით და თავი დაიხსნეს ვასალური დამოუკიდებლობისაგან (ლომოური, 1968, გვ. 79, 86).

გ. მელიქიშვილი ჯუანშერის ცნობების მიხედვით, რომელიც მოგვითხრობს ვახტანგ გორგასალის ძლევაშემდეგ ლაშქრობაზე დასავლეთ საქართველოში და იქ ეგრისის, სვანეთის, მარგვისა და თაკვერის საერისთაოების შექმნაზე (ქართლის

ცხოვრება, 1955, გვ. 157-158), ფიქრობს, რომ სვანეთი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა (Меликишвили, 1959, გვ. 386).

იგივე შეხედულებას იზიარებს დ. მუსხელიშვილი, რომელიც თვლის, რომ V საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსათვის ირანი იმორჩილებს ეგრისის სამეფოს ქართლის მეფის ვახტანგ გორგასალის უშუალო მონაწილეობით თუ ინიციატივით. ეგრისი საერისთავოდ დანაწილდა და შიდა ეგრისისა და სვანეთის გამგებელი (ალბათ, ეგრისელთა სამეფო დინასტიიდან) ირანის შაჰის მიერ ინიშნებოდა, თუმცა ითვლებოდა ქართლის ერისთავად (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 161).

გ. გოზალიშვილი თავის სპეციალურ გამოკვლევაში განიხილავს შესაბამის ცნობებს და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია სვანები თავიდანვე მართლაც ლაზთა მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ შემდეგ იძულებულნი გამხდარან ირანელების მხარეზე გადასულიყვნენ, თუმცა ძნელია გარკვევა როდის მოხდა ეს (გოზალიშვილი, 1936, გვ. 214-219).

დ. ლეთოდიანი ასევე აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ V საუკუნის II ნახევრიდან VI საუკუნის 20-იან წლებამდე ეგრისის სამეფო მინიმალურადაა დამოკიდებული ბიზანტიაზე, რომელიც ამ დროისათვის აღარ ერევა მის შინაურ საქმეებში. ეგრისის ხელისუფლება თავად უნდა აწესრიგებდეს მასში შემავალი სამთავროების, მათ შორის სვანეთის მთავართა გახელისუფლების საქმეს და შესაბამისად აღარ აგზავნის წერილობით ცნობებს ბიზანტიაში, როგორც ამას აკეთებდა თეოდოს I (379-395 წწ.) დროიდან ვიდრე ლეონ I-მდე (457-474 წწ.). მკვლევარი მიიჩნევს, რომ სვანეთი V საუკუნის მეორე ნახევრიდან 551 წლამდე ეგრისის სამეფოს გავლენის ქვეშაა (ლეთოდიანი, 2003, გვ. 67-79).

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს სვანეთის საკითხი, ფაქტია, რომ V საუკუნის 60-იანი წლებიდან VI საუკუნის ბოლომდე ის ძლიერ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეგრის-ლაზიკის, ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობებში, გეოპოლიტიკურ ასპარეზზე ხშირად განსაზღვრავს მხარეთა სტრატეგიას და საკვანძო დანიშნულებას იძენს.

აღნიშნული სტატუსი სვანეთმა 467-468 წლებში შეიძინა, როდესაც მიმდინარეობდა ომი სვანეთსა და ლაზეთს შორის და ამ ომში ხდებოდა ბიზანტიისა და ირანის (ქართლის) საომარი ძალების ჩართვა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 155).

ეგრისისა და სვანეთის კონფლიქტში პრისკე პანიონელის ცნობის მიხედვით

აქტიურად ერევიან ბიზანტია და ირანი. სპარსელები და იბერები სვანეთს ეხმარებიან, ხოლო ლაზიკის მეფე ბიზანტიას სთხოვს დახმარებას და სომხეთში მყოფი ჯარების გაგზავნას (Prisc. Pan., fr. 41). ბიზანტიას თავისი გეოსტრატეგიული ინტერესების გამო ნამდვილად არ აწეობს კავკასიონის უღელტეხილების ჩამკეტი სვანეთის სპარსოფილური ორიენტაცია და ჰერაკლეს მეთაურობით დამხმარე ჯარებს უგზავნის ლაზეთის მეფეს. მაგრამ მეორეჯერ, როდესაც სპარსელებმა განაახლეს ომი და ლაზეთის მეფემ კვლავ მიმართა დახმარებისათვის ბიზანტიის იმპერატორს, მან თავდაპირველად აღუთქვა შემწეობა, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს თავი შეიკავა. ნ. ლომოური ფიქრობს, რომ ბიზანტიასა და ირანს შორის რაღაც შეთანხმება მოხდა და ამის გამო ლაზეთმა ვეღარ აღიდგინა ბატონობა სვანეთზე (ლომოური, 1989, გვ. 81-83).

სრულიად განსხვავებული მიდგომა აქვს სვანეთის საკითხისადმი გ. გრიგოლიას, რომელიც თვლის, რომ კონფლიქტური ურთიერთობის წარმოშობა სვანეთსა და ლაზიკას შორის ლაზეთის სისუსტის კი არა, არამედ მისი შემდგომი გაძლიერების ნიშანია. ლაზეთს აღარ აკმაყოფილებს მარტივ ეკონომიკურ ურთიერთობაზე დამყარებული კავშირი და იგი ცდილობს უფრო მტკიცე, ბარის ფეოდალური კანონების შესაბამისი ურთიერთობის დამკვიდრებას მაღალმთიან სვანეთში, რისთვისაც იპყრობს სვანეთის ციხეებს (გრიგოლია, 1994, გვ. 140).

საინტერესოა, რომ პრისკე პანიონელის აღნიშნულ ცნობაში მოხსენიებულნი არიან იბერები. ეს ინფორმაცია და ასევე ჯუანშერის ისტორია ვახტანგ გორგასლის შესახებ, ქართველ მკვლევართა ნაწილს აძლევს საშუალებას ივარაუდონ ქართლის სამეფოს აქტიური სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა ეგრისში, რაც მისი ქართლთან შეერთებაში და საერისთაოებად დანაწილებაში გამოიხატა (Меликишвили, 1959, გვ. 386; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 161). დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ ვახტანგ გორგასალს არ შეიძლებოდა არ ესარგებლა დასავლეთ საქართველოში განვითარებული პოლიტიკური კრიზისით თავისი გეგმების განხორციელების თვალსაზრისით და არ გამორიცხავს, რომ სვანეთის აჯანყება მისივე ინსპირირებული იყო. მკვლევარი ვარაუდობს, რომ ვახტანგ გორგასალმა ეგრისი 469 წელს შემოიერთა მდ. კელასურამდე, რომლის იქით ტერიტორია ბიზანტიას ეკუთვნოდა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 156-157, 162).

იგივე მოსაზრებას იზიარებს მ. ლორთქიფანიძე, რომელიც ამბობს, რომ ვახტანგ მეფის მონაწილეობა სვანების მხარეს ლაზიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ქართლის მეფემ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და

გაავრცელა ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე (ლორთქიფანიძე, 1998, გვ. 90).

ნ. ლომოური ფიქრობს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებში ქართლის მონაწილეობა გაზვიადებულია. იბერთა სამხედრო აქტიურობა მხოლოდ დასაწყისშია დაფიქსირებული და ისიც ირანელთა მორჩილი ვასალის რანგში. მეცნიერი ასევე უსაფუძვლოდ თვლის ჯუანშერის მონათხრობს და გამორიცხავს V საუკუნის ბოლო მეოთხედში ქართლის პოლიტიკურ ბატონობას ეგრისში, რომელიც კვლავ ბიზანტიის ვასალად რჩება (ლომოური, 1968, გვ. 80-84; 1989, გვ. 83-85).

ჩვენი ვარაუდით სრული უარყოფა ჯუანშერის ცნობებისა ეგრისში ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობასთან დაკავშირებით არ იქნება მიზანშეწონილი. მართალია, ჯუანშერი ხშირად აზვიადებს ვახტანგის საქმიანობას და მის თხრობაში ბევრი უზუსტობაა. ასევე ის არ არის სათანადოდ გარკვეული მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო სიტუაციაში (ლომოური, 1968, გვ. 81-82), მაგრამ თუნდაც პრისკე პანიონელის აღნიშნულ ცნობაში იბერიელების სამხედრო რაზმების მონაწილეობა ლაზებსა და სვანებს შორის საომარ მოქმედებებში ყურადღებას იქცევს და მისი უგულებელყოფა არ არის მართებული. აქ საქმე გვაქვს სამხედრო ოპერაციებთან, რომელიც რამდენიმე წელი გავრძელდა და ციხე-სიმაგრეთა აღება-წართმევაში გამოიხატა (Prisc. Pan., fr. 41). ძირითადად აქ სვანეთის ციხეებზეა საუბარი, მაგრამ ასევე არ გამოვრიცხავთ საომარ ოპერაციებს უშუალოდ ეგრისელთა ტერიტორიაზე.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ V საუკუნის II ნახევარში ეგრისის ციხე-ქალაქების მასშტაბურ ნგრევას. მაგალითად, ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის მასალები მოწმობენ სასიმაგრო სისტემის და სხვა ნაგებობათა (ციხე-დარბაზი, „სამლოცველო სახლი“) ნგრევა-განადგურებას. ასევე სერიოზულადაა დაზარალებული ციხე-გოჯი. ამ კატასტროფას, მიუხედავად იმისა, რომ აგრესორის დადგენა ჭირს, უკავშირებენ ბიზანტიელთა დამსჯელ ექსპედიციას V საუკუნის 60-იან წლებში (ლანჩავა, 1996, გვ. 127-128; ლანჩავა, 2007, გვ. 124; ლომოური, 1989, გვ. 80).

მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დამაჯერებლად ჩანს ეგრისის მთავარი ქალაქების ციხე-გოჯ-არქეოპოლისისა და ქუთაისის დანგრევა-დაზიანება ბიზანტიელთა სამხედრო ლაშქრობის დროს V საუკუნის მეორე ნახევარში, მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ პირველი ომი ლაზეთისათვის წარმატებით

დამთავრდა და რომაელებმა დატოვეს კოლხეთი (გრიგოლია, 1994, გვ. 134, კახიძე, 2002b, გვ. 131). თავად ნ. ლომოური ამბობს, რომ პირველი ომი მაინცდამაინც შედეგის არ ყოფილა (ლომოური, 1968, გვ. 84). მოხდა თუ არა მეორე ლაშქრობა, პრისკე პანიონელის ფრაგმენტიდან არ ჩანს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ რომაელები ბჭობენ სახმელეთო გზების შერჩევასთან დაკავშირებით, მაგრამ ილაშქრეს თუ არა, არ არის ცნობილი. შემდგომი თხრობა მხოლოდ საზავო მოლაპარაკებებს ეხება (Prisc. Pan., fr. 25, 26). თუ სამხედრო ექსპედიციისას ქვეყნის მთავარი ქალაქები დანგრეულ-განადგურებულია, მაშინ საუბარი ბიზანტიელთა ლაშქრობის წარუმატებლობაზე და უშედეგობაზე არალოგიკურია. მათ ამ შედეგების მიხედვით ქვეყანა დაპყრობილი აქვთ და ხანგრძლივი საზავო მოლაპარაკებებიც არ იქნებოდა საჭირო. ჩვენ კი სრულიად სხვა სურათს ვხედავთ. ეგრის-ბიზანტიის დიპლომატიური ურთიერთობა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და 465 წელს დასრულდა (Prisc. Pan., fr. 34)

აღნიშნულიდან გამომდინარე არ გამოვრიცხავთ, რომ ეგრისის ციხე-ქალაქების ნგრევა მომხდარიყო სვანეთთან კონფლიქტის დროს და ეს სპარსელებისა და მათი დროშის ქვეშ მებრძოლი იბერიელების და სვანების სამხედრო ოპერაციებთან ყოფილიყო დაკავშირებული. თუ გავიზიარებთ შეხედულებას V საუკუნის 60-იან წლებში ირანის მიერ უშუალოდ ან ქართლის მეშვეობით ეგრისის დამორჩილების შესახებ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 161), მაშინ ძნელი წარმოსადგენია, რომ საკუთარი დამოუკიდებლობის დაკარგვას ეგრისი უომრად, უმსხვერპლოდ და ციხე-ქალაქთა ნებაყოფლობითი ჩაბარებით დამორჩილებოდა. თუმცა ვთვლით, რომ ეს მხოლოდ ვარაუდია და საკითხი შემდეგ კვლევას მოითხოვს. ამ თემას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ეგრის-ლაზიკის სამეფოს პოლიტიკური ცენტრების საკითხის განხილვისას წარმოდგენილი ნაშრომის შესაბამის თავში.

ერთი რამ აშკარაა, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში ეგრისში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება და ისინი არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო მასშტაბის მქონე პრობლემებთან არიან დაკავშირებული. ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ დროს იწყება მზადება კავკასიის ამ უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის დასაკავებლად ბრძოლისათვის. უპირველესად ეს ეხება ირანს, რომელიც სვანეთის საკითხთან დაკავშირებით პირველად გამოჩნდა ეგრისში და ეს სრულიად არ არის შემთხვევითი ფაქტი. ძალიან კარგად შენიშნა ნ. ბერძენიშვილმა პროკოპი კესარიელის ცნობების

ანალიზისას, რომ ამ დიდი მეტოქეობის პირობებში სპარსეთი თანდათანობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რომის გასატეხად აუცილებელია ლაზიკის დაპყრობა, რომელიც ბიზანტიონის გასაღებია, როგორც ხმელეთით, ისე ზღვით შეტევისას (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 500). ასევე თანდათანობით იწყება ბიზანტიის სტრატეგიული პოლიტიკის გააქტიურება ლაზეთის მიმართ, რაც დაკავშირებული იყო რომის იმპერიის სასიცოცხლო ცენტრების აღმოსავლეთში საბოლოოდ გადმონაცვლებასთან და აღმოსავლეთის ფრონტის მნიშვნელობის ზრდასთან ბიზანტიის საგარეო პოლიტიკაში (ლომოური, 1968, გვ. 86).

ვფიქრობთ, რომ ეგრის-ლაზიკის მმართველმა წრეებმა V საუკუნის 60-იან წლებში ბიზანტიასთან კონფლიქტის შემდეგ შეიგრძნეს ცვლილებანი მის პოლიტიკაში ეგრისის მიმართ და დაიწყეს სხვა სტრატეგიული პარტნიორის ძიება.

ეგრისის ხელისუფალთ არ შეეძლოთ, რომ არ დაენახათ ბიზანტიის აგრესიული პოლიტიკის შედეგები მათ მეზობლად სამხრეთით. ფაქტიურად მოხდა სამხრეთ კოლხეთის დიდი ნაწილის ბიზანტიურ სახელმწიფოებრივ სივრცეში ინკორპორაცია. რიზეს დასავლეთით მცხოვრებ მოსახლეობას პროკოპი კესარიელი რომაელებს ეძახის (Proc., De BG, VIII, 2). ამასთანავე თავისუფლებისმოყვარე მთიელი ჭანები ჩააყენეს ბიზანტიის იმპერიის სამსახურში (Proc. De BP, I, 15) და დაიწყეს მათი გამოყენება მათივე მონათესავე ტომების წინააღმდეგ (კახიძე, 2002b, გვ. 131-133).

არ არის გამორიცხული, რომ სვანეთის აჯანყების შემდეგ კვლავ მოხდა მისი დაბრუნება ეგრისის სამეფოს ფარგლებში, მაგრამ შესაძლოა უკვე ირანის ხელიდან და იმ პირობით, რომ ეგრისის მეფეებს აეღოთ პოლიტიკური ორიენტაცია ირანისაკენ. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ გარკვეული პოლიტიკური კონტაქტები არსებობდა V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასაწყისში და ამაზე თავად ბიზანტიელი ისტორიკოსებიც საუბრობენ. ის, რომ ეგრისის ხელისუფალნი V საუკუნის 60-იანი წლებიდან ცდილობენ პოლიტიკურ ლავირებას ორ დიდ სახელმწიფოთა შორის, გამოჩნდა გუბაზ I საქციელით. როდესაც მეფე კონსტანტინეპოლში ჩავიდა, მას სპარსული ტანსაცმელი ეცვა და შუბოსნებიც ახლდა (Prisc. Pan., fr. 34). ამ პოლიტიკურ ნაბიჯს თვლიან გუბაზის პოლიტიკური სიმპათიის გამოვლინებად, რაც გამოწვეული იყო მეფის „სპარსოფილური პოლიტიკით“ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 154). VI საუკუნის 20-იან წლებში ირანისა და ბიზანტიის საზავო მოლაპარაკებისას ირანის ელჩის მიერ ნათქვამი სიტყვები: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება, ძველთაგანვე რომ სპარსელთა

ქვეშევრდომი იყო“ (Proc. De BP, I, 11), აძლევს დ. მუსხელიშვილს იმის თქმის საშუალებას, რომ სპარსელებს საამისოდ გარკვეული საფუძველი ჰქონდათ. ის თვლის, რომ V საუკუნის ბოლო მესამედიდან ეგრისი ირანის ქვეშევრდომი გახდა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 269-270).

ნ. ლომოური არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ სპარსელი ელჩის მიერ დიპლომატიური მოლაპარაკების დროს ნათქვამი სიტყვები ვერ გამოდგება V საუკუნის 60-იანი წლების ვითარების გასარკვევად. მკვლევარის ფიქრით არანაირი საფუძველი არ არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ VI საუკუნის დასაწყისამდე ეგრისი გამოვიდა ბიზანტიისადმი ვასალური დამოკიდებულებიდან. ბიზანტია-ირანს შორის 442-502 წლებში მშვიდობა სუფევდა და თავად ირანს მძიმე საშინაო და საგარეო ვითარება ჰქონდა. თუმცა ნ. ლომოური არ გამორიცხავს ირანის ქვეშევრდომობაში ეგრისის დროებით ყოფნას, მაგრამ თვლის, რომ ერთადერთი ხანმოკლე პერიოდი, როდესაც ეს შეიძლება მომხდარიყო, ესაა 502-506 წლების ომი, რომელიც ირანისათვის წარმატებით განვითარდა (ლომოური, 1989, გვ. 38-39).

VI საუკუნის დასაწყისიდან რომის იმპერიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ირანის ტერიტორიული ექსპანსიის გეზი უმთავრესად კავკასიისაკენ იყო მიმართული. ირანელები აღარ სჯერდებიან ამიერკავკასიის ქვეყნების ვასალურ მდგომარეობას და თავიანთ პროვინციებად აქცევენ მათ. 523 წელს ქართლის მეფე გურგენი ირანელებს აუჯანყდა, მაგრამ დამარცხდა და თავი ეგრისს შეაფარა. ირანელები ამის შემდეგ ქართლებს ნებას აღარ აძლევდნენ საკუთარი მეფე ჰყოლოდათ (Procop. De BP, I, 12; II, 28). ამრიგად, ქართლში მეფობა მოისპო, რის შემდეგაც ირანელებმა მთელი გულისყური ეგრისის დაპყრობაზე გადაიტანეს. შაჰის სამეფო კარზე კარგად ითვისებისწინებდნენ ამ ქვეყნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბიზანტიის კავკასიიდან განდევნისა და ქართლის საიმედოდ ფლობის საქმეში (ბოგვერაძე, 1973, გვ. 246-249). ქართლისა და ლაზიკის დასაკუთრება მარტო კავკასიაში გაველენის მოპოვებას არ ნიშნავდა. ეს იყო ევროპასა და აზიას შორის ხიდი და კარები, რომლის გასაღების ფლობა ირანის მიერ ევროპის აღმოსავლეთთან სავაჭრო მონოპოლიის ხელში ჩაგდებას უზრუნველყოფდა (გოზალიშვილი, 1944, გვ. 101).

ეგრისის სამეფოს მესვეურებმა როგორც ჩანს სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება და გაითვალისწინეს რა ირანის მხრიდან მომავალი საფრთხე,

გადაწყვიტეს ბიზანტიასთან ურთიერთობების აღდგენა.

523 წელს ლაზეთის „მეფე წათე გაჯავრდა, ჩამოშორდა სპარსეთს... წათე ამ კოადის სამეფოს ქვეშევრდომი იყო... ხოლო როდესაც გარდაიცვალა მისი მამა დამნაზე, მაშინვე მივიდა იუსტინე მეფესთან ბიზანტიონში, გამოაცხადა თავი მის მორჩილად და სთხოვა მეფედ მაკურთხეო. მეფემ მიიღო ის და აკურთხა“ (Joan. Malula, Chronogr. XVII). ნათელია, რომ ეგრისის მეფემ კარგად დაინახა ირანის ბატონობის შედეგები ქართლში. წათე ადრე წარმართთა სარწმუნოებაზეც კი გადავიდა, რომ კავად შაჰისაგან მეფობა მიეღო, მაგრამ ქართლის მაგალითმა მას აჩვენა ირანის ვასალობის მომავალი პერსპექტივები, რამაც გამოიწვია მისი „გაჯავრება“. შესაბამისად, გადაწყდა პოლიტიკური ორიენტაციის კვლავ ბიზანტიისაკენ აღება და ზემოთაღნიშნული გზით განხორციელდა კიდევ.

დ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, რომ წათემ ისარგებლა იმ გართულებული ვითარებით, რომელიც ირანს შეექმნა ქართლში და გამოვიდა სპარსეთის ქვეშევრდომობიდან. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა ვახტანგ გორგასლის დროინდელი ერთიანი ქართლის სამეფოსაგან გამოყოფას და ეგრისის „დამოუკიდებელი“ სამეფოს ხელმეორედ აღდგენას (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 269). ვფიქრობთ, რომ აქ საქმე გვაქვს არა ირანის გართულებულ მდგომარეობასთან ქართლში, არამედ პირიქით ქართლის პროვინციად გადაქცევასა და იქ მეფობის გაუქმებასთან. არ გამოვრიცხავთ, რომ წათე და გურგენი შეთანხმებულად მოქმედებდნენ ბიზანტიის დახმარების იმედით. დამარცხებულმა გურგენმაც თავი სწორედ ლაზიკას შეაფარა და იქ იგერიებდა მტერს, შესაძლოა ეგრისელებთან ერთად. ჩვენ ვერც იმ მოსაზრებას გავიზიარებთ, რომ ეგრისმა წათეს დროს აღიდგინა „დამოუკიდებლობა“. დ. მუსხელიშვილი თავად აღნიშნავს, რომ წათე უკვე მეფე იყო, როდესაც სპარსელებს განუდგა და ხელმეორედ ეკურთხა ლაზთა მეფედ, ახლა უკვე როგორც კეისრის ვასალი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 269). წათეს ირანის მოკავშირეობა იმდენად ესაჭიროებოდა, რამდენადაც ის დამხმარე ძალად გამოადგებოდა ბიზანტიასთან დაპირისპირებაში, თორემ თუკი ირანისაგან შეექმნებოდა ეგრისის სუვერენიტეტს საშიშროება, მაშინ რაღა აზრი ექნებოდა მასთან მოკავშირეობას (ლეთოლიანი, 1998, გვ. 116). შექმნილი პირობების გამო ირანის ვასალობა ბიზანტიის ვასალობით შეიცვალა. წათეს და გურგენის განდგომა-აჯანყებამ დაძაბა ირან-ბიზანტიის ურთიერთობა, თუმცა ამჯერად საქმე ომამდე არ მივიდა და დიპლომატიური კენჭლაობით დასრულდა. ბიზანტიამ ეგრისის საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნებით კვლავ მოიპოვა ტაქტიკური

უპირატესობა, რომლის ჯეროვანი გამოყენების მიზნით გადაწედა ამ ქვეყანაში ჯარების შეყვანა და სასაზღვრო ციხეების გამაგრება, რომელთაც ძველთაგანვე ადგილობრივი მცხოვრებლები იცავდნენ (Procop. De BP, I, 12). აღმოსავლეთის სასაზღვრო სიმაგრეები – შორაპანი და სკანდა, თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ბიზანტიელებმა თავად ჩაიბარეს და ეგრისელ მცველთა ნაცვლად საკუთარი გარნიზონები ჩააყენეს, რომელთა მომარაგება სურსათ-სანოვაგით კვლავ ეგრისელებს დააკისრეს. პროკოპი კესარიელის მიხედვით, გარკვეული დროის შემდეგ ეგრისელებმა უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და ბიზანტიელებმა დატოვეს დასახელებული ციხეები (Procop. De BP, I, 12). ბიზანტიელების ცალკერძო მოქმედებამ, რომლებიც ეგრისელ ხალხს თავისთავად ციხე-სიმაგრეებს არ ანდობდნენ დასაცავად (ბოგვერაძე, 1973, გვ. 250) და ეგრისელთა აუხსნელმა პასიურობამ საშუალება მისცა ირანს უბრძოლველად დაეკავებინა სასაზღვრო ციხეები, რომლებიც შესანიშნავ პლაცდარმს წარმოადგენდნენ საომარი მოქმედებების დასაწყებად. ვფიქრობთ, რომ ციხეთა დატოვება განაპირობა ბიზანტიელთა არჩეულმა სამხედრო ტაქტიკამ და ეგრისელთა მიმართ მათი ბრალდებები მხოლოდ თავის მართლებას.

ირანელების შემოსვლამ ეგრისში ბიზანტიელები საგონებელში ჩააგდო და მათ სასწრაფოდ დაიწყეს ქვეყნის შუაგულისა და ზღვისპირა ნაწილის გამაგრება (ბოგვერაძე, 1973, გვ. 250).

ირანმა 528 წელს ომი გამოუცხადა ეგრისს. ბიზანტიამ წათეს თხოვნით სამი სტრატეგიატი გამოუშვა ლაზიკაში, მაგრამ ერთმანეთის შურით შეპყრობილმა სარდლებმა თავი ვერ გაართვეს ორგანიზებულ წინააღმდეგობას. იმპერატორმა იუსტინიანემ ახალი სარდალი პეტრე სტრატეგიატი გამოავაზვნა და ამჯერად ბიზანტია-ეგრისის გაერთიანებულმა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს ირანელები (ლეთოდინი, 1998, გვ. 116; ბოგვერაძე, 1973, გვ. 251).

როგორც მოსალოდნელი იყო, ბიზანტიასა და ირანს შორის ეგრისის ტერიტორიაზე მომხდარი ლოკალური შეჯახება ფართო მასშტაბიან ომში გადაიზარდა.

დ. მუსხელიშვილი ეგრისის ტერიტორიაზე ბრძოლებს 530 წლით ათარიღებს და თვლის, რომ ისინი წარმატებული გამოდგა სპარსელთათვის ამიერკავკასიაში, რადგან მათ ამ დროს დაიკავეს სკანდის, შორაპნის, მუხირისის და ლისირის სტრატეგიული პუნქტები (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 271-272).

ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565 წწ.) და ირანის შაჰმა ხოსრო I

ანუშირვანმა (531-579 წწ.) 531 წელს გამართეს დიპლომატიური მოლაპარაკება და 532 წელს დაიდო ე. წ. „უვადო ზავი“. ზავის პირობებით ბიზანტიამ დაიბრუნა სკანდისა და შორაპნის ციხეები, სპარსეთს კი ფარანგიონისა და ბოლონის სიმაგრეები გადასცა (Procop. De BP, I, 12). ზავის ნამდვილი შინაარსი მალე გამოჩნდა. სპარსელებმა ხელში ჩაიგდეს იბერია და მოსპეს მისი დამოუკიდებლობა. ბიზანტიამ კი ლაზეთი ჩაიგდო ხელთ და არავის ვაჭრობის ნებას არ აძლევდნენ.

„უვადო ზავი“ საკმაოდ მოკლევადიანი აღმოჩნდა. ბიზანტიელებმა ეს დრო გამოიყენეს იმისათვის, რომ ლაზიკაში ფეხი მტკიცედ მოეკიდებინათ. იმპერატორმა იუსტინიანემ ეგრისში დამკვიდრება თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 273). ლაზიკა ფაქტიურად ოკუპირებული იქნა ბიზანტიელთა მიერ, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან „მათ რომაელთა ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია“. განსაკუთრებული აღშფოთება მოჰყვა სტრატეგოს იოანე ციბეს მოქმედებას, რომელიც იჯდა პეტრაში და მის მიერ შემოღებული „მონოპოლიის“ წყალობით სძარცვავდა ლაზთა ქონებას, რითაც „რომაელთა და ლაზთა საქმეები გაამრუდა და არივდარია“ (Procop. De BP, 15). ბიზანტიელმა მოხელემ გარდა იმისა, რომ ქვეყანა ოკუპირებული იყო, აქ აგრეთვე სავაჭრო მონოპოლია დაამყარა, თავად ვაჭრობდა და მთელი ხალხი გაადატაკა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 276).

ნათლად გამოჩნდა, რომ იმპერიის სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკა შეთანხმებული იყო სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებთან და მასვე ემსახურებოდა. ეს გამოიხატა ლაზიკაში ჯარის ჩაყენებით, მეფის უფლებების შეკვეცით, შინაურ საქმეებში ჩარევით და ეკონომიკური ზეგავლენის მოხდენით (გოზალიშვილი, 1944, გვ. 123-124).

ბიზანტიელი მოხელის ასეთი თვითნებობა ეგრისელებმა ვერ აიტანეს და მეფე გუბაზმა დასახმარებლად ირანელებს მიმართა. შაპთან გაგზავნილმა ელჩებმა გამოავლინეს დიპლომატიური ნიჭი და უნარი, ასევე მაშინდელი საერთაშორისო სამართლის შესანიშნავი ცოდნა. მათ აღუწერეს ხოსრო ანუშირვანს, როგორი დამღუპველი შედეგები მოიტანა ბიზანტიელთა პოლიტიკამ ლაზეთისათვის და რა პერსპექტიული შესაძლებლობანი ეძლეოდა ირანს ეგრისის მხარდაჭერისა და ბიზანტიელთა განდევნის პირობებში (ლეთოდიანი, 1998, გვ. 118-119): „აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევე, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიის პალატებს მიადწიოთ... თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ მოსაზღვრე ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი“ (Procop. De BP, II,

15).

ხოსრო I ისედაც ენერგიულად ემზადებოდა მომავალი ომისათვის. მან მოახდინა არმიის რეორგანიზაცია, განამტკიცა ეკონომიკა, ჩაახშო ოპოზიციური მოძრაობები. ომის გასაახლებლად მას მხოლოდ საბაბი სჭირდებოდა. ირანის ხელისუფლებამ მარჯვედ გამოიყენა გუბაზ მეფის თხოვნა. მისთვის სასურველ პერსპექტივას ქმნიდა მთელი ამიერკავკასიის დაუფლება (ლომოური, 1998b, გვ. 120). ლაზიკის ხელში ჩაგდებათ სპარსელებს ასევე სურდათ შავ ზღვაზე გასვლა და სავაჭრო უპირატესობების მოპოვება.

ხოსრო ანუშირვანი ეგრისელთა ელჩებთან სალაშქრო მარშრუტის გზების ვითარებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხთა დაზუსტების შემდეგ, 541 წელს გასაიდუმლოებულ მდგომარეობაში ეგრისში შევიდა, სადაც მას შეხვდა მეფე გუბაზი და შეერთებული ჯარებით ქალაქ პეტრასაკენ გაემართნენ. მათ პეტრა მალე აიღეს და სპარსული გარნიზონიც ჩააყენეს (Procop. De BP, II, 17). შემდეგ ხოსრომ გადაწყვიტა სებასტოპოლისსა და პიტიუნტში მდგარი ბიზანტიელების განდევნაც, რათა ხელთ ეგდო კავკასიონის გადასასვლელები და ჰქონოდა სრული კონტროლი ეგრისზე, ასევე საჭიროებისას დაექირავებინა რომაელთა წინააღმდეგ სვანები, ალანები და ჰუნები, მაგრამ ბიზანტიელებმა დაასწრეს, დაანგრეს ციხეები და ხომალდებით ქ. ტრაპეზუნტში მივიდნენ (Procop. De BG, VIII, 4). ეს მოხდა იმავე 541 წელს (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 278-279).

ამის შემდეგ ხოსრო სასწრაფოდ გაბრუნდა ირანში, რადგან გაიგო ველისარის სარდლობით ბიზანტიელთა ჯარის მესოპოტამიაში შეჭრის შესახებ. შემდგომ წლებში ომი გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა და 545 წელს იუსტინიანეს ინიციატივით დადებული ხუთწლიანი ზავით დასრულდა. ხოსროს ეს ზავი ლაზიკაში თავისი პოზიციების განმტკიცებისათვის სურდა. მას განზრახული ჰქონდა გუბაზ მეფის მოკვლა, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და სპარსელთა ჩასახლება (Procop. De BP, II, 28, 29).

ირანელთა ბატონობის გამკაცრებამ, ქრისტიანობის დევნამ და გუბაზ მეფის მკვლელობის მცდელობამ ლაზების უკმაყოფილება და როგორც შედეგი პოლიტიკური ორიენტაციის კვლავ ბიზანტიისაკენ შეცვლა გამოიწვია. იუსტინიანემ სიხარულით მიიღო ცნობა გუბაზ მეფის იმპერიის მხარეზე გადასვლის შესახებ და ეგრისში ჯარი გამოგზავნა ქ. პეტრას ასაღებად, მაგრამ სარდალ დაგისტოს უნიათო მოქმედებამ ეს ცდა ჩაშალა. მან ვერ უზრუნველყო პეტრასაკენ მიმავალი ვიწრობის დაცვა. ეგრისში ირანელთა ახალი არმია შემოვიდა მერმეროს

სარდლობით, მაგრამ ვერც მან შეიტანა გადამწყვეტი გარდატეხა საბრძოლო მოქმედებებში (Procop. De BP, II, 29, 30; ლომოური, 1998b, გვ. 121).

აღსანიშნავია, რომ ლაზიკის სოფლების დასარბევად დატოვებული 5000 მეომარი ფავერიზის სარდლობით დაბანაკდა მდ. ფაზისის გასწვრივ. აქ დ. მუსხელიშვილის აზრით მდ. ჭოროხი უნდა იგულისხმებოდეს (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 282). იგივე მოსაზრება აქვს გ. გრიგოლიას, რომელიც ამბობს, რომ პეტრას დაპატრონებისათვის წარმოებულ ომის პირველი ეტაპზე პროკოპის მიერ ნახსენები მდ. ფაზისი ყოველთვის ჭოროხს გულისხმობს (გრიგოლია, 1994, გვ. 52).

ეგრისის საძარცვავად დატოვებული ირანელთა ლაშქარი მალე ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა გაანადგურეს მოულოდნელი თავდასხმით და ქართლის სიღრმეშიც მისდიეს (Procop. De BP, II, 300; ბოგვერაძე, 1973, გვ. 256).

550 წელს ეგრისში ირანელთა ახალი ჯარი შემოვიდა ხურიანეს სარდლობით, მაგრამ ის ეგრის-ბიზანტიელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მდ. ცხენისწყალთან. ბრძოლაში დაიღუპა თავად ირანელი სარდალი (Procop. De BG, VIII, 2; ლომოური, 1998b, გვ. 121).

მიუხედავად ამისა, ბიზანტიელებს ეგრისში საქმე გაუთულდათ. ერთიმეორის მოყოლებით აჯანყდნენ აბაზგები და აფშილები. აბაზგებმა დახოცეს თავიანთი მთავრები და მოინდომეს თავისუფლად ცხოვრება. მაგრამ იუსტინიანეს მიერ აფხაზეთში ჩაყენებული სამხედრო რაზმებზე დაყრდნობით ბიზანტიელმა მოხელეებმა ახალი ადმინისტრაციული წესები შემოიღეს (ლომოური, 1998b, გვ. 122), ბიზანტიის ხელისუფლებამ აბაზგიაში აღნიშნული ღონისძიებების გარდა სხვა რიგის პოლიტიკური აქციები (მათ შორის ბიზანტიური წეს-ჩვეულებების შემოღება) გაატარა (ლეთოდიანი, 2003, გვ. 139), რის გამოც „აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომაელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავიანთი მთავრები... ამის გამო რომაელთა შიშით სპარსელებს მიეკედლნენ“ (Procop., De BG, VIII, 9). აშკარაა, რომ აბაზგები წინ აუღდგნენ თავიანთი ქვეყნის ბიზანტიის იმპერიაში ინკორპორაციის მცდელობას და დამხმარედ ირანელები მოიწვიეს.

აბაზგების შემდეგ აჯანყდნენ აფშილებიც, რომელთა მთავარმა ტერდეტმა, წარმოშობით ლაზმა, გუბაზ მეფის მმართველობით უკმაყოფილების გამო ირანელებს გადასცა ციხე წიბილე (წებელდა) და მათ მხარეზე გადავიდა (Procop. De BG, VIII, 10; ლომოური, 1998b, გვ. 122). ნათლად ჩანს, რომ ეს ორივე აჯანყება ირანელთა ინსპირირებულია. მათი მხარდაჭერის გარეშე, რაც სამხედრო

დახმარებით გამოიხატა, საეჭვოა, რომ მსგავსი რამ მომხდარიყო. ეგრისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მათ ხელთ იყო, ეხლა კი ჩაიგდეს მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილიც. ეს ირანელებს დიდ უპირატესობას მისცემდა. მათ ამ ტერიტორიების ხელში ჩაგდება 541 წელს სცადეს. ხოსრომ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და მისი სარდალი ნაბედი ჯვართ შევიდა აბაზგთა ქვეყანაში (Procop. De BG, VIII, 9).

ასეთი სტრატეგიული ტერიტორიის დაკარგვას არ შეურიგდა იუსტინიანე, რომელმაც სტრატეგოს ბესას აბაზგიაში სათანადო ზომების მიღება უბრძანა. ბრძოლა მოხდა ანაკოფიის ციხესთან და აბაზგთა სასტიკი მარცხით დამთავრდა. სპარსელთა ჯარი ამ დროისათვის სავარაუდოდ აღარ იმყოფებოდა აფხაზეთში (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 284; Procop. De BG, VIII, 90; ლეთოდიანი, 2003, გვ. 141).

ძალიან მალე გუბაზ მეფემ ბიზანტიელთა დახმარებით შეძლო აფშილების აჯანყების ჩახშობა და აღადგინა აქ თავისი ძალაუფლება (Procop. De BG, VIII, 10).

ნ. ლომოური ამ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეგრისის ცალკეული ეთნიკურ-ტერიტორიული ერთეულების მთავრები ეგრისში შექმნილ ვითარებას იყენებენ და ცდილობენ დამოუკიდებლობის მოპოვებას ირანის დახმარებით. ამავე დროს ბიზანტია დგამს პირველ ნაბიჯებს ეგრისის ცალკეულ ერთეულებში თავისი ადმინისტრაციული მმართველობის დაამყარებისათვის და მათი დაპატრონებისათვის, რათა დაასუსტოს არცთუ მთლად მორჩილი ქვეშევრდომი. VI საუკუნის მიწურულისათვის ბიზანტიამ შეძლო აბაზგიის უშუალოდ დაქვემდებარება (ლომოური, 1998b, გვ. 122). აბაზგიის ტერიტორიაზე უშუალო იმპერიული ხელისუფლების დამყარებაზე საუბრობს დ. მუსხელიშვილიც, რომელიც ამ ფაქტის განხორციელებას VII საუკუნის 20-იან წლებში ვარაუდობს (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 283).

ბიზანტიის მიერ აბაზგიის უშუალო მმართველობაში მოქცევაზე და იმპერიის პროვინციად გადაქცევაზე ამახვილებს ყურადღებას დ. ლეთოდიანიც, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ აქციის მიზანს ეგრისის სამეფოსათვის ამ რეგიონის წართმევა წარმოადგენდა. VI საუკუნის მიწურულს ბიზანტიამ შეძლო ბიჭვინთის ჩრდილო-დასავლეთში თავისი ძალაუფლების დამკვიდრება. VII საუკუნის დასაწყისში კი ჰერაკლე კეისარმა თავის მოხელეს აფხაზთა ერისთავი უწოდა, რეზიდენციად ანაკოფია მისცა და მისი ძალაუფლება ეგრისწყლამდე (ღალიძგა) გაავრცელა (ლეთოდიანი, 2003, გვ. 140, 145).

შეგნიშნავთ, რომ საერთოდ დასავლეთ საქართველოს მისამართით

ბიზანტიელთა ინტერესი უფრო აგრესიულია, ვიდრე რომაელებისა. ისინი ფაქტობრივად იბრძვიან ეგრისში გაბატონებისათვის და წარმატებით ახერხებენ ამას კიდევ.

აბაზგიიდან და აფშილეთიდან ირანელთა განდევნის შემდეგ მოკავშირეებმა მთელი ძალების მობილიზება პეტრას ასაღებად მოახდინეს და მტერზე ორჯერ მეტ ჯარისკაცს მოუყარეს თავი. ბიზანტიელებმა დიდი მსხვერპლის ფასად როგორც იქნა ქალაქი აიღეს და მისი ზღუდეები მიწასთან გაასწორეს (ბოგვერაძე, 1973, გვ. 259; Procop. De BG, VIII, 11, 12). ს. ყაუხჩიშვილი და ნ. ლომოური ამ ამბავს 550 წლით (ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 165; ლომოური, 1998b, გვ. 122), ხოლო დ. მუსხელიშვილი 551 წლით ათარიღებენ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 284).

პეტრას დასახმარებლად მომავალმა მერმეროემ გზაში გაიგო ქალაქის დაცემა, გეზი იბრუნა და მდ. რიონის აუზში გადავიდა, სადაც გაგრძელდა კიდევ ბრძოლები (ლომოური 1998b, გვ. 122-123). საინტერესოა პროკოპი კესარიელის შეფასება ბიზანტიელი მთავარსარდალის ბესას მოქმედებისა, რომელიც პეტრას აღების შემდეგ იმის ნაცვლად, რომ ლაზეთ-იბერიის საზღვრები ჩაეკეტა, პონტოსა და არმენიაში გაემართა და თავისი დაუდევრობით სპარსელებს ჩააბარა ლაზიკე. ლაზებმა კი იმის შიშით, რომ მტერს არ დაეკავებინა, თავად დაანგრეს შორაპნის, სკანდის, როდოპოლისის ციხეები. სპარსელთა ჯარი ფასისთან დაბანაკებული ბიზანტიელების გასანადგურებლად დაიძრა, მაგრამ მათ ბრძოლას თავი აარიდეს და მდ. ფაზისის მეორე მხარეს გადავიდნენ. მერმეროემ მხოლოდ ბიზანტიელთა ბანაკი აიკლო და არქეოპოლისისაკენ დაიძრა, მაგრამ დამარცხდა და ქუთაისისაკენ დაიხია. აქ მან სასწრაფოდ ხის მასალით შეაკეთა ქუთაისის ციხე, ალყა შემოარტყა უქიმერიონს და სრულიად დაიკავა მოხირისის მხარე (Procop. De BG, VIII, 13).

551 წელს ბიზანტია-ირანს შორის ხუთწლიანი ზავი დაიდო, რომლის მიხედვითაც ბიზანტიისაგან გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ ირანს ლაზიკიდან ჯარი უნდა გაეყვანა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 287), მაგრამ პირიქით, მათ დაიკავეს უქიმერიონის ციხე და მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს, სკვიმნიასა და სვანეთს. ასევე გარნიზონები ჩააყენეს ქუთაისში, უქიმერიონსა და ხელახლა აღდგენილ შორაპანში (Procop., De BG, VIII, 15, 16). 552 წელს მერმეროემ ვერ შეძლო შებრძოლებოდა ფაზისთან გამაგრებულ ბიზანტიელებსა და ლაზებს, ვერც წებელდისაკენ გაიკვალა გზა და არქეოპოლისთანაც ვერას გახდა. მან ასევე ვერ აიღო ერთი ციხე, სადაც გუბაზის და იყო თავშეფარებული და კვლავ მოხირის-

ქუთაისში დაბანაკდა (Procop. De BG, VIII, 17). საინტერესოა, რომ სპარსელებმა ბრძოლით ამჯერად ვერ შეძლეს აღნიშნული სიმაგრეების აღება, რაც დაცვის სწორი ორგანიზების პირობებში მათ თითქმის აუღებელს ხდიდა. ალბათ, სწორედ ამიტომ მერმეროემ მომდევნო წელს სხვა ტაქტიკა აირჩია და მხოლოდ ბიზანტიელთა სიფხიზლის მოდუნებით შეძლო ტელეფისის ციხესიმაგრის აღება (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 288; ბოგვერაძე, 1973, გვ. 261-262).

ირანელთა წარმატებებს ლაზეთში გუბაზ მეფე ბიზანტიელი სარდლების შეუფერებელ მოქმედებას მიაწერდა და იუსტინიანე კეისარს შეატყობინა ამის შესახებ, რომელმაც დასაჯა ისინი. შეურაცხყოფილმა ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა მოკლეს გუბაზი და შემდეგ ონოგურისზე გაილაშქრეს, მაგრამ დამარცხდნენ (Agath. Hist., III, 2, 3, 4, 5, 6; გოზალიშვილი, 1944, გვ. 146).

მეფის მკვლელობით აღშფოთებულმა ეგრისელმა წარჩინებულებმა ფარული ხალხმრავალი კრება მოიწვიეს, სადაც გადაწყდა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. ეგრისი კვლავ ბიზანტიის მოკავშირე დარჩა, მხოლოდ იუსტინიანე კეისარს მოთხოვეს გუბაზის მკვლელობა დასაჯა და ტახტზე მისი ძმის წათეს დამტკიცება. იმპერატორმაც დაუყოვნებლივ შეასრულა ლაზთა ყველა მოთხოვნა და ამით შეინარჩუნა ეგრისის მოკავშირეობა (Agath. Hist., III, 8, 12). ბიზანტიელთა მდგომარეობას ეგრისში ართულებდა ლაზიკის ჩრდილოეთში მცხოვრები მისიმიელების განდგომა, რომლებიც აღაშფოთა ბიზანტიური ადმინისტრაციის წარმომადგენელთა თვითნებობამ და აჯანყდნენ 555 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაამარცხეს და კვლავ მორჩილებაში მოიყვანეს, ბიზანტიის ხელისუფლება უნდა დაეფიქრებინა ამ საშიშ სიმპტომებს. მისიმიელთა დამორჩილებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ლაზეთის მეფე, რომელიც მისიმიელთა განდგომას თავისი უფლებების შელახვად თვლიდა (ლომოური, 1998ხ, გვ. 123-125).

555 წლის გაზაფხულზე ლაზიკაში ირანელთა ახალი არმია შემოვიდა ნახორაგანის სარდლობით. ამჯერად მათი მთავარი მიზანი ქ. ფაზისის ხელში ჩაგდება იყო, რათა ზღვაზე გასასვლელი ნავსადგური მოეპოვებინათ და განეხორციელებინათ თავიანთი სტრატეგიული მიზანი. ზღვის სანაპიროს კონტროლით ისინი ხელს შეუშლიდნენ ბიზანტიელთა ჯარის ზღვიდან მომარაგებას და თავად შეძლებდნენ ბიზანტიაში შეღწევას (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 293), მაგრამ ნახორაგანი ორჯერ დამარცხდა არქეოპოლისთან და ფაზისთან (Agath. Hist., III, 17), შემდეგ ჯარის ნაწილი მოხირისში დატოვა და იბერიაში გაბრუნდა (ბოგვერაძე, 1973, გვ. 266-267; გოზალიშვილი, 1972, გვ. 223-224).

ბიზანტიამ და ირანმა მრავალი ენერჯია და მატერიალური საშუალება შეაღიეს ურთიერთშორის ომს, რომლის სამხედრო მოქმედებათა ცენტრს და უმთავრეს მიზანს ლაზიკა და მისი ციხე-სიმაგრეები წარმოადგენდა, რადგანაც ლაზიკა სავაჭრო-სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვან პოზიციებს ფლობდა და მისი დაქვემდებარება კავკასიასა და შავი ზღვის სანაპიროზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის დამყარებას ნიშნავდა (გოზალიშვილი, 1972, გვ. 215). განსაკუთრებით მძიმე იყო ეს ბრძოლა ირანისათვის, რადგან გადამწყვეტ მომენტში მას ლაზებმა ზურგი აქციეს და ბიზანტიას თავისი დახმარებით საქმე გაუადვილეს. ირანმა ვერ მოახერხა ბედის შემოტრიალება და ლაზიკის დაპყრობაზე ფიქრს თავი მიანება (გოზალიშვილი, 1944, გვ. 149). შესაბამისად, 555 წელს დაიღო დროებითი, ხოლო 561 წელს საბოლოო, 50-წლიანი ზავი (ლომოური, 1998ხ, გვ. 125). დ. მუსხელიშვილი, გ. გოზალიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი და ა. ბოგვერაძე საბოლოო ზავის თარიღად 562 წელს ასახელებენ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 194; ბოგვერაძე, 1973, გვ. 267; ყაუხჩიშვილი, 1949, გვ. 104; გოზალიშვილი, 1944, გვ. 150). მოწინააღმდეგე მხარეები ყველაფერზე შეთანხმდნენ გარდა სვანეთის საკითხისა, რომლის დათმობაზე ირანელები უარს აცხადებდნენ, რადგან სვანეთი აფხაზეთის მსგავსად უღელტეხილებით არის დაკავშირებული ჩრდილო კავკასიასთან და მისი ფლობა მნიშვნელოვანი იყო ორივე ქვეყნისათვის (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 294-297). მხოლოდ 575 წლის ახლო ხანებში შეძლო ბიზანტიამ სვანეთის დაბრუნება (ლომოური, 1998ხ, გვ. 126; ბოგვერაძე, 1973, გვ. 268).

ლაზეთში მიმდინარე ომის ძირითადი შედეგი ლაზიკისათვის აქ ბიზანტიის ბატონობის კიდევ უფრო გამტკიცება და დამძიმება იყო, რაც გამოიხატა სამეფოს შინაგანი სტრუქტურის მოშლაში. ლაზიკას აღარ ემორჩილებიან მისი ქვეშევრდომები, რაც ბიზანტიამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა და აბაზგია, აფსილეთი, მისიმიანეთი და სვანეთი ზედიზედ მოაქცია საიმპერიო მმართველობის სისტემაში. VI საუკუნის ბოლოსათვის კი დღის წესრიგში ეგრისის სამეფოს ფორმალური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციაც დადგა, რაც VII საუკუნის 30-იან წლებში განხორციელდა (ლომოური, 1998ხ, გვ. 126-127). ეგრისის ეკონომიკურ დაცემაზე და პოლიტიკურ დასუსტებაზე საუბრობს დ. მუსხელიშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ ბიზანტიელებმა VI საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ, რომელიმე მომენტში გააუქმეს მეფობა. ყოველ შემთხვევაში ეგრისს VI საუკუნის 80-იან წლებში მეფე არ ჰყავს (დ. მუსხელიშვილი, 2004, გვ. 300).

ჩვენთვის საინტერესოა ბიზანტია-ირანის ომიანობის დროს ეგრისის თავდაცვის სისტემის ფუნქციონირების საკითხი. ვფიქრობთ, რომ წარმოქმნა-განვითარების მეორე ეტაპზე (IV-V სს.) ის ძირითადად თავად ეგრისის სამეფოს თავდაცვის უზრუნველყოფისათვის არის შექმნილი, თუმცა ითვალისწინებდა გლობალურ სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას. ამ სისტემის სამი თავდაცვითი ხაზის ციხესიმაგრეები ემსახურებიან ქვეყნისა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების დაცვის ამოცანებს. ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარე ომებისას ბიზანტიელთა არჩეული საომარი ტაქტიკის საჭიროების გამო, საკვანძო ადგილებში მათ მიერ ახალი ციხე-ქალაქები და სიმაგრეები აშენდა. რადგანაც ბიზანტია-ირანის სამხედრო ოპერაციები სწორედ გლობალური სტრატეგიით იყო გათვლილი, ამიტომ მათ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა ციხე-ქალაქი პეტრა და სწორედ მის ფლობას ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ მთელი რიგი ციხე-ქალაქები და სიმაგრეები საჭიროების შემთხვევაში ღაზების მიერ თავად იქნა მიტოვებული და დანგრეული, განსაკუთრებით აღმოსავლეთის მიმართულებით. მათ შორისაა სასაზღვრო ციხეები სკანდა და შორაპანი, ასევე ქუთაისი და ვარდციხე. რადგან ისინი ბიზანტიელებს არ აინტერესებდათ თავიანთი ძირითადი სამხედრო ბაზებიდან მოცილების გამო, როგორც ჩანს, ღაზებიც არ თვლიან აუცილებლად მათ დასაცავად თავიანთი ძალების მობილიზებას. თუმცა ძალიან უცნაურია, რომ ირანმა თითქმის უომრად ჩაიგდო ხელში ქვეყნის უმთავრესი ეკონომიკური რეგიონი, მოხირისის მხარე.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ირანელებმა გარდა პეტრასი, ბრძოლით თითქმის ვერც ერთი სიმაგრის აღება ვერ მოახერხეს. მათ მარცხი განიცადეს ფაზისთან, ნოქალაქევთან, წებელდის მახლობლად. ბიზანტიელთა დაუდევრობის გამო ირანელებმა მოულოდნელად აიღეს ტელეფისი, ხოლო უქიმერიონი მოსყიდვით და დალატით დაიკავეს. ასევე დალატისა და მათ მხარეზე გადასვლის მეშვეობით შედიოდნენ ირანელები აბაზგის, აფშილეთის და სვანეთის ციხეებში. ყოველივე ეს მეტყველებს ეგრისის თავდაცვის სისტემის ეფექტურობასა და ცალკეული მონაკვეთებისა თუ სიმაგრეების სიმტკიცეზე.

აგრეთვე შევნიშნავთ, რომ ომების შედეგად განადგურდა არამარტო ქვეყნის ეკონომიკა და შინაგანი სტრუქტურა, არამედ მნიშვნელოვნად დაზარალდა ეგრისის საომარი პოტენციალი და თავდაცვის სისტემა. დაინგრა ციხე-სიმაგრეების ნაწილი. დარჩენილ ციხე-ქალაქებში ბიზანტიელთა გარნიზონები ჩადგა. ფაქტიურად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მოიშალა და ის უცხოელთა კონტროლქვეშ გადავიდა. ამან

კი უდიდესი გავლენა მოახდინა ეგრისის შემდგომ ისტორიაზე.

VII საუკუნეში ეგრისში საგრძნობლად დამძიმდა ბიზანტიელთა ბატონობა. მიუხედავად იმისა, რომ უცნობია ეგრისში მეფობის გაუქმების ზუსტი თარიღი, აშკარაა, რომ VII საუკუნეში ეგრისს პატრიკოსები მართავენ. (ლორთქიფანიძე 1995, გვ. 46). შემდეგი ცნობები ეგრის-ლაზიკის შესახებ ისევ ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით (622-628 წწ.) ჩნდება წყაროებში, რომელთა ჩვენებების მიხედვით ამიერკავკასიის ქვეყნებს მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება. სწორედ ისინი წარმოადგენენ ძირითად ბაზას ბიზანტიელთა ლაშქრობებისათვის. პირველი ლაშქრობა ჭანეთიდან დაიწყო, მეორე ალბანეთიდან, მესამე კი ლაზიკიდან (ლომოური, 1998c, გვ. 166). დ. მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ ჰერაკლე კეისარი 623 წელს ეგრისში ჩავიდა და მოლაპარაკება ჰქონდა ფაზისის მიტროპოლიტთან ქრისტოლოგიურ საკითხებზე და ადგილობრივი მოსახლეობიდან დამხმარე მოკავშირე ძალების გამოყვანის შესაძლებლობაზე. მკვლევარი ასევე ასახელებს 627 წელს ჰერაკლე კეისრის თბილისზე ლაშქრობის გზასაც. მისი მიხედვით, ბიზანტიის კეისარი სურამის ქედით კი არა, არამედ შემოვლითი გზით, მდ. ჭოროხის ხეობით, არზრუმზე მოვლითა და „ქართლის გზით“ მისულა თბილისამდე (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 315-322).

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰერაკლე კეისრის მიერ ირანის წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო ოპერაციებისას ამიერკავკასიის მოსახლეობა – ჭანები, ლაზები, აბაზგ-აფხაზები, იბერები და სომხები – წარმოადგენდა ბიზანტიის არმიის ძირითად ბირთვს (ლომოური, 1998c, გვ. 168). თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობით, ალვანეთში მდგარ ბიზანტიელებს „შეუერთდნენ მოკავშირეები ლაზთაგან, აბაზთაგან და იბერიელთაგან“ (ყაუხჩიშვილი, 1941, გვ. 95).

ჰერაკლე კეისრის ლაშქრობებს კიდევ უფრო უნდა განემტკიცებინა ბიზანტიური უდიდესი ეგრისში. მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით სწორედ ამ დროს იცვლება „მეფობა“ „პატრიკოსობით“ (ჯანაშია, 1948, გვ. 88-89; ბოგვერაძე, 1973, გვ. 283; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 89-90).

VII საუკუნის 30-იანიდან 60-იან წლებამდე წერილობით წყაროებში არ გვხვდება ცნობები ეგრისთან დაკავშირებით. მომდევნო პერიოდისათვის კი არსებობს ანასტასი აპოკრისიარის წერილი და თეოდოსი განგრელის „მოგონებები“ მაქსიმე აღმსარებლის შესახებ. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ამ წყაროთა მიხედვით, VII საუკუნის 60-იანი წლებისათვის მეფობა კარგა ხნის გაუქმებულია და ეგრისს, რომლისგანაც გამოყოფილია აფხაზეთი, პატრიკოსები

მართავენ. მკვლევარის დაკვირვებით, ამ დროისთვის ეგრისის შემადგენლობაში არიან აფშილეთი, მისიმიანეთი, ლეჩხუმი და სვანეთი, რაჭა-არგვეთი და აჭარა. ეგრისის შიდა პოლიტიკური ვითარებაც არასტაბილურია და მმართველებიც ამის შედეგად ხშირად იცვლებიან. 662-668 წლებს შორის ოთხი მმართველია დასახელებული, რომელთაგან ორი, ძალითაა ქვეყნიდან გაძევებული, მესამე, პატრიკიოსი და მაგისტროსი გრიგოლია, მეოთხე კი პატრიკიოსი ლებარნაკიოსია, რომელიც უნდა იყოს მამა პატრიკიოს სერგი ბარნუკის ძისა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 359-363).

სწორედ ეს უკანასკნელი პატრიკიოსი ითვლება ეგრისელთა აჯანყების მეთაურად, რომელიც მოხდა 697 წელს ბიზანტიელთა წინააღმდეგ. აჯანყებულმა ლაზებმა ქვეყანა არაბებს დაუქვემდებარეს. VIII საუკუნის დამდეგისათვის ზოგიერთი ზღვისპირა ციხის გარდა მთელი დასავლეთ საქართველო, მათ შორის კოდორის ხეობის ციხეები არაბებს დაუკავებიათ (ყაუხჩიშვილი, 1941, გვ. 49, 105; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 90; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 364; ჯანაშია, 1952, გვ. 362-369; ბოგვერაძე, 1973, გვ. 288). X საუკუნის არაბი ისტორიკოსის მასუდის ცნობით აფხაზები ხარაჯას უხდიდნენ თბილისის ციხის უფროსს. შესაბამისად, ვარაუდობენ, რომ VIII საუკუნის 30-იანი წლებიდან დასავლეთ საქართველო ხარკს უხდიდა სახალიფოს, რომელიც ერთდროულად იხდებოდა გარკვეული დროის ინტერვალით (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 91). ბიზანტიის კეისარი კი ცდილობდა აღანები შეესია აფხაზეთის, ეგრისისა და ქართლისათვის, მათი დასჯის მიზნით (ბოგვერაძე, 1973, გვ. 288; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 364-365).

ეგრისის პატრიკიოსის მიერ არაბებისათვის ქვეყნის გადაცემა ალბათ იმ მიზეზით იყო განპირობებული, რომ არაბთა ბატონობა ბიზანტიელებთან შედარებით უფრო ლოიალური ჩანდა, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ დასავლეთ საქართველოშიც გაიშალა ფართო ფრონტით ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოიტანა მურვან იბნ მუჰამედის (მურვან ერუს) ლაშქრობამ 735-736 წლებში, მაგრამ VIII საუკუნის 40-50-იან წლებში არაბთა მძლავრობას ეგრისში ბოლო მოეღო (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 92).

არაბთა შემოსევებისა და მათ წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების დროს ეგრისში არ ჩანს ადგილობრივი ხელისუფალი. შესაბამისად, თვლიან, რომ მთელი დასავლეთ საქართველო აფხაზეთის სამთავრომდე ქართლის ერისმთავრების მფლობელობაში იმყოფება (ჯანაშია, 1948, გვ. 98-99; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 95).

ეგრისის ქართიზაციას და აქ ქართიზებული იმერეთის და გურიის ეთნოგრაფიული ერთეულების ჩამოყალიბებასაც VIII საუკუნის პირველ ნახევარს უკავშირებენ. არ გამორიცხავენ ასევე მარჯვენა რიონისპირეთში მდ. ტეხურის ხეობის ჩათვლით მცხეთის კათალიკოსის იურისდიქციის მოქმედებასაც (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 377-381).

VIII საუკუნის შუახანებში დასავლეთ საქართველოსთვის ძირითად საგარეო ძალებს კვლავ ბიზანტიის იმპერია წარმოადგენს. ეგრისი და აფხაზეთი იმპერიის ვასალად ითვლებოდნენ და ეკლესიურადაც (აფხაზეთი მთლიანად და ეგრისის დასავლეთი ნაწილი) კონსტანტინეპოლის სამწყსოს ექვემდებარებოდნენ. მაგრამ დასავლეთ საქართველოში თანდათან მზადდება ნიადაგი ბიზანტიის საწინააღმდეგო მოძრაობის დასაწყებად (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 92-93), რასაც ხელს უწყობდა ეგრისისა და აფხაზეთის პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის დაკავშირება ზოგადქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურისაკენ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 381-382). ამის დასტურია, თუნდაც ქართლის ერისმთავრის სახლის წევრების, მირისა და არჩილის და აფხაზთა ერისთავ ლეონის ერთობლივი ბრძოლა არაბებთან და მნიშვნელოვანი გამარჯვება ანაკოფიის ბრძოლაში. ქართლის ერისმთავარ მირის გარდაცვალების შემდეგ არჩილი ეგრისში მკვიდრდება (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 47).

აღნიშნულ პერიოდში თანდათან ძლიერდება აბაზგიის საერისთავო, რომელიც ბიზანტიის კავკასიური სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე VI საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან ჩამოცილდა ლაზიკის სამეფოს და VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტიურ წყაროებში (აგათია სქოლასტიკოსი, თეოფანე ბიზანტიელი, იაონე ზონარა) უკვე ცალკე იხსენიება. ბიზანტიელებმა უმეშვეო მმართველობა დაამყარეს აბაზგიაში და თავიანთი დანიშნული მმართველების ხელით მართავდნენ მას. VII საუკუნიდან უკვე მკვიდრდება სახელი აფხაზეთი, რაც ბიზანტიის პოლიტიკის შედეგად მიაჩნიათ. სწორედ ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო სამემკვიდრეოდ აფხაზთა ერისთავობა VIII საუკუნის 30-იან წლებში ლეონ I-მა (ლეთოდიანი, 1998, გვ. 137-142).

ანაკოფიის ბრძოლის შემდეგ აფხაზთა ერისთავი ლეონი არჩილს ყმობას სთავაზობს. ფიქრობენ, რომ ეს აქცია ბიზანტიის მხარდაჭერით განხორციელდა (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 52). ეს მოვლენა აფხაზ ხელისუფალთა პროქართული ორიენტაციის უდავო მოწმობად მიაჩნიათ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 382). სწორედ ამის შედეგი უნდა იყოს ლეონის სიძედ შემოყვანა ქართლის ერისმთავრების

სახლში. ჯუანშერის მიხედვით, მას ცოლად შერთეს მირის ერთ-ერთი ასული (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 242) და ეგრისის ტახტის კანონიერი მემკვიდრე გახდა, ხოლო არჩილის გარდაცვალების შემდგომ (თარიღი დაუდგენელია) გაერთიანებული ეგრის-აფხაზეთის მთავარი (ღორთქიფანიძე, 1995, გვ. 52-53). VIII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზთა საერისთაო თავისუფლდება ბიზანტიის ვასალობისაგან და მისი მთავარი „მეფის ტიტულს“ იღებს (ჯანაშია, 1952, გვ. 322-34; ღორთქიფანიძე, 1973, გვ. 417). ერთიანი დასავლურ-ქართული სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი ხდება.

§ 2. ეგრისის ზღვისპირა თავდაცვის ხაზი ახ. წ. IV-VIII საუკუნეებში

ახ. წ. III საუკუნის შუა ხანებში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გუთების ლაშქრობათა სერიის შემდეგ ეგრისის სამეფოს ზღვისპირა თავდაცვის ხაზი, რომელიც I საუკუნეში წარმოიქმნა რომის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული მიზნების შესაბამისად და აყვავებას განიცდიდა II-III საუკუნეებში, დროებით წყვეტს ფუნქციონირებას.

მისი აღდგენა-განახლება მოხდა III-IV საუკუნეების მიჯნაზე და ფუნქციონირებდა თითქმის მთელი IV საუკუნის მანძილზე, რასაც არაერთი მონაცემი მოწმობს. აღმავლობის გზაზე დგანან აფსაროსი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი. ამავე ხანებში უნდა აღდგენილიყო ციხისძირი. ისინი რომაულ ციხე-სიმაგრეთა ფუნქციას IV საუკუნის ბოლომდე ასრულებდნენ. მხოლოდ ფასისში არ ჩანს IV საუკუნის მეორე ნახევრიდან რომაული გარნიზონი (თოდუა, 2003a, გვ. 38).

IV საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთოდ იცვლება ვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. ძლიერდება ეგრის-ლაზიკის სამეფო, ფართოვდება მისი საზღვრები, რომელიც აფხაზეთიდან ჭანეთამდე ვრცელდება. ამავე დროს სუსტდება აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის პოზიციები კავკასიაში და ორმხრივი ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზე IV საუკუნიდან რომაული გარნიზონები ტოვებენ შავი ზღვის კოლხურ სანაპიროს და მისი დაცვა ამიერიდან ეგრისის სამეფოს ეკისრება, რომელიც რჩება ბიზანტიისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში (ლომოური, 1968, გვ. 73-77). თუმცა არ გამოირიცხავენ, რომ V საუკუნეში პიტიუნტის და სებასტოპოლისის ციხე-სიმაგრეებში ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი გარნიზონები მდგარიყო (თოდუა, 2003a, გვ. 38).

IV საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის 20-იან წლებამდე ზღვისპირა თავდაცვითი ხაზის სიმაგრეები ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად ვითარდება. არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოდან რომაელთა წასვლის შემდეგ ზღვისპირა ციხე-ქალაქები კარგავენ სტრატეგიულ დანიშნულებას და იწყება მათი დაკნინების ხანა. ამის მიზეზად თვლიან ლაზიკის მმართველი წრეების საზღვაო კომუნიკაციებით ნაკლებად დაინტერესებას (კახიძე, 2002a, გვ. 16; კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 30; ბერძენიშვილი, 1990, გვ. 295; ლანჩავა, 1996, გვ. 64-65; აფაქიძე, 1975, გვ. 27). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრება, რომლის თანახმად აღნიშნულ ხანაში საქალაქო ცხოვრება აქ ინტენსიურად მიმდინარეობს (თოდუა, 1988, გვ. 96). ნ. ლომოურის მიხედვით, IV-V საუკუნეებში ეგრისის

ზღვისპირა ქალაქები განვითარებულ სახელოსნო და სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ და ეს დასტურდება წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით (ლომოური, 1968, გვ. 97). ადრეშუასაუკუნეების ეპოქაში ქალაქური ცხოვრების აღმავლობაზე და ურბანისტული პროცესების გაღრმავება-დაწინაურებაზე მიუთითებს რ. რამიშვილი (რამიშვილი, 1998, გვ. 27). საუბრობენ ასევე საზღვაო ვაჭრობის განვითარებასა და სავაჭრო ურთიერთობათა ინტენსიფიკაციაზე რომის აღმოსავლეთ პროვინციებთან (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 124-125).

ფიქრობთ, რომ ქვეყანა, რომელსაც აქვს შავი ზღვის პირას სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები, აწარმოებს ინტენსიურ ეკონომიკურ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, რომლის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები და ბოლოს, რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების დაცვა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან, არ და ვერ დატოვებდა უყურადღებოდ ზღვისპირა ციხე-ქალაქებს. სხვა საქმეა, რომ შეიძლება თუნდაც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ეგრისის ხელისუფლება თანაბარ ყურადღებას არ აქცევს ყველა სიმაგრეს, მაგრამ მთლიანობაში ზღვისპირა თავდაცვის ხაზი IV-V საუკუნეებში მოქმედია და თავის ფუნქციას ასრულებს.

ზღვისპირა ციხე-სიმაგრეთა ჯაჭვი აქტიურად გამოიყენება VI საუკუნეში ირან-ბიზანტიის ომების დროს. პეტრა და ფასისი საკვანძო პუნქტები ხდებიან ბიზანტია-ლაზეთის თავდაცვითი სტრატეგიისა. ფასისი საერთოდ დაუძლეველი აღმოჩნდა ირანელთათვის. VI საუკუნის ბოლოდან და VII საუკუნეში ზღვისპირა სიმაგრეები ეგრისში ბიზანტიის ბატონობის საყრდენი პუნქტები ხდებიან და ქვეყნის შინაგანი სტრუქტურის მოშლის და მეფობის ინსტიტუტის გაუქმების პირობებში ისინი კარგავენ თავის ფუნქციას ეგრისის თავდაცვით სისტემაში.

ზღვისპირა თავდაცვის ხაზი IV-VIII საუკუნეებში შემდეგი სახით წარმოგვიდგება: აფსაროსი, ბათუმის ციხე, ციხისძირი (პეტრა?), ფასისი, სებასტოპოლისი, ანაკოფია, პიტიუნტი.

აფსაროსი – ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მნიშვნელოვან გეოგრაფიულ პუნქტად არის მოხსენიებული IV საუკუნის რავენელი ანონიმის “კოსმოგრაფიაში” (K. Miller, 1916, გვ. 639); აღნიშნულია IV საუკუნის გეოგრაფ კასტორიუსის რუკაზე; დასახელებულია V საუკუნის ანონიმ ავტორთან (ფსევდო არიანე) (PPE, 41). პროკოპი კესარიელი მას უძველეს ქალაქს უწოდებს (Procop. De BG, VIII, 2), ხოლო

აგათია სქოლაქტიკოსის ცნობით სატუსალოდ გამოიყენება (Agathia, Hist., III, 14). აფსაროსი მოხსენიებულია როგორც სამხედრო ბანაკი VII საუკუნის „პასქალურ ქრონიკაში“ და VIII საუკუნის მწერალ იოანე კონსტანტინეპოლელთან (ყაუხნიშვილი 1936, გვ. 82-83; ყაუხნიშვილი, 1941, გვ. 19; ყაუხნიშვილი, 1952, გვ. 57; ყაუხნიშვილი 1963, გვ. 82-83; ყაუხნიშვილი 1965, გვ. 123-124); ასევე VIII საუკუნის ქართულ მწერალთან იოანე საბანისძესთან „აფსარეას“ სახელით (კეკელიძე, 1935, გვ. 66).

წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დასტურდება, რომ IV საუკუნის დასაწყისში აფსაროსის ციხე (ტაბ. II) ფუნქციონირებდა. ვითარება შეცვლილი ჩანს IV საუკუნის 40-იანი წლებიდან, რაც ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას უკავშირდება. ფიქრობენ, რომ უკვე IV საუკუნის 60-70-იანი წლებიდან აფსაროსი ლაზეთის შემადგენლობაშია, რადგან ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ აღარ დგას რომაული გარნიზონი. კოლხეთის ზღვისპირა ცენტრების ჩამონათვალში აღარ ჩანს ეს პუნქტი და V საუკუნის ანონიმი ავტორი მას სოფლად მოიხსენიებს (PPE, 41). არქეოლოგიური მონაცემებიც ადასტურებენ, რომ VI საუკუნის 30-იან წლებამდე აფსაროსში აღარ ჩანს უცხო ქვეყნის სამხედრო ნაწილების დგომა (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 168-169; მამულაძე, 2002, გვ. 24-25; კახიძე, 2002a, გვ. 15-16). აფსაროსში წარმოდგენილი წითელლაკიანი ჭურჭლის თითქმის არც ერთი ეგზემპლარი არაა შემკული რელიეფური დეკორით, მაშინ, როცა IV-V საუკუნეების ნაწარმი უხვადაა ორიენტირებული რელიეფით. აქ არ ჩანს ლურჯხალიანი მინის არც ერთი ფრაგმენტი. ნუმიზმატიკური მასალიდან ასევე არც ერთი მონეტა არ თარიღდება IV საუკუნის მეორე ნახევრით, V საუკუნით და VI საუკუნის პირველი მეოთხედით (კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 31-32). IV-V საუკუნეების ხუროთმოძღვრული ნაშთებიც არ ფიქსირდება და საერთოდ IV-V საუკუნეების არც ერთი გამოკვეთილი კულტურული ფენა არ ჩანს (კახიძე, მამულაძე, 2004, გვ. 65-66). აღნიშნული მონაცემების მიხედვით თვლიან, რომ VI საუკუნეში ბიზანტიელებს აფსაროსი გაპარტახებული დახვდათ. პროკოპი კესარიელის ცნობების თანახმად (Procop. De BG, VIII, 2) ვარაუდობენ, რომ იმ დროს ის ჩვეულებრივი, რიგითი დასახლებაა (კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 31), მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც. ფიქრობენ, რომ ძველ კასტელუმზე დაშენებული პილონებიანი და თაღელების მქონე კარგად გათლილი კვადრების წყობა შეიძლება ადრებიზანტიური ხანით დათარიღდეს. მას აქვს მრავალრიცხოვანი პარალელები ბიზანტიურ სამყაროში, ასევე არქეოპოლისსა

და ქუთაისში. პილონებიანი კედლები V საუკუნით თარიღდება ქუთაისში, შორაპანსა და არქეოპოლისის ციტადელში. კოლხეთში მშენებლობის ამგვარი წესის გავრცელება V საუკუნის შუა ხანებიდან ივარაუდება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 183-184). თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ მოსაზრებას, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გავრცელებული შეხედულება ლაზეთის მმართველი წრეების საზღვაო კომუნიკაციებით ნაკლებად დაინტერესების და შესაბამისად, IV საუკუნის ბოლოსა და V საუკუნეში აფსაროსის სრულიად მიტოვების შესახებ, შეიძლება გადაიხედოს.

ჩვენი ვარაუდით ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრის მიტოვება, რომელიც აკონტროლებს მდ. ჭოროხის ხეობას, საიდანაც მოსალოდნელი იყო იბერიის, სომხეთის და ირანის ექსპანსია და თანაც სამხრეთით ლაზეთის ტერიტორიის გაფართოებისას ძირითადი საყრდენი პუნტის ფუნქციაც შეიძლება შეასრულოს, უბრალოდ წარმოუდგენელია.

სხვა საქმეა, რომ აქ IV-V საუკუნეებში საქალაქო ცხოვრება ჩამკვდარია (კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 32) და ლაზეთის სხვა ზღვისპირა ქალაქთა მსგავსად არ ვითარდება. შესაძლოა, რომ ეგრისის სამეფოს მესვეურებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს აფსაროსის მხოლოდ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტად გამოყენება.

VI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკლე დროით ხდება საქალაქო ცხოვრების ხელახალი აღმავლობა, რაც ბიზანტიელთა აქტივიზაციას უკავშირდება. აღმოჩენილია ამ პერიოდის მონუმენტალური ნაგებობების ნაშთები, წყალგაყვანილობის სისტემა, მრავალფეროვანი თიხისა და მინის ჭურჭელი, მონეტები (კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 33). სამხრეთ კარიბჭესთან მდებარე № 20 კოშკში 2003-2004 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი სამშენებლო კერამიკა, მინის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი და ამფორების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები VI საუკუნის II ნახევრითა და VII საუკუნით დათარიღდა. აღნიშნული მასალა ძირითადად იმპორტულია. შესაბამისად, ფიქრობენ, რომ ეს ნაწარმი არ ასახავს ურთიერთობებს ბიზანტიელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის და ის ციხეში მდგარი ბიზანტიური სამხედრო გარნიზონისათვის იყო განკუთვნილი (მინდორაშვილი, მამულაძე, 2008, გვ. 116-119).

წერილობითი წყაროების მიხედვით, აფსაროსი VII-VIII საუკუნეებში აგრძელებს ფუნქციონირებას, თუმცა IV-V საუკუნეების მსგავსად არც VIII საუკუნის მასალის შემცველი კულტურული ფენა ჩანს გამოკვეთილი (კახიძე,

მამულაძე, 2004, გვ. 66).

ბათუმის ციხე – IV საუკუნის რომაულ საგზაო რუკაზე – „Tabula Peutingeriana“ აფსაროსის ჩრდილოეთით, დაახლოებით თანამედროვე ბათუმის ადგილას დატანილია გეოგრაფიული პუნქტი Portus Altus (Tab. peut., X, 5), რაც ბათისის პირდაპირი ლათინური თარგმანია (ღრმა ნავსადგური). ფიქრობენ, რომ დასახელებული პუნქტი რომაელთა ნავსადგურის ფუნქციას ასრულებდა (მამულაძე, 2002, გვ. 26; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170; Braund, 1994, გვ. 275).

ვ. ლექვინაძე ბათუმის ციხეს VI საუკუნის რომაულ კასტელად, იუსტინიანეს მიერ აგებულ ლოსორიონად მიიჩნევდა (Леквинадзе, 1967, გვ. 505-510; Леквинадзе, 1973, გვ. 171-173). ს. ყაუხჩიშვილი კი მას პეტრად თვლიდა (ყაუხჩიშვილი, 1950-51, გვ. 17-20).

აღნიშნულ ტერიტორიაზე დადასტურებულია ადრეშუასაუკუნეების ხანის ციხის (ტაბ. III) ნაშთები, თუმცა მხოლოდ კედლის მცირე მონაკვეთზე შეინიშნება ადრებიზანტიური წყობის კვალი. სიმაგრის გეგმა სწორკუთხაა და ემსგავსება სებასტოპოლისის კასტელას (Леквинадзе, 1967, გვ. 505-510; ლანჩავა, 1996, გვ. 11).

ო. ლანჩავას მიხედვით, ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთში ბათუმის ციხის სტატუსის შესახებ კონკრეტული მსჯელობა ჭირს. ვარაუდით, ეს ციხე ადრებიზანტიური ხანის მცირე სიმაგრეთა რიგს მიეკუთვნება და გაურკვეველია ვისი ინტერესებით აიგო. არის მოსაზრება, რომ მისი მშენებლობა ბიზანტიელთა ინტერესებს უკავშირდება და ის აფსაროსის ფორპოსტს წარმოადგენდა. თუმცა ასევე არ გამორიცხავენ, რომ თავდაცვითი პუნქტი აგებულიყო ლაზთა ინტერესების გათვალისწინებით, როგორც პლაცდარმი სამხრეთის ტერიტორიების შემომტკიცებისათვის ბრძოლაში (ლანჩავა, 1996, გვ. 10-11, შენ. 34). შევნიშნავთ, რომ დიდია ცდუნება ბათუმის ციხის აღმოცენება სწორედ ლაზთა ინტერესებს დაუკავშიროთ და ის არა აფსაროსის ფორპოსტად, არამედ მის საპირისპიროდ წარმოქმნილიყო. არ გამოვრიცხავთ, რომ IV საუკუნის მეორე ნახევრიდან სწორედ ბათუმის (ისევე როგორც ციხისძირის) დაწინაურება ხდება და შესაძლოა ამით აიხსნას კიდევ IV-V საუკუნეებში აფსაროსისადმი ეგრისელთა უყურადღებობა.

ციხისძირი (პეტრა?!) – აფსაროსისაგან განსხვავებით მისი აღმავლობა იწყება IV საუკუნიდან, როდესაც წარმოიქმნა საქალაქო დასახლება (ინაიშვილი, 1993, გვ. 121; კახიძე, 2002a, გვ. 16). ციხისძირი (ტაბ. IV) ბიზანტიური ეპოქის მძლავრ სიმაგრედ ითვლება (ლანჩავა, 1996, გვ. 15). არქეოლოგიური ძეგლებიდან

ციხისძირში აღმოჩენილია V საუკუნის სამნავიანი ბაზილიკა, რომლის ქვეშ ადრინდელი ტაძრის კედლებია, ხუთგანყოფილებიანი აბანო, ქარვასლის ნაშთები, დიდი ზომის საზოგადოებრივი ნაგებობა (სასახლე), სხვადასხვა არქიტექტურული დეტალები, მოზაიკის ფრაგმენტები, სამაროვანი, მრავალფეროვანი კერამიკა, მონეტები (ინაიშვილი, 1974, გვ. 118-153; ინაიშვილი, 1988, გვ. 118-148). 1983-87 წლებში არქეოლოგიურად შესწავლილია ასევე გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების 14 სამარხი. აღსანიშნავია სამარხეულ ინვენტარში იარაღის (დანები, ცულები, შუბისპირი, სატევარი) დაფიქსირება. კერამიკა ძირითადად IV-V საუკუნეებით თარიღდება. ამავე პერიოდისაა მინის ნაწარმიც (მამულაძე, 2002, გვ. 26-27).

V-VI საუკუნეების ციხისძირში ე. წ. ვილა ფუნქციონირებდა, სადაც აბანოს მოზაიკაზე ბერძნულენოვანი გრაფიტო დასტურდება (კახიძე, 2002b, გვ. 121). აღნიშნავენ, რომ გაურკვეველია აგრძელებდა ეს პუნქტი ბიზანტიელთა სამხედრო საყრდენის როლის შესრულებას თუ ანტიკური კულტურის ლოკალიზებულ ელემენტს წარმოადგენდა. ამ გაურკვეველობის საფუძველად მიიჩნიათ ის ფაქტი, რომ ბიზანტიის დიქტატიდან გამოსვლა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მათი ჯარების მიერ ქვეყნის დატოვებას და ასევე იუსტინიანეს მიერ ქალაქის დაარსებისას აქ უკაცრიელი და უმნიშვნელო ადგილი იყო (კახიძე, 2002b, გვ. 121-122, შენ. 50).

თუ გავითვალისწინებთ, რომ IV-V საუკუნეები ლაზეთის ძლიერების ხანაა და მისი სამხრეთი საზღვარი მდ. ჭოროხის სექტორში, ან უფრო სამხრეთით აღწევს, მაშინ ციხისძირი ლაზეთის ფარგლებშია და ამ დროს აქ ბიზანტიური სამხედრო პუნქტის არსებობა წარმოუდგენელია. შესაბამისად, ციხისძირი ამ პერიოდში ეგრის-ლაზეთის თავდაცვითი სისტემის სტრატეგიულ ციხესიმაგრედ წარმოგვიდგება. რაც შეეხება იუსტინიანეს მიერ ქალაქის დაარსებისას აქაურობის გაუკაცრიელებას, პირველ რიგში ეს იმპერატორის საქმიანობის გაზვიადებულ წარმოდგენას ემსახურება და მეორეც, იუსტინიანეს მიერ აგებული პეტრას ლოკალიზაცია დღემდე სადავოდ რჩება, თუმცა მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით პეტრა სწორედ ციხისძირთან არის გაიგივებული (ჯანაშია, 1949, გვ. 30, 44; ხოშტარია, 1962; სულეიმანოვი, 1957, გვ. 5-41; სიჭინავა, 1957, 51-52; იგოროყვა, 1954, გვ. 230-234; სიხარულიძე, 1962, გვ. 25-26; Леквинадзе, 1973, გვ. 169-186; ინაიშვილი, 1971, გვ. 74-88; მუსხელიშვილი, 1977, გვ. 102-104). არსებობს პეტრას ლოკალიზაციის სხვა ვერსიებიც: დიუბუა დე მონპერემ იგი ვაშნართან გააიგივა (Dubois de Montpereux, 1839, გვ. 85, t. III); ს. ყაუხჩიშვილი მას ბათუმში ვარაუდობდა (ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 58-60); მ. სვანიძე კი აფსაროსში გულისხმობს (სვანიძე,

1998, გვ. 21-30). ციხისძირის და პეტრას იდენტიფიკაციას არ დაეთანხმა აგრეთვე გ. გრიგოლია, რომელმაც გაანალიზა რა წერილობითი, არქეოლოგიური, ისტორიულ-გეოგრაფიული, ტოპონიმიკური, ისტორიოგრაფიული მონაცემები, გამოთქვა მოსაზრება პეტრას ლოკალიზაციის შესახებ თანამედროვე ქ. ხოფაში თურქეთის ტერიტორიაზე. მკვლევარის ძირითადი არგუმენტებია: ხოფას ტოპოგრაფიის ზედმიწევნით შესაბამისობა პეტრას აღწერილობასთან, ნავსადგურის არსებობა, ბიზანტია-ეგრისის საზღვრის ხოფასთან მდებარეობა V-VI საუკუნეებში, რაც სავსებით ემთხვევა ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვარს, პროკოპისთან მოხსენებული მდ. ბოას-ფასისის მდ. ჭოროხთან იგივეობა (გრიგოლია, 1994, გვ. 11-78). საინტერესოა, რომ ეგრისში ბიზანტია-ირანის ომის პირველი ეტაპის მდ. ჭოროხის სექტორში მიმდინარეობას და შესაბამისად ბოას-ფასისის ჭოროხთან იგივეობას იზიარებს ასევე დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 282). ჩვენც ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მომენტისათვის ეს მართლაც ასეა. თუ ჩავთვლით, რომ ბიზანტიელებმა პეტრა საზღვართან ააგეს, მაშინ რეალურად შეიძლება პეტრა-ხოფას იდენტიფიკაციაზე საუბარი. მართლაც ძალიან დიდია ცდუნება გ. გრიგოლიას მოსაზრების გაზიარებისა, რის საფუძველსაც იძლევა თუნდაც ირანელთა პეტრაზე თავდაპირველი ლაშქრობების მარშრუტები. მაგრამ თუ ვიფიქრებთ, რომ ბიზანტიელებმა თავიანთი საყრდენი პუნქტი არა საზღვარზე, არამედ ქვეყნის შიგნით, თუმცა არც ისე შორს საზღვრიდან, დააარსეს, მაშინ ციხისძირი ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია.

მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით ხოფაში ბიზანტიური ციხის ნაშთები არ ჩანს (ლანჩავა, 1996, გვ. 15), თუმცა გ. გრიგოლიას ხოფას ზღვისპირა რაიონში დამოწმებული ტოპონიმები: ჯიხა (ციხე), ყალა-დიბი (ციხისძირი) და ჰიდრონიმი პეტროლალი (პეტრას-წყალი), ხოფასთან პეტრას იდენტიფიკაციის დასამტკიცებლად საიმედოდ მიაჩნია (გრიგოლია, 1994, გვ. 77).

ციხისძირის ტერიტორიაზე გ. გრიგოლია კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე სებასტოპოლისის სახელით ცნობილი ორი ქალაქიდან ერთ-ერთის ლოკალიზაციას ახდენს. როგორც მიღებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ფასისის მახლობლად სებასტოპოლისის მოთავსებას პტოლემეაიოსის შეცდომად თვლიან და გაურკვეველობას მიაწერენ (ლომოური, 1955, გვ. 39-63; ლომოური, 1958, გვ. 109). გ. გრიგოლია თვლის, რომ აქ არანაირ შეცდომას ადგილი არა აქვს და IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის კასტორიუსის საგზაო რუკაზე აღნიშნული მაგისტრალის

Artaxata-Sebastopolis-ის ერთ-ერთი პუნქტი Apasidam-ი სწორედ ციხისძირის ტერიტორიას ემთხვევა და ეს მისი ადგილობრივი ძველი სახელწოდება უნდა იყოს. სწორედ ამ სებასტოპოლისთან მთავრდებოდა სომხეთიდან მომავალი საგზაო მარშრუტი და არა დიოსკურია-სებასტოპოლისთან ან ფასის-სებასტოპოლისთან, რადგან Tabula Peutingeriana-ზე ასახული გზის ბოლო მონაკვეთი რიონის სამხრეთი რაიონებისაკენ მიემართება და მანძილის მიხედვითაც სავსებით შეესაბამება ვარდციხე-სებასტოპოლისის მონაკვეთს (90 კმ). სწორედ ციხისძირთან ხვდებოდა აღნიშნული მაგისტრალი შავიზღვისპირეთის გასწვრივ გამავალ გზას. გ. გრიგოლია ასევე უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ V საუკუნის „Notitia Dignitatum“-ის სებასტოპოლისიც ასევე ციხისძირია (გრიგოლია, 1994, გვ. 78-124).

შეგნიშნავთ, რომ ასეთი იდენტიფიკაცია თითქოსდა დამაჯერებელია, მაგრამ არტაშატა-სებასტოპოლისის მაგისტრალის ციხისძირ-სებასტოპოლისში დასრულება გარკვეულ დასაბუთებას მოითხოვს.

ფასისი – ზღვისპირა რომაულ ციხე-სიმაგრეთაგან (ტაბ. V) პირველი გადავიდა ლაზეთის სამეფოს სრული კონტროლის ქვეშ და IV-V საუკუნეებში ეგრისელთა, ხოლო VI-VII საუკუნეებში და VIII საუკუნის დასაწყისში ბიზანტიელთა ერთ-ერთ ძირითად საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა. აღნიშნულ ეპოქაში ფასისი მოხსენიებულია შემდეგ წერილობით წყაროებში: თემისტოლის (IV ს.) „სიტყვები“, კასტორიუსის (IV ს.) „Tabula Peutingeriana“, ამიანე მარცელინუსის (IV ს.) „ისტორია“, ანონიმი ავტორის (V ს.) „ეპქსინის პონტოს პერიპლუსი“, ზოსიმეს (VI ს.) „ახალი ისტორია“, სტეფანე ბიზანტიელის (VI ს.) „ეთნიკა“, აგათიას (VI ს.) “იუსტინიანეს მეფობის შესახებ,” მენანდრეს (VI ს.) “ისტორია,” ეპიფანე კონსტანტინეპოლელის (VIII ს.) „ანდრიას ცხოვრება“ (გამყრელიძე, 2002, გვ. 73; გამყრელიძე, 1998, გვ. 4-5).

IV-VIII საუკუნეების ფასისის საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის. ადგილი „ნოჯიხური“, რომელიც დიუბუა დე მონპერემ არიანესეულ ფასისად მიიჩნია და სადაც ნ. ლომოურმა და გ. გრიგოლიამ ოთხი ბორცვი და გვიანანტიკური არქეოლოგიური მასალები დააფიქსირეს, ფოთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საცდელი თხრილებით შეისწავლა. აქ იპოვნეს ხელოვნური მოზაიკის კვალი. სიძველეთმცოდნე ბ. გოგოლიშვილს ამ მიდამოებში სამი ნაჯიხური აქვს აღნიშნული თავის არქეოლოგიურ რუკაზე (მიქელაძე, 1978, გვ. 11-12). გამოითქვა მოსაზრება, რომ „საგოროდოს ტყეში,“ აეროდრომის და პატარა ფოთის სანერგის მიდამოებში შეიძლება დადასტურდეს ბიზანტიური ხანის

ქალაქის კვალი. სწორედ ამ ადგილებში იქნა ნაპოვნი IV-V საუკუნეებით დათარიღებული წელგამოყვანილი ამფორები, გვერდებაკეცილი კრამიტები, აგურები და სხვა არქეოლოგიური მასალა (მიქელაძე, 1978, გვ. 20, 88-89; გამყრელიძე, 2002, გვ. 84).

აღრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური მასალები (სამარონის ნაშთები; ქვით, აგურით და კირხსნარით აგებული შენობის ნანგრევები; აგური და კერამიკის ფრაგმენტები) აღმოჩნდა „სიმაგრეს“ ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ამ ეპოქის კერამიკის ფრაგმენტები გამოვლინდა: პალიასტომის ტბასთან, კაპარჭინაზე ახალი ხიდის მშენებლობისას, ასევე პალიასტომთან მდ. ფიჩორის და მდ. შავის შერთვის მონაკვეთებში, ფოთის აეროდრომის ტერიტორიაზე (გამყრელიძე, 2002, გვ. 84-85). საყურადღებო მონაცემები მოიტანა პალიასტომის ტბის არქეოლოგიურმა შესწავლამ, სადაც ზღვის შესართავიდან დაახლოებით კილომეტრზე დადასტურდა III-VIII საუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები, რომელიც ტბაში 900 კვადრატულ მეტრზე, ხოლო ნაპირზე 500 კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. აქ ყველაზე მრავალრიცხოვანია კერამიკული ნაწარმი, ასევე ნაპოვანია ხის ძელების და დამწვარი ბათქაშის ნაშთები. შესაძლოა აგურით ნაგებ პირველ სართულზე თიხით შელესილი და კრამიტით დახურული ხის ძელების ნაგებობა იდგა.

სამოსახლოზე გვხვდება მცირე რაოდენობის წითელლაკიანი კერამიკა, რომლის ანალოგიები (IV-V სს.) მოპოვებულია გონიოში, ციხისძირში, სოხუმში, ნოქალაქევიში, ქუთაისში და სხვაგან. „ნატეხებზე“ აგრეთვე წარმოდგენილია მინის მასალები, ძირითადად ფეხიანი სასმისები, რომლებიც IV-VIII საუკუნეებით თარიღდება და გავრცელებულია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში.

„ნატეხების“ ნამოსახლარზე მიკვლეული იქნა ორმოსამარხის ნაშთები, რომლის ინვენტარი იუსტინიანე II (565-578 წწ.) მონეტის მიხედვით VI საუკუნეს მიეკუთვნება. ივარაუდება, რომ პალიასტომის ტბის ძველი ნამოსახლარი პროკოფი კესარიელის და აგათიას მიერ აღწერილი ფასისის ნაშთებია (გამყრელიძე, 2002, გვ. 87-101).

III საუკუნის შუა ხანებში გუთების შემოსევის შემდეგ, III-IV საუკუნეების მიჯნაზე ხელახლა აღდგა სებასტოპოლის-აფსაროს-პიტიუნტის ციხე-სიმაგრეთა ქსელი, რომელიც ფუნქციონირებდა IV საუკუნეში. მ. ბერძნიშვილი ზოსიმეს ცნობაზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დროს (323-337

წწ.) ფასისი გამაგრებული პუნქტია (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 149). ფასისი არ ჩანს IV საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ კასტორიუსის რუკაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აქ ამ დროს აღარ არის რომაული გარნიზონი (თოდუა, 2003a, გვ. 35-36). ფასისი არც V საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებულ „Notitia dignitatum“-შია ნახსენები (ლომოური, 1989, გვ. 67-72). შესაბამისად, ფიქრობენ, რომ ლაზიკის სამეფოს ცენტრში მდებარე რომაული ციხე-სიმაგრე გაუქმდა IV საუკუნეში (Леквинадзе, 1969, გვ. 82). ვარაუდობენ, რომ მისი დაცვა IV საუკუნიდან მთლიანად დაეკისრა ეგრისის სამეფოს (თოდუა, 2003a, გვ. 36).

უშუალოდ ფასისის ციხესიმაგრის შესახებ პირდაპირი ცნობები წერილობით წყაროებში VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის ომამდე არ გვხვდება, მაგრამ აშკარაა, რომ ფასისი ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხე-ქალაქია. ძირითადი სამდინარო მაგისტრალის – ფასისის (რიონ-ყვირილას) შესართავთან მდებარე ქალაქის მეშვეობით ხორციელდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა შავი ზღვისპირეთისა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებთან. V საუკუნის ანონიმის ცნობით ფასისში თავს იყრის 60 ენაზე მოუბარი ტომი, მათ შორის ინდოელები და ბაქტრიელები (Anonym. PPE, § 3, გვ. 86), რაც ადასტურებს, რომ აქ დიდი სავაჭრო ცენტრი იყო ადგილობრივი მოსახლეობისა და შორეული ქვეყნების ვაჭარ-ხელოსნებისათვის. ფასისის მნიშვნელობაზე მიუთითებს ასევე მის მახლობლად არსებული, III-IV საუკუნეებში ფართოდ ცნობილი რიტორიკული უმაღლესი სკოლა. მოგვიანებით ფასისი ლაზიკის სამიტროპოლიტოს რეზიდენცია გახდა (ლომოური, 1968, გვ. 97; ბერძნიშვილი, 1969, გვ. 119; კვიციანი, 1994, გვ. 83-85).

ვფიქრობთ, რომ ეგრისის სამეფოს ასეთი დიდმნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი შესაბამისად უნდა ყოფილიყო დაცული. მიუხედავად იმისა, რომ სათანადო წერილობითი ცნობები და არქეოლოგიური მასალები IV-V საუკუნეების ფასისის ციხის შესახებ არ გაგვაჩნია, ვვარაუდობთ ამ პერიოდისათვის ციხე-სიმაგრის ფუნქციონირებას. არ გამოვრიცხავთ, რომ V საუკუნის 50-60-იან წლებში ბიზანტიასთან საომარი კონფლიქტისას სხვა ზღვისპირა ციხეებთან ერთად ფასისიც იცავდა ქვეყნის საზღვაო საზღვრებს და სწორედ ამიტომ უარყვეს ბიზანტიელებმა ეგრისში სანაოსნო გზით შემოსვლა.

ფასისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზანტია-ირანის ომის დროს. როგორც საომარი ოპერაციების მსვლელობისას ირკვევა, აქ ბიზანტიელთა საყრდენი პუნქტია, საიდანაც საჭიროების შემთხვევაში გაიგზავნებოდა სათანადო

რაოდენობის დამხმარე ძალა. პროკოპის მიხედვით არქეოპოლისს 3000 მეომარი იცავდა, 9000 კი ფასისთან იდგა (Procop. De BG, VIII, 13). მდ. ფასისის შესართავში შემდეგ კვლავ დგას ბიზანტიელთა და ლაზთა შეერთებული ჯარი (Procop. De BG, VIII, 16). მოგვიანებით რომაელები მარტინეს მეთაურობით ფასისის შესართავში მშვიდად და მტკიცედ დგანან ადგილობრივი მდებარეობის წყალობით (Procop. De BG, VIII, 17). პროკოპის ამ ცნობებით ნათელია ფასისის ადგილი ბიზანტიელთა სტრატეგიაში.

ფასისზე საუბრობს აგათია სქოლასტიკოსიც, რომელიც გვაწვდის პირდაპირ ინფორმაციას აქაური ციხესიმაგრის შესახებ. მ. ბერძნიშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ VI საუკუნის ფასისის ციხე ისევ ხისაგან არის აგებული, როგორც 400 წლის წინ ფლავიუს არიანეს დროს, ვიდრე მან აგურის სიმაგრე არ ააგო. მკვლევარი ასევე აგათიას აღწერილობის მიხედვით ბიზანტიური ეპოქის ციხის ლოკალიზაციას ახდენს ახლანდელი ფოთის აღმოსავლეთით, 4,5-6,5 კმ. მანძილზე მდინარის გაყოლებით პალიასტომის ტბის მახლობლად (Agat. Hist., III, 19, 20, 21, 22, 23, 24; ბერძნიშვილი, 1969, გვ. 160-166).

საინტერესოა, რომ 555 წელს ფასისი კვლავ ვერ აიღეს სპარსელებმა. ბიზანტიელებმა გაიმარჯვეს გადამწყვეტ ბრძოლაში. არც ერთი ჩვენთვის ცნობილი წყაროს მიხედვით ფასისის ციხე არავის მიერ არ არის აღებული, რაც მის სიმტკიცეზე მეტყველებს და მიუთითებს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის დაცვას.

მენანდრეს ცნობის (Menandr. fr. 3) თანახმად, 558 წლისათვის ფასისი კვლავ ბიზანტიელთა ხელშია. მომდევნო პერიოდშიც ის ბიზანტიელთა სამფლობელოა. 650 წლისათვის ის სამიტროპოლიტო ქალაქია. 717 წლისთვის ფასისში კვლავ ბიზანტიური გარნიზონი დგას (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 175-187).

სებასტოპოლისი – გუთების შემოსევების შემდეგ დაზიანებული ციხე (Воронов, 1980, გვ. 83) III-IV საუკუნეების მიჯნაზე კვლავ აღდგენილია და მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ როლს ასრულებს ზღვისპირა თავდაცვით სისტემაში (ტაბ. VI). IV საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ კასტორიუსის რუკაზე სებასტოპოლისი აფსაროსის მსგავსად შეწყვილებული კოშკებით არის დატანილი (თოდუა, 2003a, გვ. 35-36). სებასტოპოლისის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ასევე პროკოპი კესარიელი (BG, VIII, 4), იუსტინიანე (ნოველა, XXVIII), ეპიფანე კონსტანტინეპოლელი (“ანდრიას ცხოვრება”).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოიყოფა

IV-V საუკუნეების კულტურული ფენა, რომელიც ადასტურებს ქალაქის აღმავლობას და ცხოვრების უწყვეტ კვალს (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 57; Анчабадзе, 1964, გვ. 126; თოდუა, 2003a, გვ. 36-38; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 119; Трапш, 1969, გვ. 294-312; ავაქიძე, ლორთქიფანიძე, 1965, გვ. 126; Воронов, 1980, გვ. 15).

სებასტოპოლისის ციხე-სიმაგრეზე მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე სამშენებლო ფენას. მ. ტრაპში დასავლეთის სიმაგრეს II-IV საუკუნეებით, აღმოსავლეთისას III-IV საუკუნეებით, ხოლო ცენტრალურს არა უადრეს IV საუკუნის დასასრულით ათარიღებს. ს. სოლოვიოვი და ლ. შერვაშიძე დასავლეთ სიმაგრეს I საუკუნით, აღმოსავლეთისას I-II საუკუნეებით, ხოლო აღმოსავლეთის კონტრფორსებს და ციხეს III-IV საუკუნეებით განსაზღვრავენ. ვ. ლექვინაძეს მიერ კი აღმოსავლეთი სიმაგრე I-III საუკუნეებში, დასავლეთი III-IV საუკუნეებში, ხოლო ცენტრალური VI საუკუნეში აგებულად არის მიხნეული (Воронов, 1980, 15; Шервашидзе, Соловьёв, 1960, გვ. 171-180, სურ. 1; Леквинадзе, 1966, გვ. 203-210, სურ. 2; Леквинадзе, 1969, გვ. 84, სურ. 6). ვ. ლექვინაძე თვლის, რომ სებასტოპოლისი გეგმის მიხედვით ტიპური კასტელუმია, რომელსაც სხვა სიმაგრეთაგან განსხვავებით ჰქონდა პარალელოგრამის ფორმა მომრგვალებული კუთხეებით, რაც დამახასიათებელია სასაზღვრო კასტელუმებისათვის და გამაგრებული ბანაკებისათვის (Леквинадзе, 1966, გვ. 205-206, 209; Леквинадзе, 1969, გვ. 83). ციხე-სიმაგრეს შესასვლელი ზღვის მხრიდან უნდა ჰქონოდა.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ IV საუკუნის დასასრულისათვის და V საუკუნისათვის ეგრისის ტერიტორიაზე არსად არ იდგა რომაული ჯარი (ლომოური, 1968, გვ. 77; ლომოური, 1989, გვ. 67; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 92-93). V საუკუნის დასაწყისში სებასტოპოლისის ციხე-სიმაგრეში მიცვალებულნი იმარხებიან, რაც რაღაც სახით მისი მნიშვნელობის დაკარგვაზე მიუთითებს (Шервашидзе, Соловьёв, 1960, გვ. 178; Анчабадзе, 1964, გვ. 198). მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნეში საბასტოპოლისსა და პიტიუნტში იდგა რომაული გარნიზონები (თოდუა, 2003a, გვ. 38; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 119-120; Воронов, 1980, გვ. 89; Леквинадзе, 1969, გვ. 84). ძირითადად ასეთი მოსაზრება V საუკუნის Notitia Dignitatum-ის მითითებას ეყრდნობა, რომლის მიხედვით სებასტოპოლისში cohors prima claudia equitata იდგა (Not. dign. or. XXXVIII).

ვფიქრობთ, რომ IV საუკუნის 70-80-იან წლებში აღმოსავლეთ

შავიზღვისპირეთში ჰუნების შემოსევის შემდეგ, რასაც რომაულ ციხე-სიმაგრეთა განადგურება მოჰყვა, ძნელი წარმოსადგენია აქ ბიზანტიური გარნიზონის ყოფნა. მითუმეტეს, რომ IV-V საუკუნეები ლაზეთის განსაკუთრებული ძლიერების ხანაა და ზღვისპირა ქალაქები უპირატესად აგრარული ხასიათის ქალაქებს წარმოადგენდნენ, თუმცა მათ ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა აქვთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან (თოდუა, 1988, გვ. 90-96).

სებასტოპოლისში ბიზანტიური გარნიზონი კვლავ VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით არის ნახსენები (Procop. DE BG, VIII, 4), როდესაც პეტრას აღების შემდეგ ირანის შაჰმა ხოსრომ 541-542 წელს გადაწყვიტა სებასტოპოლისისა და პიტიუნტის დაკავება და ბიზანტიელთა განდევნა. მაგრამ ბიზანტიელებმა დაასწრეს, დაანგრეს ციხე-სიმაგრე და ტრაპეზუნტში გადაიხვეწნენ. მიაჩნიათ, რომ სწორედ ამ დროს დაინგრა სებასტოპოლისის I კასტელუმი (Леквинадзе, 1969, გვ. 84; Шервашидзе, Соловьев, 1960, გვ. 178) ი. ვორონოვი ფიქრობს, რომ ომის ამ ეტაპზე ხსენებულმა ციხეებმა დაკარგეს თავიანთი სტრატეგიული მნიშვნელობა. ამის შემდეგ იუსტინიანეს მიერ ახალი, შედარებით მცირე ციხესიმაგრე (0,6 კმ) აიგო (Леквинадзе, 1969, გვ. 84) და აღდგა ბიზანტიური სამხედრო ბაზა. იუსტინიანემ მთელი სებასტოპოლისი განაახლა, უძლეველი გახადა, გაამშენებინა და ღირსშესანიშნავ ქალაქად აქცია (Procop. DE AEDIFICIIS, III, 7). ვ. ლექვინაძე თვლის, რომ პროკოპი კესარიელი ცდილობდა ესიამოვნებინა იუსტინიანესათვის, ამიტომ მისი ცნობები არ იმსახურებენ ნდობას. თავად იუსტინიანეს ნოველაში სებასტოპოლისი ციხე-სიმაგრეაა მოხსენებული (Novella XXVIII). მკვლევარი ფიქრობს, რომ სებასტოპოლისი შესაძლოა დიდ ქალაქად გადაიქცა VII-VIII საუკუნეებში. ეპიფანე კონსტანტინეპოლელი მას „დიდ სებასტოპოლისს“ უწოდებს. ეს მოვლენა შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო სებასტოპოლისში აფხაზეთის არქიეპისკოპოსის კათედრა-რეზიდენციის დამკვიდრებასთან (Леквинадзе, 1966, გვ. 204). ამ პერიოდის ქალაქის შესახებ არქეოლოგიური მასალები ძალზე მცირეა. ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთ ნაწილში ნაპოვნია დიდი რაოდენობით მოზაიკის ქვები. სავარაუდოდ, აქ VII საუკუნეში ქრისტიანული ტაძარი იდგა. იქვე აღმოჩენილი ქრისტიანული სამარხები მეტყველებენ ციხე-სიმაგრის სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვაზე (Воронов, 1980, გვ. 99-100).

ანაკოფია – შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ივერიის მთაზე აღმართული მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტია (ტაბ. X). მის შესახებ

ცნობები ძირითადად ქართულ წერილობით წყაროებში გვხვდება, რომლებიც მას აფხაზეთის „მთავარ ციხეს“ უწოდებენ (Леквинадзе, 1968, გვ. 89). პირველად კი ის პროკოპისთან მოიხსენიება აბაზგთა განდგომასთან დაკავშირებით, თუმცა „ტრაქეას“ სახელით (Procop., De BG, VIII, 9). როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ეს ადგილი ისე აქვს პროკოპის აღწერილი, რომ დაეჭვება შეუძლებელია; ეს არის ანაკოფიის ციხე. მკვლევარი თვლის, რომ ანაკოფია სატომთაშორისო სასაზღვრო ციხეა, რომელიც აბაზგების აშენებულია და ისინი მისი საშუალებით თავს იცავდნენ აფშილებისაგან და ემუქრებოდნენ აფშილებსავე (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 503-504).

ანაკოფია დიდ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულის – აფხაზთა საერისთაოს ცხოვრებაში, რომლის პოლიტიკური ცენტრიც იყო VII-VIII საუკუნეებში. აქ მდებარეობდა აფხაზთა მთავრის რეზიდენცია (ლანჩავა, 1996, გვ. 27). ასევე ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად სწორედ აქ იყო ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი (Трапш, 1961, გვ. 260).

ანაკოფიის ციხე-სიმაგრეს უჭირავს დიდი ფართობი (7 ჰექტარი) და შედგება ორი ნაწილისაგან: ციტადელი და დიდი გალავანი. ციტადელი განლაგებულია ივერიის მთის მწვერვალზე (83X37 მმ). მას აქვს ორი კოშკი. მძლავრი კედლები აგებულია კირქვის კარგად გათლილი კვადრებით და შემორჩენილია 4-5 მეტრის სიმაღლეზე (სისქე 1 მ. მეტი). აღმოსავლეთისა და დასავლეთის კოშკები გალავანთან არ არიან დაკავშირებული და სავარაუდოდ, გვიან არიან აგებული. დასავლეთის კოშკთან განლაგებული იყო ციტადელში შესასვლელი კარი. ციტადელში ასევე გაჭრილია ჭა და აგებულია ტაძარი (VIII ს.) (Трапш, 1961, გვ. 260-262, სურ. 2).

დიდი გალავანი ივერიის მთის ფერდობებს მიჰყვება და გაცილებით ვრცელ ფართობს მოიცავს (450X150 მმ). ის ჩრდილოეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან დაცულია ციცაბო ფერდობებით, ამიტომ გალავანი წარმოადგენს უბრალო კედელს კოშკების გარეშე. შესაბამისად, ყველაზე მძლავრია სამხრეთის კედელი, რომელიც გამაგრებულია არათანაბარ მანიძილზე განლაგებული 7 კოშკით. ზოგი მათგანი სწორკუთხა, ზოგი მომრგვალებული ფორმისაა (Леквинадзе, 1968, გვ. 91-92, სურ. 1).

განსაკუთრებით საინტერესოა ციხე-გალავნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში მდებარე მთავარი წრიული კოშკი, რომელიც კარიბჭესთან არის აღმართული

(Трапш, 1961, გვ. 262, სურ. 4; Леквинадзе, 1968, გვ. 32, სურ. 4). აღნიშნული ტიპის კოშკები, რომლებიც ციხე-სიმაგრეთა დაცვის ძირითად ძალას წარმოადგენენ, ცნობილია დედა-ბურჯის სახელით. ანაკოფიის კოშკი წააგავს ნაწილობრივ ქუთაისის ციხე-სიმაგრის მთავარი ბასტიონს (ლანჩავა, 1996, გვ. 29, სურ. 21).

ანაკოფიის შიდაციხე-ციტადელი არქეოპოლისის, შორაპნის და სკანდის ხუროთმოძღვრული კონსტრუქციების ანალოგიით ვ. ლექვინაძის მიერ V-VI საუკუნეებით არის დათარიღებული, ხოლო დანარჩენი საფორტიფიკაციო ნაგებობების აგება VII-VIII საუკუნეებს მიეკუთვნება (Леквинадзе, 1968, გვ. 102). ამავე პერიოდით ათარიღებს დიდ კოშკებიან გალავანს მ. თრაფშიც. ძირითადი არქეოლოგიური მასალაც VII-XII საუკუნეებში თავსდება, მათ შორის დიდი გალავნის პერიმეტრში დაფიქსირებული საცხოვრებელი ნაგებობები (Трапш, 1961, გვ. 280).

ანაკოფიის ციხე ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით მაშინდელი სამშენებლო ტექნოლოგიით აგებული მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემაა, რომელიც ფრიად ეფექტურად ასრულებდა თავის მოვალეობას. ქართული წყაროების მიხედვით სწორედ აქ დამარცხდა მურვან-ყრუ VIII საუკუნის 30-იან წლებში აფხაზეთისა და ქართლის გაერთიანებული მხედრობის მიერ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 235). ამ ფაქტის მიხედვით ივარაუდება ეგრისის მმართველთა რეზიდენციის არსებობაც ანაკოფიაში (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 51).

პიტიუნტი – III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში გუთების გამანადგურებელი თავდასხმების შემდეგ, აფსაროსისა და სებასტოპოლისის მსგავსად პიტიუნტის (ტაბ. VII) მიმართაც დიდ დაინტერესებას იჩენს რომის ხელისუფლება, რაც მნიშვნელოვანი სააღმშენებლო საქმიანობით გამოიხატა (თოდუა, 2003a, გვ. 34). პიტიუნტის საზღვრებთან მომთაბარე „მასაგეტ-ჰუნების“ აქტივიზაციის პირობებში აუცილებლად მოსაგვარებელი გახდებოდა იმპერიის შორეული მისადგომების დაცვის პრობლემები (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 60). დღის წესრიგში დადგა ციხე-სიმაგრის თავდაცვისუნარიანობის განახლება-განმტკიცების საკითხი. აღადგინეს და გააფართოვეს კასტელუმი, რამაც შესაძლებელი გახადა გარნიზონში მეომართა რიცხვის გაზრდა 700-800 კაცამდე (თოდუა, 2003a, გვ. 34). სწორედ ბიზანტიურ ეპოქაში აგებული პიტიუნტის გალავან-კოშკები გვიქმნიან წარმოდგენას ციხესიმაგრის გეგმასა და გარეგნულ იერ-სახეზე.

ნაქალაქარის ტერიტორია, რომლის ზღუდე-გალავანი 1200 მეტრია და 27 კოშკით არის გამაგრებული, ორ ნაწილად იყოფა: სწორკუთხა გეგმარების

ციტადელი (ფართობი 2 ჰა.), რომელიც იმეორებს ძველი რომაული კასტელუმის გეგმას და წრიული მოყვანილობის სავარაუდოდ სამოქალაქო დასახლების ტერიტორია (ფართობი 4,5 ჰა.) (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 69; სურ. 4; აფაქიძე, 1975, გვ. 82). ფიქრობენ, რომ თავისი ზომებით პიტიუნტი შეესაბამება იუსტინიანე კეისრის ნოველის განსაზღვრას, რომელიც მას ციხე-სიმაგრის სტატუსს ანიჭებს და არა ქალაქისას (Novella, XXXI; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 70). კომპებით და კონტროლებით გამაგრებული კასტელუმის აგების თარიღს ვ. ლექვინაძე IV საუკუნით განსაზღვრავს. ამავე დროს მიაკუთვნებს მაროსებურ კომპებს და საერთოდ აღდგენით სამუშაოებს, მხოლოდ კასტელუმის ერთ-ერთი კომპის აგურ-კვადროვან წყობას IV-V საუკუნეებით ათარიღებს. მკვლევარმა ხაზგასმით აღნიშნა სამოქალაქო დასახლების გამაგრების სფეციფიკაც, რომელიც კასტელუმთან ერთად ერთიან თავდაცვით სისტემას ქმნის (Леквинадзе, 1969, გვ. 85-86).

არქეოლოგიური მონაცემებით დაფიქსირდა IV საუკუნის კასტელუმის ცენტრალურ ნაწილში პრეტორიის, ყაზარმების, პრინციპიის და სხვა ნაგებობათა გადაკეთების, ხოლო საუკუნის მიწურულს განადგურების კვალი. პიტიუნტის დანგრევა ჰუნების შემოსევას უკავშირდება IV საუკუნის 80-იან წლებში. ამის შემდეგ დედა-ციხის ტერიტორია მიწითაა დაფარული და აქ V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნეში ეწყობა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი: ქურა-სახელოსნოები, კირის გამოსაწვავი ორმოები, ცისტერნები, მარანი, რაც მეტყველებს ციტადელის ცენტრალური ნაწილის სამეურნეო ხასიათზე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 69-70; აფაქიძე, 1975, გვ. 27, 131, 135).

რაც შეეხება IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნეში თავად ქალაქს, ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ პიტიუნტში საქალაქო ცხოვრება ჩამკვდარია და მისი აღმავლობა ბიზანტიელების აქტიურობასთანაა დაკავშირებული. მკვლევარი ასევე უარყოფს პიტიუნტის დაქვემდებარებას ლაზიკის სამეფოსა და აბაზგ-სანიგთა კონტროლისადმი და მას კაპადოკიის პონტოს, კერძოდ, ნეოკესარიის სამიტროპოლიტოს მმართველობაში თვლის. მას ასევე მიაჩნია, რომ IV საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის დასაწყისამდე პიტიუნტში უცხოური გარნიზონი არ დგას. ქალაქის სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის დაკარგვაზე საუბრობს ო. ლანჩავაც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 70, 93; ლანჩავა, 1996, გვ. 32).

სხვა მკვლევარებიც უარყოფენ VI საუკუნის დასაწყისამდე პიტიუნტში ბიზანტიური გარნიზონის ყოფნას (Меликишвили, 1959, გვ. 382; ლომოური, 1989, გვ.

74-75). მათი აზრით, V საუკუნის Notitia Dignitatum-ში დასახელებული პითია და საერთოდ ყველა პუნქტი ჭანეთისა და მცირე არმენიის ტერიტორიაზეა ლოკალიზებული და კოლხეთის სანაპიროსთან არაფერი აქვს საერთო.

თუმცა არის საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად V საუკუნეში პიტიუნტში დგას ბიზანტიური გარნიზონი (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 191-193; Леквинадзе, 1969, გვ. 85). ერთ-ერთ არგუმენტად გამოყენებულია V საუკუნის ბიზანტიელი ავტორის თეოდორიტე კვირელის ცნობა რომაელთა სამფლობელოს და პონტოს უკიდურეს საზღვარზე – პიტიუნტში იოანე ოქროპირის გადასახლებაზე დაკავშირებით (Theod., V, 34). ფიქრობენ, რომ პიტიუნტი სწორედ ბიზანტიას ეკუთვნის, თორემ სხვაგვარად საიმპერატორო კარი ვერ გასცემდა ბრძანებას ეპისკოპოსების აქ გადმოსახლების თაობაზე (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 111-119; თოდუა, 2003, გვ. 36-38).

შევნიშნავთ, რომ პიტიუნტის ეკლესიის ნეოკესარიის სამიტროპოლიტოზე იერარქიული დამოკიდებულება (ამირანაშვილი, 1971, გვ. 122, 137), არ ნიშნავს მაინცდამაინც ქალაქის ან რეგიონის ბიზანტიაზე პოლიტიკურ დამოკიდებულებას. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ საუბარია არა საერო, არამედ სასულიერო პირის გადმოსახლებაზე, რომლის კონტროლი სწორედ პიტიუნტის სასულიერო ხელისუფლებას ევალება. ვფიქრობთ, რომ დასახელებული არგუმენტი არ გამოდგება აქ ბიზანტიური გარნიზონის ყოფნის დადასტურებისათვის. არც მაინცდამაინც რომაელთა სამფლობელოს უკიდურეს საზღვრად პიტიუნტის მოხსენიებაა მისი იმპერიის ფარგლებში არსებობის საბუთი. ბიზანტიისათვის ღაზეთი ვასალური სახელმწიფოა, მას ემორჩილება და მთელი ქვეყანა შეიძლება ჩაითვალოს მის სამფლობელოდ. აქედან გამომდინარე, ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნეში პიტიუნტი ადგილობრივი ქალაქია და სხვა ზღვისპირა ქალაქების მსგავსად ინტენსიური ცხოვრება მიმდინარეობს.

არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ V საუკუნის პიტიუნტში შემოდის ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქცია: წითელლაკიანი კერამიკა, „ლურჯხალიანი“ და ბადისებრორნამენტის მინის ჭურჭელი და სხვა ნაწარმი (თოდუა, 1988, გვ. 91; თოდუა, 2003a, გვ. 37). თუმცა შენიშნავენ, რომ V საუკუნისათვის აქ ადგილობრივი ხელოსნური წარმოება თითქმის არ დასტურდება, რაც აგრარიზაციისა და ნატურალიზაციის პროცესის გადრმავებაზე მეტყველებს და სამოქალაქო მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო დარგების წამყვან როლზე მიუთითებს. აღნიშნულის საფუძველზე ფიქრობენ, რომ IV-V საუკუნეებში ეგრისის

ზღვისპირა ცენტრები აგრარული ხასიათის ქალაქებს წარმოადგენენ (თოდუა, 1988, გვ. 93-96).

ციტადელის აღმოსავლეთით წრიული მოყვანილობის გალავნითა და კოშკებით გამაგრებული სამოქალაქო დასახლება მდებარეობს. ამგვარი დასახლებები დაფიქსირებულია აფსაროსში და ფასისში. მიუხედავად იმისა, რომ მათი ხასიათისა და სტატუსის შესახებ შესაბამისი მონაცემები არ გაგვაჩნია, ისინი კანაბებად მიჩნეული (Леквинадзе, 1969, გვ. 90-91. ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 69-74). თ. თოდუა ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულ გარნიზონებთან არსებული დასახლებები, მათ შორის პიტიუნტი, რომელსაც ვეტერანთა სავაჭო-სახელოსნო ტიპის – „vicus“-ის რანგის სამოსახლოებია, რომლებიც იქმნებოდა საკოპორტო კასტელუმებთან და არა კანაბა, რომელიც ლეგიონარული ბანაკებისათვის არის დამახასიათებელი (თოდუა, 2003a, გვ. 50).

ბიზანტიელები პიტიუნტში VI საუკუნის დასაწყისში დაბრუნდნენ, მაგრამ 542 წელს სპარსელთა შემოსევის გამო დაანგრეს ციხესიმაგრე და ტრაპიზონში გადავიდნენ (Procop., De BG, VIII, 4). ვარაუდობენ, რომ ბიზანტიელებმა მხოლოდ სამხედრო ობიექტები გამოიყვანეს მწყობრიდან (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 70). ბიზანტიელთა აქტიურობაზე მეტყველებს მათი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების კვალი, რაც დაფიქსირდა XVIII კოშკის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესა და იატაკზე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 71). ამავე დროს იწყება საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება. იგება ახალი ტაძრები და პიტიუნტი სატაძრო ქალაქად გადაიქცევა. VII-VIII საუკუნეების ბიჭვინთა საეკლესიო ცენტრია (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 173; ლანჩავა, 1996, გვ. 32).

§ 3. რიონ-ყვირილას სასიმაგრო თავდაცვის ხაზი

რიონ-ყვირილას სამდინარო ხაზზე განლაგებული თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობათა აღმოცენება III-IV საუკუნეთა მიჯნაზე იწყება. თუმცა შიდა ეგრისში წერილობითი წყაროების მიხედვით I-II საუკუნეებში არსებობს ქალაქები და სოფლები, რომლებიც სავარაუდოდ სწორედ რიონ-ყვირილას გასწვრივ არიან განლაგებულნი. ჯერჯერობით არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მხოლოდ სარაკე-სარაპანაა იდენტიფიცირებული შორაპანთან, რაც ყველა მკვლევარის მიერაა გაზიარებული. დანარჩენი პუნქტებიდან ზოგიერთის ლოკალიზაცია საერთოდ არ ხერხდება, ზოგის მხოლოდ ჰიპოთეზების დონეზეა, ზოგის კი დღემდე სადავოდ რჩება.

ეგრისის სამეფოს შიდა რეგიონებში ციხე-ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების წარმოქმნა არსებული მოსაზრების მიხედვით III-IV საუკუნეებში იწყება, განპირობებულია ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ინტერესებით (ლანჩავა, 1996, გვ. 64; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62; ჭუმბურიძე, 2000, გვ. 52) და თანხვდება მისი გაძლიერება-გაერთიანების პროცესს, რომელიც IV საუკუნის მიწურულისათვის სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ ფაზისის სამდინარო ხაზზე საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალი გადის და ის თავისთავად მოქცეული იყო ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური ინტერესების სივრცეში, ამჯერად აქ მათი თავდაცვითი პუნქტების მშენებლობა და შესაბამისად, გარნიზონების ჩადგომა არ ივარაუდება. თუმცა VI საუკუნეში ბიზანტია-ირანის ომიანობისას და შემდეგ სიტუაცია იცვლება.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნული თავდაცვის ხაზის წარმოქმნა განპირობებულია აქ გამავალი საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაცვის, რიონ-ყვირილას აუზის მდინარეთა ხეობების კონტროლის, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების უშიშროებისა და ქვეყნის შიდა რეგიონებში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62-63).

რიონ-ყვირილას თავდაცვის ხაზი, ისევე როგორც მთლიანად ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა, ერთიანი, კარგად გააზრებული გეგმის შესაბამისად იქმნება (ლანჩავა, 1996, გვ. 64; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 63). არა მარტო ქვეყნის, არამედ ცალკეული რეგიონებისათვისაც კი აუცილებელი იყო ყოველმხრივი თავდაცვის სისტემის მოწყობა, რომლის შექმნასაც ორგანიზებული სახე მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ მიეცა, რადგან სწორედ მის საჭიროებას

ემსახურებოდა საზღვრებზე, მაგისტრატებზე და გზაჯვარედინებზე აგებული ციხე-სიმაგრეები (Закарая, 1969, გვ. 13; ზაქარაია, 1973, გვ. 46).

რიონ-ყვირილას მაგისტრალზე აგებულია სხვადასხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები. აქ გვხვდება: ციხე-ქალაქები, რომლებიც იცავენ სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციულ ცენტრებს; ციხე-სიმაგრეები, რომლებიც იფარავენ და აკონტროლებენ ხეობებს; გამაგრებული ბანაკები, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული სტრატეგიული საჭიროების შესაბამისად და ფუნქციონირებენ დროებით ან მუდმივად.

აღნიშნულ სასიმაგრო ხაზზე განლაგებულია შემდეგი სასიმაგრო პუნქტები: ნესოსი, ტელეფისი, მთისძირი, როდოპოლისი, შორაპანი და სკანდა (ლანჩავა, 1996, გვ. 64; ლანჩავა, 2007, გვ. 97; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62).

ნესოსი – გამაგრებული ბანაკია, რომელიც ხშირად იხსენიება აგათია სქოლასტიკოსის ცნობებში. სტრატეგიული თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ადგილია, რომელიც საგანგებოდ არის გამაგრებული და ირანელთა მრავალი მცდელობის მიუხედავად, ბოლომდე ბიზანტიელთა ხელში რჩება (გრიგოლია, 1994, გვ. 113).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ნესოსის ადგილმდებარეობას განსაზღვრავენ მდ. რიონისა და მდ. ტეხურის შესართავში, სადაც სპეციალურად გაჭრილი არხის მეშვეობით ხელოვნური კუნძული შეუქმნიათ. ს. ყაუხჩიშვილი ფიქრობდა, რომ სწორედ აქ იყო ბიზანტიელთა ცენტრალური ბანაკი, რომლის სახელწოდება ლათინური „ინსულადან“ (კუნძული) მომდინარეობს და „ისულას“ სახელით დღემდე შემორჩა. ნესოსის სამხედრო მნიშვნელობა და ძალა მის კუნძულისებრ ხასიათში მდგომარეობდა, რომელიც ძალზე ძნელი მისადგომი იყო (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 316-317). ს. ყაუხჩიშვილისეულ ლოკალიზაციას იზიარებენ სხვა მკვლევარებიც. ნესოსის ადგილმდებარეობას იყენებენ ფასისის ლოკალიზაციის დასადგენად, რომელიც აგათიას მიხედვით მას 6 ფარსანგით არის დაშორებული (Agath. III, 19), რაც 32 კმ შეესაბამება. სწორედ აქ, ფოთის მისადგომებთან, დასტურდება V-VI საუკუნეების არქეოლოგიური მასალები (ბროსე, 1895, გვ. 89-90; ბერძნიშვილი, 1969, გვ. 18-19; 163; მიქელაძე, 1978, გვ. 88; ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 97). ითვლება, რომ მდ. რიონისა და მდ. ტეხურის შესართავში სამხედრო ბანაკის მოწყობა განაპირობა წმინდა გეოგრაფიულმა ფაქტორმა. ეს ადგილი აკონტროლებდა ნოქალაქევისა და ქუთაისისაკენ მიმავალ ხეობებს და იცავდა ქ. ფასისის მისადგომებს (ლანჩავა, 1996, გვ. 40; ლანჩავა, 2007, გვ. 85).

თუმცა არსებობს ნესოსის ლოკალიზაციის სხვა მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის გ. გრიგოლიას. მკვლევარი ფიქრობს, რომ აგათიასეულ აღწერას ნესოსისა ყველა ძირითადი მახვენებლით საოცრად ემთხვევა მდ. რიონისა და მდ. ცხენისწყლის შესართავში არსებული კუნძული ორპირი. სწორედ ნესოსის კუნძულზე განლაგების გამო ვერ ბედავენ სპარსელები 60000-იანი არმიით მცირერიცხოვან ბიზანტიელებზე შეტევას, როცა ამას აკეთებენ ხის კედლებით გამაგრებული და წყლით სავსე თხრილებით გარშემორტყმული ფასისის ძლიერი გარნიზონის წინააღმდეგ. გ. გრიგოლია ასევე ადასტურებს ზედაპირული დაზვერვებით კუნძულ ორპირის ტერიტორიაზე V-VI საუკუნეების კერამიკული მასალის მოპოვებას, რაც დამაჯერებლობას მატებს ნესოს-ორპირის იდენტიფიკაციას (გრიგოლია, 1994, გვ. 125-129).

მიუხედავად იმისა, რომ კუნძული ორპირი მართლაც უაღრესად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტია, რომელიც აკონტროლებს რიონისა და ცხენისწყლის საგზაო მაგისტრალს და მდებარეობს მოხირისის საზღვარზე, ვფიქრობთ, რომ აქ ნესოსის ლოკალიზაცია ნაკლებ სავარაუდოა. აგათია ზუსტად ასახელებს მანძილს ნესოსსა და ფასისს შორის. თუ ნესოსი კუნძულ ორპირზეა, მაშინ ქ. ფასისი თანამედროვე სენაკის მახლობლადაა საძიებელი, რაც აშკარა შეუსაბამიობას ქმნის. თავად აგათიასაც, რომელიც დაწვრილებით აღწერს საომარი ოპერაციების პერიპეტიებს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მანძილის განსაზღვრისას ასეთი შეცდომა დაეშვა. გარდა ამისა, რიონ-ცხენისწყლის შესართავს სამხრეთიდან აკონტროლებს ტოლების ციხე (ტელეფისი).

ვფიქრობთ, რომ თუ დაუგვირდებით საომარი მოქმედებების რუკას და გავარკვევთ ირანელებისა და ბიზანტიელების სტრატეგიას, მაშინ შესაძლებელი გახდება ნესოსის ლოკალიზაციისათვის დამაჯერებელი დასაბუთების მიცემა.

ბიზანტიელების მოქმედებებიდან აშკარაა, რომ მათ საომარი ოპერაციების ძირითად არენად ეგრის-ლაზიკის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი აარჩიეს, სადაც ძირითადი საყრდენი ბაზები შექმნეს და საგულდაგულოდ გაამაგრეს. მათ საერთოდ მიატოვეს ეგრისის აღმოსავლეთი ნაწილი და სპარსელებს თითქმის წინააღმდეგობის გარეშე დაუთმეს არა მარტო სკანდისა და შორაპნის სასაზღვრო ციხეები, არამედ თვით ქუთაისი და ვარდციხე-როდოპოლისი, რომლებიც ლაზებმა თავად დაანგრიეს, ასევე ქვეყნის უმდიდრესი ეკონომიკური რეგიონი, მოხირისის მხარე. ბიზანტიელებმა თავდაცვა დასავლეთ ეგრისში ნოქალაქე-ფასის-ნესოსზე დაყრდნობით მოაწყვეს და საკმაოდ წარმატებით. მთელი ომის მიმდინარეობის

პერიოდში სპარსელებმა ვერც ერთი მათგანი ვერ აიღეს. სამივე დასახელებული სიმაგრე საომარი ტაქტიკის თვალსაზრისით ერთმანეთთან ხელმისაწვდომ მანძილზე მდებარეობს და საჭიროების თვალსაზრისით ადვილად მიესმარებოდა ერთმანეთს.

თუ ჩავთვლით, რომ ნესოსი კუნძულ ორპირზეა, აღმოჩნდება, რომ ის მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიის შუაგულშია, განსაკუთრებით ტელეფისის (ტოლების) დაცემის შემდეგ, ხოლო კუნძულზე გამოკეტილი, ალყაში მყოფი გარნიზონი, რომელიც საყრდენ ბაზებს მოწყვეტილია და საომარ ოპერაციებში ვერ მონაწილეობს, უფუნქციოდაა დარჩენილი და სარდლობისათვის გამოუყენებელია, რაც ძნელი წარმოსადგენია.

ამრიგად ვფიქრობთ, რომ ნესოსი სწორედ რიონ-ტეხურის ხერთვისში მდებარეობს და ფასისისა და ნოქალაქევის მიმართ ფორპოსტის როლს ასრულებს.

ტელეფისი – ბიზანტია-ირანის ომებისას ერთ-ერთი საკვანძო ციხეა, რომელშიც ბიზანტიური გარნიზონი იდგა. ს. ყაუხჩიშვილმა ტელეფისი მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე ტოლების ციხესთან გააიგივა, რომელიც რიონ-ცხენისწყლის შესართავს ზედ დაჰყურებს (ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 55). აგათიას ცნობის თანახმად ტელეფისი ნესოსიდან 150 სტადიონით (5 ფარსანგი), დაახლოებით 25-27 კმ-თაა დაცილებული, რაც სწორედ ისულადან ტოლებამდე მანძილს შეესაბამება. გარდა ამისა სახელთა დამთხვევა და ციხის ადრეშუა საუკუნეებით დათარიღება საკმაო საბაზს იძლეოდა იმისათვის, რომ ს. ყაუხჩიშვილს ტოლები-ტელეფისის იდენტიფიკაცია მოეხდინა (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 40, 160, 312-316). ეს მოსაზრება გაიზიარა მ. ბერძნიშვილმა, რომელმაც გამოთქვა ვარაუდი, რომ სწორედ აქ იმყოფებოდა გუბაზ მეფე 553 წელს, როდესაც მერმერომ მასზე იერიში მიიტანა (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 162). ამავე მოსაზრებას ეთანხმება ნ. ბერძენიშვილიც. (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 490). იგივეს ფიქრობენ სხვებიც (ლომთათიძე, პაპუაშვილი, 1973, გვ. 206; Мшвениераძე, 1959, გვ. 44).

ტოლების ციხე მდებარეობს მდ. ხევისწყლის ხეობაში მაღალ მთაზე. მას მისასვლელი მხოლოდ სამხრეთიდან აქვს. ციხე ორმაგი თხრილებით იყო დაცული, რომელთაც დ. მშვენიერაძის თქმით აგათიაც ახსენებს. პირველი მათგანი ციხის პერიმეტრის გასწვრივ გადის, ხოლო მეორე უფრო ფართო ტერიტორიას მოიცავს. მათი სიღრმე 4-5 მეტრია, სიგანე ფსკერზე 5-7 მეტრი. თხრილების სიღრმეს 10 მეტრამდე ზრდიდა მიწაყრილიც, რომელიც კიდეებზე იყო აღმართული. ეს იყო თითქმის ვერტიკალურ კედლებიანი ბუნებრივი წინაღობა, რომელიც ანელებდა და

ამნელებდა ციხის შტურმს (Мшвениераძე, 1959, გვ. 45, სურ. 71, 74).

ციხეზე, რომლის ფართობი 2 ჰექტარია, რამდენიმე სამშენებლო ფენაა დადასტურებული. გალაგნის ადრინდელი წყობა თლილი კვადრებითაა შექმნილი, ზედა ნაწილი კი რიყის ქვებისაგან (ლანჩავა, 1996, გვ. 41; ლანჩავა, 2007, გვ. 86).

დ. მშენიერადემ დააფიქსირა დიდი კვადრების წყობა (40X45X60 სმ), რომელიც ადგილობრივი ქვიშაქვისაა. მშენებლობაში ასევე გამოიყენება ორი სახეობის აგური, რომელთაგან ერთი ადრეული უნდა იყოს (23X32X6 სმ).

ს. ყაუხჩიშვილმა ტოლების ციხის მახლობლად აღმოაჩინა კრამიტის წარმოების ფაქტი და უბანი სახელად „დერგა“, რამაც მას საშუალება მისცა დაედასტურებინა აგათიასთან ნახსენები „ოლარია“ – „ქიტროპოლია“ – „ქოთნების სავაჭრო“ (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 314). ასეთი სავაჭროს არსებობას ადგილობრივი ხელოსნური წარმოების გამოვლინებად მიიჩნევენ. ვარაუდობენ ასევე, რომ აქვე იწვებოდა ციხის სამშენებლო აგურიც (ლომთათიძე, პაპუაშვილი, 1973, გვ. 206).

ტელეფისის მდებარეობის შესახებ სხვა მოსაზრებებიც არსებობს. კერძოდ, სახელთა მსგავსების გამო მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი ახდენდნენ მის ლოკალიზაციას ჩხარის რაიონის სოფ. ტელეფასთან, ხოლო გ. გრიგოლიამ ტელეფისი ვანის რაიონში მდებარე ციხესულორთან გააიგივა. ასეთი ვარაუდის საფუძველს მკვლევარს ტელეფისისა და ციხესულორის ტოპოგრაფიული პირობების მსგავსება აძლევს. მისი აზრით, სწორედ აქ, ვარციხის დასავლეთით, სპარსელებისა და რომაელების სამფლობელოთა სასაზღვრო ციხეა, რომელიც კეტავდა ნესოსისა და ფასისისკენ მიმავალ სახმელეთო გზას (გრიგოლია, 1994, გვ. 135-138).

ციხესულორი მდ. რიონის მარცხენა მხარეს მდებარეობს, მაგრამ ის მაინც მოხირისის სანახებში ივარაუდება, რომელიც ირანელთა სრული კონტროლის ქვეშაა. ნ. ბერძენიშვილსაც აკვირვებს მოხირისის აგრე გამეტება, მაგრამ თვლის, რომ ლაზების ძირითადი დასაყრდენი ცხენისწყლის დასავლეთითაა (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 50).

აქედან გამომდინარე ტელეფის-ტოლების იგივეობა უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია. აქ ბიზანტიური გარნიზონი თავის საყრდენ ბაზებთან ახლოს მდებარეობს, ფაქტიურად მათ მისადგომებს იცავს და საფრთხის შემთხვევაშიც იოლად და სწრაფად უერთდება ძირითად ძალებს, როგორც ეს აგათიას ცნობით მარტინემ გააკეთა 553 წელს.

მთისძირი – მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილზე, მდ. რიონისა და მდ.

ყუმურის შესართავთან განლაგებული (ტაბ. IX, სურ. 2), ჩვენთვის საინტერესო ეპოქის (I-VIII სს.) ძეგლია. არქეოლოგიური მონაცემებით (რომლებიც აღმოჩნდა „ადეიშვილების“ გორასა და მიმდებარე ტერიტორიაზე) დასტურდება მთისძირის სამოსახლოს აღმავლობა გვიანანტიკური ხანის ბოლოს და ადრეულ შუა საუკუნეებში (გამყრელიძე, 1982, გვ. 101).

გ. გამყრელიძის ვარაუდით, მთისძირის სამოსახლო ციხე-ქალაქია, რომელიც ერთის მხრივ გარკვეულ ეკონომიკურ მხარეს საზღვრავდა, ხოლო მეორე მხრივ, სამცხიდან მომავალ ერთ-ერთ გზას ჰკრავდა. მთისძირის განვითარებაში გარკვეული როლი ფასისის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალზე მდებარეობას უნდა ეთამაშა (გამყრელიძე, 2002, გვ. 149-150).

მთისძირის საფორტიფიკაციო ნაგებობები „ადეიშვილების“ გორაზე შეფენილ ტერასებზეა განლაგებული. ქვედა ტერასაზე დაფიქსირებულია ქვით ნაგები გაღანის კვალი. ნათელია, რომ თავდაცვითი სისტემა ბუნებრივი რელიეფის მიხედვითაა შექმნილი. გორის თავზე ნაგებობათა მოზრდილი კომპლექსი იყო გამართული. გ. გამყრელიძე შენიშნავს, რომ მთისძირი იმ სიმაგრეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც გზების ჩასაკეტად და გარკვეული „ქვეყნის“ საზღვართა დასაცავად იქმნებოდა (გამყრელიძე, 2002, გვ. 149; გამყრელიძე, 1982, გვ. 102). იგივე მოსაზრებას იზიარებს ო. ლანჩავა (ლანჩავა, 1996, გვ. 42; ლანჩავა, 2007, გვ. 86-87).

„ადეიშვილების“ გორის პლატოზე არსებული ოთხკუთხა ნაგებობა ორი სათავსოსაგან შედგება. აღმოსავლეთის სათავსო გაცილებით ვრცელია (115,50 კვ.მ.), დასავლეთისა კი უფრო მცირე (30,25 კვ. მ.). აღნიშნულ კომპლექსს, რომელშიც ორი სამშენებლო პერიოდი გამოიკვეთა, სტრატეგიულად ხელსაყრელი ადგილმდებარეობა აქვს. ის აკონტროლებს მდ. რიონის ხეობის საკმაო სივრცეს და მდ. ყუმურის ხეობაზე გამავალ გზას. ნაგებობის სათავსოებში გამოვლინდა მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა – კერამიკის, მინის, რკინის ნაწარმი, რომელიც მსგავსია ვარდციხის, ვაშნარის, ბიჭვინთის, ციხისძირის მასალებისა (გამყრელიძე, 1982, გვ. 118-119; გამყრელიძე, 2002, გვ. 154-159).

მთისძირის მახლობლად დადასტურებულია ტოპონიმი მუხური, რომლის საფუძველზე გ. გამყრელიძე ფიქრობს, რომ მთისძირი ბიზანტიურ წყაროებში (Procop. DE BP, II, 29; BG, VIII, 14, 16; Agath. II, 19, 22; III. 6, 7, 19, 28; IV. 9, 13) მრავალგზის მოხსენიებული „მუხირისია,” რომელიც ქუთაისისგან დაცილებით, არქეოპოლისისაკენ, მოხირისის მხარის განაპირას უნდა მდებარეობდეს. თუმცა მკვლევარი შენიშნავს, რომ მუხირისის ადგილმდებარეობის საკითხი არ შეიძლება

დღესდღეობით გადაჭრილად ჩაითვალოს (გამყრელიძე, 1982, გვ. 118-119; გაყრელიძე, 2002, გვ. 154-159).

მთისძირი-მუხირისის იდენტიფიკაცია არადამაჯერებლად მიაჩნია ო. ლანჩავას, რომელიც მთისძირს მცირე გამაგრებულ პუნქტს უწოდებს და თვლის, რომ აქ არ შეიძლება იყოს ლაზიკის ერთ-ერთი „ყველაზე შესანიშნავი ქალაქი მოხირისი“ (Procop., De BP, II, 29) და საერთოდ მუხირისის ძიება ქუთაისის სანახებს გარეთ შეცდომად მიაჩნია. მკვლევარი ფიქრობს, რომ მთისძირი პროკოპისეული კლისურას ტიპის სიმაგრეა, რომელიც მდ. ყუმურის ხეობას კეტავს (ლანჩავა, 1996, გვ. 43-44; ლანჩავა, 2007, გვ. 87).

მთისძირის და მუხირისის გაიგივების შესაძლებლობას, მიუხედავად აქ დადასტურებული ტოპონიმ მუხურისა და ადრეშუასაუკუნეების ძეგლისა, ვერ ხედავს ვ. ჯაფარიძეც, რომელიც მუხურისად ნამაშევის ციხეს აღიარებს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 120).

ვარდციხე-როდოპოლისი – ეგრისის სამეფოს მნიშვნელოვანი ქალაქია, რომელიც მდებარეობს ქუთაისიდან სამხრეთ-დასავლეთით, 12 კმ-ის დაშორებით, მდინარეების რიონ-ყვირილასა და ხანისწყალის ხეობის შესართავთან, სოფ. ვარციხის (ტაბ. XXIII) ტერიტორიაზე (ჯაფარიძე, 1989, გვ. 3). აღნიშნული იდენტიფიკაცია ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 308-311; ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 55).

ბერძნულ-ბიზანტიურ წყაროებში როდოპოლისი მრავალგზის მოიხსენიება აღმატებული ეპითეტით: „უდიდესი და ძველი“, „შესანიშნავი“ (Corpus iuris civilis, Novella XXXI; Procop. De BP, II, 290; Agath. hist. IV, 13). VII-X საუკუნეებით დათარიღებულ ეკთესისებში მითითებულია როდოპოლისის საეპისკოპოსო (Notitia, I-VII, VIII, IX).

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ვარდციხე მართლაც შესანიშნავი ქალაქი უნდა ყოფილიყო, რომელიც დიდი სამიწათმოქმედო რაიონის წარმონაქმნი ჩანს. მის გარშემო ფართო, უხვმოსავლიანი, ჯანსაღი ქვეყანაა. მასზე გადიან სახმელეთო გზები და სწორედ აქედან არის დიდი ხომალდებისათვის სანაოსნო მდ. ფაზისი (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 444-445). სამი მდინარის ხერთვისში მდებარე ქალაქი თავისებურ საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა ამ მდინარეთა ხეობებით მომავალი გზებისათვის (ლომოური, 1973, გვ. 179; ლომოური, 1968, გვ. 99).

ადრეშუასაუკუნეების ვარდციხე, როგორც ჩანს ვაკეზე განლაგებულ სამოსახლოთა ცენტრია, რომელთა ნაშთები სხვადასხვა მიზეზების გამო ცუდად

შემოინახა (ჯაფარიძე, 1977, გვ. 49). თავად ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამოსახლოს განენის თარიღის შესახებ მსჯელობა ძნელია არქეოლოგიური მასალების მიხედვით, რადგან გათხრებისას ადრეული ხანის საცხოვრებელ ნაგებობათა ნაშთები ცოტაა გამოვლენილი. მათგან აღსანიშნავია რიყის ქვის კედლის ფრაგმენტი, კვადრატული ფორმის აგურით ნაგები სვეტის ძირით, რომელიც სავარაუდოდ ძველ ზღუდეზე მიდგმულ ნაგებობას (ყაზარმას?) წარმოადგენდა და წრიულად მოწყობილი აგურ-კრამიტის ფენა, რომელიც შეიძლება აბანოს არსებობის მანიშნებელი იყოს. ფიქრობენ ასევე, რომ ნოქალაქევის მსგავსად საცხოვრებელ ნაგებობათა ნაწილი ხისაგან იქნებოდა აგებული, შესაძლოა ქვის საძირკველით (ჯაფარიძე, 1989, გვ. 18-19; ჯაფარიძე, 1974, გვ. 103; ჯაფარიძე, 1992, გვ. 235). ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ ვარდციხელები ქალაქის გაღავნის შიგნით ცხოვრობდნენ, გარშემო კი მოსახლეობა არსებობდა სოფლების სახით (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 445). აღსანიშნავია, რომ ვარდციხესის მშენებლობისას წყალქვეშ მოექცა ნაქალაქართან დაკავშირებული სამოსახლოების და სამაროვნის ნაწილი (ჯაფარიძე, 1975, გვ. 30).

როდოპოლისში ცხოვრების ძირითად ეტაპად ახ. წ. IV-VI საუკუნეები მიიჩნევა. თუმცა ზოგ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ცალკეული ფენების და დონეების გამოყოფა. ძირითადად დამათარიღებელ მასალას იმპორტული ნაწარმი წარმოადგენს. მრავლადაა წითელლაკიანი ჯამების მოგვიანო ტიპები, რომლებიც V-VI საუკუნეებით თარიღდება. სინოპური ამფორების ფრაგმენტები კი IV საუკუნეს მიეკუთვნება. IV საუკუნის მეორე ნახევრით განისაზღვრება ლურჯი მინისაგან დამზადებული დოქების ფრაგმენტები (ჯაფარიძე, 1999, გვ. 94-95).

ვარდციხე მდინარეთა ხერთვისში, კონცხზეა განლაგებული, საიდანაც იწყება ტერასული შემადგება. შესაბამისად დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხრივ ქალაქი მიუვალი იყო. დანარჩენი მხრივ კი მას ირგვლივ ზღუდის გარეთ თხრილი შემოუყვებოდა. აღმოსავლეთის მხრიდან გაშლილი ვაკეა და ეს მხარე ადვილად მისადგომი იყო მტრისათვის (Procop. De BG, VIII, 13). ამის გამო სპარსელთა შემოსვლისას VI საუკუნის შუა ხანებში ლაზებმა როდოპოლისი მიწასთან გაასწორეს (ჯაფარიძე, 1974, გვ. 84).

ადვილად მისადგომობის პრობლემა ვარდციხის წინაშე სხვა დროსაც ყოფილა. ამიტომ მისი საფორტიფიკაციო ნაგებობები თანამედროვეობამდე დაზიანებული სახით შემოინახა, მაგრამ არქეოლოგიური კვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა ციხე-ქალაქის (ფართობი 2,5 კა) გეგმარების დადგენა.

გაირკვა, რომ როდოპოლისის საფორტიფიკაციო ნაგებობანი კედლების ორი სისტემითაა წარმოდგენილი სამი სამშენებლო ფენით. პირველ ეტაპზე აიგო 1 მეტრი სისქის კედლების მქონე სიმაგრე, რომლის გალავანი გეგმაში მომრგვალებულია. ყოველ 25-27 მეტრში გარედან მოშენებული იყო სწორკუთხა ყრუ კოშკები (ბურჯები), რომელთაგანაც ორი ყველაზე დიდი კოშკი (6X9 მ.) გამოყენებული იყო საცხოვრებლად, ხოლო დანარჩენის (5X6 მ.) ქვედა ნაწილები მასიური იყო მეტი სიმტკიცისათვის. ზედა ნაწილის შიდა სივრცე კი ჩვეულებრივი იქნებოდა (ჯაფარიძე, 1989, გვ. 115-121; Джапаридзе, 1992, გვ. 235; ჯაფარიძე, 1975, გვ. 30).

მეორე სამშენებლო პერიოდის მასიური ზღუდე პირველის წინაა აგებული ისეთი სახით, რომ ძველი ზღუდის კოშკების გარე კედლებთან ერთად ქმნის დაცვის სწორ ხაზს. ხოლო კოშკების შიდა კედლები კი ძველი ზღუდის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს და მასთან ერთ ხაზზეა განლაგებული. განსაკუთრებული თავდაცვითი ფუნქციები ეკისრებოდა „C“ და „A“ კოშკებს, რომლებიც ორსართულიანია (სიმაღლე 8-10 მ.). კედლების სისქე 2 მეტრს აღემატება, ზოგან 4 მეტრს აღწევს, ზოგ მონაკვეთში კი 7 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. C კოშკთან იგი ოთხკუთხა ბურჯით – კონტრფორსით არის გამაგრებული (ჯაფარიძე, 1989, გვ. 112-120; Джапаридзе, 1992, გვ. 235). დ. მშვენიერაძე თვლის, რომ გალავნის კედლის სიმაღლე სისქის გათვალისწინებით 10-12 მეტრს აღწევდა (Мшвениераძე, 1959, გვ. 44). ვ. ჯაფარიძის მიხედვით, განვითარების ერთ ეტაპზე ვარდციხეს სავარაუდოდ უჩნდება ორმაგი კედლების სისტემა, რომელიც შეიძლება პროტეიხიზმად მივიჩნიოთ. ამგვარი სისტემები რომაულ-ბიზანტიურ სამყაროში V საუკუნეში ჩნდება (ჯაფარიძე, 1989, გვ. 128; ჯაფარიძე, 1999, გვ. 100).

ვარდციხის ნაქალაქარი სამი ნაწილისაგან შედგება: შემადლებულ რელიეფზე მოწყობილი ციტადელი და გალავნით ორ ნაწილად გაყოფილი – „ქვედა ქალაქი“ (Джапаридзе, 1992, გვ. 235), თუმცა ჭირს განსაზღვრა შემდგომში ციტადელად გამოყოფილი მონაკვეთის ადრეული გეგმისა. არ გამოირიცხება, რომ შემადლებული ადგილი თავიდანვე იყო იზოლირებული და წარმოადგენდა ციტადელს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 95).

მშენებლობის II ეტაპზე ხდება ძველი ნაგებობების შეკეთება და აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ახალი კედელი აშენდა. ამ ახალი და მომდევნო პერიოდის ზღუდის კედლების ძირითად დამახასიათებელ ნიშანს

წარმოადგენს გეგმაში სწორხაზოვნება. მშენებლობის მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელია წყობაში მართკუთხა აგურების გამოყენება, მესამე ეტაპზე კი გამოყენებულია „opus mixtum“-ი (აგურ-კვადროვანი წყობა) კვადრატული აგურებით. კედლებზე შეინიშნება როგორც პოლიგონალური, ასევე იზოდომური წყობა. I სამშენებლო პერიოდი IV საუკუნით, II – ზოგადად V საუკუნით, ხოლო მესამე სამშენებლო პერიოდი V-VI საუკუნეთა მიჯნით არის დათარიღებული (ჯაფარიძე, 1999, გვ. 99-100).

არსებული მონაცემების მიხედვით, როდოპოლისის თავდაცვითი ფუნქცია განსაკუთრებით იმატებს VI საუკუნის პირველ მეოთხედში, ირან-ბიზანტიის ომის წინ, როცა ხდება ციტადელის გამაგრება და შენდება მასიური (2-4 მ. სისქის) კედელი (Джапаридзе, 1992, გვ. 235). ამას ვერ ვიტყვით ქალაქის არსებობის ადრეულ ეტაპზე, როცა საქმე გვაქვს სუსტად გამაგრებულ ციხე-ქალაქთან, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა მახლობელი სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა ბაზაზე და იქვე გამავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო სავაჭრო გზების შესაყარზე. ვარდციხე აკონტროლებდა დიშის ქვეყანას ობჩითურთ შორაპნის საზღვრამდე. ფუნქციის მიხედვით როდოპოლისი სამეფო ციხეა, რომელიც ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი და პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემების მნიშვნელოვანი ნაწილია (ჯაფარიძე, 1989, გვ. 132-142) და სწორედ ვერის-ლაზეთის სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისადაა აღმოცენებული, ის ფარავს აღმოსავლეთის და სამხრეთის მიმართულებებს.

შეგნიშნავთ, რომ ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკურ ინტერესთა ჭიდილში, გლობალური სტრატეგიის გათვალისწინებით ვარდციხე კარგავს სტრატეგიული ფორპოსტის მნიშვნელობას და ლაზეთის ხელისუფლებაც იძულებულია იმოქმედოს არსებული რეალიებით – თავად დაანგრიოს „უდიდესი“ და „შესანიშნავი“ ციხე-ქალაქი.

ლაზეთის ასეთი ქმედება ფრიად აკვირვებს ნ. ბერძენიშვილს, რომელიც ფიქრობს, რომ ეს ციხე იმიტომ ინგრევა, რომ სპარსელებმა არ დაიკავეს ის და ფეხი არ მოიკიდონ აღნიშნულ რეგიონში (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 445).

ვარდციხე VII-X საუკუნეებში საეკლესიო ცენტრი იყო, სადაც როდოპოლისის ეპისკოპოსი იჯდა (Notitia, I-VII, VIII, IX), მაგრამ შესაბამისი ხანის საეპისკოპოსო ტაძარი ჯერ არ გამოვლენილა (ჯაფარიძე, 1989, გვ. 143). ვარაუდით, ტაძარი „ქვედა ქალაქის“ ცენტრალურ ნაწილში უნდა იყოს. საერთოდ არქეოლოგიური მასალებით აქ ქრისტიანული რელიგიის გავრცელება V საუკუნიდან დასტურდება (ჯაფარიძე,

1999, გვ. 101).

შორაპანი-სარაპანისი – რომელსაც ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში ვხვდებით ბიზანტიურ წერილობით წყაროებში: პროკოპი კესარიელთან (Procop. De BP, I, 12; De BG, VIII, 13, 16), მენანდრე პროტიქტორთან (Men. Prot. fr. 11), იუსტინიანეს ნოველებში (Novella XXXI).

შორაპანი სასახლერო ციხეა (ტაბ. VIII), რომლის ფლობა საზღვარზე კონტროლს ნიშნავდა. მას ჰქონდა როგორც საფორტიფიკაციო, ასევე სავაჭრო მნიშვნელობა. რიონ-ყვირილას მაგისტრალით შორაპანში მოტანილი საქონელი აქ გადმოიტვირთებოდა და ქარავნებით გადაიტანდნენ აღმოსავლეთ საქართველოში (ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 53-54). ამასთან დაკავშირებით, საინტერესო მოსაზრება გამოთქვა მ. ბერძნიშვილმა, რომელიც შორაპანის შესახებ სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობით, რომ სიმაგრეს „შეუძლია დაიტოს მთელი ქალაქის მოსახლეობა“, თვლიდა მას სატრანზიტო საქონლის საწყობად და არა მოსახლეობის სახიზრად (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 155). ციხე-ქალაქის განსაკუთრებულ სატრანზიტო ფუნქციაზე საუბრობს ასევე ვ. ჯაფარიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ მის აღმავლობასა და კეთილდღეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა (ჯაფარიძე, 1990, გვ. 7; ჯაფარიძე, 1999, გვ. 30-31).

ყვირილა-ძირულას ხერთვისში მდებარე კლდოვან ბორცვზე აღმართულია ადრეშუასაუკუნეების ციხე, რომელსაც აქვს ციტადელი (შიდა ციხე), აგებული ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემადგენულ გორაკზე. ციხე-სიმაგრის კონფიგურაცია, რომელიც წაგრძელებული ფორმისაა, განპირობებულია ადგილობრივი რელიეფით, რომელიც სამ ტერასადაა დანაწილებული. მშენებლობისას ძირითადად დაცულია კედლების სწორხაზოვნება. ქვედა ტერასის ფარგლებში ციხე წაგრძელებული მართკუთხედის მოყვანილობისაა, ხოლო შუა ტერასაზე თხემს შემოფარგლავს და მესამე ტერასაზე ციტადელს უერთდება. ციტადელის ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილები მორღვეულია. სამხრეთ-დასავლეთი კედელიც მთლიანად დანგრეულია. საფორტიფიკაციო სისტემის სტრუქტურა და სტრატეგია აღმოსავლეთი კედლის მიხედვით გაირკვა. გამოვლინდა ადრეშუასაუკუნეების სამი სამშენებლო ფენა. თავდაპირველი ზღუდის კირქვის ირეგულარული წყობა ზოგადად IV საუკუნით, ზოგ შემთხვევაში ახ. წ. პირველი საუკუნეებით თარიღდება. მომდევნო პერიოდის მასიური ზღუდე (2-4 მ.) კლდოვანი ქანის ოთხკუთხა ქვებითა და აგურის სარტყლებით ნაგები, V-VI

საუკუნეებით განისაზღვრება. მესამე სამშენებლო ფენა, რომელიც კირქვის მოზრდილი ქვების წყობით ხასიათდება, ასევე ადრეშუასაუკუნეებს მიეკუთვნება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 19-20; ტაბ. III; Джапаридзе, 1991, გვ. 3-4, სურ. 1).

V-VI საუკუნეების ციხის შიდა სივრცე სამი, ერთმანეთისაგან გამოყოფილი ნაწილისაგან შედგება. კედლებით შემოზღუდული ფართობი (6650 კვ. მ.) ნახევარ ჰექტარზე მეტია, სულ კი ქალაქის ჩათვლით, რომელიც მდინარეთა შესართავთან ვაკეზეა განლაგებული, 10 ჰექტარს აღწევს (Джапаридзе, 1991, გვ. 2, 5; ლანჩავა, 1996, გვ. 49; ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 304-307). დ. მშენიერადის მიხედვით, ციხის ფართობი 12.000 კვ. მეტრია (Мшвениერაძე, 1959, გვ. 36).

ციტადელში გაითხარა ნაგებობათა კომპლექსი. ასევე დადასტურდა გალავნის ორმაგკედლიანი მონაკვეთი, რომელიც სავარაუდოდ შიდა ეზოს შემოსაზღვრავდა. კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ზღუდის გარეთ გასასვლელი ღიობი („ცოტა კარი“) გამოვლინდა. აგურისთაღიანი ღიობი – გასასვლელი დასავლეთის ზღუდეშიც იყო ჩართული, რომელიც ასევე წყალზე გასასვლელის ფუნქციასაც ასრულებდა. ციხის მთავარი კარები კი მთლიანად დანგრეული სამხრეთის კედელში უნდა ყოფილიყო გამართული. ციტადელის ნაგებობებს ნგრევისა და ხანძრის კვალი ეტყობათ, რომლის თარიღი არქეოლოგიური მასალებით VI-VIII საუკუნეებით განისაზღვრა, თუმცა IV საუკუნეზეც არის ზოგადი მითითება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 20-21).

შორაპნის არქეოლოგიური ძეგლებიდან აღსანიშნავია ზღუდის დასავლეთ მონაკვეთში ჩართული 60 მეტრი სიგრძის გვირაბი (V ს.) და მდ. ყვირილაში ჩართული კოშკი, რომლის ქვედა სართული ჭის ფუნქციას ასრულებდა (ჯაფარიძე, 1999, გვ. 22-23; ტაბ. XXXII, 1, 2, Мшвениერაძე, 1959, გვ. 38-39; Джапаридзе, 1991, გვ. 6).

არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ ადრეშუასაუკუნეებში შორაპანში აქტიური ცხოვრება ვითარდება და ციხე-ქალაქი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეგრისის სამეფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში. ის სასაზღვრო სიმაგრეა, რომელიც სამეფოს ერთიან თავდაცვით სისტემაშია ჩართული. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, შორაპანი მნიშვნელოვანია როგორც თავდაცვისათვის, ისე თავდასხმისათვის (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 443). შორაპანი არ იყო მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის ციხესიმაგრე (ლანჩავა, 1996, გვ. 49). მისი აღება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრის ჩაკეტვას ნიშნავდა (ყაუხჩიშვილი, 1964, გვ. 53). რომაელებს ის მტრისათვის გზების

ჩამკეცავად სჭირდებათ, ხოლო სპარსელებს ლაზიკაში შემდეგი შეტევისათვის (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 443). სწორედ ამის გამო ბიზანტია-ირანის ომებთან დაკავშირებით შორაპნის ციხე VI საუკუნისათვის მნიშვნელოვნად განახლებული და გამაგრებულია (ჯაფარიძე, 1990, გვ. 7).

ბიზანტიური წყაროების მონაცემებით (Procop. De BG, VIII, 13), შორაპანი VI საუკუნის შუა წლებში თავად ლაზებმა და ბიზანტიელებმა დაანგრიეს, რაც არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება. ნახანძრალი ფენის გარდა, ეს ნათლად ეტყობა საფორტიფიკაციო სისტემის თითქმის ყველა მონაკვეთს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 22).

ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ლაზები და რომაელები არ ცდილობენ სასაზღვრო ციხეების დაცვას და თხრიან მათ, რომ მტერმა არ დაიკავოს. მკვლევარი გამოთქვამს გაკვირვებას, რატომ ააგეს ციხე თუ არ აქვთ დაცვის იმედი. მისი აზრით, ეს უცნაური ფაქტი აიხსნება იმით, რომ რომი (ბიზანტია) აქტიური თავდაცვის ტაქტიკას ადგას და სწორედ პეტრასათვის ზრუნავენ (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 510).

შეგნიშნავთ, რომ ბიზანტიელებმა ომის დაწყების წინ თავად დაიკავეს შორაპანი და სკანდა, რომ ჩაეკეტათ საზღვრები. მაგრამ როგორც გაირკვა, ირანელთა მთავარი შეტევების მიმართულება და სამიზნე, უცებ დაჰკარგეს ციხეთა დაცვის სურვილი და დატოვეს ისინი. თავის გასამართლებლად კი ლაზებს დააბრალეს სურსათით მომარაგებაზე უარის თქმა. პროკოპი კესარიელიც კი გახდა იძულებული იქაურობა მკაცრ და მოუსაველიან ადგილებად მოეხსენებინა (Procop. De BG, VIII, 13).

ვ. ჯაფარიძე თვლის, რომ პროკოპის ამის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, რადგან შორაპნის მიმდებარე ტერიტორია დასახლებულია მუსტიეს ხანიდან და ნასახლართა ნაშთები, სამაროვნები, ეკლესიათა ნანგრევები მნიშვნელოვანი მასშტაბის სამოსახლოს არსებობაზე მიუთითებს და მეტყველებს აქ დასახლებისათვის ხელსაყრელ პირობებზე, შორაპნისა და მიმდებარე რეგიონში ინტენსიურ დასახლებებზე და მათ შორის ეკონომიკური კავშირის არსებობაზე.

§ 4. ეგრისის მთისწინა ზოლის თავდაცვითი ხაზი

ეგრის-ლაზიკის თავდაცვის სისტემაში მთისწინა ზოლის თავდაცვის ხაზს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. არც შავი ზღვის სანაპიროზე და არც რიონ-ყვირილას მაგისტრალზე არ აგებულა ასეთი რაოდენობის სასიმაგრო ნაგებობები, როგორც მთისა და ბარის გარდამავალი ზოლის გაყოლებით. მათ შორის არიან როგორც ციხე-ქალაქები, ასევე სხვადასხვა ზომის ციხეები, რომლებიც თავდაცვის უწყვეტ ჯაჭვს ქმნიან წებელდიდან სკანდამდე. ისინი ძირითადად IV საუკუნიდანაა წარმოქმნილი და მათი მშენებლობა ეგრის-ლაზიკის გაერთიანებული და ძლიერი სამეფოს სტრატეგიულ ინტერესებს უკავშირდება (ჭუმბურიძე, 2000, გვ. 52). სიმაგრეთა განლაგება მოხდა ქვეყნის მთავარი გზების გათვალისწინებით და ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების გარშემო (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62).

მთისწინა ზოლისადმი ეგრისის სამეფოს მესვეურთა გამორჩეული ყურადღება აგრეთვე აიხსნება მის მფლობელობაში შესული აფშილეთის, სვანეთისა და სკვიმნიის ტერიტორიებზე პოლიტიკური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით, რაც თავისთავად გულისხმობდა ამ რეგიონებში მიმავალი გზების, გადასასვლელების, ხეობების ჩაკეტვა-გამაგრებას (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 63).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მთისწინა ზოლის დაცვის უზრუნველყოფა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან, წარმოადგენდა ეგრისის სამეფოს საერთაშორისო ვალდებულებას, განსაზღვრავდა მის ადგილს კავკასიის გეოპოლიტიკურ სისტემაში და აპირობებდა მნიშვნელოვან როლს ბიზანტია-ირანის გეოსტრატეგიულ ინტერესთა სფეროში (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 63). შევნიშნავთ ასევე, რომ ეგრისის სამეფოს გაძლიერებას განაპირობებდა ბიზანტიის მხარდაჭერა, რომლისთვისაც კავკასიის ზეკარების დაცვა მნიშვნელოვან საკითხად იქცა. პროკოპი კესარიელი ხაზგასმით აღნიშნავს ეგრის-ლაზიკის საერთაშორისო ფუნქციას: „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსებისათვის ღაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხარი“ (Procop. De BP, II, 28).

წებელდა – კოდორის ხეობის მტკიცე და მიუდგომელი ციხესიმაგრე (ტაბ. XI), რომელიც V-VI საუკუნეებშია აგებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სასაზღვრო ხაზის განმტკიცების მიზნით და ბატონობდა ძველი აფშილეთის მიწა-წყალზე (ღანჩავა, 1996, გვ. 51; ღანჩავა, 2007, გვ. 90). წებელდა მოხსენიებულია ბიზანტიურ წყაროებში. პროკოპი კესარიელი წერს: „აფსილები ძველთაგანვე ღაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე,

ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ“ (Procop. De BP, VIII, 10).

წებელდის სასიმაგრო სისტემის აღმოცენების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ფიქრობდნენ, რომ ეს პროცესი იწყება IV საუკუნეში და ძირითადად მთავრდება V საუკუნისათვის (Воронов, 1975, გვ. 142, 145), მაგრამ ეს თარიღი შემდეგ გადაიხედა და განისაზღვრა VI საუკუნის მეორე მეოთხედით (Воронов, 1984, გვ. 30-32; Воронов, Бгажба, 1987, გვ. 116, 135). ვფიქრობთ, რომ ასეთი შესხედულება არ არის გამართლებული. ასეთი სტრატეგიული რეგიონის უყურადღებოდ მიტოვება, რომელიც ქლუხორის უღელტეხილით ჩრდილოეთ კავკასიასთანაა დაკავშირებული, თანაც IV-V საუკუნეებში ჰუნების გააქტიურების ფონზე, არალოგიკურია და აფხაზი არქეოლოგების მხრიდან წებელდის აშენების მაინცდამაინც ბიზანტიელთათვის მიწერის სურვილი, თავად ბიზანტიელთა სტრატეგიულ ინტერესებთან აშკარა შეუსაბამობაში მოდის.

სავარაუდოა, რომ მდ. კოდორის ხეობაში სასიმაგრო სისტემების წარმოქმნა IV საუკუნის მიწურულში იწყება და არა ბიზანტიას, არამედ ეგრისის სამეფოს უკავშირდება. თავად აფშილებს ბიზანტიელთა მოსვლამდე, თუ აფხაზ მკვლევარებს დაეჯერებათ, ციხეები არ ჰქონდათ. ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი ფაქტით, რომ აფშილეთში არ იყო ასეთი ძვირადღირებული სტრატეგიული პროექტების განხორციელების საშუალება. სასიმაგრო კომპლექსების აშენება მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოს შეეძლო, როგორც IV-V საუკუნეებში ლაზეთის სამეფო წარმოჩინდება თავად ბიზანტიელთა მიერ. სწორედ ბიზანტიურ წყაროებშია დაცული ცნობები აფშილეთის ლაზთა ქვეშევრდომობაში ყოფნის შესახებ და იგივე ლაზები წარმოადგენენ მხოლოდ ბარბაროსთა საწინააღმდეგო ზღუდეს. წებელდის ციხეშიც ლაზთა გარნიზონი დგას (Procop. De BG, VIII, 10; Procop. De BP, II, 28). პროკოპი კესარიელზე დაყრდნობით ამას საზგასმით აღნიშნავს გ. მელიქიშვილი (Меликишвили, 1959, გვ. 384).

აფშილეთის გეოგრაფიული მდებარეობა და კავკასიური საუღელტეხილო გზები აიძულებდა ლაზთა ხელისუფლებას აქტიური ღონისძიებები გაეტარებინა აფშილებთან ურთიერთობაში (ლანჩავა, 1996, გვ. 53; ლანჩავა, 2007, გვ. 92).

ქართულ ისტორიოგრაფიაში წებელდის აგება IV-V საუკუნეების მიჯნით არის განსაზღვრული. სასიმაგრო ანსამბლის ახლო ანალოგიები ქართულ საფორტიკაციო ხუროთმოძღვრებაში მრავლად გვხვდება (ნოქალაქევი, ქუთაისი, შორაპანი, სკანდა) (ლანჩავა 1996, გვ. 52; ლანჩავა, 2007, გვ. 91). საინტერესოა, რომ

თავად აფხაზი მკვლევარები წებელდის არქიტექტურაში დასახელებულ ქართულ ძეგლებთან ბევრ საერთო ნიშანს ხედავენ (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 116-135), რაც კიდევ ერთი არგუმენტია მათივე წინააღმდეგ, თუნდაც იმისათვის, რომ ისინი ვერ ამჩნევენ კავშირურთიერთობას და პოლიტიკურ დამოკიდებულებას ლაზებთან (Воронов, 1975, გვ. 144; Анчабадзе, 1964, გვ. 207). ვ. ჯაფარიძე შენიშნავს, რომ ისინი კავშირურთიერთობას ვერ ნახულობენ მონათესავე აბაზგებთანაც კი (ჯაფარიძე, 1979, გვ. 57).

წებელდის ციხე-სიმაგრე განლაგებულია კლდოვან და რთულ რელიეფზე და შესაბამისად მისი გეგმარებაც ამით არის განპირობებული. გალავნის კედლის სიგრძე დასავლეთის მხრიდან 60 მეტრია, ჩრდილოეთიდან 350 მეტრი და აღმოსავლეთიდან 50 მეტრი. სამხრეთიდან ციხეს იფარავს 400 მეტრიანი კლდეების კასკადი. შედარებით ადვილი მისაწვდომია დასავლეთის მხარე, რომელიც დაცულია კედლების ორმაგი სისტემით და გამაგრებულია სამი მძლავრი კოშკით (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 117, სურ. 3; Бгажба, Гунბა, Воронов, 1983, გვ. 3). ორმაგი კედელი – პროტეიხიზმა 70 მეტრის სიგრძისაა და შუაში იფარავს მთავარ კარიბჭეს. კედლის წყობა დიდკვადროვანია. მისი სისქე 2,6 მეტრია. სიმაღლე სავარაუდოდ 6-7 მეტრი უნდა ყოფილიყო. პროტეიხიზმის უკან მთავარი კედელია, რომელიც წვრილკვადროვანი წყობითაა ნაგები (სიმაღლე 10-12 მ., სისქე – 2,2-2,6 მ.). მას ჰქონდა საბრძოლო ბილიკი. კედლების მისადგომებს იცავდნენ მძლავრი კოშკები. ყურადღებას იქცევს I კოშკი, რომელიც წინაა გამოწეული და დასავლეთით სოლისებრი ფორმა აქვს (სიმაღლე – 18 მ.). II კოშკი მთავარ კედელზეა მიდგმული და სავარაუდოდ აქ დიდი კატაპულტა იდგა. III კოშკი ყველაზე მაღალი (13 მ.), დიდი და მძლავრია (Воронов, Бгажба, 1987, გვ. გვ. 117-123; Воронов, 1975, გვ. 32-34).

ციტადელში გამოვლენილია ასევე სხვა არქიტექტურული ძეგლები: აბანო ჰიპოკაუსტური სისტემით, სატაძრო კომპლექსი, ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა, მარანი, წყლის ორი რეზერვუარი, წყალსადენის მაგისტრალი. წებელდაში ასევე აღმოჩნდა სხვა მდიდარი და მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა (კერამიკული, მინისა და რკინის ნაწარმი, მათ შორის იარაღები: შუბისპირები, ისრისპირები, ცულები, ჯავშნის ფირფიტები, მახვილები, სატევრები, კატაპულტისა და შურდულის ჭურვები) (Воронов, Бгажба, 1987, გვ. გვ. 116-135; Воронов, 1975, გვ. 89-96; Бгажба, Гунბა, Воронов, 1983, გვ. 6-67; Анчабадзе, 1964, გვ. 217-218).

წებელდა აქტიურად მონაწილეობს ირან-ბიზანტიის ომში. 550 წელს ის ხელში ჩაიგდეს ირანელებმა, მაგრამ შემდეგ კვლავ ლაზებმა დაიბრუნეს (Procop. De BG, VIII, 10). 553 წლისათვის მას ბიზანტიელები იცავენ და მერმეროე უკან იხევს (Procop. De BG, VIII, 17). 556 წელს წებელდა გამოიყენეს ბიზანტიელებმა მისიმიელებზე ლაშქრობისას (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 116).

წებელდის ციხე ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემის მთისწინა ზოლის ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთის საყრდენი პუნქტია, რომელიც კეტავს მდ. კოდორის ხეობას და აკონტროლებს იქ გამავალ სავაჭრო-სატრავიტო გზას. მაგრამ ამ მაგისტრალის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, მისი უსაფრთხოების სრული უზრუნველყოფისათვის წებელდის გარშემო შეიქმნა საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა.

ი. ვორონოვი თვლის, რომ ეს გამაგრებული პუნქტები წარმოქმნილია ადგილობრივ სამოსახლოთა განვითარების შედეგად, რაღაც გარკვეულ ეტაპზე, როდესაც დღის წესრიგში დადგა თავდაცვის ორგანიზაციის საკითხი. ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ თანდათანობით, მოსახლეობის რაოდენობის ზრდის გამო, ხდებოდა სასიმაგრო კედლებით მეტი ფართობის შემოზღუდვა და ადრინდელი სიმაგრეებიც ციტადელის ფუნქციას იღებდნენ (Воронов, 1975, გვ. 39). თუ გავითვალისწინებთ იგივე მკვლევარის მოსაზრებას, რომ წებელდური კულტურის აყვავების პერიოდში თითოეულ დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 500-600 ადამიანს და თავად დასახლებები გვაროვნული სტრუქტურის მატარებელია (Воронов, 1971, გვ. 26), ძნელი წარმოსადგენი გახდება, რომ მათ დაუკავშირდეს ციხეთა მშენებლობა. მით უმეტეს, რომ ასეთი საქმიანობა არა მარტო ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას მოითხოვს, არამედ სამშენებლო ტექნოლოგიების და საფორტიფიკაციო არქიტექტურის ცოდნას და ეკონომიკურ საშუალებებს. თანაც, არსებული მოსაზრების თანახმად, ადრეშუასაუკუნეების თავდაცვითი ნაგებობები სახელმწიფო ციხე-სიმაგრეებია (ზაქარაია, 1973, გვ. 4), რაც ასევე გულისხმობს თავად სახელმწიფოს მიერ მათ მშენებლობას და ზრუნვას (გარნიზონით, იარაღ-საჭურველით და სურსათით მომარაგება) (ბერძენიშვილი, 1990, გვ. 51). ასევე არ არის სადავო, რომ სიმაგრეს და მის სისტემას ორგანიზებული სახე მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ მიეცა (ზაქარაია, 1973, გვ. 4). თუ თავდაცვითი სისტემის შექმნა ხდება სახელმწიფოს მიერ, გაუგებარია როგორ ახერხებენ ამას ჯერ კიდევ გვაროვნული სტრუქტურის მქონე მცირე დასახლებები, რომლებიც ამავე დროს IV-V საუკუნეებში ლაზეთის

შემაღგენლობაში იმყოფებიან თავად რომაული წყაროების მიხედვით (Procop. De BG, VIII, 10).

ვფიქრობთ, რომ როგორც წებელდის, ასევე მის გარშემო წარმოქმნილი საფორტიფიკაციო სისტემების მშენებლობა ლაზეთის სამეფოს მიერ ხდება და მისივე კონტროლს ექვემდებარება. ამის გამო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი განხილვაც წარმოდგენილ ნაშრომში.

გერზეულის ციხე – წებელდის სასიმაგრო სისტემის პირველი პუნქტია, რომელიც მდ. დიდი მაჭარას ორ მარცხენა შენაკადს შორის ქედზეა აგებული. გაღვანი დაცული სიგრძის სიგრძე 495 მეტრი, სიგანე კი 60 მეტრია. კედლების საერთო სიგრძე კილომეტრზე მეტია და ნაგებია უხეშად დამუშავებული მცირეკვადროვანი წყობით კირხსნარზე. რიგების ჰორიზონტალობა ზოგჯერ წყდება. ერთი კოშკის წყობაში დაფიქსირდა აგურის ერთრიგის სარტყელი. კედლების სიგანე საშუალოდ 1,5 მეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 3-6 მეტრი. ციხეს აქვს წინწაწეული ორი სწორკუთხა კოშკი-კარიბჭის და სათვალთვალო. სიმაგრის ტერიტორიაზე დაფიქსირდა სხვადასხვა ნაგებობათა ნაშთები, მათ შორის ტაძრის საძირკველი და წყლის შესაგროვებელი ცისტერნა. დასახლება სავარაუდოდ სამხრეთი ფერდობის ტერასებზე იყო განლაგებული (Воронов, 1975, გვ. 29-30).

შაპკის ციხე – მდ. მაჭარას მარცხენა შენაკადის სიღრმეში, შაპკის მწვერვალზეა აგებული, რომელიც მახლობელი სიმაღლეებიდან ვიწრო ყელითაა გამოყოფილი. ამ ვიწრო ადგილზე დგას კვადრატული კოშკი (12,5X13 მ.) წაკვეთილი სამხრეთი კუთხით, რომელშიც ციხეში შემავალი კარია მოწყობილი. კოშკის შემდეგ კედლებით დაცული ვიწრო ქედია (სიგრძე 90 მ., სიგანე – 10-15 მ.), რომელიც კოშკისმაგვარი ნაგებობით მთავრდება. შემდეგ კიდევ ერთი კვადრატული კოშკია (8X8 მ.), რომელსაც მოსდევს 450 მეტრი სიგრძის კედლით შემოზღუდული ციხის ფართობი. კედლის სიგანე 1,5 მეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 2 მეტრი. აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩანს კიდევ ერთი კოშკი, მცირე ტაძრის და სამი სწორკუთხა ნაგებობის საძირკვლები. კედლები და კოშკები ნაგებია ფლეთილი კირქვით კირხსნარზე. ზოგან აგურიცაა გამოყენებული. მხოლოდ 7 მეტრიანი კოშკია მოპირკეთებული კარგად გათლილი კვადრების თანაბარი რიგებით. მთის ზედა პლატოზე დაფიქსირდა საცხოვრებლების, კერამიკული და ლითონის სახელოსნოთა ნაშთები; ასევე კერამიკული, მინის და რკინის ნაწარმის ფრაგმენტები (Воронов, 1975, გვ. 30-31).

შაპკის სამხრეთით, სოფელ ზედა იურეკასთან, კონუსური ფორმის

მწვერვალზე მდებარეობს სწორკუთხა გეგმის მცირე სიმაგრე – ზომები 20X20 მეტრზე. კედლები ნაგებია უხეშად დამუშავებული კირქვით კირსნარზე. აღმოსავლეთი კედლის შიდა მხრიდან შემორჩა ორი მცირე ნაგებობის კვალი. ზოგი ნიშნის მიხედვით ვარაუდობენ მოგვიანო ხანის მცირე ტაძრის არებობას (Воронов, 1975, გვ. 32).

ახისტის ციხე – აგებულია ახისტის მთაზე. კედლების პერიმეტრი 350 მეტრია. შემორჩენილი სიმაღლე 4-5 მეტრი, სისქე 1,5 მეტრი. სულ კედლით დაცული ფართობი 5000 კვ. მეტრს აღწევს, რომლის სამხრეთ ნაწილში დგას სწორკუთხა ფორმის (10X8 მ.) ჭიშკრის კოშკი. ციხის ტერიტორიაზე დაფიქსირდა რამდენიმე ნაგებობის საძირკველი, საიდუმლო საცავი, წყლის ცისტერნა. კოშკსა და აღმოსავლეთ კედელზე აშკარად შეიმჩნევა ნგრევის კვალი, რომლის შემდეგ ციხე-სიმაგრე მიუტოვებიათ (Воронов, 1975, გვ. 35-36).

ბატის ციხე – აღმართულია ბატის მთის მწვერვალის ვიწრო ზოლზე (სიგრძე 100 მეტრი, სიგრე 20 მეტრი). კედლები ნაგებია კირსნარზე. სიგანე 1-1,2 მეტრი, შემორჩენილი სიმაღლე 2,5 მეტრი. ციხის დასავლეთი მისადგომი დაცულია სწორკუთხა კოშკით (8X10 მ.), ხოლო შიგნით შემორჩა რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. არქეოლოგიური მასალები (კერამიკის ფრაგმენტები, ხელსაფქვაკვები და სხვ.) ადასტურებენ ციხის ტერიტორიაზე დასახლების არსებობას (Воронов, 1975, გვ. 36).

ფსკალის ციხე – ფსკალის მთაზე აგებული მცირე ზომის სიმაგრე, რომლის ფართობი 650 კვ. მეტრია. კედლების საერთო სიგრძე 125 მეტრია, სიგანე – 2 მეტრი, შემორჩენილი სიმაღლე 4 მეტრი. მოპირკეთების დიდი ზომის ქვები (1,1X1,2X1 მ.) ნაწყობია კირსნარზე. ჩრდილო-დასავლეთით კედელი გამაგრებულია კვადრატული კოშკით. ციხეს ორი შესასვლელი აქვს, მათ შორის ერთი სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დასახლების მხრიდან. ციხის ფუნქციონირების დაწყების თარიღი IV საუკუნის ბოლო – V საუკუნის დასაწყისით განისაზღვრა. ი. ვორონოვი მიიჩნევს, რომ ფსკალის სიმაგრე VI-VIII საუკუნეების ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული ძახარის ციხეა (Воронов, 1971, გვ. 27). მის მიერ ამავე პერიოდითაა დათარიღებული სხვა ციხეებიც (Воронов, 1975, გვ. 38-39).

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ვორონოვი წებელდის სასიმაგრო სისტემის შემადგენელ ნაწილებად თვლის აპუშტისა და ლარის ციხეებს, რომლებიც მშრალი, ე. წ. „ციკლოპური“ წყობით, დიდი ქვის ლოდებითაა (2,5X1,5 მ.) ნაგები. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სიმაგრეების მშენებლობის მიკუთვნება

ადრეშუასაუკუნეებისათვის დაუსაბუთებელია და შესაბამისად, არ მიგვაჩნია გამართლებულად. ვ. ჯაფარიძეც აღნიშნავს, რომ ციხეების თარიღთან დაკავშირებით საჭირო იყო ერთგვარი კატეგორიულობისაგან თავის შეკავება (ჯაფარიძე, 1979, გვ. 83).

წებელდის აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყლამდე ციხე-სიმაგრეთა უწყვეტი ჯაჭვი გვხვდება, რომელსაც პირობითად ეგრისის სამეფოს დასავლეთი ნაწილის, უფრო ზუსტად ჩრდილო-დასავლეთის სექტორის თავდაცვით სისტემას უწოდებენ (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 126; ზაქარაია, კაპანაძე, 1999, გვ. 275; ლომიტაშვილი, 2003a, გვ. 47).

პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე ამ მონაკვეთში შემდეგ საფორტიკაციო პუნქტებს ასახელებენ: წარჩე, რეკა, სკური, სათანჯო, ჭაქვინჯი, ეკი, „საკალანდარიშვილო“, შხეფი, კოტიანეთი, ნოქალაქევი, აბელათი (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 127-161, სურ. 42). დ. ლომიტაშვილის აზრით კი აღნიშნულ სექტორში მდებარეობენ: უსახელო ციხე (სოფ ჯოლევეთან), თამაკინის, აბელათის, ნოქალაქევი-არქეოპოლისის, კოტიანეთის, სორტის, შხეფის, საკალანდარაშვილოს, მენჯის, ეკის, ხორშის, ხეთას, სკურის, სათანჯოს, ჭაქვინჯის, გუდავა-ზიგანოსის, რეკას, წარჩეს, წებელდის, კელასურის ციხეები. მათგან სამი: სორტის, მენჯისა და ხორშის ციხეები გამოავლინა და სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად დ. ლომიტაშვილმა შემოიტანა (ლომიტაშვილი, 2003b, გვ. 209).

უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული მეცნიერები მთისწინა ზოლის სიმაგრეებს ძირითადად მდ. ცხენისწყლის დასავლეთით წარმოიდგენენ და საუბრობენ ეგრისის დანარჩენი რეგიონებისაგან განსხვავებულ სურათზე (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 126; ლომიტაშვილი, 2003a, გვ. 47). ვფიქრობთ, რომ ამ მონაკვეთზე, მაგრამ არა იმდენად მდ. ცხენისწყლის, არამედ უფრო ნოქალაქევის დასავლეთით, ციხე-სიმაგრეთა ასეთი სიმრავლე განპირობებულია ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალი გზების საიმედოდ ჩაკეტვისა და აფშილეთ-აბაზგიაზე პოლიტიკური კონტროლის განხორციელების აუცილებლობით. თუმცა ასევე ვვარაუდობთ, რომ არანაკლებადაა გამაგრებული მთისწინა ზოლი მდ. ცხენისწყლიდან ვიდრე სკანდამდე. ამ მონაკვეთზე ო. ლანჩავას მიხედვით შემდეგი სასიმაგრო ნაგებობებია: დიდღვაბუნა, ნამაშევი, ქუთაისი, უქიმერიონი, სკანდა (ლანჩავა, 1996, გვ. 64, რუკა II; ლანჩავა, 2007, გვ. 97). აღნიშნული დისლოკაცია დასახელებული პუნქტებისა ჩვენც გავიზიარეთ (ჭუმბურიძე, 1999, გვ. 62-63).

წარჩე – მდ. წარჩეს მარჯვენა მხარეს მდებარეობს მაღალი მთის წვერზე.

ციხის დაზიანების გამო ძნელია მისი თავდაპირველი სახით წარმოდგენა. გეგმარელიეფიდან გამომდინარე ელიფსური ფორმისაა (ტაბ. XII, სურ. 2). სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლები დაზიანებულ-ჩანგრეულია, ჩრდილოეთის მხარეს კი 7-8 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. შუაში ქვის ვიწრო კიბეა გალავნის საბრძოლო ბილიკზე გასასვლელად, რომელიც გამართული უნდა ყოფილიყო ორი მეტრის სისქის კედელზე. ციხის აღმოსავლეთის ბოლოში რაღაც ნაგებობა, შესაძლოა კოშკი იდგა. კოშკი ივარაუდება დასავლეთ ნაწილშიც, სადაც ტრაპეციის გეგმის ნაგებობაა 6-7 მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში წყალსაცავი იყო მოწყობილი მკერვიად შეღესილი კედლებით (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 161, სურ. 56-ბ; ზაქარაია, კაპანაძე, 1999, გვ. 281).

რეკა – სოხუმის გზატკეცილის ჩრდილოეთით ათიოდე კილომეტრში სოფელ რეკასთან მდებარეობს და ფაქტიურად მდ. ვერისწყლის ხეობის დაცვას ემსახურებოდა. სოფელში სულ სამი ციხის ნანგრევია. ერთი მათგანი სოფლის ზემოთ ხეობის დასაწყისში იდგა, მაგრამ მისგან დარჩენილი გალავნის ფრაგმენტით გეგმის დადგენა არ ხერხდება. მეორე ციხე სოფლის ჩრდილო დასავლეთით, მცირე შემადგეობაზე მდებარეობს და ისიც დანგრეულია, თუმცა გეგმის აღდგენა შესაძლებელი გახდა (ტაბ. XIII). ის მოგრძო, უსწორო მოხაზულობისაა. კედლები მცირე ზომის კონტრფორსებითაა გამაგრებული. შესასვლელი გეგმაში არ იკითხება, არც კოშკია დაფიქსირებული. ეზოში დარბაზული ეკლესიის ნანგრევებია. ციხე შუა საუკუნეებით თარიღდება.

მესამე ციხე აღმართულია მაღალ მთაზე, რომელიც კონგლომერატისაგან შედგება და დახსნილია. კედლების ჩამოშლის გამო ციხის გეგმის დადგენა ძნელია, თუმცა ზედაპირული დაკვირვებით გრძელი ოვალის ფორმა იკვეთება. სიმაგრე ორნაწილიანია. დასავლეთი ნაწილის გალავანში ორი მეტრი სიგანის კარია. ციხე გარედან ძნელი მისადგომია. მას ვერისის სამეფოს დაცვის ჯაჭვის ნაწილად თვლიან (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 159-160, სურ. 57).

სკური – მდ. ჭანისწყლის სამხრეთის მხარეს, ვიწრო ხეობის სათავეებისაკენ მომავალი სვანეთის გზის დამცველი პატარა ციხეა, რომელსაც სადაზვერვო ფუნქცია ჰქონდა. მთების წინა ვაკეზე მდებარე სიმაგრე ერთი კოშკისა და მისი ირგვლივი გალავნისაგან შედგება. კოშკი მასიურია (12X12 მ.), რაც იშვიათობას წარმოადგენს. გადარჩენილია ორი სართული. კედლები ნაგებია თლილი ქვით, დიდი ზომის ქვები ჩასმულია წვრილ ქვებს შორის. გალავნის წყობა კოშკის მსგავსია. კოშკის ცალი მხარე სწორხაზოვანია, მეორე კი მომრგვალებული. ამავე

ფორმას იმეორებს გალავანი (22X29 მ). ციხე ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების პირველი პერიოდით თარიღდება (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 158-159).

სათანჯო – მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს მაღალი მთის წვერზე აღმართული (ტაბ. XII, სურ. 1), ბატონობს ენგურის ხეობაზე და აკონტროლებდა ტერიტორიას ზღვის სანაპირომდე. ციხის ორი მეტრი სისქის დაზიანებული კედლები მოპირკეთებული იყო თეთრი კირქვით, რომელიც ახლა ჩამოყრილია. გალავანი მთის რელიეფს მიუყვება და ოვალურ გეგმას ქმნის. შიგნით ერთი კოშკია, რომელსაც თავი მორღვეული აქვს და ჩანს მხოლოდ სამი სართული. ციხის კედლები ზოგან 5-7 მეტრზეა შერჩენილი და სავარაუდოდ, ქონგურებით მთავრდებოდა. სათანჯოს ადრეშუასაუკუნეების ციხეებისათვის დამახასიათებელი 2 თხრილი აქვს შემოვლებული (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 156-158, სურ. 56-ა).

ჭაქვინჯა – დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ციხეა. მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, ცენტრიდან ჩრდილოეთით 15 კმ. დაშორებით, მაღალ მთებში, საიდანაც ყოველი მხარე მოხერხებულად დაიზვერებოდა (ტაბ. XIV). ციხის ქვემოთ ფერდობი მდ. ჭანისწყალისაკენ ეშვება. ციხე ძლიერაა დაზიანებული, შესაბამისად, მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენა შეუძლებელია. ჭაქვინჯის არქეოლოგიური მასალა სამ ძირითად პერიოდად იყოფა, რომელთაგან პირველი ადრეშუასაუკუნეებს მიეკუთვნება. სიმაგრე შედგება ციტადელისა და ქვედა ციხისაგან. მთის წვერზე აგებული ციტადელის კედლები რელიეფს მიჰყვება და მოგრძო, ოვალს მიახლოებული გეგმარებისაა. მას აქვს ორი შესასვლელი, ჩრდილოეთის და დასავლეთის მხრიდან. ციტადელის სიგრძე 100 მეტრამდეა, ხოლო სიგანე 30 მეტრი. სამხრეთი კედელი კოშკების გარეშეა, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით კი სხვადასხვა დროს ჩაშენებული ოთხი კოშკია. ციტადელის კედლებში მრავალი ფენაა. საერთო ნიშნებით აქ ციხე უნდა აეგოთ გვიანანტიკური ხანის ბოლოს III-IV საუკუნეებში. თავდაპირველ კოშკთან მხოლოდ სამის ნაშთია შემორჩენილი, რომელთა ქვედა ნაწილში ძველი ფენებია, რომელიც მიუხედავად ცვლილებისა, ძირითადად შენარჩუნებულია. ქვედა ციხე ციტადელს ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვრის და ძლიერ დაზიანებულია. გალავანის დანგრევის მიუხედავად, მისი კვალის მიხედვით მოხდა ქვედა ციხის გეგმის აღდგენა. ჩანს, რომ იგი განკუთვნილი იყო გარნიზონის სამოქმედოდ. მის ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში მდგარი კოშკი აგებულია გვირაბთან ერთად, რომელიც ადის ციტადელის კარამდე. მაგრამ ისინი XV-XVI საუკუნეებისაა. გვიანდელია ასევე ციტადელში გამოვლენილი პალატი (IX-

X სს.) და დარბაზული ეკლესია (XIII-XIV სს.) (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 153-156, სურ. 55; ზაქარაია, 1973, გვ. 52-54; ზაქარაია, 1980, გვ. 5-27; ზაქარაია, 2001, გვ. 76-78).

ჭაქვინჯის ციტადელის ჩრდილოეთის გალავნის შიდა ფასადი ნაგებია თლილი ქვის განიერი და ვიწრო რიგებით. ზოგჯერ ქვის განიერი კვადრი ვიწრო კვადრების ჩარჩოშია ჩასმული. წყობა მსგავსია სკურის ციხეზე დაფიქსირებული წყობისა, რომელიც ჩრდილოეთით 20 კმ-ის დაცილებით მდებარეობს. ისინი მდ. ჭანისწყალის ხეობაში სვანეთისკენ მიმავალ გზას იცავდნენ. საინტერესოა, რომ ორივე ციხეს პირი სვანეთისაკენ აქვს მიქცეული. აქ გადიოდა ასევე მეორე გზა, რომელიც ქვეყნის შიდა რაიონებს შავი ზღვის სანაპიროებს უკავშირებდა. ციხის მნიშვნელობასაც ორი გზის შესაყარზე მდებარეობა განაპირობებდა (ზაქარაია, 1980, გვ. 28-29; ზაქარაია, 2001, გვ. 76).

ხორში – სოფ. ხორში, სოფლის განაპირას ე. წ. „საჯიჯაოს“ უბანში, მდინარეების ზანას და ხობისწყლის შესართავთან, მდ. ზანას მარჯვენა შემადგელობაზე შემორჩენილია ხორშის ციხე. იგი ნაგებია რიყისა და კლდის ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ციხის კომპლექსი შედგებოდა გალავნისა და მთავარი კოშკისაგან და დღეისათვის საფუძვლიანადაა დანგრეული. კოშკს ციხის დასავლეთი მონაკვეთი უკავია და გალავანს ებჯინება. ორი მხრიდან მას მდინარეები საზღვრავენ (ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან), დანარჩენი ორი მხრიდან კი საკმაოდ განიერი ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ციხეს რეგიონში ძალზედ სტრატეგიული მდებარეობა უკავია. ნოქალაქე-არქეოპოლისის “ქვეყანაში” ეკის შემდგომ სიგნალი სწორედ ხორშის ამ ციხეს უნდა მიეღო (ლომიტაშვილი, 2003a, გვ. 48; ლომიტაშვილი, 2003b, გვ. 211-212).

ეკი – მდ. ცივის ხეობაში მაღალი მთის წვერზე აღმართული ციხე. იგი შედგება გალავნისა და ერთი კოშკისაგან. გარშემო ადრეშუასაუკუნეების (IV-V სს.) ეგრისის ციხეთმშენებლობისათვის დამახასიათებელი ელემენტი თხრილი უვლის, რომელიც გალავნიდან 20-25 მეტრითაა დაცილებული. ამჟამინდელი სიღრმე 4-5 მეტრია, სიგანე 6-7 მეტრი. მართკუთხა კოშკიდან (8,8X5,25 მ.) შემორჩა სამი სართული. შესასვლელი აღმოსავლეთის კედლის მეორე სართულზე ყოფილა. კოშკის მოპირკეთება შესრულებულია 30-40 სმ. კირქვის მქისედ დამუშავებული კვადრებით, ჰორიზონტალური რიგების დაცვით. კვადრების ზომა ქვემოდან ზემოთ მცირდება. კოშკს ირგვლივ 10 მეტრის დაცილებით უვლის გალავანი, რომელიც დაზიანებულია. მისი მოპირკეთება კოშკის მსგავსია, მხოლოდ ქვების ზომაა

შემცირებული. ციხეს ადგილობრივი მოსახლეობა „ჯიხას“ უწოდებს (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 153).

მენჯი – სოფ. მენჯში, ქ. სენაკის ჩრდილოეთიდან, მომიჯნავე უნაგირა მთის დაბოლოებაზე მდებარეობს საკმაოდ დიდი ზომის (28,5X17მ) ციხე, რომელიც ალაგ-ალაგ საძირკვლის დონემდეა დანგრეული. შემორჩენილი კედლების საპირე წყობის ანალიზით ის ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში ფუნქციონირებდა. მისი საპირე წყობის პირდაპირი ანალოგი ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის სამხრეთის გალავნის მთელ პერიმეტრზე დასტურდება. მენჯის ციხე ოთხ კომპონენტის კომპლექსია. ის შედგება 1 მეტრომდე სისქის გალავნის, ცენტრალური კოშკის, მცირე ზომის ეკლესიისა და გარშემოვლებული ხელოვნური – 4 მეტრომდე სიგანის თხრილისაგან. როგორც ჩანს, მას მეტად სტრატეგიული ადგილი ეკავა რეგიონში და ვრცელ ტერიტორიას აკონტროლებდა. სავარაუდოა, რომ იგი წარმოადგენდა შუალედურ რგოლს ეკისა და „საკალანდარაშვილოს“ ციხეებს შორის (ლომიტაშვილი, 2003a, გვ. 48; ლომიტაშვილი, 2003b, გვ. 219-210).

საკალანდარიშვილო – ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთაზე მდებარე ციხე (ტაბ. XV), რომელსაც მახლობელი გარეუბნის მიხედვით პ. ზაქარაიამ პირობით „საკალანდარიშვილო“ უწოდა. სიმაგრე IV-V საუკუნეების ეგრისის ციხეთა ყველა ნიშნით ხასიათდება. მას ჩრდილოეთიდან ქარაფი იფარავს, დანარჩენი მხარეები კი კონცენტრული თხრილითა და მიწაყრილითაა შემოსაზღვრული, რომლის სიღრმე 4-6 მეტრი, სიგანე კი 8-10 მეტრია. ასეთი პროფილი თხრილს ცხენოსნებისათვის დაუძლეველ, ხოლო ქვეითებისათვის ძნელად გადასალახავ ბარიერად აქცევდა. ციხე შედგება ერთი კოშკისა და ორი გალავნისაგან. პირველი გალავანი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრავდა ციხის შესასვლელს, მეორე კი სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. გალავანი წრიულია (23X26 მ.). კოშკი კვადრატულია (7X7,2 მ.) და თავი მორღვეული აქვს, ხოლო აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლები გარღვეულია. კარი აღმოსავლეთის კედლის მეორე სართულზე ფიქსირდება. კოშკის კედლები კირქვის მქისედ გათლილი ქვითაა მოპირკეთებული, წყობა პორიზონტალურია. გალავნის მოპირკეთებაში ქვები უფრო მოზრდილია და წყობაც უფრო არათანაბარი. დაზიანებული გალავნის შემორჩენილი სიმაღლე 4-5 მეტრია (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 151-152, სურ. 53, 54).

შხეფი – სენაკიდან სამიოდე კილომეტრზე, ერთ-ერთი მთის შვერილზე აგებული დიდი და შთამბეჭდავი ციხეა (ტაბ. XVI), რომელიც დიდ მანძილზე

აკონტროლებს მის წინ გადაშლილ კოლხეთის დაბლობს. არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლინდა ოთხი სამშენებლო ფენა. შხეფი IV-XIX საუკუნეებში მოქმედი ციხეა. ისტორიული ცნობები ძირითადად გვიანშუასაუკუნეებისაა და ჩვენთვის საინტერესო პერიოდი მათში არ აისახა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 139, ადამია, 1979, გვ. 12).

ციხე მაღალი მთის წვერზე დგას. მისი სიგრძე 58 მეტრია, სიგანე 20 მეტრი, შიდა ფართობი 700 კვ. მეტრს აღწევს. სამხრეთიდან ციცაბო ფლატეთია დაცული, დანარჩენი მხარეებისათვის ღრმა და განიერი თხრილი და მიწაყრილი შემოუვლიათ. აღმოსავლეთით, მთასა და ფლატეს შორის ვიწრო გასასვლელი კედლითაა გადაკეტილი, რომელშიც ჭიშკარი იყო დატანებული. ისინი ფრაგმენტულად შემონახა. ჭიშკრიდან გზა ჩრდილოეთიდან უვლიდა და დასავლეთიდან მიადგებოდა თხრილს (Меликишвили, 1971, გვ. 38; ზაქარაია, 2001, გვ. 79).

ციხის გეგმა გრძელია და სხვადასხვა დონეზე სამი ეზოა განლაგებული. თავდაპირველად აქ მდგარა ერთი ოთხკუთხა კოშკი მცირე გალავნით, რომლის ნაშთი შემდეგი დროის დიდ კოშკს უვლის და ჩრდილო გალავანს ებჯინება. ამ ფენის კედლები ფლეთილი ქვითაა ნაგები. მეორე სამშენებლო ფენაც IV საუკუნისაა. მისი კოშკი პირველი ფენის კოშკის ნანგრევებზეა აგებული. კვადრატს მიახლოებული მძლავრი კოშკი ჩართულია გალავანში, რომელიც ძირითადად რელიეფს მიჰყვება და გეგმა სამკუთხედს უახლოვდება. ეზოს გალავანში მოქცეულია ორი კოშკი. მათგან ერთი ძველია და პირამიდული მოყვანილობის ფორმა აქვს. ოთხსართულიან კოშკს ერთადერთი კარი სამხრეთით ოთხი მეტრის სიმაღლეზე აქვს. მეორე ცილინდრული ფორმის კოშკი გვიანდელია. ციხის ეზოში მდგარი სხვა ნაგებობებიდან აღსანიშნავია დიდი კოშკის აღმოსავლეთით, ჩრდილო გალავანზე მიდგმული დარბაზული ეკლესიის საძირკველი (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 141-147, სურ. 48, 51; Мелитаური, 1971, გვ. 38-39; ადამია, 1979, გვ. 13-14).

ზედა ეზოს დასავლეთის მონაკვეთი სამიოდე მეტრით დაბლა იწევს და პატარა, ოთხკუთხა ფორმის მესამე ეზოში გადადის დიდი განიერი კარით. ეს მონაკვეთი რამდენიმეჯერაა გადაკეთებული და ფიქსირდება IV-V საუკუნეების სამშენებლო ფენები. ციხის ძირითადი კარები სამხრეთის სქელ კედელშია გაჭრილი, პირამიდული კოშკის გვერდით. ციხის აღმოსავლეთ მონაკვეთში ორ კოშკს შორის აუზია წყაროს წყლისათვის, რომელშიც მუდმივად არის წყალი. წყლის მუდმივი და საკმარისი მარაგისათვის 1-1,5 კმ. სიგრძის წყალსადენია

გამოყვანილი, რომელიც ალბა კირის დუღაბშია ჩასმული (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 147; Мелитаური, 1971, გვ. 39; ზაქარაია, 2001, გვ. 80; ადამია, 1979, გვ. 21-22; იაშვილი, ზაქარაია, 1987, გვ. 194-195).

შხეფის ციხის უზარმაზარი კომპლექსი ადრეშუასაუკუნეების ძეგლია, მაგრამ იგი სხვა თანადროული სიმაგრებისაგან განსხვავებით მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა, რაც მისი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით და საიმედოობით იყო გამოწვეული.

სორტი – შხეფის შემდეგ დ. ლომიტაშვილის მიერ დასახელებული საფორტიფიკაციო პუნქტი, რომელიც მდებარეობს სენაკი-მარტვილის საავტომობილო გზის მერვე კილომეტრზე სოფ. სორტის ჩრდილოეთით მომიჯნავე მთის თხემზე. ციხე დღეისათვის ზოგან თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული. ის ავსებს კოტიანეთისა და შხეფის ციხეებს შორის არსებულ ვაკეებს. რადგან უნაგირა მთა, რომელიც ნოქალაქევის შემდგომ ზღვისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე გრძელდებოდა სოფ. სორტამდე, აქ კი მთის მასივი მკვეთრად ჩრდილო-დასავლეთისაკენ უხვევდა, შესაბამისად, კოტიანეთის ციხიდან გადაცემული სიგნალი პრაქტიკულად შეუმჩნეველი რჩებოდა შხეფის ციხისათვის. ვიზუალური დაკვირვებით ჩანს, რომ ციხე გალავნისა და კოშკისაგან შედგებოდა. აშკარად შეიმჩნევა ციხის ირგვლივ შემოვლებული თხრილისა და მიწაყრილის კვალი. ციხის შიდა ტერიტორიაზე ზედაპირულად მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ ძეგლის საერთო თარიღი ზოგადად ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანით –IV-VI საუკუნეებით განსაზღვრა (ლომიტაშვილი, 2003b, გვ. 216-217).

კოტიანეთი – ნოქალაქე-არქეოპოლისის დასავლეთით სამიოდე კილომეტრზე მდებარე სოფლის ჩრდილოეთით ერთ-ერთი მთის ქიმზე აგებული მცირე ციხეა (ტაბ. XVII), რომელიც სამხრეთის მიმართულებით დიდ მანძილს აკონტროლებს. სიმაგრე, რომელიც თავისი ზომების მიუხედავად ყველა საჭირო ელემენტითაა აღჭურვილი, გეგმით უწესო ოვალურია. მის ჩრდილოეთ მხარეს ეზოა, ხოლო აღმოსავლეთით კოშკი და ეკლესიაა განლაგებული. კოშკი გეგმით კვადრატს (2X3,7 მ.) უახლოვდება და სართულნახევარია გადარჩენილი. კოშკიც და გალავანიც (სისქე 1 მ.) ქვითაა ნაგები. გარეთა მოპირკეთება საშუალო და დიდი ზომის გათლილი ქვითაა ამოყვანილი, შიდა მხრიდან უფრო მცირე ზომის ქვებია გამოყენებული. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით ვერტიკალური კლდეა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან კი ის 9-10 მეტრი სიგანის თხრილით იყო დაცული,

რომლის შემორჩენილი სიღრმე 3-4 მეტრია. თხრილის შემდეგ მიწაყრილის არსებობა ივარაუდება, რაც როგორც აღინიშნა, ამ ეპოქის ფორტიფიკაციის დამახასიათებელი ნიშანია. არქეოლოგიური მასალა ციხის ფუნქციონირებას ეგრისის სამეფოს დაცემამდე ადასტურებს, მისი წარმოქმნა კი IV-V საუკუნეებს განეკუთვნება (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 47, სურ. 47). ვფიქრობთ, რომ კოტიანეთი ნოქალაქევის სამხრეთი ფორპოსტია და მისი დაცემის შემდეგ წყვეტს არსებობას, რადგან მან ფუნქცია დაკარგა.

არქეოპოლისი – (ციხე-გოჯი, ნოქალაქევი) – ეგრისის მთავარი და მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრი იყო მდ. ტეხურის ხეობაში. ის იდენტიფიცირებულია თანამედროვე სოფ. ნოქალაქევთან (ტაბ. XVIII). არქეოპოლისს პროკოპი კესარიელი „ძალიან გამაგრებულს“ და „მთავარ და უდიდეს ქალაქს“ უწოდებს (Procop. De BP, II, 29; De BG, VIII, 13). უდიდესი და ძველი სიმაგრის სახელით არის მოხსენიებული ის ასევე იუსტინიანეს ნოველაში (Novella, XXXI (XXXIII). შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ნოქალაქევი-არქეოპოლისი ეგრის-ლაზიკის დედაქალაქად მიიჩნევა. ნოქალაქევს ციხე-გოჯის სახელით ქართული წყაროებიც იცნობენ (ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 234-235; ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 777).

I-III საუკუნეების არქეოლოგიური მასალები შედარებით მცირეა, ხოლო ნაგებობები საერთოდ არ ჩანს. სიტუაცია იცვლება IV საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც იქმნება ხელსაყრელი ვითარება ეგრისის ახალი დედაქალაქის გაჩენისათვის (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 15; ჯანაშია, 1952, გვ. 308-312; ლომოური, 1968, გვ. 68-79). სწორედ ამ ეპოქაზე (IV-VIII სს.) მოდის ნოქალაქევის ისტორიის მეორე პერიოდი, რომელიც არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლინდა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 5), თუმცა ფიქრობენ, რომ ეს ეტაპი ქალაქის ცხოვრებისა IV-VI საუკუნეებით შემოიფარგლება (ლომიტაშვილი, 1999, გვ. 50; ჯაფარიძე, 1999, გვ. 94).

ნოქალაქევი მდ. ტეხურის ნაპირზეა აგებული, რომელიც ქალაქს სამი მხრიდან უვლის გარშემო. მდინარის ნაპირი სამხრეთის მთელ სიგრძეზე 20-25 მეტრის სიმაღლის ფლატეა, ხოლო დასავლეთის მხარეს კი მაღალი ქარაფია. ციხე-ქალაქი სულ მოიცავს 18 ჰექტარ ფართობს და სამი ნაწილისაგან შედგება: 1. გორაკის თხემზე აღმართული შიდაციხე, 2. მდ. ტეხურის მარცხენა სანაპიროს ვაკეზე მდებარე ქვედა ქალაქი, 3. ციტადელისა და ქვედა ქალაქის გამაერთიანებელი, გალავანშემოზღუდული დამრეცი ფერდობი. ქალაქის გალავანი,

რომელიც სამ კილომეტრს აღემატება სიგრძით, თავდაპირველი სახით არცერთ მონაკვეთზე არაა შემონახული. ციტადელის გეგმა სამკუთხედს უახლოვდება. გალაგანის ჩრდილოეთის ხაზს აღმოსავლეთით და დასავლეთით ამთავრებს თითო სწორკუთხა კოშკი (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 16-17).

აღნიშნავენ, რომ ციტადელის ამ მონაკვეთზე რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაგებობები ჯერ არ გამოვლენილა, მაგრამ დასავლეთის კოშკის ქვედა იარუსში ჩართული, მასიური ქვის ბლოკებით ნაგები, ძველი ნაგებობის თაღოვანი კედლის ფრაგმენტი რომაულ ხანის ნაშთად მიიჩნევა. ვ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ახ. წ. პირველი საუკუნეების ნაგებობის ფრაგმენტების არსებობა ციტადელში ეჭვს არ იწვევს და ქვედა ქალაქშიც იგულისხმება მათი პოვნის შესაძლებლობა (ჯაფარიძე, 1999, გვ. 95-96).

ციტადელსა და ქვედა ქალაქს შორის მდებარე ფერდობზე მიმავალ გალაგანში ჩართულია მცირე ციხე, რომელიც სამეფო უბანს იცავდა. სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლების გადარჩენილ რამდენიმე სამშენებლო ფენაში გამოირჩევა IV საუკუნით დათარიღებული ფლეთილი ქვით ნაგები წყობა. სამხრეთის მხარეს ქალაქის ქვედა ნაწილთან შემაერთებული ერთი კარია. გალაგანი მცირე ციხის დასავლეთიდან ქვემოთ ეშვება, სამხრეთით უხვევს და ქალაქის სამდინარო გალაგანი ხდება. მისი სისქე ერთ მეტრს არ აღემატება და ნაგებია ფლეთილი ქვით რიგების დაუცველად (ზაქარაია, კაპანაძე, 1999, გვ. 17-18, ტაბ. I-VI).

სამხრეთის მხარეს მიჰყვება ორი ერთმანეთზე მიტყუპებული კედლის პარალელური ხაზი. შიდა კედლის სისქე 1,6 მეტრია, გარეთასი – 1,2 მეტრი. შიდა კედელი IV საუკუნით, ხოლო გარე V საუკუნით თარიღდება. ორივე მათგანი ფლეთილი, სანახევროდ დამუშავებული და ჰორიზონტალურად დალაგებული ქვებითაა აგებული. ნაქალაქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხე ძლიერაა დანგრეული და მისი თავდაპირველი სახით აღგენა შეუძლებელია. ეს კუთხე ყოფილა ქალაქის დაცვის მთავარი კვანძი (ზაქარაია, კაპანაძე, 1999, გვ. 18-24).

აღმოსავლეთიდან ქვედა ქალაქს სამი სხვადასხვა პერიოდის ზღუდე ეკვრის, სხვადასხვა დროის კარიბჭეებითა და კოშკებით. პირველი აგებულია IV საუკუნეში და 1,2-1,6 მეტრი სისქისაა. იგი დასავლეთით და ჩრდილოეთით ერთადერთია, ხოლო სამხრეთისა და აღმოსავლეთის გალაგანებიდან პირველია ეზოს მხრიდან. აღმოსავლეთიდან მას ცენტრში ჭიშკარი და ორი შევრილი კოშკი აქვს. ჭიშკრის შიგნით ორივე მხარეს გრძელი და ვიწრო სათავსები იყო, თავზე კი საბრძოლო

ბაქანი. ხის კარი ჯაჭვიანი საკეტი იკეტებოდა. სავარაუდოდ, V საუკუნის დასაწყისში ნოქალაქევი დანგრეული ჩანს უცნობის მტრის მიერ. ამის შემდეგ ძველი კედლის პარალელურად 80-100 სანტიმეტრის დაცილებით აიგო ახალი, 2 მეტრი სისქის კედელი. დაზიანების გამო გაურკვეველია მათი დამთავრება. კედლებს, სავარაუდოდ, ქონგურებიანი საბრძოლო ბილიკი უნდა ჰქონოდათ. მათზე ასასვლელად გალანის სამხრეთით და აღმოსავლეთით თითო ქვის კიბე იყო მიშენებული. ძველი ჭიშკარი ამოიქოლა და ახალი ჭიშკარი სხვაგან გაიჭრა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 25-34; ჯაფარიძე 1999, გვ. 96-97).

V-VI საუკუნეთა მიჯნაზე, ალბათ მიყენებული ზიანის გამო, ქალაქის სასიმაგრო სისტემამ კვლავ განიცადა აღდგენა და ამჯერად საგანგებო გამაგრება. სამხრეთიდან დაწყებული ახალი, თლილი ქვის დიდრონი კვადრებით ნაგები 2,5 მეტრი სისქის, გალანის საერთო სიგრძე 200 მეტრს აღემატება და ძველი კედლებისაგან 6 მეტრითაა დაცილებული, სავარაუდოდ გარნიზონის განსათავსებლად. ასევე ერთი დიდი სწორკუთხა კოშკი აიგო სამხრეთი ბოლოსაკენ, ხოლო ოდნავ მომცრო კოშკი კი ჭიშკრის მიდამოებში. მეორე კედლის სიმაღლედ 12 მეტრი ივარაუდება, ხოლო მესამე 8 მეტრი უნდა ყოფილიყო (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 41-50; ჯაფარიძე, 1999, გვ. 97).

ნოქალაქევის ხუროთმოძღვრული ნაგებობებიდან გამოირჩევა ორი „სამეფო“ სასახლე, ორი აბანო, მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი, შესანიშნავი ეკლესიები და ა.შ.

ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემა შთამბეჭდავია, გრანდიოზული და აშკარად მაღალი საბრძოლო თვისებებით გამოირჩეოდა. სპარსელებმა ვერ მოახერხეს მისი აღება მიუხედავად დიდი მცდელობისა. ლაზებისა და ბიზანტიელების მიერ გამაგრებულ ნოქალაქევს, გ. გოზალიშვილის თქმით, ბიზანტია-ირანის ომისას მთავარი მნიშვნელობა ენიჭებოდა (გოზალიშვილი, 1972, გვ. 219-227). ნ. ბერძენიშვილი არქეოპოლისს „ლაზიკის ფეოდალური ხანის ცოცხალ ქალაქს“ უწოდებს (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 466). ს. ყაუხჩიშვილი კი ხაზგასმით აღნიშნავს ქალაქის სტრატეგიულ ფუნქციას და თვლის, რომ პეტრასთან ერთად არქეოპოლისი ის ურდული იყო, რომელიც მტერს გზას უკეტავდა ზღვისკენ და ისინი კარგად ასრულებდნენ ამ დანიშნულებას (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 190).

აბედათი – ნოქალაქევი-არქეოპოლისის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მარტვილის დასავლეთით, მდ. აბაშის ხეობაში მდებარეობს. ციხე (ტაბ. XIX)

სოფლის ჩრდილოეთით წარმომდგარი მთის წინა პირზე დგას და სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებებს გადასცქერის. მთისწინა ზოლზე გამავალი გზაც აქვე ახლოსაა. სავარაუდოდ კიდევ ერთი, ქვემოდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი გზა ციხის ძირში გადიოდა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 130-131).

არქეოლოგიურმა გათხრებმა სამი სხვადასხვა ფენა გამოავლინა. შემორჩენილი ორი გალავნიდან ერთი ძირითადია და შემოფარგლავს ეზოს 10-12 მეტრი სიმაღლის კედლებით. მისი გეგმა უწესო ტრაპეციის მაგვარია. ციხის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მონაკვეთი მეორე გალავნითაა შემოზღუდული, რომელიც რელიეფს მიჰყვება და კონუსური კონტრფორსებითაა გამაგრებული. გალავანში ჩართულია კვადრატული კოშკი, რომელიც ზემოთ ვიწროვდება. გალავანი და კოშკი IV-VI საუკუნეებით დათარიღებულ პირველ ფენას მიეკუთვნება. ეზოს შიგნით და აღმოსავლეთით გალავნის გარეთ გამოვლინდა ციხის ნაშთები, მაგრამ მათი ფრაგმენტულობის გამო ციხის გეგმის მოხაზულობის აღდგენა ვერ მოხერხდა. პირველი ციხიდან დარჩენილი ჩრდილოეთის გალავნის ხაზი შემდეგი დროის გალავნიდან სამი მეტრითაა დაცილებული და მის პარალელურად მიემართება. ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში სამსართულიანი კოშკია, გრძელი, სასახლის ტიპის სათავსით. არ გამოირიცხება ნაგებობა ორი პერიოდის კუთვნილი იყოს. ჩრდილოეთის ცენტრალურ ნაწილში კოშკური ჭიშკრის ნაშთებია, რომელიც ასევე პირველი ფენის ნაწილად ივარაუდება.

სამსართულიანი კოშკის პირველ სართულზე თაღოვან-კამაროვანი გასასვლელი უნდა ყოფილიყო. გალავნის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში და ციხის ეზოში ნაგებობათა ნაშთებია, ოღონდ გაურკვეველია რა დანიშნულების. აღმოსავლეთ მონაკვეთში დარბაზული ეკლესიაა (IX ს.). ივარაუდება ძველი ეკლესიის არსებობაც. პირველი ციხის კედლები ძირითადად ერთი მეტრის სისქისაა შხეფის, კოტიანეთის და საკალანდარაშვილოს მსგავსად (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 132-135, სურ. 44).

მეორე ციხე განსხვავებული გეგმისაა. ის ორნაწილიანია. მთავარი ციხე, რომელიც უკეთაა შემორჩენილი, ტრაპეციის მოხაზულობისაა, მეორე კი მას სამხრეთით და აღმოსავლეთით ეკვრის და მიწის დონეზეა დანგრეული. ამ ციხეს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს. აქაც მცირე ზომის კოშკი ყოფილა. ის პირველი ციხის ანალოგიური კოშკისაგან განსხვავებით, რომელიც შევრილი იყო, გალავნის შიგნითაა მოქცეული. მეორე სიმაგრის კედლები ხუთიდან 10-20 მეტრის სიმაღლეზეა შემონახული. დაცვა ზედა საბრძოლო მონაკვეთიდან უნდა

განხორციელებულიყო. ქონგურები არ შემორჩა. მეორე სამშენებლო ფენა საშუალო ზომის ფლეთილი ქვითაა ნაგები, თუმცა ჩართულია გათლილი კვადრები, რომელიც პირველი ფენის ნაშთი უნდა იყოს. ციხის შიგნით IV საუკუნეზე ადრეული მასალა არ გამოვლენილა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 135-136).

აბელათის ციხის მრავალფენიანი კომპლექსი პ. ზაქარაიას მიერ ნოქალაქევის თანადროულადაა მიჩნეული და გაიგივებულია ბიზანტიური წყაროების ონოგურისთან. აგათია სქოლასტიკოსის ცნობებში კარგადაა ასახული ონოგურისის ფუნქცია. იგი არქეოპოლისის ფორპოსტია ჩრდილო-აღმოსავლეთით და მის „სასიმაგრო საფარს“ წარმოადგენს. სხვა ციხე თუ ნაციხარი ამ მიდამოებში არსად ჩანს, რომელსაც მსგავსი დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა (ზაქარაია კაპანაძე, 1991, გვ. 128-130).

ონოგურისის „არქეოპოლისის ახლოს და მის საკონტროლო ადგილებში“ გულისხმობდა ნ. ბერძენიშვილი და ფიქრობდა „ხომ არ შეიძლება ონოდიას დაკავშირება ბერძნულ ონოგურისთან“, სახელთა მსგავსების გამო (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 463-465).

ს. ყაუხჩიშვილის მიხედვითაც ონოგურისი აუცილებლად ცხენისწყლის დასავლეთითაა, უნაგირას მთებში და არქეოპოლისის მახლობლად (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 39-41).

პ. ზაქარაიას მტკიცებას ონოგურისი-აბელათის იგივეობაზე დამაჯერებლად თვლის ო. ლანჩავაც (ლანჩავა, 1996, გვ. 61). იგივე აზრისაა დ. მუსხელიშვილიც (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 288).

ონოგურისის ლოკალიზაციის განსხვავებული მოსაზრება აქვს ვ. ფაილოძეს, რომელიც თვლის, რომ ბიზანტიელი ავტორების მიერ აღწერილი ციხის ადგილმდებარეობა შეესაბამება სოფელ ქვედა-ხუნწის მონაკვეთზე, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზე მდგარ უნაგირას მთაზე დაფიქსირებულ უძველეს ნაციხვარს, რომლის ფართობი 1 ჰექტარია. უნაგირას კეხის უმაღლეს კონცხზე შენიშნულია ორი ნაგებობის ნაშთი, რომელთა იატაკი მოპირკეთებული ყოფილა თიხის ზოლიანი (20X35 სმ.) ფილებით. კედლები ნაგებია ადგილობრივი თეთრი ქვით. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლებთან შეინიშნება კარიბჭის ნანგრევები (ფაილოძე, 2003, გვ. 27-32). ვფიქრობთ, რომ დასახელებული ნაციხვარის არქეოლოგიური შესწავლის გარეშე მისი აშენება-ფუნქციონირების თარიღებზე და შესაბამისად რომელიმე პუნქტთან გაიგივებაზე მსჯელობა ნაადრევია.

აბელათის „უსახელო“ – დ. ლომიტაშვილს სოფ. აბელათში მდებარე კიდევ

ერთი მანამდე უცნობი ციხე შემოაქვს სამეცნიერო მიმოქცევაში (ლომიტაშვილი, 2003a, გვ. 48). ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლოა იყოს აბედათის ჩრდილოეთით და დასავლეთით 300-400 მეტრის დაცილებით მთის წვერზე არსებული კედლის ნაშთები, რომელიც პ. ზაქარაიამ დააფიქსირა და ციხის გალავნის ნაშთებად ივარაუდა (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 132).

დიდღვაბუნა – ნასოფლარ დიდღვაბუნას ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკად მდ. ოხვირის პირას აღმართული ადრეშუასაუკუნეების ციხეა. იგი საიმედოდ ივარავეს როგორც ცხენისწყლის ხეობაში ამაველ ლეჩხუმ-სვანეთის გზას, ასევე მთისწინა ზოლის ისტორიულ გზას, რომელიც „ბუმბუას ხილით“ აკავშირებდა ქუთაისისა და ნოქალაქევის „ქვეყნებს“.

ციხე აგებულია ტყლიპის ქედის მიუვალ კედის ქიმზე და წაგრძელებული სწორკუთხა ფორმა აქვს (30X20 მ.). კოშკის ყველაზე მაღალი ადგილი 6-7 მეტრია. ჩრდილო-დასავლეთის ადვილად მისადგომი მხარე ორი ცილინდრული კოშკით არის გამაგრებული. დასავლეთის კოშკი სამსართულიანი ყოფილა. გასული საუკუნის 70-იან წლებში მისი სიმაღლე 12-13 მეტრი იყო. კოშკის კედელი 2,2 მეტრი სისქისაა. სამხრეთის მიუვალი კოშკის კედლის სისქე კი 0,70 მეტრია. ციხეს ერთი ვიწრო შესასვლელი აქვს ჩრდილოეთის მხრიდან. კედლები ნაგებია თეთრი ფლეთილი და ალაგ-ალაგ ნათალი ადგილობრივი ქვის ორმაგი წყობით. შეიმჩნევა მშენებლობის რამდენიმე ფენა. ციხის ახლოს დასტურდება მარნის ნაშთი. 500-ოდე მეტრის დაშორებით ადგილ „დედოფლის ნაბარგში“ გაითხარა ერთი ორმოსამარხი, რომელიც სამარხეული ინვენტარის მიხედვით III საუკუნით თარიღდება (ჩიხლაძე, 2003, გვ. 51-54).

დიდღვაბუნას ციხე ქართველ მეკლევართა ნაწილმა ბიზანტიური წყაროების უქიმერიონის ციხესთან გააიგივა. ი. სიხარულიძე ფიქრობს, რომ დიდღვაბუნა ასაკით, ადგილმდებარეობით, მოცულობით და სიძლიერით შეესაბამება უქიმერიონს (სიხარულიძე, 1970, გვ. 39-41). ვ. ჩიხლაძეს აზრით, შეიძლება ასეთი იდენტიფიკაცია სინამდვილეს შეესაბამებოდეს (ჩიხლაძე, 2003, გვ. 54). უქიმერიონის ციხეს მდ. ცხენისწყლის ხეობაში ვარაუდობს დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 287).

დიდღვაბუნა-უქიმერიონის იგივეობა კატეგორიულად უარყო ო. ლანჩავამ, რომელიც უქიმერიონის ციხეს ადრე ქ. ქუთაისში, „არქიელის“ გორაზე ვარაუდობდა (ლანჩავა, 1975, გვ. 13, შენ. 67). ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის

შედგების მიხედვით ნათელი გახდა, რომ უქიმერიონი სხვაგანაა საძებარი. მკვლევარმა უქიმერიონი ქუთაისის აღმოსავლეთით, შორაპნისაკენ მიმავალ გზაზე, დღევანდელ მოწამეთასთან გააიგივა (ლანჩავა, 1996, გვ. 63).

ო. ლანჩავამ საგანგებოდ მოიხილა დიდღვაბუნას ციხე და მისი მიმდგომი მხარე. მისი აღწერილობით ციხე გაცილებით მცირეა (15X7 მმ.), ვიდრე ეს ვ. ჩხლაძეს აქვს მოცემული. ო. ლანჩავას მიხედვით, დიდღვაბუნას ძირითადი ფუნქცია მდ. ცხენისწყლის ხეობის ჩაკეტვაა და ის გორდის “ქვეყნის” მთავარი ბასტიონია. რაც შეეხება ციხის მშენებლობას, მისი ადრეული ეტაპი IV-V საუკუნეებით განისაზღვრა. მკვლევარმა კვლავ კატეგორიულად არ გაიზიარა დიდღვაბუნას იდენტიფიკაცია უქიმერიონთან, მითუმეტეს, რომ ის ცხენისწყლის გადაღმაა და არქეოპოლისის ქვეყნის ნაწილს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მოხირისისას (ლანჩავა, 2007, გვ. 96, 143). ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ო. ლანჩავას ამ მოსაზრებას.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულის დასადასტურებლად მნიშვნელოვანი არგუმენტია XX საუკუნის 20-30-იან წლებში ისტორიკოს გ. ბოჭორიძის მიერ შედგენილი იმერეთის ისტორიული ძეგლებისა და სიძველეთა სია, რომელშიც გორდის ტერიტორიაზე სამი ციხეა დასახელებული. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს “სილაურის” ციხის ნაშთი სოფ. დიდღვაბუნას მახლობლად (ბოჭორიძე, 1995, გვ. 245, 252). სამწუხაროდ, ავტორი არ აღწერს ამ ციხეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზუსტად ასახელებს სოფელს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე სწორედ დიდღვაბუნას ციხეს ეხება. თუმცა არ გამოირიცხება, მაგრამ ამ შემთხვევაში ნაკლებად შესაძლებელია, რომ ეს იყოს დიდღვაბუნაში მდებარე მეორე, რეხის სახელით ცნობილი ციხის ნაშთები, რადგან საეჭვოა, რომ რამდენიმე ათეულ წელიწადში შეცვლილიყო საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ტოპონიმი “სილაური” სხვა სახელით. საინტერესოა, რომ მასში ვერ დავინახავთ ვერანაირ მსგავსებას უქიმერიონთან.

რეხი – სოფ. დიდღვაბუნაში ორი პატარა მდინარის ხერთვისთან, შემადგებულ კლდოვან ბორცვზე მდებარე კიდევ ერთი ციხეა, რომელიც მცირე სიმაგრეთა რიცხვს მიეკუთვნება (13X9,5 მ.). ის მიუვალაა აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან გამაგრებული ყოფილა ცილინდრული კოშკებით, რომელთაგან 1,5 მეტრი სიმაღლის საძირკვლებია დარჩენილი. ციხეს მცირე კარი ჩრდილოეთიდან ჰქონდა. რეხი თავისი ადგილმდებარეობით გორდ-კინჩხისა და ლეჩხუმ-სვანეთისაკენ

მიმავალ გზას იცავდა და იფარავდა დიდღვაბუნას დიდი ციხის მისადგომებს (ჩიხლაძე, 2003, გვ. 52; სიხარულიძე, 1970, გვ. 40).

ნამაშევი – სოფ. დიდი გუბის ტერიტორიაზე, მდ. გუბისწყლის მარჯვენა გაშლილი ნაპირის შემადგენელ პლატოზე აგებულია ციხე, რომელსაც აღმოსავლეთით მდინარე იცავდა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან 10-15 მეტრი სიგანის ხელოვნური თხრილი. გალანის კედლები ცუდადაა შემორჩენილი. აღმოსავლეთის კედელი ძირითადად მდინარეშია ჩანგრეული და მხოლოდ სამხრეთ მონაკვეთში დასტურდება მცირე ნაწილი. დარჩენილი კედლების მიხედვით ციხის გეგმა ჩრდილოეთისაკენ სამკუთხედად შევიწროვებულ მრავალკუთხედს წარმოადგენს. ციხის ჩრდილო უკიდურეს კუთხეს ფარავს ჩრდილოეთის კოშკი, რომელიც მდინარისპირა ფლატეს ებჯინება (7,45X6,70 მ.). მისი შიდა ფართობი 50 კვ. მეტრია, კედლის სისქე 1,8 მეტრი. ქვედა სართულზე შესასვლელი არ ივარაუდება. კედლების ფასადი ამოყვანილია თეთრი, უპირატესად თლილი ქვებით, რიგებში პორიზონტალობის მეტ-ნაკლები დაცვით. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებში სიგრძივად და განივად დატანებული ხის მორების ნაშთი დაფიქსირდა. ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების ქვედა წყობები ერთმანეთშია გადაბმული მეტი სიმტკიცისათვის (ჯაფარიძე, 1999, გვ. 122-128).

ციხეში დადასტურდა ორმაგი კედლების სისტემა, რომელიც აღმოსავლეთით შეკრულია, ხოლო დასავლეთით ღიაა და ქმნის დიობს. ვ. ჯაფარიძე ვარაუდობს ზღუდის ამ მონაკვეთში კარიბჭის არსებობას, რომელიც შესაძლოა ცრუ შესასვლელი იყო მტრის ორმაგი კედლების ხაფანგში მოხვედრის მიზნით (ჯაფარიძე, 1999, გვ. 130).

ნამაშევის კომპლექსში ასევე შედის ციხის თხრილის გარეთ, სამხრეთისა და დასავლეთის მხარეს, მდგარი ორი კოშკი, რომლებიც მისადგომებს იცავდნენ (Джапаридзе, 1982, გვ. 51). გათხრებმა გამოავლინა 35 მეტრი სიგრძის კედელი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთი კუთხიდან კოშკისაკენ მოემართება და უერთდება. კოშკის ფართობი 98 კვ. მეტრია (14X7 მ.), კედლის სისქე 1,9 მეტრი. ზღუდის დასავლეთით 100 მეტრის დაცილებით მდგარი ოთხკუთხა ნაგებობა (კოშკი) წყობის ხასიათით ნამაშევის სხვა ნაგებობათა მსგავსია და შესაბამისად მათი სინქრონული. მშენებლობისას ძირითადად თეთრი, ნაპირჩამოთლილი ქვების წყობაა გამოყენებული. რიგებში პორიზონტალობაც შეიმჩნევა, მაგრამ საერთო იერი აშკარად პოლიგონალურია. მშენებლობის თარიღი ძირითადად V-VI საუკუნეებით განისაზღვრა, თუმცა არც IV საუკუნის მეორე ნახევარი

გამოირიცხება (ჯაფარიძე, 1999, გვ. 130-131).

ნამაშევის ციხე, რომელიც ადრეშუასაკუნეების ეგრისის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ძეგლს წარმოადგენს, ფუნქციონირებას მომდევნო საუკუნეებშიც განაგრძობს (Джапаридзе, 1982, გვ. 51). ციხე ქუთაისის მისაღვომებს იცავს დასავლეთიდან და გუბისწყლის ხეობის ვაკე „ქვეყანაზე“ ბატონობდა (ლანჩავა, 1996, გვ. 63; ლანჩავა, 2007, გვ. 97).

ვ. ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ბიზანტიელი მწერლების მონაცემებით ცნობილი მუხირისი (მოხირისი) სწორედ ნამაშევის ციხეა, რომელიც ქუთაისთან ერთობლიობაში მოიაზრება. მკვლევარი ფიქრობს, რომ მუხირისი ვრცელდება ცხენისწყალი-გუბისწყლის მონაკვეთში და ფარავს „ქუთაისის ქვეყნად“ საგულვებელ ტერიტორიას მდ. რიონამდე. შესაბამისად, ნამაშევი-მუხირისი შესაძლოა სასაზღვრო ციხესიმაგრეს წარმოადგენს, თუმცა მისი ქალაქობის ნიშნები დამატებით კვლევას საჭიროებს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 132).

ისტორიული მუხირისის ფარგლებში, მდ. ცხენისწყლიდან მდ. რიონამდე, თანამედროვე ხონისა და წყალტუბოს რაიონებში რამდენიმე ძეგლია, რომელთაც ადრებიზანტიურ ეპოქას მიაკუთვნებდნენ. ნ. ბერძენიშვილი ასახელებს ხომულის ციხეს, რომელიც წარმოადგენს დაგრძელებულ, ოთხკუთხედი გალავნით შემოზღუდულ ტერიტორიას (35X42 მ.), რომლის ყოველ კუთხეში დატანებულია ოთხკუთხა მასიური ბურჯი. გალავნის სისქე 3 მეტრია. ბურჯი კედლიდან წინ არის წაწეული. გალავნის შიდა და გარე ფასადები შეპერანგებულია თლილი ქვით. ერთი კოშკი (მაღალი) თხელკედლიანია და არც ყრუა დანარჩენების მსგავსად. ის გვიანდელი უნდა იყოს. ნ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ ყველა ნიშნით ხომულის ციხე ადრებიზანტიური ხანისაა და ის ბატონობდა ირგვლივ „ქვეყანას“ (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 45).

ნ. ბერძენიშვილი VI საუკუნით ათარიღებს ასევე მათხოჯის ციხეს, რომელიც მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე „სკვიმნიდან ლაზიკაში“ მიმავალ გზას აკონტროლებდა და ახლო ქვეყანაზე (ხონზე?) ბატონობდა. ციხეს შიგნით დატანებული აქვს კოშკი, რომელიც ამავე დროს ციხის გარე კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს. მკვლევარის დასკვნით შემდეგი ვარაუდი დასტურდება: გზა „ბომბოას ხიდიდან“ მათხოჯის, ხონის, ხომულის, ქუთაისის, გელათის, გოდოგანის, სიმონეთ-ძევრის და სკანდეს გავლით იბერიაში გადადიოდა (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 460-461).

ხონის რაიონის ადრებიზანტიურ ციხეთა შორის მათხოჯის გარდა ა.

ფაილოძე ასევე ასახელებს კიბულას (VI-VIII სს.) და ნოდას (V ს.) ციხეებს (ფაილოძე, 2003, გვ. 16).

ვ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ ხომელის ციხეზე ჩატარებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს (კ. კალანდაძის ინფორმაციით) შესაბამისი ფენიდან მასალები არ გამოუვლენია. არც მათხოჯის ციხეზე დადასტურდა ადრეშუასაუკუნეების ფენები. მკვლევარი მიუთითებს, რომ ადრეშუასაუკუნეების ხანისად მიჩნეული ძეგლების ნაწილი, თითქოს სპეციფიკური წყობებით, ადრეულ ფენებს არ შეიცავენ (ჯაფარიძე, 1999, გვ. 122).

ვფიქრობთ, რომ ეს რეგიონი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს შესწავლის თვალსაზრისით, რადგან მოხირისი ეგრისის ძირითადი ეკონომიკური რაიონი იყო, რომელიც სამეფო ხელისუფლების მხრიდან შესაბამისად იქნებოდა დაცული. თუ მოხირისის აღმოსავლეთის და სამხრეთის საზღვრები მდ. რიონითა და ქუთაისის, მოწამეთას, როდოპოლისის და ტელეფისის ციხეებით იყო დაცული, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მისი დაცვის სქემა ჯერ კიდევ გასარკვევია.

ქუთაისი – ეგრის-ლაზიკის მთავარი ქალაქია ნოქალაქევთან ერთად. მდებარეობს დასავლეთ საქართველოს შუაგულში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, გორაკ-ბორცვიან ნაწილში. ქუთაისზე გადიოდა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულების დამაკავშირებელი გზები, რაც ქმნიდა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კომუნიკაციების კონტროლის შესაძლებლობას და ხელს უწყობდა ქალაქის პოლიტიკურ დაწინაურებას (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 3; ლანჩავა, 1996, გვ. 67; ლანჩავა, 2007, გვ. 5). სამართლიანად თვლიან, რომ ქუთაისი დასავლურ-ქართული სამყაროს ძველისძველი ბუნებრივ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი იყო (გაბუნია, 1996, გვ. 251).

ადრეშუასაუკუნეების ქუთაისის შესახებ ცნობები ძირითადად ბიზანტიურ წყაროებში გვხვდება: V საუკუნის ანონიმი ავტორის “პერიპლუსი”(Anon., Periplus, §4), პროკოპი კესარიელის (VI ს.) „ომი გუთებთან“ (Procop. De BG, VIII, 14), აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) „იუსტინიანეს მეფობისათვის“ (Agath., II, 12, 22, III, 5, 7, 28), VII საუკუნის რავენელი ავტორის „კოსმოგრაფია“, VII საუკუნის „სომხური გეოგრაფია“. ქართული წყაროებიდან აღსანიშნავია ჯუანშერის „ცხოვრება მეფისა ვახტანგისი“ და XI საუკუნის ანონიმის „მატიანე ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, 1955).

ქუთაისი ეგრისის სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე დაწინაურებულ, რიონისპირა ცენტრალურ ოლქში მდებარეობდა, რამაც ხელი შეუწყო ამ მხარეში

საქალაქო ცხოვრების ჩამოყალიბება-აღმავლობას. ქუთაისის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო III-IV საუკუნეებიდან, რაც ახალი ციხე-ქალაქის აღმოცენებით აღინიშნა. ხელისშემწეობი პირობებიც მრავლად არსებობდა – უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მხარის ეკონომიკური პოტენციალი, სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისი და რთული პოლიტიკური ვითარება (ლანჩავა, 1994, გვ. 60-61; ლანჩავა, 1995, გვ. 21).

IV საუკუნის ქუთაისის ისტორია არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ორ ეტაპად იყოფა. პირველ ეტაპზე, IV საუკუნის დასაწყისიდან, ე. წ. ხორხის მთის კლდოვან ბორცვზე შენდება შიდაციხე-აკროპოლისი (ტაბ. XX, სურ. 1). გორაკს სამი მხრიდან ციცაბო, კლდოვანი ფერდობები იცავს, მხოლოდ დასავლეთის მხრიდანაა ადვილი მისადგომი. შესაბამისად, ამ მხრიდან ზღუდე-გალავანი მძლავრი კოშკებით და ორმაგი კედლებით იქნა განმტკიცებული. ციტადელის თავდაპირველი გეგმა არასწორი ექვსკუთხედის ფორმისაა (0,6 ჰა). მისი ძირითადი კომპონენტებია: გალავნის ძირითადი კედელი, ორი სწორკუთხა კოშკი, ორმაგი კედელი, მთავარი კარიბჭე, „ცოტა კარი“ და წყალმომარაგების რთული სისტემა. კედლის სიგანე 1,4 მეტრია. ის ნაგებია ფლეთილი ქვით. თავდაპირველი სიმაღლე 8 მეტრი ივარაუდება (ლანჩავა, 1996, გვ. 80, სურ. 4; ლანჩავა, 2007, გვ. 109, სურ. 88). ვ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ ქუთაისის ციტადელი თავდაპირველად რომაული ეპოქის კასტელუმს წარმოადგენდა, ხოლო გეგმარებიდან ზოგიერთი გადახვევა რელიეფით იყო განპირობებული (Джапаридзе, 2003, გვ. 142). მკვლევარს ამ მოსაზრების დასადასტურებლად არგუმენტები არ მიუთითებია. ვთვლით, რომ ქუთაისის ციტადელის კასტელუმად წარმოდგენისათვის არანაირი საფუძვლები არ არსებობს. ციტადელში არქეოლოგიური კვლევისას გამოვლინდა ხის საცხოვრებელი ნაგებობათა კვალი, ასევე ხელსაფქვავის ქვები, დერგები, კერამიკა, რიყის ქვებით მოკირწყლული ქუჩების და მოედნების ფრაგმენტები (ლანჩავა, 1995, გვ. 21; ლანჩავა, 2007, გვ. 109).

IV საუკუნის შუა ხანებიდან იწყება II ეტაპი ქალაქმშენებლობისა. ამ დროს ხდება სასიმაგრო სისტემის სრულყოფა; ჩნდება შიდაციხე და შიდაქალაქი (ტაბ. XX, სურ. 2). 1200 მეტრი სიგრძის გალავანი 4 ჰექტარ ფართობს შემოზღუდავს. კედლების სიგანე 1 მეტრია და ამოყვანილია რიყის ქვის საძირკველზე მცირე ზომის შუბლგამოყვანილი ქვებით. შეძლებისდაგვარად დაცულია რიგების პორიზონტალობა. შიდაქალაქის სამხრეთი კედლები გამაგრებულია „გოდლეების“ სისტემით. გალავანი რელიეფის მიხედვით რამდენიმე მართკუთხედს ქმნის

(ლანჩავა, 1996, გვ. 88-91, სურ. 8; ლანჩავა, 2007, გვ. 111). მეორე ეტაპის ნაგებობათა შორის აღსანიშნავია ციტადელის „სამლოცველო სახლი“, „კონწოლის“ სასახლე (700 კვ. მ.) და წყალმომარაგების სისტემა (ლანჩავა, 1996, გვ. 220; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 30, სურ. 1).

2005 წელს ბაგრატის ტაძრის ინტერიერში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა IV საუკუნის ბაზილიკა (30X15 მმ.), რომელიც შიდა ქალაქში აიგო და მისი სინქრონული ტაძრებიდან ყველაზე დიდი ზომებით გამოირჩევა (ჭუმბურიძე ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358). გეგმის მიხედვით იგი ადრეშუასაუკუნეთა სამნავიანი დიდი ბაზილიკების ჯგუფს განეკუთვნება (ტაბ. XXX). ნათელია, რომ ეკლესია მრავალრიცხოვანი მრევლისთვის იყო განკუთვნილი. აღნიშნულის საფუძველზე ო. ლანჩავა ვარაუდობს, რომ ქუთაისი შესაძლოა საეპისკოპოსო ცენტრი იყო (ლანჩავა, 2007, გვ. 112-113, სურ. 94). ვფიქრობთ, რომ ეს სრულიად შესაძლებელია და შესაბამისად, ვიზიარებთ მკვლევარის ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას.

ქუთაისის საქალაქო ცხოვრების აღმავლობა V საუკუნიდან იწყება და აღინიშნება ახალი სასიმაგრო სისტემის (ტაბ. XXI) შექმნით: დიდი ციტადელისათვის შემოიზღუდა ფართო ტერიტორია, ქვედა ქალაქი გამაგრდა გალავნის კედლებით და მან მოიცვა მდ. რიონის მარცხენა ნაპირიც. ქუთაისი სამნაწილიანი გახდა. შიდაციხეს და შიდაქალაქს დაემატა ქვედა ქალაქიც. გალავნის პერიმეტრი 2 კილომეტრი, ხოლო კედლებით მოზღუდული ფართობი 12 ჰექტარი გახდა. კედლების სიგანემ 2,40 მეტრს მიაღწია, სიმაღლემ 12 მეტრს. გალავანი ყოველ 40-50 მეტრში გამაგრდა მძლავრი სწორკუთხა კოშკებით (8X12 მმ.). წრიულია მხოლოდ დედაბურჯის წინამორბედი ცენტრალური კოშკი. კედლების პერანგი კირქვის შუბლგამოყვანილი საშუალო ზომის კვადრებითაა ნაწყობი და შექმნილია დაგვარად დაცულია რიგების ჰორიზონტალობა (ლანჩავა, 1996, გვ. 126-127; ლანჩავა, 2007, გვ. 124, სურ. 124-125). V საუკუნეში შიდაციხეში იგება აბანოს კომპლექსი, ხოლო ციტადელში სამნავიანი ბაზილიკა გარე შვერილი აფსიდებით (ლანჩავა, 1995, გვ. 24; ჭუმბურიძე, 1999, გვ. 31).

V საუკუნის მიწურულს ქუთაისმა სასიმაგრო სისტემის ნგრევა-განადგურება განიცადა, მაგრამ V-VI საუკუნეების მიჯნაზე დადგა ახალი აღდგენა-განახლების პერიოდი, რამაც მოიცვა მთელი საფორტიფიკაციო სისტემა. მშენებლობა განხორციელდა დიდკვადროვანი წყობით. შეკეთდა შიდაციხის გალავანი და შიგნიდან ჩაუშენდა გოდლედები, რომელთა თავზე მოეწყო საბრძოლო ბილიკები.

გადაკეთდა დიდი ციტადელი, აშენდა ახალი დედაბურჯები და კოშკები, მძლავრი პილონიანი კედლები და კარიბჭეები. აღსანიშნავია ცენტრალური წრიული დედაბურჯი, რომელიც ციხე-ქალაქის საყრდენი ბასტიონია, ასევე კონწოლის სწორკუთხა კოშკი (10X8 მ). აშკარაა, რომ ქუთაისი არ არის რიგითი ციხესიმაგრე (ლანჩავა, 1996, გვ. 127-134; ლანჩავა, 2007, გვ. 124-125. სურ. 127-128).

ბიზანტია-ირანის ომის დროს ქუთაისი პროკოპი კესარიელის მიხედვით დანგრეულია და მერმეროე მას ხის მასალით აღადგენს, ხოლო 552 წელს უქიმერიონთან ერთად ქუთაისის ციხეში 3000 მეომარს ტოვებს (Procop. De BG, VIII, 14, 16). 562 წლის ზავის შემდეგ ქუთაისი ბიზანტიელთა ხელში გადადის და საფიქრებელია, რომ VII საუკუნის დასაწყისამდე აქ მათი გარნიზონი დგას (ლანჩავა, 1996, გვ. 143-144; ლანჩავა, 1994, გვ. 76-77). საინტერესოა, რომ ო. ლანჩავას ვარაუდით, ომიანობისას საქალაქო ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელდა. განახლდა აბანოს კომპლექსი, აიგო ორბასიდიანი ეკლესია. VII საუკუნის „სომხური გეოგრაფია“ ქუთაისს კოლხეთის ხუთ ქალაქთა შორის ასახელებს. იგივეს ადასტურებს რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიის“ მონაცემებიც (ლანჩავა, 1995, გვ. 25-26). ჩვენი ფიქრით, ამის მოწმობა უნდა იყოს 2005 წელს ბაგრატის ტაძრის ინტერიერში გათხრების შედეგად აღმოჩენილი VII-VIII საუკუნეებით დათარიღებული ბაზილიკის ფრაგმენტები, სავარაუდოდ ქართულ წყაროებში მოხსენიებული „ქუთათისის საყდარი“ (ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358). 2006 წლის გათხრების შედეგებმა აღნიშნული ტაძრის თარიღი კიდევ უფრო დააზუსტა და VII საუკუნით განსაზღვრა (ლანჩავა, 2007, გვ. 151).

ქუთაისის აღორძინება VII-VIII საუკუნეებში მისი პოლიტიკური ცენტრის სტატუსით აღინიშნა და ქალაქი ქართული კულტურის მძლავრ ფორპოსტად იქცა (დ. მუსხელიშვილი, 2004, გვ. 379-380; ბერძენიშვილი, 1975, გვ. 526).

VIII საუკუნის I ნახევარში ქუთაისმა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით მძლავრი დარტყმა განიცადა არაბებისაგან. დანგრეულია სასიმაგრო სისტემის დიდი ნაწილი, მათ შორის მთავარი კარიბჭე და დედა-ბურჯი (ლანჩავა, 1996, გვ. 189; ლანჩავა, 2007, გვ. 150).

VIII საუკუნეში ქუთაისი ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქად გამოცხადდა. ის აფხაზთა მეფეების რეზიდენცია და საძვალეა (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 528). შესაბამისად, გატარდა გარკვეული სამუშაოები სასიმაგრო სისტემის აღსადგენად. აღდგა გალავანი და დედაბურჯი. ციტადელში აიგო აგურის სამეფო სასახლის კომპლექსი (400 კვ. მ.) (ლანჩავა, 1996, გვ. 189-195; ლანჩავა, 1995, გვ. 27).

მოხირისი – ბიზანტიური წყაროების ანალიზის, მოხირის-მუხირისის ეტიმოლოგიური კვლევის შედეგებისა და ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მონაცემების შესწავლის საფუძველზე ო. ლანჩავამ გამოთქვა მოსაზრება მოხირისისა და ქუთაისის იგივეობასთან დაკავშირებით (ლანჩავა, 1996, გვ. 176-180; ლანჩავა, 2007, გვ. 140-141).

მოხირისის სხვადასხვა იდენტიფიკაცია არსებობს, მათ შორის მთისძირში (გამყრელიძე, 2002, გვ. 148-159) და ნამაშევში (ჯაფარიძე, 1999, გვ. 122-132). თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ ორივეგან მხოლოდ ციხე-სიმაგრე დადასტურდა და ქალაქის ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს. მოხირისი კი პროკოპის ცნობით ლაზიკის შესანიშნავი ქალაქია (Procop. De BP, II, 29). ო. ლანჩავა ფიქრობს, რომ პროკოპის მიერ როდოპოლისთან ერთად მოხირისის და არა ქუთაისის მოხსენება მათი იგივეობის დასტურია. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა ამ ჩამონათვალში ქუთაისის არ ყოფნა (ლანჩავა, 1996, გვ. 179-180).

საინტერესოა ასევე, რომ ნ. ბერძენიშვილი პროკოპი კესარიელთან „ქუთათისის ქვეყანას“ ხედავს მოხირისის სახით. მანვე ივარაუდა, რომ შესაძლოა ამ ქვეყნის სახელი ადრე სწორედ მუხური იყო, გვიან გაქუთაისებული. აგათიას მიერ სპარსელების „კოტაისსა და იბერიაში“ გადასვლის ინფორმაციაზე დაყრდნობით მკვლევარი პირდაპირ მიუთითებს, რომ ქუთაისიც იბერიის მსგავსად ქვეყნის სახელია და თუ ეს ასეა, მაშინ ქუთაისი აქ მოხირისის ნაცვლად არის ნახმარი და მსგავსი რაღაც, საშუალო საუკუნეების ქართულ წყაროებშიც შეინიშნება (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 524-527).

ო. ლანჩავა ასევე შენიშნავს, რომ მოხირისის ქუთაისიდან ჩამოცილება შეცდომაა, რადგან პროკოპიც და აგათიაც ამ პუნქტს ყოველთვის ქუთაისთან ერთად მოიხსენიებენ და მის ორგანულ ნაწილად თვლიან. შესაბამისად, მოხირისი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ქუთაისის მეორე სახელწოდება, მისი აღმატებულ ხარისხში მოხსენიება და ამით მისი მნიშვნელობის ხაზგასმა (ლანჩავა, 1996, გვ. 177-179; ლანჩავა, 2007, გვ. 140).

უფიქრობთ, რომ ფრიად მნიშვნელოვანი მოსაზრებაა და ჩვენც ვიზიარებთ ქუთაის-მოხირისის იგივეობას, მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი სხვა „შესანიშნავი ქალაქი“, რომლის მიმართ შეიძლებოდა იგივე გვევარაუდა.

მოწამეთა (უქიმერიონი) – ქუთაისის აღმოსავლეთით რამდენიმე კილომეტრის დაცილებით, მდ. წყალწითელას ხეობაში, კონცხზე მდებარეობს ნაგებობათა

კომპლექსი (ტაბ. XXII), რომელიც ნ. ბერძენიშვილმა ადრევეოდალური ხანის ძეგლად მიიჩნია. მკვლევარის თქმით „შესანიშნავი ადგილია წყალწითელას მიერ შექმნილი ნახევარკუნძული“ (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 468).

წყალწითელას ხეობაზე რამდენიმე გზა გადიოდა. ერთი მთისწინა ზოლის გზა, რომელიც სამეგრელოდან მოდიოდა და ხონს, ხომულს, ქუთაისს, წყალწითელა-გელათს, გოდოგანს, სიმონეთ-ძვერის ხიდს, სკანდას გაივლიდა და იბერიაში შედიოდა. მეორე გზა ქუთაისი-მოხირისიდან ისევე წყალწითელა-გელათზე, გოდოგანზე და ცუცხვათზე გავლით ტყიბულში შედიოდა და ნაქერალათი გადადიოდა რაჭაში. ამ გზის მეორე ტოტი მოწამეთა-სორმონის გავლით პირდაპირ ლეჩხუმ-სვანეთში ჩადიოდა (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 460-461, 519; ლანჩავა, 1996, გვ. 182; ლანჩავა, 2007, გვ. 142).

როგორც შენიშნავს ო. ლანჩავა, ამ ადგილის სტრატეგიული მონაცემები განუმეორებელია. მას შეუძლია ჩაკეტოს ქუთაის-მოხირისის მისადგომები აღმოსავლეთიდან და მისთვის შეასრულოს ავანპოსტის როლი. იგი კეტავდა აღმოსავლეთ საქართველოსთან და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთთან დამაკავშირებელ გზებს (ლანჩავა, 1996, გვ. 182). იგივე ფუნქციას ასრულებს მოწამეთა “საგელათოს” მიმართაც (ლანჩავა, 2007, გვ. 142).

მოწამეთა ბუნებრივი ციხესიმაგრეა, ირგვლივ ციცაბო, მიუდგომელი ფერდობებით. ჩრდილოეთიდან აქვს ვიწრო ყელი, საიდანაც ციხესიმაგრეში შესასვლელი კედლებითა და კარიბჭით იყო გამაგრებული. დიდკვადროვანი კედლების წყობა ანალოგიურია ქუთაისის, ნოქალაქევის და წებელდის V-VI საუკუნეებით დათარიღებული წყობისა. ო. ლანჩავას უეჭვოდ მიაჩნია ადრესაშუალო საუკუნეებში ამ ადგილის თავდაცვითი მნიშვნელობა. თუმცა მოწამეთას სხვა, საკულტო-რელიგიური ფუნქციაც ჰქონდა. მოწამეთას კარიბჭის კედელში დღემდე შემორჩენილი ქვაკვადრი „ბოლნური“ ტიპის ჯვრის (VI ს.) გამოსახულებით. თავის დროზე აქ აღმოსავლეთ ბურჯის ფორმის მიხედვით თალიანი ბჭე-კარი უნდა ყოფილიყო (ლანჩავა, 1996, გვ. 183-185; ლანჩავა, 2007, გვ. 142-143).

მოწამეთა ნახსენებია წმინდანთა ცხოვრებაში შესულ დავითისა და კონსტანტინეს ცხოვრებაში: „ადგილსაჲ მას, რომელსა ჰრქვიან წყალწითელ, რამეთუ იყო ადგილი იგი ციხე-ქალაქ და ერმრავალ“ (საბინინი, 1882, გვ. 323-330).

მოწამეთა ფრიად მნიშვნელოვანი სამხედრო-სტრატეგიული პუნქტია, რაც ო. ლანჩავას აძლევს საფუძველს იგი პროკოპი კესარიელისეულ უქიმერიონად

წარმოიდგინოს, მით უმეტეს, რომ უქიმერიონი ოხვამერს, სალოცავს ნიშნავს და აქვე ახლოს ფიქსირდება ტოპონიმი ოხომირა (ლანჩავა, 1996, გვ. 187; ლანჩავა, 2007 გვ. 143). ქართულ ისტორიოგრაფიაში უქიმერიონის რამდენიმე ლოკალიზაციაა წარმოდგენილი.

დიუბუა დე მონპერემ ის ქუთაისის ციხესთან გააიგივა, რაც თავის დროზე ო. ლანჩავამაც გაიზიარა (Dubous. 1839, გვ. 340; ლანჩავა, 1975, გვ. 14). ს. ყაუხჩიშვილმა რამდენიმე მოსაზრება გამოთქვა, მაგრამ მისთვის საკითხი ღიად დარჩა. ნ. ბერძენიშვილი შესაძლებლად თვლიდა ცუცხვათის ციხის უქიმერიონთან იდენტიფიკაციას (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 519-520). ი. სიხარულიძემ და ვ. ჩიხლაძემ დიდღვაბუნაში მოახდინეს მისი ლოკალიზაცია (სიხარულიძე, 1970, გვ. 39-41; ჩიხლაძე, 2003, გვ. 51-54).

როდესაც საუბარია უქიმერიონის ადგილმდებარეობაზე, მკვლევართა დიდი ნაწილი მას მოხირისის მხარეში, ცხენისწყლის აღმოსავლეთით ათავსებს და, რაც მთავარია, ქუთაისის მახლობლად (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 518-520; ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 203-204, შენ. 2). სოფელი დიდღვაბუნა კი ქუთაისიდან 40 კოლომეტრზე მეტი მანძილითაა დაცილებული და თანაც მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მოხირისის გარეთაა. მთავარი არგუმენტი დიდღვაბუნას სასარგებლოდ არის მისი მდებარეობა მდ. ცხენისწყლის ხეობაში გამავალ ლენხუმ-სვანეთის გზაზე. გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ პროკოპი კესარიელთან ვერ ვხედავთ უშუალო მითითებას უქიმერიონის რომელიმე გზაზე მდებარეობის შესახებ. „ქუთაისის მახლობლად კი არის ერთი მეტად მაგარი ციხე, სახელად უქიმერიონი. აქ ჰყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. ამ ციხის დაცვაში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე რომაელი ჯარისკაცი – აი აქ დაბანაკდა მერმეროე მთელი თავისი ჯარით. კოლხიდის საუკეთესო ნაწილი მას ეპყრა და მოწინააღმდეგეს დაბრკოლებას უქმნიდა, რომ უქიმერიონის ციხეში სურსათი მიეწოდებინათ ან სვანიასა და სკვიმნიაში ევლოთ, თუმცა ეს ქვეყანა მათი ქვეშევრდომი იყო. ვინაიდან, მოწინააღმდეგე რომ მოხირისში იჯდა, ლაზებსა და რომაელებს ამ ქვეყნისკენ გზა მოჭრილი აღმოაჩნდათ“ (Procop. De BG, VIII, 14).

ამ ფრაგმენტიდან ნათელია, რომ უქიმერიონი სწორედ ქუთაისთან, მისგან აღმოსავლეთით არის. ამ მიმართულებით და თანაც ახლოს სხვა ადრეშუასაუკუნეების ციხე არ გვევლინება მოწამეთას გარდა, შესაბამისად ვიზიარებთ ო. ლანჩავას მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ვფიქრობთ, რომ სპარსელები იმიტომ კი არ ცდილობენ უქიმერიონის აღებას,

რომ სწორედ ის ელობებათ სკვიმნია-სვანეთის დასამორჩილებლად. პროკოპი ხაზგასმით უთითებს, რომ მოხირისში მჯდარი სპარსელები ამ ქვეყანას ისედაც ფლობენ. მერმერომ დაასრულა მოხირისიდან იბერიამდე ლაზეთის დაპყრობა, ახლა გამოსაზამთრებლად ემზადება იბერიის საზღვარზე და მას არ სურს დაკავებული ტერიტორიის ცენტრში ლაზების გარნიზონი იდგეს და საფრთხეს უქმნიდეს ირანელთა ბატონობას. როგორც ჩანს, ლაზებმა სწორედ ამ ტაქტიკური მოსაზრებით დატოვეს აუღებელ უქიმერიონში ჯარის ნაწილი მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ეგრისის ყველა ციხე-ქალაქი და სიმაგრე დაანგრიეს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს მოწამეთა-უქიმერიონის უადრესად დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

აღნიშნული მოსაზრება დაადასტურა 2009 წლის აპრილში მოწამეთის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ (ხელძღვანელი – პროფ. ო. ლანჩავა. წევრები: რ. ისაკაძე, მ. ჭუმბურიძე, ნ. ქარციძე). გამოვლინდა ახ. წ. VI საუკუნის გალავნის კედლები, კოშკები, კარიბჭე და ძველი ეკლესიის კრიპტა, სადაც წმინდანთა ნეშთი იყო დასვენებული. წინასწარი მონაცემების მიხედვით, საქმე გვაქვს მდ. წყალწითელას ხეობაში ღრმად შეჭრილი ნახევარკუნძულის თხემზე მოხერხებულად განლაგებულ საფორტიფიკაციო კომპლექსთან, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება.

სკანდა – ბიზანტიური წყაროები აღმოსავლეთ ეგრისში ორ სასაზღვრო ციხეს ასახელებენ, შორაპანსა და სკანდას (Procop. De BP, I, 12; II, 29; De BG, VIII, 13; Novella XXXI (XXXIII); Menandr. fr. 11). სკანდა მდებარეობს თერჯოლის რაიონში, ჩხარიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 10 კილომეტრის დაშორებით, სოფ. სკანდეს აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ლოკალიზაცია ეკუთვნის ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც 1932 წელს ნ. ბერძენიშვილთან ერთად მოინახულა ეს ადგილი, ხოლო 1949 წელს მცირე გაწმენდითი სამუშაოები ჩაატარა და შეადგინა სიმაგრის სქემატური გეგმა (ლანჩავა, 1996, გვ. 50; ლანჩავა, 2007, გვ. 90). ვ. ჯაფარიძე შენიშნავს, რომ აღნიშნულ გეგმას მეტ-ნაკლებად ავსებს კ. მელითაურის გამოუქვეყნებელი გეგმა (ჯაფარიძე, 1999, გვ. 83).

ციხეს უჭირავს კლდოვანი ბორცვი და აქვს კარგად დაცული გარშემოწერილობა. ს. ყაუხჩიშვილის გეგმაზე გვიანი შუა საუკუნეების

ნაგებობათა ნაშთებიც არის დაფიქსირებული, მაგრამ მას ასევე მიუკვლევიან ე. წ. შერეულწყობიანი გალავნის ნაშთებისათვის. ივარაუდებოდა, რომ იგი დასავლეთის კოშკამდე გრძელდებოდა (ყაუხნიშვილი, 1936, გვ. 307-308, ტაბ. IV). კოშკი ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი ფერდის ერთგვარად შევაკებულ ნაწილზეა აღმართული და მას უკავშირდება დასავლეთის ფერდის ძირობისკენ მიმართული გვირაბი. კოშკი და გვირაბი ფასადშემოცლილია. გვირაბი „გვირაბის დელემდე“ ჩადის, მაგრამ მისი ბოლო ნაწილი მონგრეულია და ჩანს აგურებით (34X34X4 სმ.) ამოშენებული თაღი. ვ. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ გვირაბს (სიგრძე – 60 მ.) შორაპნის მსგავსად ჰქონდა წყალში ჩადგმული მასიური ნაგებობა. მკვლევარმა ასევე დაადასტურა ჰიდრაულიკური ხსნარით ამოლესილი მომრგვალებული ჭურჭლის ფორმის წყლის შემკრები ავზი. გვირაბის ზოგადი თარიღი V საუკუნის მეორე ნახევარი – VI საუკუნით განისაზღვრა, თუმცა გამოითქვა ვარაუდი სკანდაში შორაპნის სინქრონული ახ. წ. პირველი საუკუნეების ფენების არსებობის შესახებ (ჯაფარიძე, 1999, გვ. 84).

აღრებიზანტიური ხანით დაათარიდა სკანდის ციხის ხუროთმოძღვრება ვ. ლექვინაძემ. მან ასევე ყურადღება მიაქცია გვირაბის შუა წელს, რომელიც ფართოა დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით, წყლის მზიდავებისათვის გვერდის ასავლელად (Леквинадзе, 1961, გვ. 55).

შეგნიშნავთ, რომ ბიზანტიელების მიერ არჩეული საომარი ტაქტიკის გამო, ღაზები იძულებულნი გახდნენ დაენგრიათ სკანდა და შორაპანი, რამაც ნ. ბერძენიშვილის საფუძვლიანი გაკვირვება გამოიწვია. მკვლევარი მიუთითებს, რომ სპარსელთა მიერ სკანდის კვლავ აღდგენა მოწმობს ამ პუნქტის მნიშვნელობას იბერიიდან ღაზიკისაკენ მომავალ გზაზე. ის ასევე ვარაუდობს, რომ სპარსელები გარდა ყვირილა-რიონის მაგისტრალისა, ასევე უტყვენ ღაზიკას სკანდაზე მომავალი გზით (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 510).

აღნიშნულ გზაზე მდებარეობის გამო სკანდას VII-VIII საუკუნეებში ენიჭებოდა დიდი როლი, მაგრამ საქართველოს გაერთიანების შემდეგ მან დაკარგა თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუმცა, როგორც ციხესიმაგრე, ის კვლავ განაგრძობდა არსებობას (საითიძე, 1990, გვ. 56).

აღსანიშნავია, რომ ვ. ჯაფარიძემ შესაძლებლად მიიჩნია ეგრისის თავდაცვის სისტემიდან ცალკე გამოყოფა აღმოსავლეთ კოლხეთის სასაზღვრო გამაგრების სისტემა, რომელშიც შორაპნისა და სკანდის გარდა შევიდა საზანოსა და დიმის საფორტიფიკაციო პუნქტები (ჯაფარიძე, 1999, გვ. 71-91). შეგნიშნავთ, რომ

მკვლევარმა ამ სიმაგრეთა ერთობლივ განხილვას პირობითი უწოდა და მათი ურთიერთმიმართების სამხედრო და კულტურული ასპექტების გამოვლენა მომავლის საქმედ მიიჩნია.

ვფიქრობთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საზანოს „კვინწიხის“ ფუნქციონირება არქეოლოგიური მასალებით ზუსტად ვერ დასტურდება. ვ. ჯაფარიძე საუბრობს გზის გასწვრივ არსებულ სამოსახლოთა ცენტრზე და მხოლოდ ვარაუდობს გამაგრებული პუნქტის არსებობას (ჯაფარიძე, 1999, გვ. 82). საინტერესოა, რომ ნ. ბერძენიშვილიც აღნიშნავდა სკანდა-შორაპნის სასაზღვრო ხაზზე „საზანოს“ შესანიშნავობას და მრავლისმეტყველებას (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 467). თუმცა I-VIII საუკუნეებში აქ რაიმე სიმაგრის არსებობა ჯერჯერობით არ მიგვაჩნია დადასტურებულად.

რაც შეეხება მდ. ხანისწყლის ხეობაში, მის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ზედა დიშში თხრილით განმხოლოებულ ბორცვზე აგებულ ციხეს, რომელიც შემოზღუდავს 100 კვ. მეტრ ფართობს, მისგან მხოლოდ ერთი, სამხრეთი კუთხის ოთხკუთხა კოშკია შემორჩენილი. კედლის წყობა უკეთაა შემონახული ზღუდის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ აღმოჩნდა კიდევხამოთლილი მომცრო კვადრებით კირხსნარზე ნაგები კედელი, რომელიც ზოგადად ფეოდალური ხანითაა დათარიღებული. ადრე აქვეა დადასტურებული ახ. წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებული ორმოსამარხები (ცქიტიშვილი, 1964, გვ. 83-84). ვ. ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ სათანადო მასალების ნაკლებობის გამო მხოლოდ ზოგადად შეიძლება აღინიშნოს დიშის (შორაპანთან ერთად) ქართული წყაროების მიერ სასაზღვრო სიმაგრედ მოხსენიება. ასევე არ გამოირიცხება გარკვეული დროის მონაკვეთში (ძვ. წ. ბოლო – ახ. წ. პირველი საუკუნეები) მათი ერთობლივი ფუნქციონირება. მკვლევარი აქვე შენიშნავს შორაპან-დიშის სასაზღვრო ხაზის ასიმეტრიულობას და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს შესაძლოა აღმოსავლური ქართული ეთნიკური ელემენტის აქ ადრეულ ხანაში დამკვიდრებასთან იყოს დაკავშირებული.

აღნიშნავთ, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში საზღვარი ქართლთან ლიხის ქედის მონაკვეთში გადის და სასაზღვრო ციხეებად სკანდა და შორაპანი გვევლინებიან. თუ დადასტურდება დიშის ფუნქციონირება ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, მაშინ ის შეიძლება განვიხილოთ როგორც როდოპოლისის ფორპოსტი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

თავი III

ეგრისის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრები

§ 1. IV-VIII საუკუნეების ეგრისის დედაქალაქის საკითხისათვის

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების თანახმად, IV-VIII საუკუნეებში ეგრისის დედაქალაქი ნოქალაქე-არქეოპოლისი იყო (ლომოური, 1968, გვ. 97-98; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 5, 12; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 109; ჯანაშია, 1952, გვ. 308-312; ლომიტაშვილი, 2003, გვ. 5). ნოქალაქევის მთავარ ქალაქობას, ანუ შესაძლო დედაქალაქობას აღნიშნავს ვ. ჯაფარიძე (ჯაფარიძე, 1999, გვ. 91). მის პოლიტიკურ ჰეგემონობაზე საუბრობს ნ. ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 466). მკვლევართა ამგვარი მოსაზრება ძირითადად დაფუძნებულია ბიზანტიური წყაროების (VI ს.) ცნობებზე, რომლებიც არქეოპოლისს „ძალიან გამაგრებულს“ და „ძველ სიმაგრეს“ უწოდებენ, ხოლო პროკოპი კესარიელი ერთგან პირდაპირ „მთავარ და უდიდეს ქალაქად“ მოიხსენიებს (Procop. De BG, VIII, 13).

თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ გარკვეული შენიშვნები თავიდანვე გამოითქვა გაერთიანებული ეგრის-ლაზიკის დედაქალაქად ნოქალაქევის არჩევასთან დაკავშირებით. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ „ეგრისის სამეფოს ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი მოხირისის მხარეზე მოდიოდა. ამიტომ ბუნებრივია, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიმძიმის ცენტრი აქ ყოფილიყო. ასეთი ცენტრის მნიშვნელობა, შესაძლებელია, ჰქონოდა მხოლოდ ქუთაისს... არქეოპოლისი... ერთი დღის საგალით დაშორებული მოხირისის მხარეს. რიონის ვაკეზე გამავალი მთავარი მაგისტრალური გზებისაგან მოშორებით ვერ იკისრებდა ეგრისის სამეფოს ეკონომიკური ცენტრის როლს. ის, რომ... არქეოპოლის-ნოქალაქევა მაინცდამაინც სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი, ასახსნელია და ამ გარემოებას, როგორც ჩანს, თავისი ღრმა საფუძველი ჰქონდა“ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 123). იგივეს ფიქრობდა ვ. ლექვინაძეც (Леквинадзе, 1961, გვ. 139). ამასთან დაკავშირებით პ. ზაქარაია მიუთითებდა, რომ ქალაქი გზას საჭიროების შემთხვევაში თავად „მოქაჩავს“ ახლო მანძილიდან. ნოქალაქევი ეს საკითხი დადებითად უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი. მანვე გამოთქვა მოსაზრება, რომ IV-VI საუკუნეებში ძირითადი გზა არა დაჭაობებული რიონის პირას, არამედ მთისწინა ზოლზე გადიოდა ნოქალაქევის ახლოს (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 7-8).

ასევე გამოითქვა ეჭვი იმის თაობაზეც, რომ ნოქალაქევის „გრანდიოზული თავდაცვითი ნაგებობანი“ არ შეესაბამება ქალაქის ცხოვრების ინტენსივობას, რომ

კულტურული ფენები ღარიბია და, რომ ეს ქალაქის „წმინდა თავდაცვით“ ფუნქციაზე მიუთითებს, რაც მისი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულებით აიხსნება. შესაბამისად, გაკეთდა დასკვნა, რომ „მოქალაქეები აქ არა იმდენად ცხოვრობდნენ, რამდენადაც მსახურობდნენ“ (Леквинадзе, Хведелидзе, 1981, გვ. 121-148). თუმცა ეს მოსაზრებები უარყო ნ. ლომოურმა (ლომოური, 1987, გვ. 17-44).

დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ დედაქალაქად ნოქალაქევის არჩევაში მნიშვნელობა თავდაცვისუნარიანობას ჰქონდა და ეს არგვეთის ტერიტორიის დაუფლებისათვის ეგრის-იბერიის პოლიტიკური მეტოქეობით იყო გამოწვეული. მკვლევარი მიუთითებს, რომ ასეთ პირობებში არგვეთის მახლობლად ეგრისის სამეფოს ცენტრის არსებობა არ უნდა ყოფილიყო მიზანშეწონილი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 378). ქუთაის-ნოქალაქევის მეტოქეობის ერთ-ერთ მიზეზად “ქუთაისის ქვეყნის” ქართიზაციას თვლის გ. გაბუნია (გაბუნია, 1996, გვ. 252).

გარკვეული შენიშვნები ნოქალაქევის დედაქალაქობის მიმართ გამოთქვა ო. ლანჩავამ, რომელიც მიუთითებს, რომ ნოქალაქევის აღმოცენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია და არა საერთაშორისო მიზეზებით ნაკარნახევი, თუმცა დაუჯერებლად მიაჩნია ასე ერთბაშად და პირდაპირ ნოქალაქევის დედაქალაქად გადაქცევა. ასევე მკვლევარის აზრით ოთხსაუკუნოვან (IV-VIII სს.) კულტურულ ცხოვრებას უნდა შეექმნა ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაუწყებელი მძლავრი და მდიდარი კულტურული ფენები, რაც საბოლოოდ განსაზღვრავდა ქალაქის სტატუსს და შექმნიდა სარწმუნო სურათს ამ ქალაქის როლისა და ადგილის შესახებ ეგრისის სამეფოს საქალაქო სისტემაში. ო. ლანჩავა არც იმ დებულებას იზიარებს, რომლის მიხედვითაც ნოქალაქევაში მოსახლეობა უფრო მსახურობდა ვიდრე ცხოვრობდა, რადგან თუკი მსახურობდნენ, მაშასადამე ცხოვრობდნენ კიდევ. მისთვის ასევე აუხსნელია, თუ ნოქალაქევის გადდედაქალაქებაში როლი ეგრისის აღმოსავლეთი რეგიონების ქართიზაციამ და შესაბამისად არგვეთისათვის მეტოქეობამ ითამაშა, რატომ გაჭიანურდა ეს პროცესი IV საუკუნემდე, როცა ეგრისის სამეფოს ძლიერება გამორიცხავს გარეშე ძალების აქტიურ ზემოქმედებას აღმავლობის გზაზე მდგარი ქვეყნის ცხოვრებაზე. მკვლევარის ვარაუდით ნოქალაქევის დედაქალაქობა ბიზანტია-ირანის აგრესიას უკავშირდება და V-VI საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტიის ეგრისში საბოლოო გაბატონების შედეგია (ლანჩავა, 1996, გვ. 59-60). ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ო. ლანჩავა გამოთქვამს მოსაზრებას,

რომ IV-V საუკუნეებში ეგრისის სამეფოს მთავარი ქალაქი ქუთაისია, რომელსაც პოლიტიკური ცენტრებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი აქვს, კერძოდ, ქალაქი აღმავლობის გზაზეა, აქვს მძლავრი შიდაკოლხური კავშირები, ჩაბმულია საერთაშორისო სავაჭრო ორბიტაში, თანადროულ ქალაქთა შორის ყველაზე მასშტაბურია და სამეფოს ეკონომიკური და ბუნებრივი ცენტრია (ლანჩავა, 1996, გვ. 134, 221-222). ვფიქრობთ, რომ ნიშანდობლივი მოსაზრებაა, რომელიც საკმაოდ დამაჯერებელ არგუმენტებზე არის დაფუძნებული და შესაბამისად ჩვენც დავეთანხმეთ მას (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 107).

ეს მოსაზრება გაიზიარა ასევე გ. გაბუნია, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა გადაისინჯოს ტრადიციული თვალსაზრისი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (გაბუნია, 1996, გვ. 251-252).

ჩვენი ვარაუდით, დღეისათვის არსებული მონაცემები იძლევა იმის საშუალებას, რომ IV-V საუკუნეებში ვიფიქროთ სწორედ ქუთაისის პოლიტიკური დაწინაურება: 1. ქალაქი მდებარეობს ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რეგიონში – მოხირისში; 2. დგას ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებისა და მაგისტრალების გზაჯვარედინზე; 3. აქვს დედაქალაქობის უძველესი ტრადიცია, რაც ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ წყაროებშია დაფიქსირებული; 4. გააჩნია მართლაცდა შთამბეჭდავი საფორტიფიკაციო სისტემა; 5. აგებულია უხენაეს ხელისუფალთა რეზიდენცია (ციხე-დარბაზი); 6. არსებობს IV-V საუკუნეების ყველაზე დიდი და მასშტაბური ტაძარი; 7. მოპოვებულია მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც მეტყველებს ქალაქში ეკონომიკური პროცესების განვითარების ინტენსივობაზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ არგვეთისათვის ბრძოლის გამო დედაქალაქის ნოქალაქევეში გადატანა არ მიგვაჩნია დამაჯერებლად. მიგვაჩნია, რომ ამ მეტოქეობას სწორედ ქუთაისის სასარგებლოდ უნდა ეთამაშა, რადგან აქედან გაცილებით ეფექტურად განხორციელდებოდა სადავო ტერიტორიის შესანარჩუნებელი ღონისძიებები. ნოქალაქევეში გადასვლა ფაქტობრივად ამ რეგიონის დაკარგვის ნიშანი იქნებოდა. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ქართლის მოძალდების საწინააღმდეგოდ სწორედ ქუთაისის მთავარი ქალაქობა იქნებოდა უფრო მართებული და პრიორიტეტული. (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 108).

ასევე აღვნიშნავთ, რომ არსებობს თ. თოდუას მიერ ბოლო დროს გამოთქმული მოსაზრება ნოქალაქევე-არქეოპოლისში რომაული გამაგრებული პუნქტის არსებობის შესახებ, რომელიც ვაშნარისა და სოფ. მოედნის

საფორტიფიკაციო ნაგებობებთან ერთად შედიოდა რომაელთა პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის სახმელეთო ხაზის ერთ-ერთი მონაკვეთში, რომლის მეშვეობითაც რომი აკონტროლებდა ლაზიკის შიდა რაიონებს (გაყრელიძე, თოდუა, 2006, გვ. 68; თოდუა, 2007, 71). ეს მოსაზრება კიდევ ერთი არგუმენტია ქუთაისის სასარგებლოდ. ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია ქვეყნის მთავარი ქალაქი რომაელთა სამხედრო ბანაკში ყოფილიყო.

ნოქალაქე-არქეოპოლისში კი მთავარი ქალაქის გადატანა სავარაუდოდ V საუკუნის 70-იანი წლებიდან ან შესაძლოა VI საუკუნის დასაწყისიდანაა სავარაუდებელი, რაც ჩვენი აზრით არა იმდენად ბიზანტიის, არამედ ირანისა და მისი ეგიდის ქვეშ მყოფი ქართლის მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ბიზანტიის პოლიტიკის გააქტიურებაც ეგრისის მიმართ, ხომ ამ საერთაშორისო პროცესებით არის გამოწვეული. ვფიქრობთ, რომ V საუკუნის ბოლოს და VI საუკუნის დასაწყისში კავკასიის რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სტრატეგიული მოსაზრებით სწორედ ნოქალაქეს ენიჭება უპირატესობა. ეს ჩანს თავად ბიზანტიელთა საომარი ტაქტიკიდან, რომლებიც თავიანთი და არა ლაზეთის ინტერესებიდან გამომდინარე, დაუცველად ტოვებენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს და იმაგრებენ პოზიციებს მდ. ცხენისწყლის დასავლეთით. აშკარაა, რომ ბიზანტიელთათვის ძირითად პრიორიტეტად ეგრისის დასავლეთი ნაწილის გამაგრება გახდა, რადგანაც ძალების შედარებითი სიმცირის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა მთელი ქვეყნის დაცვა. თანაც ბიზანტიელთა მთავარი მიზანი ამ ომის დროს იყო ზღვისპირა, ჩრდილოეთ შავიზღვიპირეთში და ჩრდილოეთ კავკასიაში გადამავალი კომუნიკაციების დაცვის უზრუნველყოფა. ეგრის-ლაზეთის სამეფო, რომელსაც თავად არ შეეძლო დამოუკიდებლად ირანის წინააღმდეგ ომის წარმოება, იძულებული გახდა ბიზანტიელთა სამხედრო სტრატეგიის და ტაქტიკის მიხედვით ემოქმედა. ასეთ ვითარებაში ეგრისის პოლიტიკური ინტერესები რა თქმა უნდა დაიჩრდილებოდა და საერთაშორისო მდგომარეობას დაექვემდებარებოდა (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 108). ვვარაუდობთ, რომ აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური ცენტრის ნოქალაქეში გადატანა.

VI საუკუნეში ეგრის-ლაზეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი—“მთავარი ქალაქი,” ნოქალაქე-არქეოპოლისია (Procop. De BG, VIII, 13). მოსალოდნელი ომიანობისათვის ეგრისის სამეფოს მესვეურნი საგანგებოდ ამაგრებენ ქალაქს, რადგანაც ბიზანტია-ირანის მომავალი სამხედრო მოქმედებათა

ცენტრი და უმთავრესი მიზანი ლაზიკა და მისი ციხესიმაგრეებია, რომელთა შორის თავისი მნიშვნელობით ერთი უპირველესთაგანი ნოქალაქევია. ლაზიკაში ბიზანტიელთა მიზნების განხორციელებისათვის არქეოპოლისი მეტად ხელსაყრელ პუნქტად იყო მიჩნეული (გოზალიშვილი, 1972, გვ. 219).

სწორედ ნოქალაქევი, რომელიც მთისწინა ზოლში მდებარეობდა, თავისი კარგად განვითარებული თავდაცვის სისტემით ონოგურისიდან ვიდრე ნესოსამდე (ტეხურ-რიონის შესართავი), იქნა არჩეული ბიზანტიელთა და ლაზთა სამხედრო ოპერაციების საყრდენ ციხე-სიმაგრედ და არა ქვეყნის ცენტრში მდებარე ქუთაისი. თუმცა ო. ლანჩავა აღნიშნავს, რომ ქუთაისი რჩება მოხირისის მხარის ცენტრად (ლანჩავა, 1996, გვ. 223; ლანჩავა, 2007, გვ. 182).

შეგნიშნავთ, რომ დასავლეთ კავკასიაში მოსალოდნელი ომიანობის რეგიონალური სტრატეგიის გათვალისწინებით ქუთაისი კარგავს თავის სამხედრო მნიშვნელობას და საჭირო უამს მას უბრძოლველად ტოვებენ კიდეც.

ამიერკავკასიისთვის ირან-ბიზანტიის მეტოქეობა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დასრულდა. სწორედ ბიზანტიას ჩაუვარდა ხელში ამიერკავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობა და ეგრისი ქართლსა და სომხეთთან ერთად მისი პოლიტიკური და კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ VII საუკუნის 60-იანი წლებამდე ჩვენ არაფერი ვიცით ეგრისის შესახებ, ამ პერიოდის ბიზანტიური წყაროების მიხედვით ნათელია, რომ ეგრისში მეფობა გაუქმებულია და მას ბიზანტიელთა დანიშნული პატრიკოსები მართავენ (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 328-329; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 90).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა VII საუკუნეში და VIII საუკუნის 30-იანი წლებამდე ეგრისის პოლიტიკური ცენტრის საკითხი. დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ნოქალაქევი VIII საუკუნეში მურვან-ყრუს ლაშქრობამდე რჩება ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 5; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 378; ბოგვერაძე, 1973, გვ. 290; ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 45). ეგრისის პატრიკოსთა ერთ-ერთი რეზიდენცია ყოფილა ასევე “ჯიხა-ხორაში” მოქვის მახლობლად (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 361). ვარაუდობენ ეგრისის მმართველთა სამყოფ ადგილად ანაკოფიის ციხესაც (ლომიტაშვილი, 2003, გვ. 51).

VII საუკუნიდან იწყება ქუთაისის ხელახალი აღორძინება, როგორც დასავლურ-ქართული პოლიტიკური ცენტრისა. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ქვეყნის ყველაზე მძლავრი სამეურნეო რაიონის, მოხირისის ბუნებრივი ცენტრის,

ქუთაისის შემდგომი დაწინაურება და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცევა გარდაუვალი იყო (მუსხელიშვილი 2004, 379-380.).

ფიქრობთ, რომ შესაძლოა ეგრისის მმართველთა რეზიდენცია ამ დროს ქუთაისში იყო. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის თეოდორე განგრელის “მოგონებებში” მაქსიმე აღმსარებლის შესახებ, დაცულია 662 წლის ცნობა მაქსიმე აღმსარებლის ორი მოწაფის, ანასტასი აპოკრისიარის და ანასტასი ბერის “მუკორისისში” მიყვანისა და აქედან მათი “თაკვირის” და “სვანიდის” ციხეებში გაგზავნის თაობაზე (თეოდოსი განგრელი, “გეორგიკა” IV, I, გვ. 41-45. შენიშვნა 3, 4, 5). დ. მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ მუკორისისი პროკოპი კესარიელის მოხირისია (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 361). თუ გავიხსენებთ მოხირის-ქუთაისის იგივეობას, არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ აქ ზის VII საუკუნეში ეგრისის პატრიკიოსი (ჭუმბურიძე, 2008, გვ. 109). შესაბამისად, ქვეყნის მთავარი ქალაქიც კვლავ ქუთაისია.

მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ VII საუკუნის 20–იანი წლებიდან ქუთაისი ციხე-გოჯთან ერთად ფიგურირებს, როგორც ფაქტიურად მეორე ქალაქი. მკვლევარის ვარაუდით, ჰერაკლე კეისრის ღაშქრობათა შედეგად განხორციელდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება ქართლის ერისმთავრების იურისდიქციის ქვეშ, რომლებიც ციხე-გოჯთან ერთად ქუთაისსაც უქმნიან სატახტო ქალაქის სტატუსს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 106). გ. გაბუნიაც მიუთითებს, რომ ქუთაისი ქართლის ერისმთავართა დასავლური რეზიდენციაა (გაბუნია, 1996, გვ. 252).

მიგვაჩნია, რომ VII საუკუნეში, როდესაც ბიზანტია იმორჩილებს ქართლს და მათი ღაშქრობების ძირითადი ბაზა ეგრისია, ქართლის ერისმთავრებისთვის დას. საქართველოს დაქვემდებარება ბიზანტიელთა მიერ ძნელი წარმოსადგენია. დ. მუსხელიშვილიც შენიშნავს, რომ ქართლის პოლიტიკურ ექსპანსიაზე საუბარი ამ დროს ზედმეტია. ეგრისს ბიზანტიელთა დანიშნული პატრიკიოსები მართავენ VII საუკუნის ბოლომდე, ვიდრე სერგი ბარნუკის-ძემ ქვეყანა არაბებს არ დაუმორჩილა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 359-363, 378).

გაცილებით უფრო რეალურია, რომ სწორედ არაბებმა შეუწყვეს ხელი თავისი ქვეშევრდომი ქართლის ერისმთავრების ხელისუფლების გავრცელებას ეგრისზე VIII საუკუნის დასაწყისში (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 47).

ბიზანტია ვერ ელოდა ეგრისში სტრატეგიული პლაცდარმის დაკარგვას და ცდილობდა თავისი ღაშქრობებით ან აღანების მოსყიდვით ეგრის-აფხაზეთის

საკუთარი კონტროლის ქვეშ დაბრუნებას (მუსხელიშვილი 2004, 364).

ვფიქრობთ, რომ სწორედ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ავრცელებენ ქართლის ერისმთავრების ხელისუფლებას ეგრისში არაბები, ხოლო ქართლის ერისმთავრები თავიანთ რეზიდენციად ქუთაისს ირჩევენ.

ნ. ბერძენიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქუთაისი და ციხე-გოჯი დიდად მნიშვნელოვანი ჩანან, მაგრამ “ხოსროიანები უპირატესობას მაინც ქუთაისს ანიჭებენ” (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 527)

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქართლის ერისმთავრები ცდილობენ ქუთაისი გვერდით ამოუყენონ ციხე-გოჯს და უპირატესობა ქუთაისს მისცენ (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 48). დ. მუსხელიშვილი ამ ფაქტს იბერია-ეგრისის არგვეთის დაუფლებისათვის პოლიტიკური მეტოქეობით ხსნის და მიუთითებს, რომ ტენდენცია ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის გადატანისა VIII საუკუნის 40-იანი წლებიდან არსებობდა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 378-379).

საერთოდ თვლიან, რომ ქუთაისის სატახტო ქალაქად აღიარების პროცესი თითქმის საუკუნეზე მეტხანს გაგრძელდა და სტეფანოზის ნეშთის ქუთაისში გადმოსვენება-დაკრძალვამდე გაიჭიმა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 106; ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 52).

საინტერესოა, რომ ნოქალაქევის ბოლო წლების არქეოლოგიური კვლევების შედეგების მიხედვით გაჩნდა მოსაზრება, რომ ნოქალაქე-ციხე-გოჯი VI-VII საუკუნეთა მიჯნაზე კარგავს თავის მნიშვნელობას როგორც ქვეყნის დედაქალაქი. დ. ლომიტაშვილი არქეოპოლისის არქეოლოგიური მასალების შესწავლამ მიიყვანა შემდეგ დასკვნებამდე: 1. ნაქალაქარზე გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლები ძირითადად IV-VI საუკუნეებით თარიღდება და არ ჩანს მომდევნო ეპოქის სამშენებლო ფენები; 2. ნოქალაქეში და მის მიდამოებში საერთოდ წყდება VI საუკუნის შემდგომი დროით დათარიღებული ნუმიზმატიკური მონაპოვარი; 3. ნაქალაქარზე არ დასტურდება არაბთა ექსპანსიასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მტკიცებულებები; 4. III-VI საუკუნეებით თარიღდება ნოქალაქევა და მის შემოგარენში არსებული ყველა ბერძნულენოვანი ეპიგრაფიკული ძეგლი; 5. VI საუკუნის შემდგომ ბიზანტიურ წყაროებში საერთოდ არ არის მოხსენიებული არქეოპოლისი. შესაბამისად, VII საუკუნიდან ნოქალაქევი აღარ არის ეგრისის დედაქალაქი (ლომიტაშვილი, 2003a, გვ. 50-51). ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ ვ. ლექვინაძე თეოფილაქტე სიმოკატას

ცნობაზე დაყრდნობით ადრეც ვარაუდობდა VI საუკუნის 80-იან წლებში „მომთაბარე თურქთა“ მიერ ნოქალაქევის დანგრევას (ლექციონაძე, 1987, გვ. 246).

ვფიქრობთ, რომ VII საუკუნის დასაწყისიდან უკვე იწყება ქუთაისის ხელახალი დაწინაურება ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად, ხოლო VIII საუკუნის დასაწყისიდან იგი ქართლის ერისმთავართა რეზიდენცია ხდება. ქართულ წყაროებში ქუთაისის ციხე-გოჯთან ერთად მოხსენიება შეიძლება აღვიქვათ როგორც მცდელობა ეგრისზე პოლიტიკური უფლების იდეოლოგიური გამართლებისა გარკვეული მემკვიდრეობითობის ხაზგასმით. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავრები პრეტენზიას მარტო ქართიზე უღებენ ეგრისზე კი არა, ეთნიკურ ეგრისზეც აცხადებდნენ და მათი დამოკიდებულება ციხე-გოჯის მიმართ ამ მიზეზით იყო განპირობებული (ლორთქიფანიძე, 1995, გვ. 52).

საინტერესოა, რომ გავრცელებული მოსაზრების თანახმად ქუთაისის გადელაქალაქებაში დიდი წვლილი ეგრისის ქართიზე უღებულ მოსახლეობას მიუძღვის. სწორედ VIII საუკუნის პირველი ნახევრისათვის ადასტურებენ მომავალი იმერეთის ეთნოგრაფიულ-პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას, რაც დასავლეთ საქართველოში აღმოსავლურ-ქართული ეთნიკური ელემენტის დაკვიდრების ერთ-ერთი ეტაპია (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 377). ქუთაისი ამ ქართიზე უღებული მოსახლეობის ცენტრად ითვლება (ლანჩავა, 1996, გვ. 192), რომლებიც თავის მხრივ ქართლის ერისმთავართა დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ქუთაისი სწორედ ამ მოსახლეობის შუაგულში აღმოჩნდა თავისი ძველი ქართული ტრადიციებითა და კულტურით (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 107).

ჩვენს ისტორიოგრაფიაში ითვლება, რომ ქუთაისი აღდგა როგორც არა ეგრისის, არამედ ქართლის პოლიტიკური ცენტრი და ზოგადქართული ქრისტიანული კულტურის მძლავრი ფორპოსტი (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 380; ლანჩავა, 1996, გვ. 192; ლანჩავა, 2007, გვ. 152; ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 107). სწორედ აქ იქმნიან ქართლის ერისმთავრები თავიანთ რეზიდენციას, აარსებენ საგვარეულო საძვალეს, ფლავენ სამეფო საგანძურს და ხელახლა ამკვიდრებენ დელაქალაქობის ტრადიციას (ჭუმბურიძე, 2008 გვ. 109). როგორც მ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, არჩილის მიერ ქუთაისში მამის დაკრძალვა, ესე იგი საკუთარი საფლავის შემზადება უკვე იმას ნიშნავს, რომ ქართლის ერისმთავართა სახლი სატახტოდ ქუთაისს მიიჩნევს (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 103).

დ. მუსხელიშვილი თვლის, რომ ატენის სიონის წარწერაში “ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი” სტეფანოზი მირის და არჩილის მამა და “ქართლის ცხოვრებაში” მოხსენიებული სტეფანოზია, რომელიც მირის ანდერძის მიხედვით ქუთაისში უნდა დაიკრძალოს (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 368).

სწორედ ქართლის ერისმთავართა სიძე გახდა აფხაზეთის მთავარი ლეონი, რომელიც VIII საუკუნის ბოლოს იმკვიდრებს მათ სამფლობელოს და ფუძეს იღებს მათსავე სატახტო ქალაქში, რომელიც ამიერიდან ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ხდება. ო. ლანჩავა შენიშნავს, რომ ქუთაისის სტატუსი გაფართოვდა და შესაბამისად მნიშვნელოვნად იცვლება მისი მდგომარეობა (ლანჩავა, 1996, გვ. 224; ლანჩავა 2007, გვ. 152, 182). ნ. ბერძენიშვილის თქმით “ქართული სახელმწიფო აფხაზეთი იშვა ქუთაისით სათავეში,” რომელმაც თამამად დაიჭირა პოლიტიკური ცენტრის ადგილი (ბერძენიშვილი 1975, გვ. 527, 589). ამიერიდან, როგორც აღნიშნა გ. გაბუნია, ქუთაისმა საბოლოოდ დაიბრუნა პირველობა დასავლურქართულ სამყაროში (გაბუნია, 1996, გვ. 252).

ვთვლით, რომ ფრიად მნიშვნელოვანია მოსაზრება დასავლეთ საქართველოში ქართული ქრისტიანული კულტურის V–VI საუკუნეებში გავრცელების შესახებ. დ. მუსხელიშვილს და მ. ლორთქიფანიძეს ასევე შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ VI-VII საუკუნეთა მიჯნიდან მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში დასავლეთ საქართველოს შემდეგი ტერიტორიები შემოდიოდა: ვაკე იმერეთი, არგვეთი და რაჭა-ლეჩხუმი, სადაც ქართული ენა და მწიგნობრობა იყო გავრცელებული და ოფიციალური ქრისტიანული კულტი ქართულად სრულდებოდა (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 114; მუსხელიშვილი, 2004, გვ. 380-381).

ფრიად საყურადღებოა 2005 წელს ბაგრატის ტაძრის ინტერიერში ქუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დიდი ბაზილიკური ტაძრის აღმოჩენა, რომელიც VII საუკუნით დათარიღდა (ტაბ. XXX). ესაა დიდი ზომის ნაგებობა, რომელიც მოცულობით მცირედით თუ ჩამოუვარდება ბაგრატის ტაძარს (ლანჩავა, 2007, გვ. 150-151; ლანჩავა, ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006, გვ. 28; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358). სწორედ ეს უნდა იყოს ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული “ქუთათისის საყდარი”. “მამაცა ჩუენი მოკუდა შფოთსა ამას შინა.....წარსცენ ძუალნი მისნი და დაჰფლენ საყდარსა ქუთათისსა” (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 241). დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, რომ შეიძლება ცნობა არ

იყოს რეალური, მაგრამ მთავარია, რომ სტეფანოზის საფლავი ხდება სიმბოლო ქართლის მმართველთა ახალი რეზიდენციისა (მუსხელიშვილი, 2004, გვ. 379).

ფიქრობთ, რომ მემატინეს მიერ “ქუთათისის საყდრის” მოხსენიება, უპირველეს ყოვლისა, მისი არსებობის მაჩვენებელია, რაც დაადასტურა კიდეც ტაძრის არქეოლოგიურმა კვლევამ. აღვნიშნავთ, რომ დ. მუსხელიშვილის მოსაზრება დასაველეთ საქართველოს ნაწილის მცხეთის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარებასთან დაკავშირებით რეალურად გვესახება თუ VII საუკუნეში არა VIII საუკუნის დასაწყისიდან მაინც. ქართლის ერისმთავრის საფლავის გაჩენა ბიზანტიური ეკლესიისადმი დაქვემდებარებულ ტაძარში ნამდვილად წარმოუდგენლად მიგვაჩნია. აქედან გამომდინარე არ გამოვრიცხავთ VIII საუკუნის დასაწყისიდან ქუთაისში პოლიტიკურთან ერთად ქართული საეკლესიო ცენტრის არსებობაც.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს საეკლესიო ცენტრი უნდა გახდარიყო ეგრის-აფხაზთა მეფეების ძირითადი დასაყრდენი კონსტანტინეპოლის საეკლესიო უზენაესობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მ. ლორთქიფანიძე თვლის, რომ აღნიშნული საქმის წარმატება განაპირობა აფხაზთა მეფეების და მცხეთის ტახტის მიზნების გაერთიანებამ. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსება (ლორთქიფანიძე, 1994, გვ. 115-116). ო. ლანჩავა ფიქრობს, რომ VIII საუკუნის ბოლოს საეპისკოპოსო კათედრა ვარდციხიდან ქუთაისში იქნა გადმოტანილი (ლანჩავა, 1996, გვ. 215). თუმცა არის სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ქუთაისში საეპისკოპოსოს დაარსება ბაგრატ III-ის სახელს უკავშირდება (ბერძენიშვილი, 1975, გვ. 526).

§ 2. ეგრის-ლაზიკის საეკლესიო ცენტრები

VII–IX საუკუნეებით დათარიღებულ ბიზანტიურ საეკლესიო ნოტიციებში ჩამოთვლილია კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული საეკლესიო ეპარქიები. მათ შორის დასახელებულია ლაზიკის ეპარქია–ფასისის სამიტროპოლიტო, რომელსაც თავის მხრივ ემორჩილება ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისი (ვარდციხე), პეტრა (ციხისძირი ?), საისინი (ცაიში) და ზიგანევი (გუდავა) (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 186-192).

ჩვენთვის ეს საეპისკოპოსო კათედრები საინტერესოა, რადგან ისინი ძირითადად ეგრისის თავდაცვის სისტემაში შემაჯავალ ციხე-ქალაქებში არიან განლაგებულნი: ფასისის მიტროპოლიტი ფასისში ზის; პეტრას ეპისკოპოსი სავარაუდოდ ციხისძირში; როდოპოლისის ეპისკოპოსი ვარდციხეში; საისინის ეპისკოპოსი ცაიშში, სადაც საფორტიფიკაციო ნაგებობები ჯერ არ არის აღმოჩენილი; ზიგანევის ეპისკოპოსი კი გუდავაში. რადგანაც ფასისის, ციხისძირის და როდოპოლისის სასიმაგრო ნაგებობებზე საუბარი გვექონდა შესაბამის თავებში, ამჯერად შევეხებით მხოლოდ ზიგანევის გამაგრების სისტემას.

გუდავა–ზიგანევი, ზიგანეოსი–ზიდანეოსი, ლოკალიზებულია გალის რაიონში, მდ. ოქუმის შესართავთან (ტაბ. XXIV). თვლიდნენ, რომ იგი Notitia Dignitatum–ში მოხსენიებული ზიგანეა, რომელიც IV–V საუკუნეებში რომაული გარნიზონის სადგომი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო, რომელიც სხვა სიმაგრეებთან ერთად იცავდა რომის ინტერესებს (Леквинадзе, 1969, გვ. 81-82; ზაქარაია, ლექვინაძე, 1974, გვ. 139; ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 191-192). მაგრამ ნ. ლომოურმა დამაჯერებლად უარყო Notitia Dignitatum–ში მოხსენიებული ყველა პუნქტის, მათ შორის ზიგანას ლოკალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე (ლომოური, 1989, გვ. 65-72; Ломоური, 1986, გვ. 59-73). ჩვენც ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ გუდავას არქეოლოგიური შესწავლის შედეგები ნაკლებად იძლევიან მისი მძლავრ ციხესიმაგრედ წარმოდგენის საშუალებას.

გუდავაში აღმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული ეკლესიის ნანგრევები ნახევარწრიული შეერილი აბსიდით, საძვალე და დაზიანებული ორმოსამარხი. ეკლესია X–XI საუკუნეებით დათარიღდა, მაგრამ შემდეგ იგი ადრეფეოდალური ხანის ბაპტისტერიუმად ჩაითვადა. კათედრალური ტაძრის ნაშთები მიკვლეული არ იქნა (ზაქარაია, ლექვინაძე, 1971, გვ. 100-102, სურ. 5; ზაქარაია, ლექვინაძე, 1974, გვ. 139-141, სურ. 1).

საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთად მიჩნეული იქნა ზღუდის აღმოსავლეთი კედელი, რომელშიც კოშკი ან ჭიშკარი არ დაფიქსირდა. კედლის წყობა არ იძლეოდა საშუალებას ამ პუნქტის წარმომავლობის გასარკვევად, მაგრამ მრავალფეროვანი მასალის (კერამიკა, მინა, მონეტები) საფუძველზე ნაგებობა კასტელუმად იქნა მიჩნეული, რომელსაც ჩამოკვეთილი კუთხეები უნდა ჰქონოდა. გუდავის სასიმაგრო ნაგებობის ნაკლებ მონუმენტურობა აიხსნა მისი ნაკლები მნიშვნელობით და ჭაობიან ადგილებში ქვის მასალის დეფიციტით (ზაქარაია, ლექვინაძე, 1974, გვ. 141-147).

ვფიქრობთ, რომ თუ გავითვალისწინებთ Notitia Dignitatum-ის ზიგანას არა ლაზეთში, არამედ ტრაპიზონის სამხრეთით ზიგანას უღელტეხილთან, სოფ. ზიგანაში მდებარეობას (ლომოური, 1989, გვ. 68), ძნელი წარმოსადგენი იქნება გუდავაში რომაული კასტელუმის არსებობა. მიგვაჩნია, რომ აქ მხოლოდ ლაზეთის ეპერქის ერთ-ერთი ეპისკოპოსის რეზიდენციაა, რომელიც დაცულია ნაკლებ მონუმენტური სასიმაგრო ნაგებობით და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო თავდაცვისათვის.

ვაშნარი-ეგრისის შიდა რაიონში მდებარე ძეგლია (ტაბ. XXIV), რომლის ფუნქცია და სტატუსი დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეული. ვ. ლექვინაძე მას სამონასტრო ცენტრად მიიჩნევდა (Леквинадзе, 1961, გვ. 153; Леквинадзе, 1972, გვ. 309). ო. ლანჩავას ვაშნარი რიონის-ყვირილას სასიმაგრო ხაზის სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტთა სიაში შეაქვს, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ მისი ამ სტატუსით განხილვა პირობითია (ლანჩავა, 1996, გვ. 39). მოგვიანებით ო. ლანჩავამ ვ. სადრაძის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გაიზიარა მოსაზრება, რომ ვაშნარი წარმოადგენდა ციხე-ქალაქს და მონასტერს (ლანჩავა, 2007, გვ. 85). ვ. ჯაფარიძე ვაშნარს ეგრისის მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებთან ერთად (ქუთაისი, ვარდციხე, ნოქალაქევი) განიხილავს, მაგრამ შენიშნავს, რომ ის გამოირჩევა მათგან განსხვავებული ნიშნებით, რაც კვლევას მოითხოვს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 110). იგივე პოზიციას იზიარებს ვ. სადრაძე, რომელიც IV-V საუკუნეებში სამონასტრო კომპლექსზე, ხოლო VI საუკუნის დასაწყისიდან ციხე-ქალაქის ჩამოყალიბებაზე საუბრობს (სადრაძე, 2003, გვ. 83).

ვაშნარი, რომლის ძირძველ სახელწოდებას “გურიანთა-გურიანი-სპონიეთი” წარმოადგენს, მდებარეობს მდინარეების ნატანებისა და სუფსის ორმდინარეთში, სოფ. გურიანთას ადგილ ვაშნარში. მისი არქიტექტურული კომპლექსი შედგება: სასიმაგრო სისტემის, აკროპოლისის, ბაზილიკის და “მავზოლეუმი”-საგან. აქვეა

გამოვლენილი სამაროვანი (სადრაძე, 2003, გვ. 5, 20, ტაბ., I, II, III, IV).

ცენტრისტული კომპოზიციის ხუთწახნაგა აბსიდიანი ბაზილიკა ფრიად ორიგინალურ ნაგებობადაა მიჩნეული სპეციალისტების მიერ. ძალზე საინტერესო ძეგლია ასევე ე. წ. “მარტირიუმი,” კვადრატული ორსართულიანი ნაგებობა ორმაგი კედლებით (სადრაძე, 2003, გვ. 60-64; Леквинадзе, 1972, გვ. 312-315; ჯაბუა, 2007, გვ. 77-81), რომელიც ადრე სამლოცველოდ იყო მიჩნეული (გობეჯიშვილი, 1952, გვ. 154).

ვაშნარი საკმაოდ რთული საფორტიფიკაციო კომპლექსია, რომელიც წარმოდგენილია შიდა და გარე სასიმაგრო სისტემებით. გარეთა კედლები შემოუყვებოდა მდ. ნატანების შენაკადების, სკურდუმისა და ცივის მიერ შექმნილ ციცაბო ფლატეებს. დიუბუა და მონპერეს გეგმაზე იგი წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმისაა. აკროპოლისი იგივე ფორმას იმეორებს (სადრაძე, 2003, გვ. 40-41, 44). გალავნის კედლები გამაგრებულია კოშკებით. ვ. ლექვინაძემ გაკვირვება გამოთქვა ზღუდე-გალავანში კოშკების შიდა მხრიდან განლაგების თაობაზე, რადგან ამით მათ ფლანკირების ფუნქცია დაკარგეს. მკვლევარის შენიშვნით, კოშკების ასეთი განლაგება სამონატრო ზღუდეებისათვის არის გამოყენებული. მან ძეგლი VI–VII საუკუნეებით დაათარიღა (Леквинадзе, 1961, გვ. 161-164).

ვ. სადრაძე სამონასტრო ნაგებობებს დამცავი გალავნით IV–V საუკუნეებს მიაკუთვნებს, ხოლო შიდა-ციხეს კოშკებით VI საუკუნის 20–იან წლებში აგებულად თვლის. მკვლევარი ასევე ფიქრობს, რომ ძეგლმა ფუნქციონირება შეწყვიტა VIII საუკუნის შუახანებში (სადრაძე, 2003, გვ. 79-83).

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ვაშნარის თავდაპირველი კვადრატული ფორმის ციხე კასტელუმის პრინციპითაა ნაგები, ფასისის ავანპოსტს წარმოადგენდა და იბერიის ექსპანსიის შესაჩერებლად იყო გათვალისწინებული (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 171; თოდუა, მურვანიძე, 1997, გვ. 111). თ. თოდუა ვაშნარის სასიმაგრო სისტემისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავს, რომ იგი სამი ნაწილისაგან – პირველი ციხის, გარეთა გალავნისა და შიდაციხისგან შედგება. მკვლევარი თავდაპირველ ციხეს (550-600X400-450 ნაბიჯი) თავისი ფორმით, კარიბჭე – კოშკების კონსტრუქციისა და ინფრასტრუქტურის მიხედვით ტიპიურ რომაულ კასტელუმად, მცირე ფორტის კატეგორიის სიმაგრედ მიიჩნევს და მას III–IV საუკუნეებით ათარიღებს. მისი ვარაუდით, ვაშნარი ნოქალაქევისა და სოფ. მოედნის მსგავსად რომაული სამხედრო შენაერთების სადისლოკაციო პუნქტია, რომელიც უზრუნველყოფდა პეტრასა და საერთოდ ზღვისპირეთის

მონაკვეთის უსაფრთხოებას და ასევე რამდენადმე აკონტროლებდა ლაზიკის შიდა რაიონებსაც (თოდუა, 2007, გვ. 68-71). თუმცა თ. თოდუა ასევე არ გამორიცხავს, რომ ვაშნარი გურიის მიკრორეგიონის თავდაცვითი პუნქტი შეიძლება იყო, რომელიც აღმოსავლეთ ეგრისის სხვა ციხესიმაგრეთა მსგავსად ქვეყნის გარკვეულ მონაკვეთს იცავდა (თოდუა, 2007, გვ. 72).

ეფიქრობთ, რომ მეორე მოსაზრება უფრო ყურადსაღებია, რადგანაც რომაელთა სამხედრო-საინჟინრო პერსონალის მონაწილეობა საფორტიფიკაციო ან სხვა ნაგებობათა მშენებლობაში ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ მშენებლობა მხოლოდ რომაელთა გარნიზონისათვის ხდება. ამას ადასტურებს თუნდაც რომაელთა მონაწილეობა მცხეთის საფორტიფიკაციო სამუშაოებში, რომლის შესახებაც მოგვითხრობს ახ. წ. 75 წლით დათარიღებული იმპერატორ ვესპასიანეს წარწერა: “თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა . . . იბერთა მეფეს . . . კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულ ხალხს ეს კედლები განუმტკიცეს” (წერეთელი, 1958, გვ. 5-20). მითუმეტეს, რომ ვესპასიანეს დროს მცხეთაში რომაული გარნიზონი არ იდგა (გამყრელიძე, თოდუა, 2006, გვ. 63).

რაც შეეხება ვაშნარის შიდა-ციხესა და გარე გალავანს, თ. თოდუა მათი აგების თარიღს V-VI საუკუნეებით განსაზღვრავს და მათ ბიზანტიელთა სამხედრო-სტრატეგიულ დასაყრდენად მიიჩნევს, რომელიც პეტრას მნიშვნელოვანი ფორპოსტი იყო (თოდუა, 2007, გვ. 74).

საინტერესოა, რომ ვაშნარს მიუხედავად მისი ფუნქციის გაურკვეველობისა, ადრეულ ეტაპზე მაინც სამონასტრო კომპლექსის სახე აქვს. ძნელია მისი წარმოდგენა თავიდანვე სასიმაგრო ნაგებობად. ის არც ზღვისპირას დგას, რომ რომაული სასიმაგრო სისტემის კუთვნილებად მივიჩნიოთ და არც რიონ-ყვირილას მაგისტრალთანაა ახლოს, რომ ეგრისის თავდაცვის სისტემის რომელიმე ხაზის შემადგენელ ნაწილად ჩავთვალოთ.

შეგნიშნავთ, რომ ბაზილიკა კვადრატულკოშკებიან გალავანს ებჯინება, ხოლო მისი შვერილი აფსიდის გასწვრივ სასიმაგრო კედელი მორკალულია (ტაბ. XXIV). ნ. ჯაბუა მიიჩნევს, რომ გალავანი ეკლესიის თანადროულად ან შემდეგ არის აგებული (ჯაბუა, 2007, გვ. 80). ყოველ შემთხვევაში აქ ნათლად ჩანს არა სიმაგრის, არამედ ეკლესიის პრიორიტეტულობა. სწორედ მისთვის არის გალავნის ფორმა შეცვლილი და არა პირიქით. მაგალითად, ქუთაისის ციტადელში “სამლოცველო სახლად” მიჩნეული ნაგებობა (ლანჩავა, 2007, გვ. 113-114; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 356) გალავანს მიჰყვება, რის გამოც მისი

დასავლეთი ნაწილი აღმოსავლეთისაზე ვიწროა, რაც ფრიად იშვიათი შემთხვევაა.

ასევე აღვნიშნავთ, რომ ნ. ჯაბუას ვაშნარის ეკლესიის სტატუსის განსასაზღვრად მოაქვს ვ. ჯაფარიძის მოსაზრება, რომ ბაზილიკის აბსიდის კედლის გასწვრივ დაფიქსირებული სამღვდლოების ჩამოსაჯდომი ქვის რიგის ცენტრში გამოყოფილი ამადლებული ადგილი ეპისკოპოსისათვის იყო განკუთვნილი და შესაბამისად საეპისკოპოსო ეკლესიას წარმოადგენდა. ნ. ჯაბუა ფიქრობს, რომ ძეგლის შემდგომი კვლევა მეტ სიცხადეს შეიტანს მის შესახებ წამოჭრილი საკითხების გარკვევაში, მაგრამ ამავე დროს დაბეჯითებით ამბობს, რომ ვაშნარი წარმოადგენდა გამორჩეული მნიშვნელობის საკულტო ძეგლს (ჯაბუა, 2007, გვ. 81).

მიუხედავად იმისა, რომ ვაშნარი, როგორც საეკლესიო ძეგლი არ მოიხსენიება ბიზანტიურ წყაროებში, სრულიად შესაძლებელია აქ მართლაც ყოფილიყო საეკლესიო ცენტრი, როგორც ამას ვარაუდობენ ნოქალაქევის მიმართ (ლომოური, 1987, გვ. 40; ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 261).

ასევე ვფიქრობთ, რომ რელიგიური ცენტრი შესაძლოა არსებობდა ქუთაისში (ჭუმბურიძე, 1999ხ, გვ. 31). იგივეს სავსებით დასაშვებად მიიჩნევს ო. ლანჩავა, თუმცა მისი თქმით, ამას არ ადასტურებს წყაროებში მოხსენიებული საეპისკოპოსო ცენტრების ჩამონათვალი, რასაც ალბათ თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს (ლანჩავა, 2007, გვ. 113).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიურმა გათხრებმა საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა. აქ აღმოჩენილი საკულტო ნაგებობები ადასტურებენ, რომ ქრისტიანობა IV–V საუკუნეებში მტკიცედ დაამკვიდრებული აღმოსავლეთ ეგრისში. ქუთაისის შიდა-ციხეში აღმოჩნდა IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა. მისი სიგრძე 26 მეტრია, სიგანე აღმოსავლეთის კედლისა 12,3 მეტრი, ხოლო დასავლეთი კედლისა 10,3 მეტრი, შესაბამისად ნაგებობა აღმოსავლეთით ოდნავ გაშლილია. ჩრდილოეთის კედელში დაფიქსირდა კარის ზღურბლი, კარის ჩარჩოს ჩასამაგრებელი ორი ცილინდრული ფოსოთი. შენობის საერთო ფართობი 284 კვ. მეტრია. კედლის სიგანე 1 მეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 60 სანტიმეტრი. კედლის წყობა მცირე ზომის შუბლგამოყვანილი კირქვითაა შექმნილი. ორფერდა სახურავი ხის კონსტრუქციებით უნდა ყოფილიყო გამართული. ინტერიერში რაიმე კონსტრუქციის კვალი არ დადასტურდა. ნაგებობა მარტივი კონსტრუქციისაა, რაც აძნელებს მისი ფუნქციის დაზუსტებას. ო. ლანჩავას ვარაუდით, ის ადრინდელი

ბაზილიკების ფორმას იმეორებს და არსებული მონაცემებით შეიძლება “სამლოცველო სახლად” ჩაითვალოს (ლანჩავა, 1996, გვ. 85; ჭუმბურიძე 1999b, გვ. 30-31). თუმცა მკვლევარმა თავიდანვე არ გამორიცხა ამ ძეგლის საერო დანიშნულება და შემდეგ ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ გაიმეორა (ლანჩავა, 2007, გვ. 114).

ქუთაისის ციტადელში “სამლოცველო სახლის” გვერდით მდებარეობს V–VI საუკუნეთა მიჯნით დათარიღებული სამნავიანი ბაზილიკა ნახევარწრიული შევრილი აბსიდებით. ბოლო წლების არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გაირკვა მისი ზუსტი ზომები–სიგრძე 12,5 მეტრი, სიგანე 8,1 მეტრი. კედლის სიგანე 86 სანტიმეტრია, შემორჩენილი სიმაღლე 60 სანტიმეტრი. ის ნაგებია კარგად გათლილი და თარაზულ რიგებად დალაგებული კვადრებით, რომელთა სიმაღლე 20 სანტიმეტრია. წყობა ერთიანია და დულაბი მომჭირნედ, თხელ ფენადაა ნახმარი. ინტერიერში სიმეტრიულად განლაგებული ოთხი სწორკუთხა ბურჯია. აბსიდების შეერთების ადგილზე დამატებითი ორი მცირე ზომის ბურჯის ნაშთი დაფიქსირდა. შიდაციხის ბაზილიკა ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია (ლანჩავა, 2007, გვ. 127; ჭუმბურიძე, 1999b, გვ. 31).

აღნიშნული ძეგლების აღმოჩენის საფუძველზე გამოვთქვით ვარაუდი, რომ IV–V საუკუნეებში ქრისტიანობა ფართოდ იყო გავრცელებული არა მარტო ვერისის-აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში და ნოქალაქევის რეგიონში, არამედ ქუთაისსა და მის მხარეში. შესაბამისად, ასევე არ გამოვრიცხეთ ქუთაისში რელიგიური ცენტრის არსებობა (ჭუმბურიძე, 1999b, გვ. 31). ჩვენს მოსაზრებას საფუძველი განუმტკიცა ბოლო წლებში ქუთაისის არქეოლოგიური კვლევის შედეგებმა.

2004 წელს ქუთაისის არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა ბაგრატის ტაძრის ინტერიერის კვლევა, რომლის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტაძრის იატაკქვეშ გამოვლინდა ოთხი დიდი სამშენებლო ფენა, რომელთაგან II–ში დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის დიდი ბაზილიკის ნაშთები (ტაბ. XXX). შენობა ნაგებია ქვიტკირით და აქვს შესანიშნავი ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკი. მისი სიგრძე 30 მეტრია, ხოლო სიგანე 15 მეტრი. ტაძარს ჩრდილოეთიდან მიშენებული ჰქონდა სწორკუთხა ფორმის სანათლავე (ბაპტისტერიუმი), რომლის სარიტუალო არხში ჩაილექა IV–V საუკუნეების სამშენებლო კერამიკა. მალე სანათლავეზე დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი სათავეს მიუმატებიათ. ტაძარს მინაშენი უნდა ჰქონოდა სამხრეთიდანაც.

მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის თავდაპირველი სახის სრული აღდგენა ვერ მოხერხდა, მისი გეგმა ძირითადად იკითხება. იგი ადრეშუასაუკუნეების სამნავიანი დიდი ბაზილიკების ჯგუფს მიეკუთვნება. საინტერესოა, რომ ასეთი მასშტაბების ბაზილიკა შიდა ეგრისისათვის აქამდე უცნობი იყო. მისი აღმოჩენა ნათლად მიუთითებს IV საუკუნეში ქუთაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მის სტატუსზე, როგორც ეგრისის სამეფოს პირველ ქალაქზე და რაც მთავარია ადასტურებს ეგრისში ახ. წ. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ფაქტს (ლანჩავა, 2007, გვ. 112-113; ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2005, გვ. 358; ლანჩავა, ჭუმბურიძე, ისაკაძე, ქარციძე, 2006, გვ. 27). ნათელი გახდა, რომ ქუთაისი არა რიგითი ციხე-სიმაგრე, არამედ ეგრისის სამეფოს უმთავრესი რელიგიური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრია.

თაზო IV

სამხედრო გარნიზონები და შეიარაღება გვიანანტიკურ–აღრეშუასაუკუნეების
ხანის ეპრის–ლაზიკაში

§ 1. ეგრის-ლაზიკის თავდაცვის სისტემის სამხედრო გარნიზონები

ახ. წ. I-III საუკუნეებში ეგრის-ლაზეთის სამეფოს თავდაცვის სისტემა ჩამოყალიბების სტადიაშია და ძირითადად რომის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობით ვითარდება. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ტერიტორიაზე აგებული საფორტიფიკაციო ნაგებობები რომაელთა სამხედრო სტრატეგიის, ტაქტიკისა და სამშენებლო ტექნოლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით არის შექმნილი. განსაკუთრებით ეს ითქმის ზღვისპირა თავდაცვით ზოლზე, სადაც ახ. წ. I საუკუნის II ნახევრიდან უკვე ჩნდებიან რომაელთა სამხედრო ნაწილები.

შავი ზღვის სანაპიროზე აგებული ციხესიმაგრეების ძირითადი ამოცანა იყო ზღვაოსნობისა და ვაჭრობის უსაფრთხოება, კავკასიის სახელმწიფოებზე რომის გავლენა-ძალაუფლების განმტკიცება და მათზე გამავალი სტრატეგიული მაგისტრალების მეთვალყურეობა (შპაიდელი, 1985, გვ. 134). ამ საერთო ამოცანების შესრულებაში თითოეულ ციხესიმაგრეს თავისი ფუნქცია ჰქონდა, საიდანაც გამომდინარე განისაზღვრებოდა მისი განლაგება გარკვეულ სტრატეგიულ ადგილზე, ზომები, გარნიზონის შემადგენლობა და რაოდენობა, შეიარაღება.

აფსაროსი – რომაული სტანდარტების მიხედვით საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას მიეკუთვნება (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 51-52; ლანჩავა, 1996, გვ. 8; მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 93; თოდუა, 2003a, გვ. 20). ვ. ლექვინაძე თვლიდა, რომ აფსაროსი ყველაზე დიდი კასტელაა „პონტოს ლიმესში“ და შესაბამისად, მისი გარნიზონი ასევე ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო (1000-2500 ჯარისკაცი) (Леквинадзе, 1969, გვ. 77). ვ. ლორთქიფანიძე და თ. თოდუა აღნიშნავენ, რომ არიანეს ცნობით აქ იდგა „ხუთი სპეირა“ (Arr. PPE, 6; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 31; თოდუა, 2003a, გვ. 19), რომელსაც 5 კოჰორტად მიიხნევენ (შპაიდელი, 1985, გვ. 135; Ломоури, 1981, გვ. 228; კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 27; კახიძე, 2002a, გვ. 11). თუ გავითვალისწინებთ, რომ კოჰორტა II საუკუნეში 600 კაცისაგან შედგებოდა, გამოდის, რომ აფსაროსში იდგა 3000-მდე ჯარისკაცი, რაც გაოცებას იწვევს (შპაიდელი, 1985, გვ. 136; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 31; მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 91). შესაბამისად გაჩნდა მოსაზრება, რომ აფსაროსში

დაბანაკებული იყო არა ლეგიონური, არამედ დამხმარე კოჰორტები.

აფსაროსში მდგარი გარნიზონის შესახებ საინტერესო ინფორმაცია მოგვცა ეგვიპტეში (ფაიუმი) ნაპოვნმა ახ. წ. II საუკუნის პაპირუსის ფრაგმენტმა, რომელშიც მოხსენიებულია აფსაროსში მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი მარციალი. ასევე საყურადღებოა იტალიაში (ქ. ნოლა) აღმოჩენილი წარწერა მარციუს პლეტორიუს ცელერის დაჯილდოვების შესახებ, რომელიც ერთ დროს აფსაროსის დამხმარე რაზმების (numerorum) მეთაური ყოფილა. მნიშვნელოვანია აგრეთვე გონიოში დადასტურებული რომაული სამხედრო შენაერთის ტვიფრიანი აგური (ტაბ. XXVI, 8), რომლის წარწერაში (შებრუნებით SAGI) იკითხება მშვილდოსნების კოჰორტა – სპეციფიკური აღჭურვილობის დამხმარე სამხედრო რაზმი. აქვეა ნაპოვნი კიდევ დამდიანი აგურის ორი ფრაგმენტი (ტაბ. XXVI, 4, 6), რომლებზეც იკითხება COH, II (Cohors II Claudiana). აფსაროსის კასტელუმში აღმოჩნდა ასევე ბრინჯაოს სამფეხა კანდელაბრი, რომლის ქვედა ფრიზის წარწერა (C. COH AVR C.R) ასე იშიფრება – C.COH(ors) AVR(elius) C (ivium) R (omanorum) (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 91-93; თოდუა, 2003ა, გვ. 19; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 51-52; შპაიდელი, 1985, გვ. 135-136; Мамуладзе, Халваши, Асланишвили, 2002, გვ. 35; კახიძე, ხალვაში, 1998, გვ. 28).

წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით აფსაროსში განლაგებულნი ყოფილან შემდეგი რომაული სამხედრო ნაწილები: იმპერატორ კლავდიუსის სახელობის II დამხმარე კოჰორტა, მოისართა კოჰორტა (Sagittarius), იმპერატორ ავრელიუსის სახელობის კოჰორტა და დამხმარე საგუშაგო რაზმები (numerorum). არსებული მონაცემების საფუძველზე ივარაუდება, რომ აფსაროსში არიანეს მიერ დასახელებული 5 კოჰორტა არა ლეგიონურია, არამედ დამხმარე (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 93). დამხმარე კოჰორტებზე საუბრობენ მ. შპაიდელი და ე. კახიძე (შპაიდელი, 1985, გვ. 136; კახიძე, 2002ა, გვ. 11).

ა. ნონეშვილის მოსაზრებით, აფსაროსის 5 კოჰორტიდან ორი დაკომპლექტებული იყო ლეგიონერებით, დანარჩენი სამი კი დამხმარე კოჰორტა უნდა ყოფილიყო. მათგან ორი ფეხოსანთა, ერთი კი ცხენოსანთა კოჰორტაა. ამ უკანასკნელის არსებობა ივარაუდება 1996 წელს აღმოჩენილი დამდის წარწერის – aLa, საფუძველზე (ნონეშვილი, 1998, გვ. 25).

რაც შეეხება აფსაროსის გარნიზონში მეომართა რაოდენობას, გ. ლორთქიფანიძე და თ. თოდუა ფიქრობენ, რომ, რადგანაც არიანესეული „სპეირა“ ლათინურ „მანიპულას“ შეესატყვისება, რომელიც კოპორტის ერთ მესამედს (150-200 კაცი) უდრის, აქ დაახლოებით 900-1000 ჯარისკაცი იყო დაბანაკებული. აღნიშნული რაოდენობა სავსებით შეესაბამება თავად კასტელუმის ტევადობას. ამავე მოსაზრებას იზიარებს ო. ლანჩავა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 31; თოდუა, 2003a, გვ. 20; ლანჩავა, 1996, გვ. 9; ლანჩავა, 2007, გვ. 72).

შ. მამულაძე, მ. ხალვაში და ლ. ასლანიშვილი 5 დამხმარე კოპორტის ქვეშ 1200-1400 მეომარს ვარაუდობენ და თვლიან, რომ აფსაროსში სწორედ ამ რაოდენობის მეომართა გარნიზონის დგომაა უფრო რეალური (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 93). ასევე ფიქრობს ე. კახიძე, რომელიც მიიჩნევს, რომ დამხმარე კოპორტა 500-1000 სამხედრო მოსამსახურისაგან შედგებოდა, შესაბამისად აფსაროსში მდგარი ნაწილები რეგიონის სხვადასხვა პუნქტში იქნებოდა გადანაწილებული (კახიძე, 2002a, გვ. 11).

ბათუმის ციხე – წერილობითი წყაროები არაფერს გვეუბნებიან I-III საუკუნეებში აქ რომაელთა სამხედრო საფორტიფიკაციო ნაგებობის და გარნიზონის არსებობის შესახებ. თუმცა ზოგიერთი მეცნიერი არ გამორიცხავს II საუკუნის შემდგომ ხანებში რომაული საგუშაგო კოშკის ან სამხედრო საზღვაო ნავსადგურის არსებობას (მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170). არქეოლოგიური მასალებიც არ გვაწვდიან სათანადო მონაცემებს აქ რომაელთა დგომასთან დაკავშირებით. ბათუმის გვიანდელი ციხე სწორკუთხა ფორმისაა, მაგრამ ეს არ არის საბუთი მისი რომაულ კასტელასთან იდენტიფიკაციისა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არ გამორიცხება ბათუმში რომელიმე ქართული თემის დასახლება, რომელსაც შესაძლებელია თავდაცვითი პუნქტი – ციხე გააჩნდა, წარმოქმნილი ლაზთა ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც პლაცდარმი სამხრეთი ტერიტორიების შემოსამტკიცებლად (ინაიშვილი, 1965, გვ. 69-75; ლანჩავა, 1996, გვ. 11), მაშინ სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაუდოთ ბათუმში ადგილობრივი სამხედრო კონტინგენტის არსებობა.

ციხისძირი – წერილობითი წყაროების მიხედვით I-III საუკუნეებში აქ არ დასტურდება რომაული გარნიზონის ყოფნა. არც ამ დროის რომაული საფორტიფიკაციო ნაგებობებია გამოვლენილი. თუმცა მკვლევართა დიდი ნაწილი აღიარებს, რომ II-III საუკუნეებში ციხისძირი რომაულ ციხესიმაგრეთა სისტემაში შემავალი სიმაგრეა, სადაც რომაული გარნიზონი იდგა და აფსაროსის ავანპოსტს

წარმოადგენდა (ინაიშვილი, 1993, გვ. 114, 121; შპაიდელი, 1985, გვ. 138-139; თოდუა, 2003a, გვ. 34; Braund, 1994, გვ. 189; Леквинадзе, 1967, გვ. 797-800; კახიძე, 2002a, გვ. 13; მამულაძე, კახიძე, ხალვაში, 2001, გვ. 170-171; ლანჩავა, 1996, გვ. 17; Лордкиპანიძე, 1989, გვ. 339). ამ ფაქტის დოკუმენტურ დადასტურებად მიხნეულია ლათინურდამდიანი აგურის ფრაგმენტი, რომელიც ადგილობრივი წარმოებისაა, ყალიბშია დამზადებული და მასზე მკაფიოდ იკითხება – VEXFA (ტაბ. XXVI, 3). ვ. ლექვინაძის აზრით, აგური II-III საუკუნეებს მიეკუთვნება და XII და XV ლეგიონების სამშენებლო საქმიანობის შედეგია (Леквинадзе, 1969, გვ. 87-88); შპაიდელის მიხედვით კი აგური ფასისის გარნიზონის სახელოსნოს მიეკუთვნება (შპაიდელი, 1985, გვ. 138).

ჩვენის აზრით, რადგან ივარაუდება II-III საუკუნეებში ბათუმის მსგავსად ციხისძირში რომელიმე ქართული თემის საქალაქო დასახლების არსებობა (ინაიშვილი, 1965, გვ. 85), არ არის გამორიცხული, რომ აქაც ადგილობრივი სამხედრო შენაერთები მდგარიყო.

ფასისი – არიანეს ცნობით აქ იდგა „400 რჩეული“ მეომარი. გ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ ეს რაოდენობა უფრო 1 კოჰორტას, ვიდრე ორ მანიპულას, არიანესეულ 2 სპეირას შეესაბამება. ფასისის ციხის არტილერიით შეიარაღება აქ ლეგიონალური კოჰორტის რჩეული შენაერთის ხუთი ცენტურიის დაბანაკების დასტურია (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 53-54).

თ. თოდუაც მიიჩნევს, რომ ფასისში ლეგიონური კოჰორტა იდგა. მისთვის მთავარი არგუმენტი ფასისში ლოდსატყორცნი მანქანების არსებობაა. ბაატსის და ვებსტერის ინფორმაციების მიხედვით II საუკუნეში რომაულ დამხმარე შენაერთებს სატყორცნი იარაღ-მოწყობილობები არ ჰქონდათ და ისინი მხოლოდ ლეგიონების ტექნიკურ აღჭურვილობაში შედიოდნენ (Baats, 1966, გვ. 197; Webster, 1985, გვ. 98). მკვლევარი ვარაუდობს, რომ ფასისის გარნიზონი შესაძლოა რაოდენობრივად და თვისობრივად თანამედროვე, ე. წ. „კომანდოსთა“ ტიპისა ყოფილიყო. ფრიად საყურადღებო მოსაზრებაა, რომელიც რატომღაც უარყოფილი იქნა (თოდუა, 2003a, გვ. 20-21).

შპაიდელი ფასისის გარნიზონის შესახებ ამბობდა, რომ ის შესაძლოა არც ყოფილიყო ლეგიონური, ხოლო არტილერიის არსებობას ხსნიდა იმ მოსაზრებით, რომ ფასისი ისეთი სიმაგრე იყო, რომელიც თხრილებისა და მიწაყრილების გარდა სპეციალურ მექანიზმებსაც საჭიროებდა ბარბაროსებისაგან თავდასაცავად. მეცნიერი თვლის, რომ ასეთ ვითარებაში ყველა ტიპის სამხედრო ნაწილს

დასჭირდებოდა არტილერია (შპაიდელი, 1985, გვ. 138-139).

სებასტოპოლისი – ერთ-ერთი ყველაზე ადრეული სამხედრო ბაზაა აღმ. შავიზღვისპირეთში (Phin., NH, VI, 14), რომელიც II საუკუნეში მოინახულა არიანემ, რასაც ადასტურებს მისი წარწერა (ტაბ. XXVI, 7). მან შეამოწმა გარნიზონის სამხედრო მომზადება, აღჭურვილობის მდგომარეობა, პროვიანტის მარაგი და დაარიგა ხელფასი (Arr., PPE, 10). თავდაპირველი კასტელუმი მცირე ზომისაა (ნუმერული), ამიტომ ფიქრობენ, რომ I-II საუკუნეებში გარნიზონის რაოდენობა 200 მეომარს არ აღემატებოდა (თოდუა, 2003a, გვ. 23; ლანჩავა, 1996, გვ. 27; Леквинадзе, 1969, გვ. 84). თუმცა ვ. ლექვინაძე თვლიდა, რომ შესაძლებელია აქ შემცირებულ კოჰორტასთან გვაქვს საქმე. სებასტოპოლისში კოჰორტის დაბანაკებაზე საუბრობს ასევე გ. ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 56).

რაც შეეხება გარნიზონის შემადგენლობას, ის შერეულ კოჰორტას წარმოადგენდა. ქვეითი ჯარის შემადგენლობაში კავალერიის ნაწილებიც შედიოდა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 56). არიანეს მონაცემებზე დაყრდნობით გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ძირითადად კავალერია იდგა, ხოლო გარნიზონი დამხმარე ჯარის შერეული ქვედანაყოფები – სასაზღვრო ნუმერები უნდა ყოფილიყო, რომლებიც რომის არმიის რეგულარული ნაწილები არ იყვნენ და „ბარბაროსებისაგან“ კომპლექტებოდა (თოდუა, 2003a, გვ. 23).

პიტიუნტი – ახ. წ. II საუკუნის ბოლოდან რომაელთა აღმოსავლეთი საზღვრის უკიდურესი ფორფოსტია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. აქ რომის სამხედრო პლაცდარმის წარმოქმნა (ხის დროებითი სიმაგრე) ივარაუდება I საუკუნეში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 82), მაგრამ ხანგრძლივი დანიშნულების სამხედრო ბანაკის (კასტელუმის) მშენებლობა, სადაც იდგა მუდმივი გარნიზონი, II საუკუნეს განეკუთვნება (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 82-83; ლანჩავა, 1996, გვ. 30). თ. თოდუა პიტიუნტში რომაული გარნიზონის დაბანაკებას 135-152 წლებით განსაზღვრავს (თოდუა, 2003a, გვ. 26).

პიტიუნტი საკოჰორტო კასტელუმია, შესაბამისად, აქაური სამხედრო ნაწილი კოჰორტად მიიჩნევა. არქეოლოგიური მონაცემების (ლეგიონის დამდიანი კერამიკული ფილები, ტაბ. XXVI, 1, 2, 5) მიხედვით ვარაუდობენ XV აპოლონისეული ლეგიონის გარნიზონის არსებობას (თოდუა, 2003a, გვ. 26-27; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84), რომელიც შედგებოდა დაახლოებით 600 ჯარისკაცისა და ასევე ბალისტარიებისაგან, რომლებიც ემსახურებოდნენ ქვის სატყორცნ მანქანებს (Кигურაძე, Лордкиპანიძე, Тодуа, 1987, გვ. 91).

გ. ლორთქიფანიძე ფიქრობს, რომ პიტიუნტში განლაგებული იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ჯარისა და ფლოტის ნაწილების, ვექსილაციების ბირთვი, შტაბითა და პრეტორის რეზიდენციით (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 91). ჩვენი აზრით, ასეთი რამ ფრიად საეჭვოა, რადგანაც მტრის თავდასხმისას მათი განადგურება გამოიწვევდა ზღვისპირა თავდაცვის ხაზის პარალიზებას. თუ ასეთი სამეთაურო სტრუქტურა საერთოდ არსებობდა კოლხეთში, ის რომის აღმოსავლეთის საზღვართან გაცილებით ახლოს იქნებოდა (შესაძლოა აფსაროსში, ან ფასისში), რათა უფრო გაადვილებული ყოფილიყო კაპადოკიის ლეგატის სამეთაურო შტაბთან კავშირი, რაც ხელს შეუწყობდა დაქვემდებარებული სამხედრო ბაზების ეფექტურ ხელმძღვანელობას.

რაც შეეხება ზღვისპირა ციხე-სიმაგრეებში განთავსებულ სამხედრო ნაწილებს, თ. თოდუას მოსაზრებით, პიტიუნტში, სებასტოპოლისსა და ფასისში იდგნენ XII და XV ლეგიონის ვექსილაციები, ხოლო III საუკუნის ბოლოდან კი ასევე I პონტური ლეგიონის შენაერთები. მკვლევარი ასევე ფიქრობს, რომ კოლხეთის სანაპიროზე განლაგებულნი იყვნენ რომაული სამხედრო-საზღვაო ძალების, კერძოდ, I საუკუნის შუა ხანებში რავენისეული ესკადრის ან მეზიურ-ფლავიუსეული ფლოტის, ხოლო I საუკუნის მეორე ნახევრიდან კი „პონტოს ფლოტის“ ცალკეული ნაწილები (თოდუა, 2003a, გვ. 27-29).

XV ლეგიონის ვექსილაციების ეგრისში ყოფნის დოკუმენტურ დადასტურებად მიიჩნევა პიტიუნტში ნაპოვნი დამღიანი აგურები (თოდუა, 2003a, გვ. 26-27; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84), ასევე ფასისთან ახლოს სოფ. მოედნის სასიმაგრო ნაგებობაში მიკვლეული დამღიანი აგური წარწერით – LEG, რომელსაც ამ ლეგიონის კუთვნილებად თვლიან (თოდუა, მურვანიძე, 1997, გვ. 108-111).

პიტიუნტის მონაცემებითა და ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და სომხეთში აღმოჩენილი აგურებითა და წარწერებით, რომლებიც მიუთითებენ რომის ლეგიონთა სამშენებლო მოღვაწეობაზე, გ. ლორთქიფანიძეც შესაძლებლად მიიჩნევს XII და XV ლეგიონთა ვექსილაციების ხანგრძლივი დროით დგომას კოლხეთის ზღვისპირა სტრატეგიულ პუნქტებში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 48).

III საუკუნეში არ გამოირიცხება აღნიშნული ლეგიონების ცალკეული სამხედრო ნაწილებისა თუ ვექსილაციების დისლოკაცია აფსაროსშიც (ასლანიშვილი, 2004, გვ. 153; ნონეშვილი, 1998, გვ. 25).

ასევე თუ გავითვალისწინებთ, რომ ციხისძირის აგურის დამღას – VEXFA, ვ. ლექვინაძე XII და XV ლეგიონთა სამშენებლო მოღვაწეობის შედეგად მიიჩნევდა

(Леквинадзе, 1969, გვ. 87-88), მართლაც უდავოდ შეიძლება ვაღიაროთ ამ ლეგიონთა ნაწილების არსებობა კოლხეთის სანაპიროზე.

მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებებიც. თავად გ. ლექვინაძე მიუთითებდა, რომ „პონტოს ლიმესის“ კავშირი აღნიშნულ ლეგიონებთან გამოიხატებოდა ან მათი სამშენებლო რაზმების საქმიანობით პიტიუნტში, ან აქაური გარნიზონების დაკომპლექტებით მათზე მიწერილი დამხმარე შენაერთებით (*auxilia*) (Леквинадзе, 1969, გვ. 87). შპაიდელის მიერ ციხისძირის დამდიანი აგური მიხნეული იქნა ფასისის გარნიზონის სახელოსნოში დამზადებულად (შპაიდელი, 1985, გვ. 139), რაც სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ აქ XV ლეგიონის ნაწილი იდგა. თავად ფასისის სამხედრო დანაყოფი შესაძლოა წარმოადგენდა კაპადოკიის „*Pedites singulares*“ (სპეციალურ სამშენებლო ნაწილს), რომელიც ამზადებდა სამშენებლო მასალებს აქაური ციხესიმაგრეებისათვის (შპაიდელი, 1985, გვ. 139; თოდუა, 2003a, გვ. 34-35). ასევე საინტერესოა, რომ აფსაროსში II საუკუნის წყალსადენის მიღებზე გამოსახული ნიშანი X წარმოადგენს სირია-პალესტინაში მდგომი X „*Fretensis*“ სახელობის ლეგიონის საინჟინრო რაზმის შესაძლო სამშენებლო საქმიანობის დადასტურებას, რაც არ ნიშნავს ამ ლეგიონის აქ ყოფნას. აღნიშნულ მიღებს უფრო შემოტანილ პროდუქტად თვლიან (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 93).

ფასისის გარდა სამშენებლო რაზმების დგომა ივარაუდება ასევე აფსაროსში. ფიქრობენ, რომ კოჰორტებიდან გამოყოფილი მეომართა ჯგუფებისაგან მზადდებოდნენ კვალიფიციური მშენებლები, რომლებიც აგებდნენ ყაზარმებს, გზებს, ხიდებს, თავდაცვით და სხვა დანიშნულების ნაგებობებს (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 94; Кошатов, 1991, გვ. 12).

დამხმარე შენაერთების ყოფნა წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით დადგენილია აფსაროსში, სადაც I-II საუკუნეებში 5 დამხმარე კოჰორტა იდგა (მამულაძე, ხალვაში, ასლანიშვილი, 2000, გვ. 94; ასლანიშვილი, 2004, გვ. 153; ნონეშვილი, 1998, გვ. 25; შპაიდელი, 1985, გვ. 136). ფიქრობენ, რომ არც ფასისის გარნიზონი იყო ლეგიონური (შპაიდელი, 1985, გვ. 139) და სებასტოპოლისშიც I-II საუკუნეებში სასახლვრო ნუმერები იდგა (თოდუა, 2003a, გვ. 23-24). დამხმარე პროვინციულ ჯარსა და დამხმარე კოჰორტებზე საუბრობს გ. ლორთქიფანიძეც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 45-46, 48, 56).

როგორც ვხედავთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეთა გარნიზონების შემადგენლობა არ იყო ერთგვაროვანი. მკვლევარები საუბრობენ

როგორც ლეგიონალურ ნაწილებზე, ასევე სასახდვრო ნუმერებსა და დამხმარე შენაერთებზე (კოჰორტებზე). ვფიქრობთ, რომ ასეთი სხვაობა კოლხეთის სანაპიროს თავდაცვის ხაზისა და რომის იმპერიის სხვა საზღვრების (რეინზე, დუნაიზე, ჩრდ. აფრიკასა და ინგლისში მდებარე „ლიმესების“) დამცველი ჯარების რაოდენობის, შემადგენლობის, ფუნქციის თვალსაზრისით განპირობებული იყო განსხვავებული ამოცანებით. ზღვისპირა თავდაცვის ხაზის ამოცანებსა და სტატუსზე ამჯერად არ შეგჩერდებით (იხ. პარ. 3), მაგრამ შევნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, რომაული გარნიზონები დაკომპლექტებული იყო სპეციალურად მომზადებული, გაწვრთნილი და სათანადოდ შეიარაღებულ-აღჭურვილი (მათ შორის არტილერიითაც) სპეციალური ნაწილებით, რომელთა ფუნქცია იყო ძირითადად თავდაცვა. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს აფსაროსის გარნიზონი, რომელიც არ მონაწილეობდა 135 წელს ალანების წინააღმდეგ საომარ კამპანიაში (შპაიდელი, 1985, გვ. 137-138).

ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადასტურებულად ითვლება მხოლოდ XV ლეგიონის სამშენებლო საქმიანობა პიტიუნტში (დამლიანი აგურები) და ივარაუდება ფასისსა და ციხისძირში. XII ლეგიონის მოღვაწეობა აქ არქეოლოგიური მასალით არ მტკიცდება. საერთოდ, ძნელი სავარაუდოა ეგრისში ამ ლეგიონის ნაწილთა არსებობა, რადგან მისი ძირითადი ბაზა მელიტენაში მდებარეობდა და უფრო სომხეთ-იბერია-ალბანეთის მიმართულებით მოქმედებდა.

რაც შეეხება XV ლეგიონს, რომლის ბაზა სატალაში იყო, ხოლო ნაწილები განლაგებული იყვნენ ტრაპეზუნტსა და რიზე-ათენა-ხოფის ხაზზე, არ გამოირიცხება მისი ქვედანაყოფების ყოფნა კოლხეთის სანაპიროზე. მეცნიერთა ძირითად არგუმენტად გამოიყენება ის ფაქტი, რომ წერილობითი წყაროებით (Arr., PPE, 9) და არქეოლოგიური მონაცემებით დასტურდება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ციხე-სიმაგრეებში ქვასატყორცნი და ისარსატყორცნი იარაღების (კატაპულტები, ბალისტები და ონაგრები) არსებობა, რომლებიც მხოლოდ ლეგიონების აღჭურვილობაში შედიოდა (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84; თოდუა, 2003a, გვ. 21, 27; Webster, 1985, გვ. 98; Дельбрюк, 1937, გვ. 153).

თუ პიტიუნტში, სებასტოპოლისში, ფასისსა და აფსაროსში ლეგიონალური კოჰორტები იდგა, მაშინ ისინი წარმოადგენდნენ კაპადოკიის ლეგიონალური ძალის თითქმის ერთ მეოთხედს, ხოლო სატალას სამხედრო ძალა მხოლოდ ნახევარი ლეგიონით განისაზღვრება, რაც ფრიად უცნაურად მიგვაჩნია. ამ ფაქტს აფსაროსის გარნიზონზე საუბრისას ჯერ კიდევ შპაიდელმა მიაქცია ყურადღება

(შპაიდელი, 1985, გვ. 135-136).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფსაროსის მსგავსად შესაძლებელია სხვა სიმაგრეებშიც დამხმარე ჯარის ნაკრები ნაწილები იდგა, რომელთა შორის სპეციფიკური (თავდაცვითი) მიზნებიდან გამომდინარე არტილერიის დანაყოფებიც იყო. მით უმეტეს, რომ დელბრიუკის მოსაზრებით განსხვავება ლეგიონებსა და დამხმარე ნაწილებს შორის საკმაოდ პირობითი იყო და დროთა განმავლობაში თანდათან ქრებოდა (Дельбрюк, 1937, გვ. 144). ეგრისის გარნიზონების დამხმარე კოპორტები შესაძლოა XV ლეგიონზე იყვნენ მიწერილნი და მათივე არტილერიით სარგებლობდნენ. შპაიდელი ფასისთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ასეთ ვითარებაში ყველა ტიპის ნაწილს დასჭირდებოდა არტილერია. მას მაგალითად მოჰყავს დ. ბაატსის მიერ High Rochester-ის ფორტის ხელსაყრელი მდებარეობის გამო იქ ballistaria-ს არსებობის ახსნა და იგივეს გულისხმობს ფასისის შემთხვევაში (შპაიდელი 1985, გვ. 139; Baatz, 1966, გვ. 198). არტილერიასთან ერთად ეგრისის რომაულ გარნიზონებს ემსახურებოდა ალბათ XV ლეგიონის საინჟინრო ნაწილებიც კაპადოკიის მმართველის Pedites singulares-თან ერთად.

თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გარკვეული და დამატებით კვლევას მოითხოვს.

რაც შეეხება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დაბანაკებული რომაული გარნიზონების ეთნიკურ და სოციალურ შემადგენლობას, პირდაპირი ცნობები ამასთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია. საყურადღებოა ახალი ტენდენციები, რომელიც რომაულ არმიაში წელთაღრიცხვათა მიჯნაზე გამოიკვეთა. ლეგიონებში მასობრივად დაიწიეს ჩარიცხვა რომანიზებული ბარბაროსებისა, რომელთაც შემდეგ რომის მოქალაქეობას აძლევდნენ. ახ. წ. I საუკუნის მიწურულს რომის არმიის ძირითადი ნაწილი რეგიონალური ხდება. მხოლოდ პრეტორიანული გვარდია ივსებოდა რომისა და იტალიის მოქალაქეებიდან, ხოლო გალიის, რეინის და აღმოსავლეთის არმიები ადგილობრივი ტომების მცხოვრებთაგან კომპლექტებოდა. ტაციტუსიც აღნიშნავდა, რომ რომაული არმიები არ ჰგვანან ერთმანეთს არც ენით და არც ხასიათით (Tac. Hist. II, 37; Дельбрюк, 1937, გვ. 143-144; ნონეშვილი, 1998, გვ. 24).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ პიტიუნტში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი გრაფიტო და დიპინტები (კერამიკაზე ამოკაწრული და საღებავით დატანილი წარწერები), ძირითადად ბერძნულენოვანი ეთნოსის მემორებზე მიუთითებს. ფიქრობენ, რომ რომაულ ლეგიონებში პროვინცია

კაპადოკიის და ასევე ლაზიკის ზღვისპირა ქალაქების ელინური და ელინიზებული მოსახლეობის წრიდან იყვნენ მობილიზებული ჯარისკაცები (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 47). ასევე „ბარბარიზებული რომაელებით“ ან „რომანიზებული ბარბაროსებით“ კომპლექტებოდა დამხმარე სასაზღვრო ნუმერები (თოდუა, 2003a, გვ. 23-24; Дельбрюк, 1937, გვ. 144).

ყველა მონაცემის გათვალისწინებით გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში, როგორც ლეგიონებში, ასევე განსაკუთრებით დამხმარე კოჰორტებში, მსახურობდნენ ადგილობრივი ქართული მოსახლეობიდან გაწვეული მეომრები, რომლებიც სანაცვლოდ შესაძლოა შემდეგ რომის მოქალაქეობას იღებდნენ. აფსაროსის დამხმარე კოჰორტებში ივარაუდება ადგილობრივი მოსახლეობიდან რეკრუტირებული ჯარისკაცების არსებობა (ნონეშვილი, 1998, გვ. 24-25). თ. თოდუა ფიქრობს, რომ მკვიდრი მოსახლეობა რომაული გარნიზონების შევსების წყარო იყო (თოდუა, 2008, გვ. 42). მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მონაცემები ამასთან დაკავშირებით არ გაგვაჩნია, ვფიქრობთ, რომ ლაზიკის ვასალური სამეფოს მოქალაქეთა რომაულ სამხედრო ნაწილებში სამსახური შესაძლებელი იყო. გარდა ლეგიონალური და დამხმარე შენაერთებისა, რომის არმიაში არსებობდა ეროვნული პრინციპით დაკომპლექტებული მსუბუქად შეიარაღებული დამხმარე ჯარი და კავალერია, ასევე მოკავშირე შენაერთები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი იარაღი, ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა (Дельбрюк, 1937, გვ. 144). საინტერესოა, რომ თ. თოდუა გონიოს განძში შემავალ ნივთებს შორის გამოყოფს ოქროს გარსაკრავს ცხოველთა ბრძოლის სცენით, რომელსაც რომაულ ფალერად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ის ადგილობრივ წარჩინებულებსა და აფსაროსის გარნიზონის სამხედრო ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელია. მისი ვარაუდით, შესაძლოა გონიოელ დიდებულს და მისადმი დამოკიდებულ რაზმს პონტო-კავკასიის თავდაცვითი სისტემის დასავლეთის მონაკვეთის დაცვა ევალებოდათ იბერიისაგან, ან ის რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობდა და სწორედ ამისათვის ებოძა რომაული ჯილდო. ძველი ავტორების ცნობებიც ადასტურებენ, რომ რომაელთა სამხედრო ოპერაციებში ხშირად მონაწილეობდნენ იმპერიისადმი დაქვემდებარებული ქვეყნების საჯარისო შენაერთები (თოდუა, 2008, გვ. 42).

ჩვენი ვარაუდით შესაძლოა სწორედ ასეთი მოკავშირე ან დამხმარე ჯარის ნაწილები იდგნენ ბათუმის ციხესა და ციხისძირში. მიგვაჩნია, რომ ასეთივე

დამხმარე ძალები იღებდნენ მონაწილეობას ფასისის გარნიზონსა და რომაულ ვეტერანებთან ერთად ამ ქალაქის დაცვაში გუთებისაგან 257 წელს. ჩვენის აზრით, ლაზიკის მცხოვრებთათვის რომაულ სამხედრო ნაწილებში სამსახურის მთავარი მიზეზი არა რომის მოქალაქეობის მიღება, არამედ მაღალი ფინანსური ანაზღაურება იყო, თუმცა არც პირველს გამოვრიცხავთ.

რაც შეეხება ეგრისის შიდა რეგიონებში განლაგებულ ციხე-სიმაგრეთა გარნიზონებს, რადგანაც ისინი ლაზიკის სამეფოს ეკუთვნოდა, შესაბამისად დაკომპლექტებული იქნებოდნენ ადგილობრივი სამხედრო ნაწილებით.

ლაზიკის ზღვისპირა სიმაგრეებში კი ივარაუდება შემდეგი სამხედრო ნაწილების ყოფნა: ლეგიონალური კოჰორტა, დამხმარე კოჰორტა – „auxilia“, დამხმარე საგუშაგო რაზმები – „numer“-ი, მოისართა კოჰორტა – „Sagittarius“, საინჟინრო ნაწილი – „Pedites singulares“, არტილერია – „ballistaria“, ნაციონალური დამხმარე მსუბუქად შეიარაღებული კოჰორტა და კავალერია, მოკავშირე ადგილობრივი შენაერთები.

ყველა ნაწილს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი შეიარაღება და აღჭურვილობა ჰქონდა. მაგალითად, ლეგიონერთა შეიარაღება სტანდარტული იყო. მასში შედიოდა მძიმე საჭურველი, რკინის ან ბრინჯაოს მუზარადი ლოყის საცავი ფირფიტებით, ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილი ჯაჭვის პერანგი, მართკუთხა ფარები ცენტრში სქელი ბრინჯაოს უმბონით, „პილუმის“ ტიპის შუბები, ორღესული ფართოტანიანი მახვილი ტყავადაკრული ხის ქარქაშით. არქეოლოგიური გათხრებისას რომაულ ბანაკებში აღმოჩენილია შუბისა და ისრის პირები, რაც ფართოდ იყო გავრცელებული (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 45). არტილერია შეიარაღებული იყო მძიმე ისრებისა და ქვების სატყორცნი იარაღებით – ბალისტები, ონაგრები, კატაპულტები (თოდუა, 2003a, გვ. 21).

§ 2. საომარი იარაღ-საჭურველი რომაულ-ადრებიზანტიური ხანის ეგრისში

ახ. წ. I-VIII საუკუნეების საომარი იარაღ-საჭურველის შესახებ ძირითად წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური მასალა შეიარაღების კონკრეტული საგნების სახით, თუმცა გარკვეული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია წერილობითი წყაროების მეშვეობითაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საომარი იარაღების სხვადასხვა სახეობა ვითარდება. ზოგი მათგანი ძველი ამიერკავკასიური ბრინჯაო-რკინის იარაღების ტრადიციული ფორმების გაგრძელებაა (წითლანაძე, 1973, გვ. 67), სხვებზე შეიმჩნევა ბერძნულ-რომაული (წითლანაძე, 1973, გვ. 70; თოდუა, 1988, გვ. 722) ან ჩრდილო კავკასიური (Воронов, 1971, გვ. 27) გავლენა.

საომარი იარაღი ძირითადად სამარხეულ ინვენტარში გვხვდება. შედარებით ნაკლებია მათი გამოვლენის შემთხვევები უშუალოდ ციხე-სიმაგრეთა არქეოლოგიური კვლევისას. ამის მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ მეომრის აღჭურვილობა ძვირფასი იყო და მას იოლად ვერ ელეოდნენ (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 72; Трапш, 1961, გვ. 277), ხოლო ხშირად მემკვიდრეობით გადასცემდნენ (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 158).

მიუხედავად აღნიშნულისა, ახ. წ. პირველი საუკუნეების დასავლეთ საქართველოში სამარხებში იარაღების ჩატანება სრულიად ჩვეულებრივი ამბავია (ფუთურიძე, 1959, გვ. 78), თუმცა რომაულ სიმაგრეთა სამაროვნებზე იშვიათი გამონაკლისის გარდა ისინი არ გვხვდება (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 115, 158).

საბრძოლო იარაღების კლასიფიკაცია ხდება შეტევითი და თავდაცვითი კატეგორიების მიხედვით. ეგრისის არქეოლოგიურ ძეგლებში ისინი სხვადასხვა თანაფარდობით არიან წარმოდგენილნი.

შეტევითი შეიარაღების სახეობებში განირჩევა ახლო და შორი ბრძოლის იარაღი. ახლო ბრძოლის იარაღებია: შუბი, ხელშუბი, მახვილი, სატყვარი, დანა, ლახტი, ცული. შორი ბრძოლის იარაღებია: მშვილდ-ისარი, შურდული, კატაპულტი, ონაგრები, ბალისტები.

თავდაცვითი შეიარაღების სახეობებია: აბჯარი (ბექთარი, ჯაჭვის პერანგი), მუზარადი, ფარი, წვივსაფარი.

შუბი – შეტევითი შეიარაღების სატყორცნ-საძვერებელი იარაღია, რომელიც შედგება შუბისპირისა და ტარისაგან. შუბისპირი შედგება მასრისაგან და ორღესული საძვერებლისაგან, რომელსაც აქვს წვერი და მხრები – მასრიდან

საკუთრივ პირზე გარდამავალი მონაკვეთი. განიკვეთის მიხედვით შუბისპირი რომბულ-განიკვეთიანია, ანუ ცენტრალურქედიანი და ცენტრალურლილვიანი. იშვიათია ბრტყელი შუბისპირი. შუბისპირის იერს განსაზღვრავს თანაფარდობა მასრასა და პირს შორის, უდიდეს სიგანესა და სიგრძეს შორის. განირჩევა გრძელმასრიანი, გრძელპირიანი და ვიწროპირიანი შუბისპირები (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 117-118; ფირცხალავა, 2005, გვ. 7).

მიაჩნიათ, რომ გვიანანტიკურ ხანაში დასავლეთ საქართველოში ძირითადად ერთი ტიპის შუბისპირებია გავრცელებული (ფუთურიძე, 1959, გვ. 76). ეს არის მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირები, (ტაბ. XXVII, სურ. 2 - 16) რომლებიც უმეტეს შემთხვევაში შეკრულმასრიანია და შედარებით დიდი ზომებით (35-45 სმ.) გამოირჩევიან (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 125), თუმცა განსხვავდებიან ზომებით და მოყვანილობით (ჯაფარიძე, 1999, გვ. 158; ფუთურიძე, 1959, გვ. 76).

მ. ფირცხალავა მომრგვალებულმხრებიანი შუბისპირების პოვნის შემთხვევებს ადასტურებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე – კლდეეთის სამაროვანზე ახ. წ. II საუკუნის სამარხებში (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 125; ფირცხალავა, 2005, გვ. 12; ლომთათიძე, 1957, გვ. 149, ტაბ. XXI, 2 ა-დ, სურ. 29); ფერეთას, გორას და ჩხოროწყუს ახ. წ. I-II საუკუნეების კომპლექსებში (ხარაბაძე, 2003, გვ. 165, ტაბ. I, 1-2); ძეგრის ახ. წ. II საუკუნის სამარხში (ფუთურიძე, 1959, ტაბ. V, 10-11); მოდინახეს ახ. წ. IV საუკუნის სამარხებში (ნადირაძე, 1975, გვ. 59, ტაბ. XX, 1-2); არაგვის ხეობაში ქინვალის, წიფრანისძირისა და ნეძიხის სამაროვნებზე ახ. წ. II-IV საუკუნეებში (ჩიხლაძე, 1999, გვ. 70-71. ტაბ. XX, 352, VI, VII).

მომრგვალებულმხრებიანი და სწორპირისკიდიანი შუბისპირები გვიანანტიკურ ხანაში თანაარსებობენ წაგრძელებულ რომბისებრიანი ნიმუშებთან (ტაბ. XXVII, სურ. 2 - 13, 14, 15, 17) ერთად (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 125). ჩხოროწყუს სამაროვნის 4 შუბისპირიდან ორს რომბული განიკვეთი აქვს და ძალიან გრძელი პირი, რომელიც სამჯერ სჭარბობს მასრას, ხოლო 2 დანარჩენი ფოთლისებრი მოყვანილობისაა (ფუთურიძე, 1959, გვ. 76). ახ. წ. I საუკუნეებით თარიღდება სოფ. ლიას №1 სამარხში (ტაბ. XXVIII, სურ. 2) აღმოჩენილი შუბისპირი, რომელიც მსგავსია კლდეეთის შუბისპირებისა (ჯაფარიძე, 1999, გვ. 158).

მომრგვალებულმხრებიანი (ფოთლისებრი პირით) შუბისპირები გვხვდება

წებელდის კომპლექსებში (ტაბ. XXVIII, სურ. 1 - 2), თუმცა ისინი საუკუნეების მანძილზე გარკვეულ ცვლილებას განიცდიან. IV საუკუნემდე შუბისპირის სივრცევი ქედი წვერომდე აღწევდა, ხოლო IV საუკუნის II ნახევრიდან ქედი აღარ მიდის წვერომდე და პირის კიდეებისაკენ ორი მკვეთრი მობრუნებით ჩამოდის მასრამდე. ეს ნიშანი თანდათან ღრმავდება V საუკუნეში და შუბისპირის შუა ქედი ჭრილში ექვსწახნაგა ფორმას იღებს. VI საუკუნეში პირი უფრო გრძელდება, ხოლო ქედი მასრისაკენ ეშვება. პირი ჭრილში რომბული ფორმის ხდება, ხოლო მასრა კი გარედან წახნაგოვანი. VII საუკუნის შუბისპირთა უმრავლესობას აქვს თანაბარი სიგანის პირი შუა ნაწილში შევიწროვებით. ფოთლისებრი ფორმის პარალელურად VI საუკუნეში და VII საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ გამოიყენება ოთხწახნაგა პირები ბოლოში მინიატურული ფოთლისებრი საჩხვლეტით (წვერით). ხელშუბისპირებად მიჩნეულ შუბისპირებს აქვთ კონუსური ფორმა და სხვადასხვა ზომები. ყურადღებას იპყრობს სხვადასხვა ტიპის შუბისპირის თანაარსებობა ერთსა და იმავე ხანაში. მათ შორისაა საბკერებელი და სატყორცნი შუბები. მ. ფირცხალავა მიუთითებს, რომ რთულია შუბისა და ხელშუბის განსაზღვრა, თუმცა ი. ვორონოვი მათ აფიქსირებს აბაზგია-აფშილეთის II-VII საუკუნეებით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში (სუშკა, მწარა, აჩანდარი, გუდაუთა, კისტრიკი, ხუაპი, კალდახვარა, ხაშუქსე, ლაპსტა, ბარონოვკა, კრასნაია პალიანა). (ფირცხალავა, 2005, გვ. 13; Воронов, 1975, გვ. 91, სურ. 29, 1-12; Воронов, 1979, გვ. 51-56 სურ. 35, 31, 36, 37, 38, 39).

რკინის დაზიანებული მასრიანი შუბისპირი ნაპოვნია ბიჭვინთის №286 სამარხში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 125). ძლიერ დაზიანებული შუბისპირის ნატეხები აღმოჩნდა ციხისძირის აბანოს კომპლექსში (ინაიშვილი, 1974, გვ. 145). სხვადასხვა ზომის შუბისპირები გამოვლინდა სოფ. იღემში არქეოლოგიური დაზვერვის დროს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 70). VI-VII საუკუნეებით დათარიღებული შუბისპირები დადასტურებულია სოხუმის რკინიგზის სადგურთან გათხრილ სამარხებში (Воронов, 1980, გვ. 100, სურ. 28, 10). სოფ. ლიაში აღმოჩნდა გრძელმასრიანი დაბალქედიანი შუბისპირები და სატყვერის მოყვანილობის დიდი ზომის რკინის შუბი (წითლანაძე, 1973, გვ. 67).

არქეოლოგიური მასალა ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში შუბი ძირითადი საბრძოლო იარაღია. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში რამდენიმე შუბი იდება ერთად, განსხვავებით აღმოსავლეთ საქართველოსაგან. (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ.

127), თუმცა იშვიათად გვხვდება ისინი უშუალოდ ციხე-სიმაგრეებში.

მახვილი – შუბთან ერთად იარაღის ერთ-ერთი ძირითადი სახეობაა უშუალო ხელჩართული ბრძოლისას. რკინის მახვილი შედგება პირის, ვადისა და ტარისაგან. მახვილი შეიძლება იყოს ორღესული და ცალპირღესული. თითოეული მათგანი კი არის ტარისთავიანი, ან ყუნწიანი (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 133).

დასავლეთ საქართველოში გვხვდება ე. წ. „ტარგოლიანი მახვილები“ (ტაბ. XXVIII, სურ. 4) სახელი დამკვიდრდა სპეციფიკური ტარის გამო, რომლის თავს რგოლის ფორმა აქვს. ის მზადდება რკინის ან ბრინჯაოს მავთულისაგან და შემდეგ მიემაგრებოდა ტარის ღეროზე, რომელიც სწორი და ბრტყელია ოთხკუთხა განივკვეთითა და ხის გარსაკრავით. ვადა მათ სწორი აქვთ, მხრებს ოღნავ აცილებული. პირი ორღესულია და ვიწროვდება სიგრძის ბოლო მესამედში (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 135-136).

აღნიშნული მახვილები წარმოდგენილია ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხებში: კლდეეთში (ლომთათიძე, 1957, გვ. 131, სურ. 26); ბანძაში (1 ც.); ძვერში (2 ც.); ჩხოროწყუში (2 ც.). რ. ფუთურიძე მათ ახ. წ. II საუკუნით ათარიღებს (ფუთურიძე, 1959, გვ. 75, ტაბ. V). ერთი მახვილი აღმოჩნდა სოფ. ღიაში (ტაბ. XXVIII, სურ. 2) (წითლანაძე, 1973, გვ. 70; ჯაფარიძე, 1999, გვ. 157). ოთხი ასეთი მახვილი ნაპოვნია ჩხარში და სოფ. ხაბუმეში (ჯაფარიძე, 1999, გვ. 157; ხარაბაძე, 2003, გვ. 165); სოფ. ბორში, სოფ. ინაშაურში და სოფ. ზედა გორაში (ხარაბაძე, 2003, გვ. 165, ტაბ. II); ასევე სოფ. ბრილში (ჯაფარიძე, 1999, გვ. 157). ტარგოლიანი მახვილები ფიქსირდება წებელდაში (Воронов, 1975, გვ. 94) და სოხუმის მახლობელ რაიონებში (Воронов, 1980, გვ. 88, სურ. 23, 6). აღმოსავლეთ საქართველოდან ისინი ცნობილია ქინვალის სამაროენიდან (4 ც.). საქართველოს ფარგლებს გარეთ ტარგოლიანი მახვილები გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპაში, ჩინეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, აზერბაიჯანში (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 136; Хазанов, 1971, გვ. 5; Казиев, 1960, გვ. 25. ტაბ. XXXV). ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული იარაღი სარმატულ მახვილადაა აღიარებული, მაგრამ ისინი შედარებით მოკლეა (40-65 სმ.) და თვლიან, რომ ისმარებოდა მხედრების მიერ ჩამოკვეთიებულ ბრძოლაში (ფუთურიძე, 1959, გვ. 75-76; ჯაფარიძე, 1999, გვ. 157-158). საქართველოში კი ძირითადად 60-82 სმ. სიგრძის მახვილებია ნაპოვნი (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 136).

დასავლეთ საქართველოში ასევე გავრცელებული იყო მახვილები, რომლებსაც

აქვთ ტარის დასაგები ღერო, მაგრამ ლითონის ტარისთავის გარეშე. მათ აქვთ სწორი ვადა და ორღესული პირი, რომელიც ვიწროვდება ბოლო მესამედში. ამ ტიპის მახვილები ცნობილია მოდინახეს IV საუკუნის №14 და №22 სამარხებიდან (ტაბ. XXIX, 7) (ბრაგვაძე, ჩიგოგიძე, 2002, სურ. 96, 133); კლდეეთიდან (ლომთათიძე, 1957, გვ. 132, სურ. 26); ჩხოროწყუდან (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 136); წებელდიდან (ტაბ. XXVIII, სურ. 1 - 1) (Воронов, 1975, გვ. 94, სურ. 32, 3-6). ასევე გავრცელებულია ისინი უნგვალში, ზემო ავჭალაში, ბოსფორში და ჩრდილოეთ კავკასიაში (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 136-137).

საინტერესოა, რომ კლდეეთის №3 სამარხის ორღესული მახვილი (87 სმ.) თოდუას რომაული ტიპის კლასიკურ იარაღად მიაჩნია, რომელიც საქართველოში ვერ პოულობს ანალოგიას, მაგრამ მრავლადაა აღმოჩენილი რეინის, დუნაის და ბრიტანეთის ლიმესების ბანაკებში (Robinson, 1975, გვ. 161-167) და დაცულია მაინცისა და კენტის მუზეუმებში (Connolly, 1981, გვ. 232, 261, სურ. 67, 11). ისინი ახ. წ. II-III საუკუნეებით თარიღდება და ვარაუდით კომანდოსთა ტიპის რომანიზებული კოლხი მეომრების, ე. წ. „ეპილექტოსის“ შეიარაღებას წარმოადგენს (თოდუა, 2003, გვ. 88-89, 95). IV-V საუკუნეებში ძირითადად ორღესული მახვილებია გავრცელებული, ხოლო VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ისინი თანდათან იდევენებიან (წებელდის მაგალითით) ცალპირღესული მახვილებით (Воронов, 1975, გვ. 94-95). ფრიად საინტერესოა სოფ. ანუხვის ორღესული მახვილი ტარისთავზე წითელ-ყვითელ ზოლებიანი შავი პასტის ბურთულით; კრასნაია პალიანის მახვილი ტარისთავზე ბროლის ბურთულით და ფერადი მინით ინკრუსტირებული ვადაჯვრიანი მახვილი გავრიდან (Воронов, 1979, გვ. 52-56. სურ. 36, 37, 39).

სატევარი – ახლო ხელჩართული ბრძოლის იარაღია (ტაბ. XXVIII, სურ. 3). ის მახვილის მსგავსად შედგება ტარის, პირის, ვადისაგან და შეიძლება იყოს ორღესული და ცალპირღესული. სატევარი მახვილს სიგრძით ჩამორჩება.

კლდეეთის №4 სამარხში ნაპოვნი სატევარი მოკლეა, საკმაოდ ფართო და წვერისკენ თანდათან შევიწროვებული. აქვს მოკლე და ფართე სატარე. მსგავსი სატევარი ზედ შერჩენილი ხის ქარქაშის ნაშთით აღმოჩნდა ძვერის №34 სამარხში. იქვე ქვევრსამარხში დაფიქსირდა მოკლე სატევარი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისა, ხის ქარქაშის ნაშთითვე (ფუთურიძე, 1959, გვ. 77). IV-VII საუკუნეების სატევრები ცნობილია წებელდიდან (Воронов, 1975, გვ. 94-95; Анчабадзе, 1964, გვ. 217); მოდინახის IV საუკუნის №8, 9, 10, 12, 22, 27, 32 სამარხებიდან (ტაბ. XXIX, 4) (სიგრძით – 22-35 სმ.) (ბრაგვაძე, ჩიგოგიძე, 2002, სურ. 44, 48, 62, 84, 134, 140, 173,

193). მათ შორის ყურადღებას იქცევს №22 სამარხის ერთი რკინის სატევარი, რომელსაც შერჩა ოქროს მოსართავეები ქარქაშისათვის და ოქროს საღტეები წვერსა და ვადაზე (ტაბ. XXIX, 6). არმაზისხევის II-III საუკუნეების სამარხების ანალოგიით აღნიშნული იარაღი ინსიგნიად მიაჩნია მ. ფირცხალავას (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 136). სატევარი მიკვლეულია ასევე სოფ. იღემში (ჯაფარიძე, 1999, გვ. 70).

დანები – გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების რკინის იარაღებს შორის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში დანები სამარხეულ ინვენტარში ორღესულ მახვილთან ერთად გვხვდება, ხოლო წებელდის კულტურაში ის ყველა მცხოვრების აუცილებელი იარაღია (Воронов, 1975, გვ. 95).

რკინის მცირე ზომის (12-13 სმ.) დანები (6 ც.) გვხვდება ბიჭვინთის №37, 48, 64, 74 სამარხებში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 119-124); ჩხოროწყუში (5 ც. – სიგრძე 10-13 სმ.); ბანძაში (სიგრძე 17 სმ.); კლდეეთში (სიგრძე 8 სმ.). ისინი მოხრილი ფორმისაა და სატარე ყუნწზე ნახვრეტები ფიქსირდება. მათ ჰქონდათ ხისა და ძვლის ტარი. გაგრძელებული მოსაზრების თანახმად, დანებს სამეურნეო დანიშნულებასთან ერთად სხვა მიზნითაც იყენებდნენ (ფუთურიძე, 1959, გვ. 77-78).

დანები ნაპოვნია აგრეთვე ლიას სამაროვნის №1, 5, 8, 10 სამარხებში. ისინი დაახლოებით 12-15 სმ. სიგრძისაა, ყუნწიანი, ზოგი მანჯვლის ფრაგმენტით (ჯაფარიძე, 1999, გვ. 155-169). გვხვდება დანები სოხუმის მახლობლად III საუკუნის სამარხებში (Воронов, 1980, გვ. 88, სურ. 23, 8); ანაკოფიაში (Трапш, 1961, გვ. 277, სურ. 13); მოდინახის №10 სამარხში (18 სმ.) (ბრავგაძე, ჩიგოგიძე, 2002, გვ. 94, სურ. 64); აჩანდარში, ლაპსტაში, ბარონოვკაში (Воронов, 1979, გვ. 52-56). ყველაზე მეტი დანა ნაპოვნია წებელდაში, როგორც ციხესიმაგრეში, ასევე სამარხებში. ჩანს, რომ აქაურებისათვის ის შეუცვლელი იარაღია. ისინი სწორზურგიანია და მოხრილი ფორმის. ზომები სხვადასხვაა – 14–დან 26-28 სანტიმეტრამდე. დიდი დანები სატევრადაც შეიძლება ჩაითვალოს. ისინი მზადდებოდა მთლიანი რკინისა და ფოლადისაგან მრავალფენიანი შედუღების ტექნოლოგიით (Воронов, 1983, გვ. 67; Воронов, 1975, გვ. 95, სურ. 32, 10-15; Воронов, Бгажба, 1987, გვ. 120-127, სურ. 8; Бгажба, 1979, გვ. 44-48). აღნიშნული დანების ფორმა საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელი რჩებოდა და თავისი უნივერსალურობის გამო სხვადასხვა დანიშნულებით იხმარებოდა.

ცული – შეტევილი ხელჩართული ბრძოლის კიდევ ერთი იარაღია. ხის ტარზე დაგებული ცული შედგება ყუის, სატარე ხვრელისა და პირისაგან. რკინის

საბრძოლო ცული ადრენტიკურ და ელინისტურ ხანაშია პოპულარული და ძვ. წ. I საუკუნისათვის ქრება (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2003, გვ. 129), მაგრამ როგორც ჩანს, მოგვიანებით ის კვლავ გამოიყენება. ლიას სამაროვნის №1 სამარხის დონიდან 20 სმ. ზევით აღმოჩნდა რკინის ცული (სიგრძე 16,5 სმ, პირის სიგანე 4,5 სმ, ყუისა 3,5 სმ). მის პარალელურად ვ. ჯაფარიძე თვლის კლდეეთის, ურბნისის და მცხეთის ცულებს (ჯაფარიძე, 1999, გვ. 156-160, ტაბ. C XXXVIII, 3).

რკინის ცული (სიგრძე 7 სმ, პირის სიგანე 5,3 სმ, ხვრელის დიამეტრი 1,5 სმ) ოვალური სატარე ნახვრეტით, მოხრილი შუბლით და სწორი პირით, ნაპოვნია ვარდციხის ნაქალაქარზე. ის მიეკუთვნება ე. წ. „წებელდური“ ცულების კატეგორიას. ვ. ჯაფარიძე მიუთითებს რა მსგავსი ცულების აღმოჩენაზე ურეკში, ვანში, ძვერში, გოგნში, ბიჭვინთაში, საუბრობს მათ ფართო გავრცელებაზე დასავლეთ საქართველოში (ჯაფარიძე, 1989, გვ. 106-108, ტაბ. XXX, 1). აღნიშნულ იარაღს ანალოგიები მოეპოვება ცენტრალურ ევროპაში „ფრანცისკების“ სახით. მაინცის მუზეუმის ცულიც არაფრით განსხვავდება წებელდურისაგან. შესაბამისად ვ. ჯაფარიძე გამორიცხავს აღნიშნული ცულების მხოლოდ ერთი რომელიმე კულტურისადმი მიკუთვნებას (ჯაფარიძე, 1999, გვ. 176).

„წებელდური“ ცულები (ტაბ. XXVIII, სურ. 1 - 4) ორი სახეობისაა. პირველისათვის დამახასიათებელია მასიური ფორმა, ფართო პირი, წვრილი ყელი, მომრგვალებული ყუა, მოკლე ტარი. რადგან ცულის დარტყმის ძალა განიზომება ტარის სიგრძით, ამიტომ საომარ ცულებს გრძელი ტარი ჰქონდათ. წებელდური იარაღი V-VII საუკუნეების ფრანკების ცულების მსგავსად სატყორცნი დანიშნულებისაა, ამიტომ მათი ტარიც მოკლეა (30-40 სმ). ისინი IV-VII საუკუნეების სამარხებშია დაფიქსირებული. ასევე ნაპოვნია ცულები სოხუმის ციხესთან გათხრილსამარხებში (Воронов, 1980, გვ. 100, სურ. 28, 8); ლაპსტაში და გაგრაში (Воронов, 1979, გვ. 52-56. სურ. 37). მათი ფორმა უცვლელია. დროთა განმავლობაში ფართოვდება პირი და იხრება ზედა ხაზი.

მეორე ფორმას ახასიათებს ვიწრო პირი და გრძელი ყუა. ისინი ძირითადად V-VII საუკუნეების კომპლექსებშია ნაპოვნი (Воронов, 1975, გვ. 91-94, სურ. 31; Анчабадзе, 1964, გვ. 167).

ლახტი – ახლო ხელჩართული ბრძოლის იარაღია, რომელიც გვიანანტიკურ ხანაში იშვიათად გვხვდება. ნაპოვნია ბრინჯაოს ლახტისთავი კლდეეთის სამაროვანზე. იგი დიდია, მძიმე და ფოთლისებრი მოყვანილობის ხუთი ქიმი აქვს. ქიმებს შორის მოთავსებულია ორ-ორი ბორცვი. ტარზე ჩამოსაგებად იარაღს შუაში

მრგვალი ნახვრეტი აქვს. რ. ფუთურიძე მის ანალოგიად მიიჩნევს სოფ. ღების მთავარანგელოზის ეკლესიის ლახტისთავს, რომელიც ქუთაისის მუზეუმში შემოვიდა 1924 წელს. მასზე სამ წყებადაა განლაგებული 12 ქიმი. ერთი ლახტისთავი არის ბორის მასალაშიც (ფუთურიძე, 1959, გვ. 78, ტაბ. V, სურ. 14).

მშვილდ-ისარი – შორი ბრძოლის იარაღია, რომლის არსებობაზე ძირითადად მიგვანიშნებენ ისრისპირები, რადგანაც მშვილდის ხის საფუძველი და ლარი, რომელიც მსხვილი რქოსანი საქონლის ტყავის ან მყესებისა იყო, დროთა განმავლობაში მიწაში იშლებოდა. მშვილდი შედგება სახელურისა და მხრებისაგან, რომელთა ბოლოებზე ლარის დასაჭიმი ამოღარული ნაჭდეგებია. ხშირად მშვილდს სახელურსა და ბოლოებზე უკეთდებოდა ძვლისა და რქის გარსაკრავები (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2003, გვ. 137). რადგანაც ხის ნაწილები არ შემონახა, ამიტომ მშვილდის ფორმის დადგენა ძალიან ძნელია. ე. წ. „კლასიკური“ მშვილდი დაფიქსირდა წებელდის ერთ-ერთ სამარხში ძვლის გარსაკრავი ფირფიტების ნაშთის მეშვეობით (Воронов, 1975, გვ. 91). ძვლის ფირფიტები აღმოჩნდა ასევე წებელდის ციხის II და III კოშკებში (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 121-123).

ისრისპირები ძირითადად რკინისაა, იშვიათად ბრინჯაოსი. ისინი სხვადასხვა ფორმისაა: სამკუთხა, სამფრთიანი, სამფრთიანი რომბული, ოთხწახნაგა, ორფრთიანი ბრტყელი და სხვა (ტაბ. XXVII, სურ. 1).

კლდეეთის №4 სამარხში აღმოჩნდა ოც ცალამდე ისრისპირი. ისინი სამფრთიანია, მრგვალდერაკიანი და ყუნწიანი. ძვერის №40 სამარხში აღმოჩენილი ისრისპირი კი ბრინჯაოსია და ორფრთიანი (ფუთურიძე, 1959, გვ. 76-77). II-III საუკუნეებით დათარიღებული სამფრთიანი ყუნწიანი ისრისპირები ნაპოვნია ბიჭვინთის №03-8 სამარხში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 140); ვარდციხის ნაქალაქარზე და ჩხარის სამარხში (ჯაფარიძე, 1989, გვ. 108, ტაბ. XXX, 2); წებელდაში (Воронов, 1975, გვ. 91, სურ. 30, 11). სამკუთხა ისრისპირი გამოვლინდა მოდინახეს №22 სამარხში (ტაბ. XXIX, 5) (ბრაგვაძე, ჩიგოგიძე, 2002, გვ. 98, სურ. 136). ანაკოფიის ისრისპირები ყუნწიანია და გამოიყოფა სამი ტიპი: I–ბრტყელი, ჭრილში რომბისებრი ფორმის; II–ოთხწახნაგა; III–ტირიფის ფოთლისებრი (Трапш, 1961, გვ. 277, სურ. 13). სამწახნაგა და ოთხწახნაგა ისრისპირები ნაპოვნია წებელდაშიც (Воронов, 1975, გვ. 91, სურ. 30). მათი თარიღი IV-VII საუკუნეებით განისაზღვრება. VI საუკუნის ისრისპირები გვხვდება ნოქალაქევი (Леквинадзе, Хведелидзе, 1981, გვ. 120-149), VI-VII საუკუნეებისა კი სოხუმის ციხესთან ახლო

მდებარე სამარხებში (Воронов, 1980, გვ. 100, სურ. 28, 12).

კატაპულტა – ქვის ჭურვების სატყორცნი სპეციალური მანქანა, რომელიც რომის არმიაში პოპულარობით სარგებლობდა. მისი ზომები 5 მეტრს აღწევდა და ისროდა ჭურვს 300-350 მეტრამდე. ბიჭვინთაში №18 კოშკის III-IV სუკუნეების ფენაში აღმოჩნდა ბალისტის პერიტრეტის ტიპის ღერძის ნაწილი, რომელიც მთლიანად ბრინჯაოსაგანაა ჩამოსხმული და შედგება ორი ნაწილისაგან. ამგვარ ცილინდრებს ამაგრებდნენ ხის ჩარჩოზე, სადაც იდებოდა ცხოველის კისრის დაგრეხილი ძარღვებისაგან შეკრული ღარის ბრინჯაოს მასრისთავეები – სატყორცნი მანქანის ენერჯის წყარო. ბაგირის დაჭიმვა რეგულირდებოდა სპეციალური ოწინარით, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავდა ქვის ჭურვები. სატყორცნი მანქანები განლაგებული იყო გალავანზე და კოშკზე. ბიჭვინთის ბალისტა დიდი კალიბრის იარაღს წარმოადგენდა (თოდუა, 2003ა, გვ. 140-143; ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84; Кигურაძე, Лордкиპანიძე, Тодუა, 1987, გვ. 91; გამყრელიძე, თოდუა, 2006, გვ. 133-134). დიდი კალიბრის კატაპულტა იდგა წებელდის II კოშკშიც (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 120).

კატაპულტის ჭურვები – სხვადასხვა კალიბრის ქვის სატყორცნი მანქანებისათვის სპეციალურად დამზადებული ან შერჩეული (რიყის ქვები) ბირთვები. ისინი ნაპოვნია ბიჭვინთაში, №18 კოშკში. მათი დიამეტრი 4-6 სმ-ია, ჭურვები ნაქალაქარის სხვა უბნებზეცაა ფიქსირებული. მათი ნაწილი გათლილია, ნაწილი დაუმუშავებელია და რიყის ქვებს წარმოადგენს. დიდი კალიბრის ჭურვები (25-40 კგ.) ასობით არის ნაპოვნი წებელდის II კოშკში და ციხის მთელ ტერიტორიაზე (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 120).

ქვის ჭურვები აღმოჩენილია აფსაროსის ციხის სამხრეთ კარიბჭესთან 1995-2000 წლებში. არტილერიისათვის განკუთვნილი ჭურვები 2 ჯგუფად იყოფა. პირველში ერთიანდება 9,6-11 სმ. დიამეტრისა და 2-3 კგ. წონის ჭურვები და ისინი ბალისტებისა და ონაგრებისათვის იყო განკუთვნილი. მეორე ჯგუფის ჭურვების დიამეტრი 7,5-9,3 სმ-ია, წონა კი 440-1500 გრამი. მათ ძირითადად მცირე ზომის ქვისსატყორცნი მანქანებისთვის იყენებდნენ. ისინი კარგადაა დამუშავებული. მათ შორის არის რიყის მრგვალი ქვებიც. ამ ჯგუფის ჭურვები ციხის სხვა უბნებზეც არის ნაპოვნი (ასლანიშვილი, 2004, გვ. 152-154).

შურდული – გვიანანტიკური ხანის საქართველოში გამოიყენებოდა მარტივი კონსტრუქციის ქვის სასროლი იარაღი. ის წარმოადგენდა ორად მოკეცილ სალტეს ან ბაწარს, რომელსაც შუაში ბრტყელი ნაწილი ჰქონდა ქვის ჩასადებად.

შურდულისათვის ძირითადად მცირე ზომის ქვები იყო განკუთვნილი, რომლებიც 50-370 გრამს იწონიდა, დიამეტრი კი 3-6 სმ იყო. ისინი ნაპოვნია აფსაროსში. ქვები ძირითადად ბუნებრივად მრგვალია, თუმცა არის კვერცხისებური ფორმისაც (ასლანიშვილი, 2004, გვ. 154). საშუალო სიდიდის საშურდულე ქვები დიდი რაოდენობით გვხვდება ბიჭვინთაშიც (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 84).

წებელდაში მთავარი კარიბჭის მახლობლად შურდულის 1300 ჭურვი (დარჩეული რიყის ქვები) იქნა ნაპოვნი. ისინი ასევე აღმოჩნდა II და III კოშკში (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 120, 121, 123). შურდულის ჭურვები ასევე ნაპოვნია ვარდციხის ნაქალაქარზეც (ჯაფარიძე, 1968, გვ.).

აბჯარი – მეომრის თავდაცვითი აღჭურვილობის კატეგორიაა, რომელიც გვიანრომაულ-ადრებიზანტიურ ეპოქაში ორი სახეობითაა წარმოდგენილი – ბექთარი და ჯაჭვის პერანგი.

ბექთარი – ლითონით გამყარებული ჯავშანი, რკინის ან ბრინჯაოს ფირფიტებით დაფარული ტყავის ან ქსოვილის სამოსია. საქართველოში ჯერჯერობით არ არის საჯავშნე ფირფიტების ისეთი კოლექცია, რომელიც წარმოდგენას შექმნიდა ბექთარის კონსტრუქციაზე (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2003, გვ. 142-143). საინტერესოა, რომ XX საუკუნის 50-იან წლებში შაპკის სამაროვანზე ერთ-ერთ გაძარცვულ სამარხში ყოფილა ბრინჯაოს ბექთარი, რომლისგანაც შემორჩა მხოლოდ ერთი მასიური ფირფიტა (Воронов, 1975, გვ. 96). აბჯრის რკინის ფირფიტები აღმოჩნდა წებელდის III კოშკში, II კურტინის მახლობლად (100-ზე მეტი, მათ შორის დიდი ფირფიტები სპარსელთა ცხენის აბჯრისა), ღვინის მარანში, მთავარი კედლის ქვის კიბესთან (100 ცალი) (Воронов, Бгажба, 1987, გვ. 123-126). ჯავშნის ფირფიტები აღმოჩნდა (VI ს.) ნოქალაქევშიც (Леквинадзе, Хведелидзе, 1981, გვ. 120-149).

ჯაჭვის პერანგი – აბჯრის მეორე სახეობაა, რომელიც გავრცელებულია ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან (ჭილაშვილი, 1970, გვ. 30). ჯერჯერობით ნაპოვნია მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები ერთმანეთთან გადაჯაჭვული ბრტყელი რგოლებისა. მაგალითად, კლდეეთში აღმოჩნდა ორი, ხოლო თავიღონში ოთხი ფრაგმენტი ცალკეული ნაწევრების სახით (ფუთურიძე, 1959, გვ. 78). კლდეეთის ჯაჭვის პერანგის ნაწევრები რკინის მცირე, ტოლი და ერთგვარი რგოლებისაგან შედგება (დმ. – 0,8 სმ, სისქე – 0,2 სმ, სიგანე – 0,3 სმ.) და თ. თოდუა მას რომაული „Lorica Hamata“-ს ტიპის ჯაჭვის ჯავშნად მიიჩნევს. პარალელურად დასახელებულია თავიღონში, დედოფლის გორაზე, ჩასენარდში და ნიუსთედში

დაფიქსირებული ნიმუშები (თოდუა, 2003a, გვ. 89-90, ტაბ. VIII, 5). ისინი II-III საუკუნეებით თარიღდება.

ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები აღმოჩენილია აგრეთვე ციხისძირში (ინაიშვილი, 1974, გვ. 145); სოფ. ლიაში (წითლანაძე, 1973, გვ. 67; ჯაფარიძე, 1999, გვ. 152); წებელდაში (II კოშკი, II კურტინასთან, მთავარი კედლის ქვის კიბესთან) (Воронов, Бражна, 1987, გვ. 121-126). აღმოჩენილი მასალები ადასტურებენ, რომ მეომართა აღჭურვილობაში ჯაჭვის პერანგი და ბექთარი I-VII საუკუნეთა მანძილზე გამოიყენება.

მუზარადი – თავდაცვითი შეიარაღების სახეობაა, რომელიც შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება არქეოლოგიურ ძეგლებზე. საქართველოში რომაული ტიპის ნახევარსფერული მუზარადი კახეთში, დედოფლისწყაროში აღმოჩნდა (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 78, 148, ტაბ. XXX, 5; XXIX). რკინის მუზარადის ნაწილი ნაპოვნია ციხისძირში (ინაიშვილი, 1974, გვ. 145), თაგილონში (ფუთურიძე, 1959, გვ. 56, 75) და ნოქალაქევეში (ზაქარაია, კაპანაძე, 1991, გვ. 71).

მუზარადი ქართველი მეომრის თავდაცვითი აღჭურვილობის აუცილებელი ნაწილია. მის აღმოჩენის სიმცირეს განმარტავენ იმ ფაქტით, რომ მათი დიდი ნაწილი ტყავის, ხის ან რაიმე სხვა მასალის იყო (წერილობითი წყაროების მიხედვით) და მიწაში არ შემონახა (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2005, გვ. 148).

კოჭსაფარი – მეომრის ჯავშნის შემადგენელი ლითონის ფირფიტაა, რომელიც ფეხის ქვედა ნაწილს იფარავს. საქართველოს გვიანანტიკურ-ადრე შუასაუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯერჯერობით მხოლოდ მოდინახეს სამაროვნის №22 სამარხშია წარმოდგენილი (ტაბ. XXIX, 1). ის დამზადებულია ვერცხლის ნახევარსფერული ფირფიტისაგან, რომელზეც თანაბარი მანძილით დაშორებული სამი ჭრილია. მათში გაყრილია ერთმანეთთან მანჭვლით შეერთებული ყუნწები (ბრაგვაძე, ჩიგოვიძე, 2002, გვ. 98, სურ. 132). იგი ძვირფასი მოსართავეებით შემკულ სატევართან, რკინის მახვილთან, რკინის სატევართან, ისრისწვერებთან, ძვირფას სამკაულებთან, ოქროს მონეტებთან და ვერცხლის ჭურჭელთან ერთად სამარხეული ინვენტარის ნაწილია და როგორც ჩანს, წარჩინებული მეომრის კუთვნილება იყო და მხოლოდ რჩეულთა აღჭურვილობაში შედიოდა.

ფარი – მეომრის თავდაცვის ერთ-ერთი ძირითადი იარაღია, რომლის აღმოჩენის შემთხვევებიც საკმაოდ იშვიათია. რიგითი მეომრის ფარები მეტწილად ტყავადაკრული ხისა ან ტოტებისაგან დაწნული იყო და მიწაში არ შემონახა.

გავრცელებული იყო ლითონის (რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის) საფარიანი ნიმუშები. მათ შორის განირჩეოდა მთლიანად ლითონის ფურცლით დაფარული, ლითონის სარტყლებით მოჭედილი და ლითონის უმბონებიანი ფარები. ფარის ფორმა ყოველთვის არ ისაზღვრება ცუდად შემონახულობის გამო, მაგრამ წარმოდგენის შექმნა შესაძლებელია წერილობითი წყაროებისა და გამოსახულებების მეშვეობით. გვხვდება ოვალური, მრგვალი და ოთხკუთხა ფარები. ოვალურ ფარებს რომაელი ცხენოსნები, ხოლო ოთხკუთხა ფარს ქვეითები ატარებდნენ. „Scutum“-ის ტიპის ფარი ნახევრადცილინდრული ფორმისაა, ცენტრში ბრინჯაოს ან რკინის უმბონით დაფარული და 7 კგ.-ს იწონიდა. იგი ახ. წ. III საუკუნემდე დომინირებდა რომაულ არმიაში (გამყრელიძე, ფირცხალავა, ყიფიანი, 2003, გვ. 76, ტაბ. V, სურ. 2; იქვე, გვ. 144; გამყრელიძე, თოდუა, 2006, გვ. 135).

ფარის ბრინჯაოს უმბონი აღმოჩენილია ბიჭვინთის №70 სამარხში (ლორთქიფანიძე, 1991, გვ. 123). რკინის მაღალი, კონუსური ფორმის უმბონი დაფიქსირდა მოდინახეს (IV ს.) №10 სამარხში (ტაბ. XXIX, 2) (ბრაგვაძე, ჩიგოგიძე, 2002, გვ. 94, სურ. 60). რკინის უმბონები ნაპოვნია სოსუმშიც (Воронов, 1980, გვ. 100, სურ. 28, 13), ხოლო წებელდაში და კრასნაია პალიანაში რკინის უმბონებთან (ტაბ. XXVIII, სურ. 1 - 5) ერთად გვხვდება მოოქროვილი ცალიც (Анчабадзе, 1964, გვ. 217, სურ. XVII, 5; Воронов, 1979, გვ. 52-56).

წებელდური ფარები მზადდებოდა ხისაგან, ზედაპირი იფარებოდა ტყავით. სწორკუთხა ფარი ნაპოვნია VI-VII საუკუნეთა მიჯნის კომპლექსში. მისი კუთხეები გამაგრებული იყო რკინის სამაგრებით, ხოლო გვერდები რკინის გარსაკრავით. ექვსკუთხა ფორმა სავარაუდოდ ჰქონდა ფარს მოოქროვილი უმბონით. დანარჩენი ფარები ოვალური ფორმისაა (დმ. – 0,7 მ.). ფარს შიგნიდან ცენტრში ჰქონდა რკინით დაფარული ხის სახელური, რომელიც ლურსმნებით იყო დამაგრებული უმბონზე (Воронов, 1975, გვ. 95, სურ. 33).

ძირითადი დასკვნები:

1. საქართველო მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული რეგიონია, რომელიც მუდმივად წარმოადგენდა საომარ არენას იმპერიული მიზნების მქონე ერებისა თუ მომთაბარე ტომებისათვის. შესაბამისად, თავდაცვითი ნაგებობები ჩვენში მუდამ იგებოდა, მაგრამ სასიმაგრო სისტემას ორგანიზებული სახე მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ მიეცა, რომელსაც ექვემდებარებოდა ყველა ციხე-სიმაგრე.

ეგრის-ლაზიკაში არსებობდა: ციხე-ქალაქი, ციხე-სიმაგრე, ბუნებრივი სიმაგრე, გამაგრებული ბანაკები, რომლებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ფუნქციით, ფორმებით, ზომებით. ქვეყნის თავდაცვით სტრატეგიაში ძირითად საყრდენ პუნქტებს ციხე-ქალაქები (პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები) წარმოადგენდნენ, რომლებიც შედგებოდა შიდა-ციხის (ციტადელის), გალავნისა და კოშკებისაგან.

ციხეს სამგვარი დანიშნულები ჰქონდა: დასაცავი, საგუშაგო და ხალხის სახიზარი. ციხეები იგებოდა ციხე-ქალაქთა გარშემო და ქმნიდა თავდაცვის ერთიან ჯაჭვს, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების დაცვას. იგივე ფუნქცია ჰქონდა ხელოვნურსა თუ ბუნებრივ სიმაგრეს. თავდაცვისა და სამხედრო ნაწილების კონცენტრაციისათვის, შესაბამისი სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად, ეწყობოდა გამაგრებული სამხედრო ბანაკებიც.

სასიმაგრო ნაგებობებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტრატეგიული ადგილების - მთა, მდინარეთა შესაყარი, კონცხი, ხრამებითა და ციცაბოთი დაცული ფართობის შერჩევას. ასევე აუცილებელი იყო იმ ეპოქაში არსებული თავდაცვითი თუ შეტევითი იარაღების, სიგნალიზაციის საშუალებების, სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიის გათვალისწინება.

ვფიქრობთ, რომ ეგრისის სამეფო კავკასიის რეგიონში საკუთარი და საერთაშორისო ინტერესების მიხედვით, კერძოდ რომის (ბიზანტიის) იმპერიის დიდი სტრატეგიიდან გამომდინარე, ქმნიდა თავდაცვის სისტემას თავისი სტრატეგიის განსახორციელებლად შესაბამისი ტაქტიკის გათვალისწინებით. ეგრის-ლაზიკა „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის საწინააღმდეგო ტიხრი“-ა. ეს მისი საერთაშორისო ფუნქცია და ვალდებულებაა, რაც მთლიანად ემთხვევა ქვეყნის ინტერესებს: ა) გარეშე მტრების შემოსევებისაგან სახელმწიფოს დაცვა; ბ)

შიდა პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა; გ) ადგილობრივი და საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზების უსაფრთხოება.

დღეისათვის ეგრის-ლაზეთის სამეფოს თავდაცვითი სისტემა შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1) ზღვისპირა სასიმაგრო ხაზი; 2) რიონ-ყვირილას სასიმაგრო ხაზი; 3) მთისწინა ზოლის სასიმაგრო ხაზი.

2. უცხოური წყაროების მიხედვით კოლხეთში ახ. წ. II საუკუნის 30-იან წლებში არსებობდა ოთხი სამეფო: ლაზეთის, აფსილეთის, აბაზგების და სანიგების. მათ შორის ლაზიკა მოგვევლინა ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრედ.

დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ახ. წ. 63 წელს იმპერატორმა ნერონმა გააუქმა აღმოსავლეთში არსებული ბუფერული სახელმწიფოები. ამ დროს შევიდა იმპერიის ფარგლებში ისტორიული კოლხეთი, რომელზეც პოლიტიკურ გავლენა პონტოს სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა.

თუმცა ასევე ფიქრობენ, რომ პონტოს სამეფო მხოლოდ დასავლეთ კოლხეთს ფლობდა, რომელიც შევიდა რომის პროვინციის შემადგენლობაში (გ. გამყრელიძე).

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ რომმა პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ შეიერთა მისი ნაწილი პროვინციის სახით, მაგრამ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე რომაელთა ინტერესების შესაბამისად შეიქმნა ახალი ბუფერული სამეფოები, რომელთა მიწაზე განლაგდა რომაული გარნიზონები, რაც ალბათ იყო კიდევ პირობა რომის მიერ ამ პატარა სახელმწიფოთა ცნობისა.

ფიქრობენ, რომ რომის მიზანი იყო ქართველთაგან რომის სიუზერენობის ცნობა, მცირე ხარკის გაღება, სამხედრო ვალდებულება და იმპერიის დაცვა ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეებისაგან. სწორედ ამან განაპირობა ადგილობრივ მმართველებთან შეთანხმებით მათ ციხე-ქალაქებში რომაული სამხედრო ნაწილების ჩადგომა, რომელთა ურთიერთობა ლაზიკის სამეფოსთან მშვიდობიან ხასიათს ატარებდა (ს. ყაუხჩიშვილი, ნ. კეჭაღმაძე).

დასავლეთ საქართველოს სამეფოების რომის პროვინციად გადაქცევა მოითხოვდა აქ საჯარისო ნაწილების განლაგებას არა მარტო ზღვის პირას, არამედ ქვეყნის სიღრმეში, რაც არც წერილობითი და არც არქეოლოგიური მონაცემებით არ დასტურდება. ასევე რომაელთა სამხედრო ადმინისტრაციასთან ერთად აუცილებლად გამოჩნდებოდა სამოქალაქო მმართველობის ადმინისტრაციაც, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ. აქ მხოლოდ მეფეები ჩანან, რომელთაც საკუთარი ადმინისტრაციული მმართველობა და მართლმსაჯულება უნდა ჰქონოდათ.

ცნობილია, რომ ახ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან რომი აღმოსავლეთის სასაზღვრო ზოლს აწესრიგებს სამი ძირითადი პრინციპით: 1. სამხედრო უშიშროება, 2. საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, 3. ადმინისტრაციული მართვისა და მართლმსაჯულების შემოღება. ჩვენი აზრით, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე არ შეიძლება ბოლო ორი პრინციპის დასავლეთ საქართველოსადმი მისადაგება, რადგანაც მას ვერ წარმოვიდგენთ უშუალოდ იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის ფარგლებში.

ქართველი მკვლევარები საერთოდ ახ. წ. I-IV საუკუნეებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში ვერ ხედავენ რომანიზაციის ნიშნებს, შერეული ეთნიკური ჯგუფების წარმოქმნას, რომაული ხელოსნური ნაწარმისა და მონეტების მასიურ გავრცელებას. შესაბამისად ფიქრობენ, რომ რომაული კულტურის გავლენა საკმაოდ ზედაპირული იყო და მას ქვეყნის სიღრმეში არ შეუღწევია. აქ არც რომაული სამართლებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები დანერგილა. ნათელია, რომ ეგრის-ლაზეთი, რომის ვასალური სამეფოა და არა პროვინცია. ჩვენი აზრით, ეს უნდა ვივარაუდოთ ნერონის დროიდან, კერძოდ ახ. წ. 63 წლიდან.

საყურადღებოა, რომ კლავდიოს პტოლემეაიოსი კოლხეთის მოსაზღვრედ კაპადოკიის პონტოს აცხადებს სამხრეთ მეზობლად, ხოლო არიანეს მიხედვით ლაზებსა და კაპადოკიის პონტოს შორის კიდევ სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული არსებობს, რაც ნიშანდობლივ მიუთითებს იმაზე, რომ კაპადოკიის პონტოს ტერიტორია ქ. ტრაპეზუნტის სანახებს დიდად არ უნდა გასცილებოდა. ნიშანდობლივია ასევე, რომ ეგრის-ლაზიკის სამეფო თავისი ძლიერების ხანაში ფლობს ზიდრიტების, მაკრონ-ჰენიოხების და ჭანების ტერიტორიას. ვფიქრობთ, რომ ძნელი წარმოსადგენია, თუნდაც კრიზისში მყოფი რომის იმპერიის მიერ თავისივე ვასალური სამეფოსათვის საკუთარი პროვინციის ნაწილის დათმობა.

3. ძვ. წ. I საუკუნეში მცირე აზია და კავკასია რომაელთა ინტერესების სფეროდ გამოცხადდა და დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა მისი დაუფლებისათვის. ამიერიდან რომი ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში თანმიმდევრულად ახორციელებს სამხედრო ექსპანსიას და ცდილობს ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში მყარად დამკვიდრებას. შესაბამისად, კოლხეთი და იბერია აღმოჩნდნენ რომის პოლიტიკურ ინტერესთა ორბიტაში.

რომაელებს კავკასიაში ძირითადად იზიდავდა ეკონომიკურ-სტრატეგიული

გამორჩენა: ახალი ქვეყნების თავისი გავლენის სფეროში მოქცევა; ადგილობრივი ფრიად მდიდარი ეკონომიკური რესურსები; ახალი სავაჭრო გზებისა და საქონლის გასასაღებელი ბაზრების ხელში ჩაგდება. კავკასიაზე გამავალი „აბრეშუმის გზის“ მაგისტრალები განსაკუთრებით აქტუალური ხდება პართიის მიერ სამხრეთის გზების დაუფლების შემდეგ. კოლხეთის უღელტეხილების მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაში გამავალი მაგისტრალით რომი ინარჩუნებდა სავაჭრო კავშირურთიერთობას აღმოსავლეთთან. შავიზღვისპირას გამავალი კიდევ ერთი გზა რომს აკავშირებდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან. საერთაშორისო ვაჭრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომისათვის. სწორედ რომის მსოფლიო სახელმწიფოს შექმნის დროიდან იწყება საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გააქტიურება და აღმავლობა.

კოლხეთსა და იბერიაზე გამავალ ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ გზებს ასევე ჰქონდათ სამხედრო-სტრატეგიული ბარიერის მნიშვნელობა. მათი საიმედოდ დაცვის შემთხვევაში სამხრეთისაკენ გზა მოჭრილი ჰქონდათ მომთაბარე ტომებს. მხოლოდ ამ გადასასვლელი გზებისა და უღელტეხილების მფლობელს შეეძლო თავისი ინტერესების შესაბამისად გამოეყენებინა მომთაბარე ნომადები, როგორც სამხედრო მოკავშირეებად, ასევე მტრის ტერიტორიათა დასარბევად.

4. რომაული გარნიზონებისა და გამაგრებული პუნქტების საქართველოში გამოჩენის თარიღების, მათი ფუნქციის განსაზღვრის და მოქმედების ვადების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა:

ა) რომაული თავდაცვითი სისტემის საფუძვლის ჩაყრა კოლხეთში ხდება იმპერატორ ვესპასიანეს დროს (70-79 წწ.), როდესაც წარმოიქმნა ე. წ. „პონტოს ლიმესი“ (ვ. ლექვინაძე); ბ) რომაული გარნიზონები კოლხეთში ჩადგნენ იმპერატორ ავგუსტუსის დროს, ხოლო „პონტოს ლიმესის“ არსებობა საეჭვოა (ნ. ლომოური); გ) შავიზღვისპირეთის რომაულ ციხესიმაგრეთა ჯაჭვი „კავკასიის საზღვარს“ წარმოადგენს (შპაიდელი); დ) აღმ. შავიზღვისპირეთში რომაული ციხე-სიმაგრეები ნერონის იმპერატორობის დროს (ახ. წ. 57-66 წლებს შორის) განლაგდნენ და ამ ზონას „პონტო-კავკასიის საზღვარი“ ეწოდება (თ თოდუა).

რომაული საფორტიფიკაციო სისტემის სტატუსის განსაზღვრისათვის საჭიროა გაირკვეს, რა მნიშვნელობა აქვს კავკასიას რომის იმპერიისათვის. ახ. წ. II საუკუნის დასაწყისიდან რომი მცირე აზიასა და კავკასიაში საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის ეფექტურ დიპლომატიას ირჩევს, რაც მოკავშირე ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობების დამყარება-

განმტკიცებაში გამოიხატა. ასევე ხდება საზღვართა დაცვის გასაუმჯობესებლად ახალი სიმაგრეების მშენებლობა საზღვრების პერიმეტრსა და მათ გარეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში. ისინი წარმოადგენდნენ სამხედრო ბაზებს, რომლებსაც საჭიროების შემთხვევაში ექნებოდათ ვასალური და მეგობრული სამეფოების შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა.

სწორედ ასეთი ტიპის სამხედრო ბაზებია რომაული კასტელუმები კოლხეთის სანაპიროზე, დარიალის ხეობაში და ალბანეთში („კასპიის კარები“) ახ. წ. I-III საუკუნეებში. ძნელი წარმოსადგენია, რომ დარიალსა და „კასპიის კარებთან“ მყოფი რომაული გარნიზონები აღმოსავლეთის საზღვრის რომელიმე მონაკვეთის, შემადგენელი ნაწილებია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში განლაგებული რომაული გარნიზონები არ წარმოადგენდნენ არც „პონტოს ლიმესს“, არც „კავკასიის საზღვარს“, არც „პონტო-კავკასიის საზღვარს“, თუ მის რომელიმე ნაწილს. ისინი აღმოსავლეთის საზღვრის ჩრდილოეთით ვასალურ სამეფოებში მდებარე ფორპოსტებია, რომლებიც იცავენ იმპერიის პროვინციებს ჩრდილოეთიდან, აწესრიგებენ ვაჭრობასა და ზღვაოსნობას შავი ზღვის სანაპიროზე და განახორციელებენ რომის იმპერიის გეოსტრატეგიულ ინტერესებს კავკასიაში.

5. ახ. წ. I-III საუკუნეებში შავი ზღვის სანაპიროზე რომაული ციხე-სიმაგრეების გარნიზონები არ იყო ერთგვაროვანი. მკვლევარები საუბრობენ ლეგიონალურ ნაწილებზე, სასაზღვრო ნუმერებსა და დამხმარე შენაერთებზე (კოჰორტებზე). ვფიქრობთ, რომ ასეთი სხვაობა კოლხეთის სანაპიროს თავდაცვის ხაზისა და რომის იმპერიის სხვა საზღვრების (რეინზე, დუნაიზე, ჩრდ. აფრიკასა და ინგლისში) დამცველი ჯარების რაოდენობის, შემადგენლობის, ფუნქციის თვალსაზრისით განპირობებული იყო განსხვავებული ამოცანებით.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადასტურებულად ითვლება მხოლოდ XV ლეგიონის (როლის ბაზა სატალაში იყო) სამშენებლო საქმიანობა პიტიუნტში (დამლიანი აგურები) და ივარაუდება ფასისსა და ციხისძირში. ასევე ივარაუდება მისი ქვედანაყოფების ყოფნა ზოგიერთ ციხე-სიმაგრეში.

XII ლეგიონის მოღვაწეობა აქ არქეოლოგიური მასალით არ მტკიცდება. საერთოდ ძნელი სავარაუდოა ეგრისში ამ ლეგიონის ნაწილთა არსებობა, რადგან მისი ძირითადი ბაზა მედიტენაში მდებარეობდა და უფრო სომხეთ-იბერია-ალბანეთის მიმართულებით მოქმედებდა.

თუ პიტიუნტში, სებასტოპოლისში, ფასისსა და აფსაროსში ლეგიონალური

კოჰორტები იდგა, მაშინ ისინი წარმოადგენდნენ კაპადოკიის ლეგიონალური ძალის თითქმის ერთ მეოთხედს, ხოლო სატალას სამხედრო ძალა მხოლოდ ნახევარი ლეგიონით განისაზღვრება, რაც ფრიად უცნაურად მიგვაჩნია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ლაზიკის სიმაგრეებში დამხმარე ჯარის ნაკრები ნაწილები იდგა, რომელთა შორის სპეციფიკური (თავდაცვითი) მიზნებიდან გამომდინარე არტილერიის დანაყოფებიც იყო. ეგრისის გარნიზონების დამხმარე კოჰორტები შესაძლოა XV ლეგიონზე იყვნენ მიწერილნი და მათივე არტილერიით სარგებლობდნენ. შპაიდელი ფასისთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ასეთ ვითარებაში ყველა ტიპის ნაწილს დასჭირდებოდა არტილერია. არტილერიასთან ერთად ეგრისის რომაულ გარნიზონებს ემსახურებოდა ალბათ XV ლეგიონის საინჟინრო ნაწილებიც.

რომაული გარნიზონების ეთნიკურ და სოციალურ შემადგენლობასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ლეგიონებში წელთაღრიცხვათა მიჯნაზე მასობრივად დაიწვეს ჩარიცხვა რომანიზებული ბარბაროსებისა, რომელთაც შემდეგ რომის მოქალაქეობას აძლევდნენ. გალიის, რეინის და აღმოსავლეთის არმიები და დამხმარე სასაზღვრო ნუმერები „ბარბარიზებული რომაელებით,“ ან ადგილობრივი ტომების მცხოვრებთაგან, ე. წ. „რომანიზებული ბარბაროსებით“ კომპლექტებოდა.

პიტიუნტში აღმოჩენილი ბერძნულენოვანი გრაფიტო-დიპინტების მიხედვით ფიქრობენ, რომ რომაულ ლეგიონებში კაპადოკია-ლაზიკის ზღვისპირა ქალაქების ელინური და ელინიზებული მოსახლეობის წრიდან იყვნენ მობილიზებული ჯარისკაცები, რომლებიც შემდეგ რომის მოქალაქეობას იღებდნენ. ვფიქრობთ, რომ ლაზიკის ვასალური სამეფოს მოქალაქეთა რომაულ სამხედრო ნაწილებში სამსახური შესაძლებელი იყო. რომის არმიაში აგრეთვე არსებობდა ეროვნული პრინციპით დაკომპლექტებული მსუბუქად შეიარაღებული დამხმარე ჯარი და კავალერია, ასევე მოკავშირე შენაერთები, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი იარაღი, ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა. შესაძლოა სწორედ ასეთი მოკავშირე ან დამხმარე ჯარის ნაწილები იდგნენ ბათუმის ციხესა და ციხისძირში. მიგვაჩნია, რომ ასეთივე დამხმარე ძალები იღებდნენ მონაწილეობას ფასისის გარნიზონსა და რომაელ ვეტერანებთან ერთად ამ ქალაქის დაცვაში გუთებისაგან. ჩვენის აზრით, ლაზიკის მცხოვრებთათვის რომაულ სამხედრო ნაწილებში სამსახურის მთავარი მიზეზი არა რომის მოქალაქეობის მიღება, არამედ მაღალი ფინანსური ანაზღაურება იყო, თუმცა არც პირველს გამოვრიცხავთ.

რაც შეეხება ეგრისის შიდა რეგიონებში განლაგებულ ციხე-სიმაგრეთა გარნიზონებს, რადგანაც ისინი ლაზიკის სამეფოს ეკუთვნოდა, შესაბამისად დაკომპლექტებული იქნებოდნენ ადგილობრივი სამხედრო ნაწილებით.

ლაზიკის ზღვისპირა სიმაგრეებში კი ივარაუდება შემდეგი სამხედრო ნაწილების ყოფნა: ლეგიონალური კოჰორტა, დამხმარე კოჰორტა – „auxilia“, დამხმარე საგუშაგო რაზმები – „numer“-ი, მოისართა კოჰორტა – „Sagittarius“, საინჟინრო ნაწილი – „Pedites singulares“, არტილერია – „ballistaria“, ნაციონალური დამხმარე მსუბუქად შეიარაღებული კოჰორტა და კავალერია, მოკავშირე ადგილობრივი შენაერთები.

6. ახ. წ. I საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა სამხედრო ნაწილები რომის იმპერიის გეოსტრატეგიული ინტერესების შესაბამისად იმდროინდელი სამხედრო სტრატეგიის, ტაქტიკისა და სამშენებლო ტექნოლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით ქმნიან საფორტიფიკაციო ნაგებობებს. სავარაუდოდ შესაძლებელია რომისა და ლაზეთის სამეფოს შორის სათანადო შეთანხმების არსებობა, რაც წარმართავდა მათ ურთიერთობას ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ შეთანხმებას სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო ხასიათი უნდა ჰქონოდა და ეფუძნებოდა ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებს.

რომის იმპერიის ინტერესი კავკასიაში თავისი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელება და დაცვა იყო. ლაზეთის ახლადშექმნილი სამეფოს ხელისუფლების ძირითად საზრუნავს კი საკუთარი ტერიტორიის დასაცავად შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება წარმოადგენდა, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს გეოსტრატეგიული ინტერესების უზრუნველყოფა. მთავარი ინტერესი კი მდგომარეობდა ქვეყნის გაძლიერებასა და ტერიტორიის გაფართოებაში ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით. ლაზები ხომ თავს ძველი კოლხების მემკვიდრეებად თვლიდნენ. შესაბამისად ლაზთა პოლიტიკური მმართველების მისწრაფება ისტორიული კოლხეთის ფარგლებში სრული ჰეგემონობის მოპოვება და ძველი საზღვრების აღდგენა იყო.

ვფიქრობთ, რომ ეგრის-ლაზეთის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ. წ. I-III საუკუნეებში ჩამოყალიბების სტადიაშია და რომის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობით ვითარდება, მაგრამ ქვეყნის გაძლიერების კვლდაკვალ თანდათანობით დამოუკიდებელ ხასიათს იღებს და აპირობებს თავის როლს რომისა და პართია-ირანის გეოსტრატეგიული ინტერესების სფეროში.

I-III საუკუნეებში ეგრის-ლაზეთის თავდაცვის სისტემა შემდეგ სახეს იღებს: I-ზღვისპირა ციხესიმაგრეები: აფსაროსი, ბათუმის ციხე, ციხისძირი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი. ამ ხაზის ჩამოყალიბება იწყება ახ. წ. I საუკუნეში, ხოლო აყვავების ხანაა II-III საუკუნეები. ციხესიმაგრეთა ძირითადი ტიპი ამ დროს კასტელაა. II – ეგრის-ლაზიკის შიდა ქალაქები და სოფლები, რომლებიც ძირითადად უცხოური წერილობითი წყაროებითაა ცნობილი და სამწუხაროდ, ჯერჯერობით მხოლოდ მათი ნაწილის სავარაუდო ლოკალიზაცია შესაძლებელია: მაღია, ძადრისი, სარაკე (შორაპანი), სურიონი, მეხლესოსი (მოხირისი?), აია-კვტაისი-ბარბაროსული ქალაქი საიდანაც იყო მედეა.

7. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თანდათან იცვლება ვითარება. ძლიერდება ეგრის-ლაზიკის სამეფო. აფხაზეთიდან ჭანეთამდე ფართოვდება მისი საზღვრები. რომაული გარნიზონები თანდათან ტოვებენ შავი ზღვის კოლხურ სანაპიროს და მისი დაცვა ამიერიდან ეგრისის სამეფოს ეკისრება, რომელიც რჩება ბიზანტიისადმი ვასალურ დამოკიდებულებაში (ნ. ლომოური). თუმცა არ გამოირიცხავენ, რომ V საუკუნეში პიტიუნტსა და სებასტოპოლისში ბიზანტიელთა მცირერიცხოვანი გარნიზონები მდგარიყო (თ. თოდუა).

IV საუკუნის ბოლოდან VI საუკუნის 20-იან წლებამდე ზღვისპირა თავდაცვითი ხაზის სიმაგრეები ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ინტერესების შესაბამისად ვითარდება. არსებობს მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოდან რომაელთა წასვლის შემდეგ ზღვისპირა ციხე-ქალაქები კარგავენ სტრატეგიულ დანიშნულებას და იწყება მათი დაკნინების ხანა. ამის მიზეზად თვლიან ლაზიკის მმართველი წრეების საზღვაო კომუნიკაციებით ნაკლებად დაინტერესებას (ე. კახიძე, მ. ხალვაში, ნ. ბერძენიშვილი). მაგრამ ეს მოსაზრება უნდა გადაისინჯოს, რადგან აღნიშნულ ხანაში საქალაქო ცხოვრება აქ ინტენსიურად მიმდინარეობს და ეგრისის ზღვისპირა ქალაქები განვითარებულ სახელოსნო და სავაჭრო ცენტრებს წარმოადგენენ (თ. თოდუა, ნ. ლომოური, რ. რამიშვილი).

ვფიქრობთ, რომ ქვეყანა, რომელსაც აქვს შავი ზღვის პირას სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები, აწარმოებს ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს მეზობელ ქვეყნებთან, რომლის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები და რომლის მოვალეობასაც წარმოადგენს რომის იმპერიის აღმოსავლეთი პროვინციების დაცვა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან, არ და ვერ დატოვებდა უქურადღებოდ ზღვისპირა ციხე-ქალაქებს. სხვა საქმეა, რომ შეიძლება თუნდაც თავისი

ინტერესებიდან გამომდინარე ეგრისი თანაბარ ყურადღებას არ აქცევს ყველა სიმაგრეს, მაგრამ მთლიანობაში ზღვისპირა თავდაცვის ხაზი IV-V საუკუნეებში მოქმედია და თავის ფუნქციას ასრულებს.

ზღვისპირა ციხე-სიმაგრეთა ჯაჭვი აქტიურად გამოიყენება VI საუკუნეში ირან-ბიზანტიის ომების დროს. პეტრა და ფაზისი საერთოდ საკვანძო პუნქტები ხდებიან ბიზანტია-ლაზეთის თავდაცვითი სტრატეგიისა. ფაზისი საერთოდ დაუძლეველი აღმოჩნდა ირანელთათვის. VI საუკუნის ბოლოდან და VII საუკუნეში ზღვისპირა სიმაგრეები ბიზანტიის ეგრისში ბატონობის საყრდენი პუნქტები ხდება და ქვეყნის შინაგანი სტრუქტურის მოშლის და მეფობის ინსტიტუტის გაუქმების პირობებში ისინი კარგავენ თავის ფუნქციას ეგრისის თავდაცვით სისტემაში.

ზღვისპირა თავდაცვის ხაზი IV-VIII საუკუნეებში შემდეგი სახით წარმოგვიდგება: აფსაროსი, ბათუმის ციხე, ციხისძირი – პეტრა, ფასისი, სებასტოპოლისი, ანაკოფია, პიტიუნტი.

8. ეგრისის შიდა რეგიონებში ციხე-ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების წარმოქმნა III-IV საუკუნეებში იწყება და განპირობებულია ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ინტერესებით და თანხედება მისი გაძლიერება-გაერთიანების პროცესს, რომელიც IV საუკუნის მიწურულისათვის სრულდება. სწორედ ამ დროს ხდება რიონ-ყვირილას თავდაცვის ხაზის წარმოქმნა, რომლის მიზანია აქ გამავალი საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დაცვა, რიონ-ყვირილას აუზის მდინარეთა ხეობების კონტროლი, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების უშიშროებისა და ქვეყნის შიდა რეგიონებში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

რიონ-ყვირილას თავდაცვის ხაზზე ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემის ერთიანი გეგმის შესაბამისად იქმნება: ციხე-ქალაქები, რომლებიც იცავენ სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციულ ცენტრებს; ციხე-სიმაგრეები, რომლებიც იფარავენ და აკონტროლებენ ხეობებს; გამაგრებული ბანაკები, რომლებიც წარმოიქმნება გარკვეული სტრატეგიული საჭიროების შესაბამისად და ფუნქციონირებენ დროებით ან მუდმივად. ამ ხაზზე განლაგებულია შემდეგი პუნქტები: ნესოსი, ტელეფისი, მთისძირი, როდოპოლისი, შორაპანი და სკანდა.

9. ეგრის-ლაზიკის თავდაცვის სისტემაში მთისწინა ზოლის თავდაცვის ხაზს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ციხე-ქალაქები და ციხე-სიმაგრეები თავდაცვის უწყვეტ ჯაჭვს ქმნიან წებელდიდან სკანდამდე. სიმაგრეთა განლაგება მოხდა ქვეყნის მთავარი გზების გათვალისწინებით და ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკური

ცენტრების გარშემო. მთისწინა ზოლისადმი ეგრისის სამეფოს მესვეურთა გამორჩეული ყურადღება აგრეთვე აიხსნება აფშილეთის, სვანეთისა და სკვიმნიის ტერიტორიებზე პოლიტიკური კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ მთისწინა ზოლის დაცვის უზრუნველყოფა ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებისაგან წარმოადგენდა ეგრისის საერთაშორისო ვალდებულებას და განსაზღვრავდა მის ადგილს კავკასიის გეოპოლიტიკურ სისტემაში.

მთისწინა ზოლის თავდაცვით ხაზს შეადგენენ შემდეგი ციხესიმაგრეები: წებელდის აღმოსავლეთით მდ. ცხენისწყლამდე ციხე-სიმაგრეთა ჯაჭვს პირობითად ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის სექტორის თავდაცვით სისტემას უწოდებენ და ამ მონაკვეთში შემდეგ საფორტიკაციო პუნქტებს ასახელებენ- წებელდა, გუდავა, წარჩე, რეკა, სკური, სათანჯო, ჭაქვინჯი, ხეთა, ხორში, ეკი, მენჯის საკალანდარიშვილო, შხეფი, სორტი, კოტიანეთი, ნოქალაქევი, აბდათი, უსახელო ციხე, თამაკინი (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დ. ლომიტაშვილი). მკვლევარები მთისწინა ზოლის სიმაგრეებს ძირითადად ცხენისწყლის დასავლეთით წარმოიდგენენ და საუბრობენ ეგრისის დანარჩენი რეგიონებისაგან განსხვავებულ სურათზე. ვფიქრობთ, რომ იგივე სურათია ცხენისწყლის აღმოსავლეთით ვიდრე სკანდამდე. ამ მონაკვეთზე ო. ლანჩავას მიხედვით შემდეგი სასიმაგრო ნაგებობებია: დიდღვაბუნა, ნამაშევი, ქუთაისი, უქიმერიონი, სკანდა. აღნიშნული დისლოკაცია დასახელებული პუნქტებისა ჩვენც გავიზიარეთ.

10. წებელდის სასიმაგრო სისტემის აღმოცენება განისაზღვრა VI საუკუნის II მეოთხედით (ი. ვორონოვი), რაც არამართებულად მიგვაჩნია. ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი სტრატეგიული რეგიონის უყურადღებოდ დატოვება, თანაც IV-V საუკუნეებში ჰუნების გააქტიურების ფონზე, არალოგიკურია და აფხაზი მკვლევარების მხრიდან წებელდის აშენების ბიზანტიელთათვის მიწერის სურვილი, თავად ბიზანტიელთა სტრატეგიულ ინტერესებთან შეუსაბამობაში მოდის.

სავარაუდოა, რომ მდ. კოდორის ხეობაში სასიმაგრო სისტემების წარმოქმნა IV საუკუნის მიწურულში იწყება და ეგრისის სამეფოს უკავშირდება. თავად აფშილებს ბიზანტიელთა მოსვლამდე, თუ აფხაზ მკვლევარებს დაეჯერებათ, ციხეები არ ჰქონდათ. სასიმაგრო კომპლექსების აშენება მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ ლაზეთის სახელმწიფოს შეეძლო. ქართულ ისტორიოგრაფიაშიც წებელდის აგება IV-V საუკუნეთა მიჯნით არის განსაზღვრული. მისი ანალოგიები ქართულ საფორტიკაციო ხუროთმოძღვრებაში

მრავლად გვხვდება—ნოქალაქევი, ქუთაისი, შორაპანი, სკანდა (ლანჩავა). თავად აფხაზი მკვლევარები წებელდის არქიტექტურაში დასახელებულ ქართულ ძეგლებთან ბევრ საერთო ნიშანს ხედავენ, რაც კიდევ ერთი არგუმენტია მათივე წინააღმდეგ.

წებელდის ციხე კეტავს მდ. კოდორის ხეობას და აკონტროლებს იქ გამავალ საეპრო-სატრაზიტო გზას, რომლის უსაფრთხოებისათვის შეიქმნა სასიმაგრო ნაგებობათა მთელი სისტემა. ი. ვორონოვი თვლის, რომ ისინი წარმოქმნილია ადგილობრივ სამოსახლოთა განვითარების შედეგად მათი სასიმაგრო კედლებით შემოზღუდვით. თუ გავითვალისწინებთ იგივე მკვლევარის მოსაზრებას, რომ წებელდური კულტურის აყვავების პერიოდში გვაროვნული სტრუქტურის მატარებელ თითოეულ დასახლებაში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 500-600 ადამიანს, ძნელი წარმოსადგენი გახდება, რომ მათ დაუკავშირდეს ციხეთა მშენებლობა. მით უმეტეს, რომ ამისათვის საჭიროა სიმაგრეთა სამშენებლო ტექნოლოგიების ცოდნა და ეკონომიკურ საშუალებები. გაუგებარია, როგორ ახერხებენ ამას ჯერ კიდევ გვაროვნული სტრუქტურის მქონე მცირე დასახლებები, რომლებიც ამავე დროს (IV-V სს.) ლაზეთის შემადგენლობაში იმყოფებიან რომაული წყაროების მიხედვით.

ვფიქრობთ, რომ როგორც წებელდის, ასევე მის გარშემო წარმოქმნილი საფორტიფიკაციო სისტემების მშენებლობა ლაზეთის სამეფოს მიერ ხდება და მისივე კონტროლს ექვემდებარება.

11. ვ. ჯაფარიძემ შესაძლებლად მიიჩნია ეგრისის თავდაცვის სისტემიდან ცალკე გამოყოფა აღმოსავლეთ კოლხეთის სასაზღვრო გამაგრების სისტემა: შორაპანი, სკანდა, საზანო და დიმი. თუმცა, თავად მკვლევარის დასკვნის მიხედვით ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საზანოს „კვინწიხის“ ფუნქციონირება არქეოლოგიური მასალებით ზუსტად ვერ დასტურდება. ასევე სათანადო მასალების ნაკლებობის გამო, მხოლოდ ზოგადად შეიძლება აღინიშნოს დიმის ქართული წყაროების მიერ სასაზღვრო სიმაგრედ მოხსენიება.

შეგნიშნავთ, რომ ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში საზღვარი ქართლიდან ლიხის ქედის მონაკვეთში გადის და სასაზღვრო ციხეებად სკანდა და შორაპანი გვევლინებიან.

12. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების თანახმად IV-VIII საუკუნეებში ეგრისის დედაქალაქი ნოქალაქე-არქეოპოლისი იყო. თუმცა მკვლევართა საფუძვლიან ეჭვს იწვევდა ის ფაქტი, რომ ნოქალაქევის

„გრანდიოზული თავდაცვითი ნაგებობანი“ არ შეესაბამებოდა საქალაქო ცხოვრების ინტენსივობას. შესაბამისად გაჩნდა ვარაუდი, რომ ნოქალაქევის დედაქალაქობა არადამაჯარებლად დასაბუთებული და ძირითადი აქცენტი გაკეთდა მის თავდაცვით ფუნქციაზე.

ქუთაისის არქეოლოგიურმა კვლევამ წარმოაჩინა ამ ქალაქის აღმავლობა და დაწინაურება III–V საუკუნეებში: ქალაქი მდებარეობს ქვეყნის მთავარ ეკონომიკურ რეგიონში – მოხირისში; დგას ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის გზებისა და მაგისტრალების გზაჯვარედინზე; აქვს დედაქალაქობის უძველესი ტრადიცია; გააჩნია შთამბეჭდავი საფორტიფიკაციო სისტემა; აგებულია უზენაეს ხელისუფალთა რეზიდენცია (ციხე-დარბაზი); არსებობს IV-V საუკუნეების ყველაზე დიდი და მასშტაბური ტაძარი; მოპოვებულია ქალაქში ეკონომიკური პროცესების განვითარების ინტენსივობის დამადასტურებელი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა. ყოველივე ეს იძლევა საშუალებას, რომ ქუთაისი წარმოვიდგინოთ ეგრისის ეკონომიკურ, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და რელიგიურ ცენტრად III-V საუკუნეებში.

ნოქალაქე-არქეოპოლისი ეგრის-ლაზიკის “მთავარ ქალაქად” უნდა დაწინაურებულიყო V საუკუნის ბოლოს ან VI საუკუნეში. ვფიქრობთ, რომ ამ დროს კავკასიის რეგიონში შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე სტრატეგიული მოსაზრებით სწორედ ნოქალაქევს ენიჭება უპირატესობა. ეს ჩანს თავად ბიზანტიელთა საომარი ტაქტიკიდან, რომლებიც თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, დაუცველად ტოვებენ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს და იმაგრებენ პოზიციებს მდ. ცხენისწყლის დასავლეთით. აშკარაა, რომ ბიზანტიელთათვის ძირითად პრიორიტეტად ეგრისის დასავლეთი ნაწილის გამაგრება გახდა. VI საუკუნეში ეგრის-ლაზეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი– “მთავარი ქალაქი,” ნოქალაქე-არქეოპოლისია. ეგრის-ლაზეთის სამეფო, რომელსაც თავად არ შეეძლო დამოუკიდებლად ირანის წინააღმდეგ ომის წარმოება, იძულებული გახდა ბიზანტიელთა სამხედრო სტრატეგიის და ტაქტიკის მიხედვით ემოქმედა. ასეთ ვითარებაში ეგრისის პოლიტიკური ინტერესები რა თქმა უნდა დაიზარდა.

აქვე შევნიშნავთ, რომ არგვეთისათვის ბრძოლის გამო დედაქალაქის ნოქალაქევი გადატანა არ მიგვაჩნია დამაჯარებლად. მიგვაჩნია, რომ ამ მეტოქეობას სწორედ ქუთაისის სასარგებლოდ უნდა ეთამაშა, რადგან აქედან გაცილებით ეფექტურად განხორციელდებოდა სადავო ტერიტორიის

შესანარჩუნებელი ღონისძიებები. ვფიქრობთ, რომ ქართლის მოძალების საწინააღმდეგოდ სწორედ ქუთაისის მთავარი ქალაქობა იქნებოდა უფრო მართებული და პრიორიტეტული.

VII საუკუნიდან იწყება ქუთაისის ხელახალი აღორძინება, როგორც დასავლურ-ქართული პოლიტიკური ცენტრისა. ვფიქრობთ, რომ შესაძლოა ეგრისის მმართველთა რეზიდენცია ამ დროს ქუთაისში იყო. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის თეოდორე განგრელის “მოგონებებში” დაცულია 662 წლის ცნობა მაქსიმე აღმსარებლის ორი მოწაფის, ანასტასი აპოკრიხიარის და ანასტასი ბერის “შეკორისისში” მიყვანისა თაობაზე. თუ გავიხსენებთ მოხირის-ქუთაისის იგივეობას, არ გამოვირიცხავთ, რომ აქ ზის VII საუკუნეში ეგრისის პატრიკოსი და ქვეყნის მთავარი ქალაქი კვლავ ქუთაისია.

ახ. წ. VIII საუკუნიდან ქუთაისი კვლავ დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქია. ის ამ დროისათვის ქართლის ერისმთავართა იურისდიქციაში შევიდა, რომლებიც თანდათან უქმნიან ქუთაისს სატახტო ქალაქის სტატუსს. ისინი აქ ინახავენ სამეფო საგანძურს და იქმნიან საძვალეს-მეფის საფლავს. ქუთაისი ხდება ქართული ეროვნული კულტურის ცენტრი. VIII საუკუნის 30–40-იანი წლებიდან კი ქუთაისი მთელი დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის, ეგრის-აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ხდება.

13. VII–IX საუკუნეებით დათარიღებულ ბიზანტიურ საეკლესიო ნოტიციებში კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ საეკლესიო ეპარქიებში დასახელებულია ლაზიკის ეპარქია–ფასისის სამიტროპოლიტო, რომელსაც თავის მხრივ ემორჩილება ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისი (ვარდციხე), პეტრა (ციხისძირი), საისინი (ცაიში), ზიგანევი (გუდავა).

გუდავა – ლოკალიზებულია გალის რაიონში, მდ. ოქუმის შესართავთან. თელიდნენ, რომ იგი Notitia Dignitatum–ში მოხსენიებული ზიგანეა, რომელიც IV–V საუკუნეებში რომაული სტრატეგიული პუნქტი იყო. მაგრამ გუდავას არქეოლოგიური შესწავლის შედეგები ნაკლებად იძლევიან მისი მძლავრ ციხესიმაგრედ წარმოდგენის საშუალებას. აქ აღმოჩნდა მცირე ზომის დარბაზული (X–XI სს.) ეკლესიის ნანგრევები. საფორტიფიკაციო ნაგებობის ნაშთად მიჩნეული იქნა ზღუდის აღმოსავლეთი კედელი, რომელშიც კოშკი ან ჭიშკარი არ დაფიქსირდა. გუდავის სასიმაგრო ნაგებობის ნაკლებ მონუმენტურობა აიხსნა მისი ნაკლები მნიშვნელობით და ჭაობიან ადგილებში ქვის მასალის დეფიციტით.

ვფიქრობთ, რომ თუ გავითვალისწინებთ Notitia Dignitatum–ის ზიგანას არა

ლაზეთში, არამედ ტრაპიზონის სამხრეთით ზიგანას უღელტეხილთან, სოფ. ზიგანაში მდებარეობას, ძნელი წარმოსადგენი იქნება გუდავაში რომაული კასტელუმის არსებობა. მიგვაჩნია, რომ აქ მხოლოდ ლაზეთის ეპარქიის ერთ-ერთი ეპისკოპოსის რეზიდენციაა, რომელიც დაცულია ნაკლებ მონუმენტური სასიმაგრო ნაგებობით და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული ყოფილიყო თავდაცვისათვის.

ვაშნარი-ეგრისის შიდა რაიონში, სოფ. გურიანთაში მდებარე ძეგლია, რომლის ფუნქცია და სტატუსი დღემდე არ არის საბოლოოდ გარკვეული. ფიქრობენ, რომ, აქ IV–V საუკუნეებში სამონასტრო კომპლექსი, ხოლო VI საუკუნის დასაწყისიდან ციხე-ქალაქია. მისი არქიტექტურული კომპლექსი შედგება: სასიმაგრო სისტემის, აკროპოლისის, ბაზილიკის და “მაგზოლეუმი”-საგან.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ვაშნარის თავდაპირველი კვადრატული ფორმის ციხე კასტელუმის პრინციპითაა ნაგები, ფასისის ავანპოსტს წარმოადგენდა და იბერიის ექსპანსიის შესახერებლად იყო გათვალისწინებული.

საინტერესოა, რომ ვაშნარს მიუხედავად მისი ფუნქციის გაურკვეველობისა, ადრეულ ეტაპზე მაინც სამონასტრო კომპლექსის სახე აქვს. ძნელია მისი წარმოდგენა თავიდანვე სასიმაგრო ნაგებობად. ის არც ზღისპირას დგას, რომ რომაული სასიმაგრო სისტემის კუთვნილებად მივიჩნიოთ. არც რიონ-ყვირილას მაგისტრალთანაა ახლოს, რომ ეგრისის თავდაცვის სისტემის რომელიმე ხაზის შემადგენელ ნაწილად ჩავთვალოთ.

ასევე ვფიქრობთ, რომ რელიგიური ცენტრი შესაძლოა არსებობდა ქუთაისში. გასული საუკუნის 80-იან წლებში ქუთაისის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საკულტო ნაგებობები ადასტურებენ, რომ ქრისტიანობა IV–V საუკუნეებში მტკიცეაა დამკვიდრებული აღმოსავლეთ ეგრისში. ქუთაისის შიდა-ციხეში აღმოჩნდა IV საუკუნის I ნახევრით დათარიღებული დიდი ზომის მართკუთხა ნაგებობა—“სამლოცველო სახლი” და V–VI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული სამნავიანი ბაზილიკა. 2005 წელს ბაგრატის ტაძრის ინტერიერში იატაკქვეშ დაფიქსირდა ადრექრისტიანული ხანის დიდი სამნავიანი ბაზილიკა. ასეთი მასშტაბების ტაძარი შიდა ეგრისისათვის აქამდე უცნობი იყო. მისი აღმოჩენა ნათლად მიუთითებს IV საუკუნეში ქუთაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მის სტატუსზე, როგორც ეგრისის სამეფოს პირველ ქალაქზე და რაც მთავარია ადასტურებს ეგრისში ახ. წ. IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამკვიდრების ფაქტს. ნათელი გახდა, რომ

ქუთაისი არა რიგითი ციხე-სიმაგრე, არამედ ეგრისის სამეფოს უმთავრესი რელიგიური და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრია.

14. ახ. წ. I-VIII საუკუნეების საომარი იარაღ-საჭურველის შესახებ ძირითად წარმოდგენას გვიქმნის არქეოლოგიური მასალა შეიარაღების კონკრეტული საგნების სახით, თუმცა გარკვეული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია წერილობითი წყაროების მეშვეობითაც. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში საომარი იარაღების სხვადასხვა სახეობა ვითარდება. ზოგი მათგანი ამიერკავკასიური ბრინჯაო-რკინის იარაღების ტრადიციული ფორმების გაგრძელებაა, სხვებზე კი შეიმჩნევა ბერძნულ-რომაული ან ჩრდილო კავკასიური გავლენა.

საომარი იარაღი ძირითადად სამარხეულ ინვენტარში გვხვდება. შედარებით ნაკლებია მათი გამოვლენის შემთხვევები ციხე-სიმაგრეთა არქეოლოგიური კვლევისას. ამის მიზეზად მიაჩნიათ ის, რომ მეომრის აღჭურვილობა ძვირფასი იყო და მას იოლად ვერ ელეოდნენ, ხოლო ხშირად მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ახ. წ. პირველი საუკუნეების დასავლეთ საქართველოში სამარხებში იარაღების ჩატანება სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა რომაულ სიმაგრეთა სამაროვნებზე იშვიათი გამონაკლისის გარდა ისინი არ გვხვდება.

საბრძოლო იარაღების კლასიფიკაცია ხდება შეტევითი და თავდაცვითი კატეგორიების მიხედვით. ეგრისის არქეოლოგიურ ძეგლებში ისინი სხვადასხვა თანაფარდობით არიან წარმოდგენილნი. შეტევითი შეიარაღების სახეობებში განირჩევა ახლო და შორი ბრძოლის იარაღი. ახლო ბრძოლის იარაღებია: შუბი, ხელშუბი, მახვილი, სატევარი, დანა, ლახტი, ცული. შორი ბრძოლის იარაღებია: მშვილდ-ისარი, შურდული, კატაპულტი, ონაგრები, ბალისტები. თავდაცვითი შეიარაღების სახეობებია: აბჯარი (ბექთარი, ჯაჭვის პერანგი), მუზარადი, ფარი, წვივსაფარი.

15. “დიდი ბარბაროსული ქალაქი” და „ქალაქი საიდანაც იყო მედეა“ იწოდებოდა კუტაიად და ეს დამაჯერებლად დაასაბუთა ოთ. ლორთქიფანიძემ. კოლხთა მეფე აიეტის სატახტო ქალაქს თითქმის ყველა მკვლევარი თანამედროვე ქუთაისის მიდამოებში ვარაუდობს. თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ეს ქალაქი მდებარეობდა ე. წ. “ნამარნუს” ნამოსახლარზე (გ. გრიგოლია).

პროკოპი კესარიელი თავის თხზულებაში „ომი გოთებთან“ ფლავიუსს არიანეზე დაყრდნობით მოგვითხრობს, რომ მდ. რიონთან კოლხებს ძველად აუგიათ ციხე (კოტაისი), რომელიც შემდგომ მათ მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან დაბლობზე მდებარეობდა და ადვილი მისასვლელი იყო. სამწუხაროდ, ძნელია

დავადგინოთ დაბლობზე მდებარე ციხე როდის დაინგრა და რას ეძახიან ლაზები კოტაისს, უკვე დანგრეულ ციხეს თუ მის ნაცვლად სხვაგან აგებულ სიმაგრეს.

კუტაია-კოტაისის თანამედროვე ქუთაისთან იდენტიფიცირება ძირითადად ხდებოდა წერილობითი წყაროების საფუძველზე, მაგრამ 2005–2008 წლებში ქ. ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის, გრიშაშვილის და ნინოშვილის ქუჩების გადაკვეთაზე და მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოჩნდა კულტურული ფენები, სადაც გამოვლინდა ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ნამოსახლარი (საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების, თიხის ბათქაშით შეღესილი ხის ნაგებობების ნაშთები) და ელინისტური ხანის (ძვ. წ. III-II სს.) სამარხები.

აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მდებარეობს ქალაქის ვაკე ნაწილში და წარმოადგენს გორაკ-ბორცვიან ნაწილში არსებული მძლავრი დასახლების გაგრძელება-განვითარებას. ვვარაუდობთ, რომ სწორედ აქ გადმოდის საქალაქო ცხოვრების ცენტრი ელინისტურ ხანაში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურების გამო და შესაბამისად ამ ეპოქის კულტურული ფენები ქალაქის შემოგარენში, დაბლობ ადგილებში ფიქსირდება. ვფიქრობთ, რომ ამ ტერიტორიის შემდგომი კვლევა მნიშვნელოვან შედეგებს მოგვცემს ვაკეზე მდებარე ელინისტური და გვიანანტიკური „კუტაია“-„კოტაისთან“ მიმართებაში.

ახ. წ. III საუკუნიდან, როგორც ამას არქეოლოგიური კვლევის შედეგები გვიდასტურებენ, ახალი ეტაპი იწყება ქუთაისის საქალაქო ცხოვრებაში. ეგრისის სამეფოს წარმოქმნა-განვითარებამ ქუთაისის მიმართ სხვა ინტერესების წარმოშობა განაპირობა, რომელთა შესაბამისობაში ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე საქალაქო ცხოვრების ცენტრი კვლავ გორაკ-ბორცვიან ნაწილში, ე. წ. „უქიმერიონის“ გორაზე გადმოდის.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით აშკარაა უკვე II საუკუნიდან ცხოვრების გამოცოცხლება ბაგრატის ტაძრის მიდამოებში, რაც ეგრისის სამეფოს წარმოქმნის პერიოდს ემთხვევა. III საუკუნიდან უკვე ფიქსირდება საქალაქო დასახლების კვალი. ამ დროის ნამოსახლარის ნაშთები საკმაოდაა გამოვლენილი ე. წ. „არქიელის გორის“ ტერიტორიაზე. სწორედ ეს დასახლება დაედო საფუძველად III-IV საუკუნეთა მიჯნაზე დიდი ციხე-ქალაქის წარმოშობას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

16. ჩვენთვის საინტერესოა ბიზანტია-ირანის ომიანობის დროს ეგრისის თავდაცვის სისტემის ფუნქციონირების საკითხი. ვფიქრობთ, რომ წარმოქმნა-განვითარების

მეორე ეტაპზე (IV-V სს.) ის ძირითადად თავად ეგრისის სამეფოს თავდაცვის უზრუნველყოფისათვის არის შექმნილი, თუმცა ასევე ითვალისწინებს გლობალურ სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას. ამ სისტემის სამი თავდაცვითი ხაზის ციხესიმაგრეები ემსახურებიან ქვეყნისა და მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრების დაცვის ამოცანებს. ეგრისის ტერიტორიაზე მიმდინარე ომებისას გლობალური ტაქტიკის საჭიროების გამო, საკვანძო ადგილებში ბიზანტიელთა მიერ ახალი ციხე-ქალაქები და სიმაგრეები აშენდა. რადგანაც ბიზანტია-ირანის საომარი ოპერაციები სწორედ გლობალური სტრატეგიით იყო გათვლილი, ამიტომ მათ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა ციხე-ქალაქი პეტრა და სწორედ მის ფლობას ენიჭებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას, რომ მთელი რიგი ციხე-ქალაქები და სიმაგრეები საჭიროების შემთხვევაში ლაზების მიერ თავად იქნა მიტოვებული და დანგრეული, განსაკუთრებით აღმოსავლეთის მიმართულებით. მათ შორისაა სასახლვრო ციხეები სკანდა და შორაპანი, ასევე ქუთაისი და ვარდციხე. რადგან ისინი ბიზანტიელებს არ აინტერესებდათ თავიანთი ძირითადი სამხედრო ბაზებიდან მოცილების გამო, როგორც ჩანს, ლაზებიც არ თვლიან აუცილებლად მათ დასაცავად თავიანთი ძალების მობილიზებას. თუმცა ძალიან უცნაურია, რომ ირანმა თითქმის უომრად ჩაიგდო ხელში ქვეყნის უმთავრესი ეკონომიკური რეგიონი, მოხირისის მხარე.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ირანელებმა გარდა პეტრასი, ბრძოლით თითქმის ვერც ერთი სიმაგრის აღება ვერ მოახერხეს. მათ მარცხი განიცადეს ფაზისთან, ნოქალაქევთან, წებელდის მახლობლად. ბიზანტიელთა დაუდევრობის გამო მოულოდნელად აიღეს ტელეფისი, მოსყიდვით და ღალატით დაიკავეს უქიმერიონი. ასევე ღალატისა და მათ მხარეზე გადასვლის მეშვეობით შედიოდნენ ირანელები აბაზგის, აფშილეთის და სვანეთის ციხეებში. ყოველივე ეს მეტყველებს ეგრისის თავდაცვის სისტემის ცალკეული მონაკვეთებისა და სიმაგრეების სიმტკიცესა და ეფექტურობაზე.

აგრეთვე შევნიშნავთ, რომ ომების შედეგად განადგურდა არამარტო ქვეყნის ეკონომიკა და შინაგანი სტრუქტურა, არამედ მნიშვნელოვნად დაზარალდა ეგრისის საომარი პოტენციალი და თავდაცვის სისტემა. დაინგრა ციხე-სიმაგრეების ნაწილი. დარჩენილ ციხე-ქალაქებში ბიზანტიელთა გარნიზონები ჩადგა. ფაქტიურად ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მოიშალა და ის უცხოელთა კონტროლქვეშ გადავიდა. ამან კი უდიდესი გავლენა მოახდინა ეგრისის შემდგომ ისტორიაზე.

დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა:

1. ადამია ი. შხეფის ციხესიმაგრე. ძმ, 1979, №51. გვ. 11-23.
2. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. გამომცემლობა “ხელოვნება.” თბილისი 1971.
3. ასლანიშვილი ლ. ქვის ბირთვები. გონიო-აფსაროსი, IV. გამომცემლობა “აჭარა.” ბათუმი 2004. გვ. 152-155.
4. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1963.
5. აფაქიძე ა. არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. დიდი პიტიუნტი, I. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1975. გვ. 13-126.
6. აფაქიძე ა., ლორთქიფანიძე ოთ. მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “მაცნე”, 1965, №3. გვ. 104-127.
7. ახვლედიანი დ. კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ. წ. V-II სს-ში. სადოქ. დისერტ. ავტორეფერატი. საქ. მეცნ. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი 2004a.
8. ახვლედიანი დ. კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები ძვ. წ. V-II სს-ში. სადოქტორო დისერტაცია. საქ. მეცნ. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი 2004b.
9. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 1975.
10. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. II გამოცემა. გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 1990.
11. ბერძენიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1969.
12. ბოგვერაძე ა. ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო.” თბილისი 1973. გვ. 246-296.
13. ბოჭორიძე გ. იმერეთი. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1995.
14. ბრაგვაძე ზ., ჩიგოგიძე ქ. მოდინახეს სამაროვანი. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის “არქეოლოგიური ჟურნალი”, თბილისი 2002. II. გვ. 91-141.
15. ბროსე მ. საქართველოს ისტორია. ნ. I. თბილისი 1895.

16. გაბუნია გ. ასე იწყებოდა დიდი საქართველო. ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება “სტამბის” საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი 1996.
17. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბილისი 1982.
18. გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ტოპოარქეოლოგიისათვის. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 1998.
19. გამყრელიძე გ. კოლხეთი. კულტურულ-ისტორიული ნარკვევი. გამომცემლობა “ლოგოსი.” თბილისი 2002.
20. გამყრელიძე გ., ფირცხალავა მ., ყიფიანი გ., ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები (ანტიკური პერიოდი). გამომცემლობა “არტანუჯი.” თბილისი 2005.
21. გამყრელიძე გ., თოდუა თ. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბილისის საუნივერსიტეტო გამომცემა. თბილისი 2006.
22. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი 1952.
23. გოგიტიძე ს. ბათუმი ძველ საისტორიო წყაროებში. “ლიტერატურული აჭარა”, ბათუმი 1999, №6. გვ. 100-101.
24. გოზალიშვილი გ. ბიზანტიასა და ირანს შორის ბრძოლა იბერია-ლაზიკისათვის VI საუკუნეში. თსუშ, 1944, XXV–B. გვ. 87-154.
25. გოზალიშვილი გ. ნოქალაქევი (არქეოპოლისი) ბიზანტია-ირანის ურთიერთობაში. მსე, 1972, XVI-XVII. გვ. 214-227.
26. გრიგოლია გ. “ბარბაროსების დიდი ქალაქის” ლოკალიზაციისათვის. ძმ. 1973, №33. გვ. 50-58.
27. გრიგოლია გ. ძველი კოლხეთის საქალაქო ცენტრების (პეტრა) ლოკალიზაციის საკითხები. სიგკ, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1989. VII. გვ 37-80.
28. გრიგოლია გ. ეგრისის სამეფოს სტრატეგიული ცენტრების (ნესოსი, ტელეფისი) ლოკალიზაციისათვის. არქეოლოგიური კრებული. I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1994a. გვ. 113-139.
29. გრიგოლია გ. ეგრის-ლაზიკის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბილისი 1994b.
30. გრიგოლია გ. ეგრის-ლაზიკის ქალაქური ცენტრი სური-სურიში. არქეოლოგიური კრებული II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998. გვ 91-99.
31. ებრაელიძე ტ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურ

- და რომაულ ხანაში. გონიო-აფსაროსი, VI. ბათუმი 2005.
32. ვარშალომიძე ი. სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ. წ. I საუკუნიდან 1453 წლამდე. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 2001.
 33. ზაქარაია პ. საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები. საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება. თბილისი 1960.
 34. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ. ჭაქვინჯისა და გუდავის 1968-1969 წწ. ექსპედიციის წინასწარი ანგარიში. სსმაე, 1971, II. გვ. 96-102.
 35. ზაქარაია პ. საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1973 წ.
 36. ზაქარაია პ., ლექვინაძე ვლ. გუდავაში 1971 წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. სსმაე, 1974. III. გვ. 139-147.
 37. ზაქარაია პ. ჭაქვინჯა. გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 1980.
 38. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი, ხუროთმოძღვრება, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 1991.
 39. ზაქარაია პ., კაპანაძე თ. ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთის დაცვის სისტემა. სამეგრელო, კოლხეთი—ოდიში. თბილისი—ზუგდიდი 1999.
 40. ზაქარაია პ. საქართველოს ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხედარბაზები, ციხეგალაენები. თბილისი 2001.
 41. თოდუა თ. ახ. წ. IV-V სს. ეგრისის ზღვისპირა ქალაქების განვითარების საკითხისათვის. მაცნე, ისტორიის. . ., სერია, 1988, №4. გვ. 90-96.
 42. თოდუა თ. რომაული კულტურა და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი. სმამ, 1989, №136, 3.
 43. თოდუა თ. არიანეს პერიპლუსის ტერმინების განმარტებისათვის. მაცნე, ისტორიის. . ., სერია, 1991. №2. გვ. 120-127.
 44. თოდუა თ., მურვანიძე ბ. რომაული ლეგიონის ტვიფრიანი აგური სოფ. მოედნიდან. გურია, მხარის კვლევა-ძიების შედეგები, II. თბილისი 1997. გვ. 108-111.
 45. თოდუა თ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაული დასახლებების ხასიათის საკითხისათვის. (კანაბე თუ ვიკუსი) კრებული, ძველი ისტორია II. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2002. გვ. 74-88.
 46. თოდუა თ. ა. რომაული სამყარო და კოლხეთი. თბილისის უნივერსიტეტის

- გამომცემლობა. თბილისი 2003.
47. თოდუა თ. ბ. რომაული თავდაცვითი სისტემა საქართველოში. კრებული ძველი ისტორია III. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2003. გვ. 70-85.
 48. თოდუა თ. ვაშნარის სასიმაგრო სისტემა. გურია, V. (მხარის კვლევა-ძიების შედეგები). საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი. თბილისი 2007. გვ. 68-76.
 49. თოდუა თ. ოქროს ფალერა “გონიოს გაძიდან.” იბერია-კოლხეთი, №4. საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. თბილისი 2008. გვ. 40-42.
 50. იაშვილი მ., ზაქარაია პ. შხეფის ციხე. კრებული, ნოქალაქე-არქეოპოლისი, II. გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი 1987. გვ. 190-201.
 51. ინაიშვილი ა. ბათუმის ისტორიისათვის ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე. კრებული, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი 1965. გვ. 69-75.
 52. ინაიშვილი ა. ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, II, 1971. გვ. 74-90.
 53. ინაიშვილი ა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. სდსპ, 1973, III. გვ. 3-39.
 54. ინაიშვილი ა. პეტრა-ციხისძირში 1962-1965 წ.წ. ჩატარებული გათხრების შედეგები. სდსპ, 1974, IV. გვ. 102-153.
 55. ინაიშვილი ნ. ადრემუხასაუკუნეების კერამიკა პეტრა-ციხისძირიდან. სდსპ, 1984, X. გვ. 122-130.
 56. ინაიშვილი ნ. ციხისძირის გვიანანტიკური ხანის აბანოები. სდსპ, 1988, XVII. გვ. 76-85.
 57. ინაიშვილი ნ. იაშვილი ი. I-VI სს. ნუმიზმატიკური ძეგლები ციხისძირიდან. სდსპ, 1991, XX.
 58. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ. წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1993.
 59. ინაძე მ. იბერიის და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში. იიშ, 1955, ტ. I. გვ. 312-328.

60. ინაძე მ. ანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის. სმამ, თბილისი 1959, ტ. XXIII, №6. გვ. 772-773.
61. ინაძე მ. სავაჭრო ურთიერთობათა ისტორიიდან ძველ კოლხეთში. კავკასიურ - ახლოაღმოსავლური კრებული, II. საქ. მეცნ. აკად. გამომც. თბილისი 1962. გვ. 113-121.
62. ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბილისი 1994.
63. ინგოროყვა პ. გიორგი მერჩულე. თბილისი 1954.
64. კახიძე ე. რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ახ.წ. I-IV სს. საკანდ. დისერტ. ავტორეფერატი. თბილისი 2002a.
65. კახიძე ე. ბიზანტია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი კონსტანტინე დიდის მმართველობიდან იუსტინიანე I ხანამდე. კრებული, ძველი ისტორია. II. თბილისი 2002b. გვ. 112-134.
66. კახიძე ა., მამულაძე შ. სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა-ძიების უმთავრესი შედეგები. გონიო-ავსაროსი, IV. გამომცემლობა “აჭარა.” ბათუმი 2004. გვ. 4-66.
67. კახიძე ე., ხალვაში მ. გონიო-ავსაროსი წერილობით წყაროებისა და უახლოესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. (I-VI სს.) კულტურის ისტორიის საკითხები, V. გამომცემლობა “ირმისა.” თბილისი 1998. გვ. 26-33.
68. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ. მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. სდსპ, 1988, XVIII. გვ. 42-57.
69. კეკელიძე კ. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბილისი 1935.
70. კეკელიძე კ. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. I. თბილისი 1961.
71. კვიციანი ზ. განათლება და დამწერლობა რომაული ხანის დასავლეთ საქართველოში. არქეოლოგიური კრებული, I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1994. გვ. 82-110.
72. კომახიძე დ. აფსარ-გონიოს ციხის არქიტექტურისა და ისტორიის ზოგიერთი საკითხი. სდსპ, 1980, I. გვ. 37-46.
73. კობალიანი ე., წიკლაური ი., კავკასიელები და მათი თავდაცვითი სისტემა. „კავკასიის მაცნე“. №2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 2000. გვ. 83-84.
74. ლანჩავა ო. ქუთაისის ძველი ისტორიისათვის. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1975.

74. ლანჩავა ო. ციხე-ქალაქი ქუთაისი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს სისტემაში. ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი-ქუთაისი 1994. გვ. 60-88.
76. ლანჩავა ო. არქეოლოგიური ქუთაისი. ქუმ, 1995. №4. გვ. 18-35.
77. ლანჩავა ო. ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის სააქციო საზოგადოება “სტამბის” საგამომცემლო ცენტრი. ქუთაისი 1996.
78. ლანჩავა ო., ჭუმბურიძე მ., ისაკაძე რ., ქარციძე ნ. ახალი აღმოჩენები ქუთაისში. ჟურნალი “ახალი ხიდი”, 2006, №4. გვ. 23-28.
79. ლანჩავა ო. ქუთაისის არქეოლოგია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი. ქუთაისი 2007.
80. ლანჩავა, ისაკაძე, ქ. ქუთაისში გრიშაშვილის ქ. №4 შესახვევში 2007 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი, გვ. 1-15.
81. ლეთოდიანი დ. ქართლისა და ეგრისის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა VI საუკუნის I ნახევარში. 532 წლის “უვადო ზავის” შედეგები. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998. გვ. 106-120.
82. ლეთოდიანი დ. ძიებანი. გამომცემლობა “არტანუჯი.” თბილისი 2003.
83. ლექვინაძე ვლ. ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1978-1982 წლებში გამოვლენილი IV- XI საუკუნეების მასობრივი არქეოლოგიური მასალა. კრებული, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, II, გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი 1987.
84. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბილისი 1957.
85. ლომთათიძე გ., პაპუაშვილი ნ. ქართული კულტურა IV-V საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო.” თბილისი 1973. გვ. 189-245.
86. ლომიტაშვილი დ. მასალები ძველი კოლხეთის შინამრეწველობის ისტორიისათვის, სსმმ, თბილისი 1999.
87. ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII-ახ. წ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი 2003a.
88. ლომიტაშვილი დ. ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII-ახ. წ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). სადოქტორო დისერტაცია. თბილისი 2003b.

89. ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემეაიოსი, “გეოგრაფიული სახელმძღვანელოს” ცნობები საქართველოს შესახებ. მსკი. საქ. მეც. აკად. გამომც. თბილისი 1955. გვ. 39-63.
90. ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. იიშ, 1958, ტ. IV, ნაკვ. I, გვ. 100-117.
91. ლომოური ნ. კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია. თბილისი 1962.
92. ლომოური ნ. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. მსკი, 1963, ნაკვ. 35. გვ. 2-35.
93. ლომოური ნ. ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის. “მაცნე,” ისტორიის . . . სერია №5. თბილისი 1965. გვ. 74-75.
94. ლომოური ნ. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1968.
95. ლომოური ნ. დასავლეთ საქართველო (ეგრისი) IV–V საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო.” თბილისი 1973. გვ. 159-188.
96. ლომოური ნ. ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. კრებული, ნოქალაქე-არქეოპოლისი, II, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბილისი 1987. გვ. 17-47.
97. ლომოური ნ. ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა V საუკუნეში. გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი 1989.
98. ლომოური ნ. ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე ძვ. წ. I და ახ. წ. II საუკუნეებში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998a. გვ. 36-63.
99. ლომოური ნ. “დიდი ომიანობა” ეგრისში VI საუკუნეში და მისი პოლიტიკურ-დიპლომატიური ასპექტები. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998b. გვ. 120-127.
100. ლომოური ნ. ბიზანტია-ირანის წინააღმდეგობის გამწვავება VII ს. 20-იან წლებში და ბიზანტიის გავლენის დამყარება ქართლში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998c. გვ. 164-171.
101. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთა. ძმ, 1977, №46. გვ. 38-42.
102. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი 1991.
103. ლორთქიფანიძე მ. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა.

- საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო.” თბილისი 1973. გვ. 372-506.
104. ლორთქიფანიძე მ. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი. კრებული, ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი-ქუთაისი 1994. გვ. 89-117.
105. ლორთქიფანიძე მ. ქუთაისის აღორძინება დასავლეთ საქართველოს დედაქალაქად (VII-VII სს.). ქუმ, 1995. 4. გვ. 45-54.
106. ლორთქიფანიძე მ. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა V ს. II ნახევარში. ვახტანგ გორგასლის დიპლომატია. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნ. I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998. გვ. 84-98.
107. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ. ფასისის ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა. ქ. ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი მიძღვნილი სესიის მოხსენებები. თბილისი 1973. გვ. 17-36.
108. ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ. ფასისის ისტორიული შესწავლის პრობლემა. სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქ. ფასისის ლოკალიზაციის პრობლემისადმი, (მოხსენებები). თბილისი 1975. გვ. 27-35.
109. ლორთქიფანიძე ოთ. უძველესი დროიდან ახ. წ. IV საუკუნემდე. კრებული, ქუთაისი უძველესი დროიდან XIII საუკუნემდე. გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი-ქუთაისი 1994. გვ. 23-59.
110. მათიაშვილი ნ. ძვ. წ. III-I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიკის ისტორიიდან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი 1977.
111. მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი 2005.
112. მამულაძე შ., ხალვაში მ., ასლანიშვილი ღ. აფსაროსის რომაული გარნიზონები. “კავკასიის მაცნე”, II. თბილისი 2000. გვ. 91-95.
113. მამულაძე შ., კახიძე ა., ხალვაში მ. რომაელები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები, თბილისი 2001, X. გვ. 163-177.
114. მამულაძე შ. ქართველი გამომცემლის შესავალი სიტყვა. გონიო-აფსაროსი, III. გამომცემლობა “ლოგოსი.” თბილისი 2002a. გვ. 13-14.

115. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობა უძველესი დროიდან გვიან შუასაუკუნეებამდე. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 2002b.
116. მელიქიშვილი გ. საქართველო ახ. წ. I-III საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო.” თბილისი 1970. გვ. 500-570.
117. მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ხევში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი 2005.
118. მინდორაშვილი დ., მამულაძე შ. გონიო-აფსაროსის № 20 კოშკის არქეოლოგიური გათხრები. საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი. თბილისი 2008. გვ. 116-120
119. მიქელაძე თ. აფსარ-გონიო ძველი ქართული ციხე-ქალაქი. ძმ, №46. 1977. გვ. 35-37.
120. მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I. თბილისი 1978.
121. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. I. გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი 1977.
122. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. II. გამომცემლობა “მეცნიერება”. თბილისი 1980.
123. მუსხელიშვილი დ. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი 2004.
124. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1975.
125. ნონეშვილი ალ. რომაულ-ქართული ურთიერთობანი ახ. წ. I ს. II ნახევარში. კულტურის ისტორიის საკითხები, V. გამომცემლობა “ირმისა.” თბილისი 1998. გვ. 21-25.
126. რამიშვილი რ. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ფეოდალური ქალაქის გენეზისთან დაკავშირებით არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ფსად, 1998, VI. გვ. 21-29.
127. საბინინი მ. საქართველოს სამოთხე. პეტერბურგი. 1882.
128. სადრაძე ვ. ვაშნარი-სპონიეთი-გურიანთა. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 2003.
129. საითიძე გ. სკანდის ციხე. ძმ, 1990, №1. გვ. 54-60.
130. სვანიძე მ. ქალაქ პეტრას ლოკალიზაციისათვის. ნარკვევები, IV. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. თბილისი 1998. გვ. 21-30.

131. სიხარულიძე ი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია. II. ბათუმი 1959. გვ. 79-81.
132. სიხარულიძე ი. აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები. 1962.
133. სიხარულიძე ი. “უხეიმერიონის” ადგილმდებარეობა. ძმ, 1970. №21. გვ. 39-41.
134. სიჭინავა ვ. ახალი ცნობები (ციხისძირი) პეტრას ისტორიისათვის. ასმშ, ბათუმი 1957. II.
135. სულეიმანოვი მ. პეტრა (ციხისძირი). ასმშ, ბათუმი 1957, II.
136. სურგულაძე აბ. ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის. “ჭოროხი”, ბათუმი 1983. №5.
137. ფაილოძე ა. მატიანე ხონისა. ნ. II. გამომცემლობა “ალიონი.” 2003.
138. ფირცხალავა მ. შუბის ტიპოლოგიის საკითხისათვის ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიური მასალიდან. კრებული, იბერია-კოლხეთი, II. თბილისი 2005. გვ. 7-14.
139. ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა. საქ. მეცნ. აკად. გამ. თბილისი 1961.
140. ფუთურიძე რ. გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. მსკა, 1959, II. გვ. 54-92.
141. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი 1955.
142. ქართლის ცხოვრება. ტ. IV. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი 1973.
143. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. I, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1961.
144. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. II, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1965.
145. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. III, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1936.
146. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. III, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1963.
147. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. IV, I გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1941.
148. ყაუხჩიშვილი ს. გეორგიკა, ტ. IV, ნ. II. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1952.
149. ყაუხჩიშვილი ს. ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. ქპშ, 1950-51, X. გვ. 17-20.
150. ყაუხჩიშვილი ს. რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო.” თბილისი 1964.

151. ყაუხჩიშვილი თ. ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ. 1951.
152. ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბილისი 1967.
153. ყაუხჩიშვილი თ. ანტიკური წყაროები ქალაქ ბათუმის ისტორიისათვის. სდსპ, 1977, XVI. გვ. 109-117.
154. ყაუხჩიშვილი თ. ვანის ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერა. კრებული, ქართული წყაროთმცოდნეობა. VII. თბილისი 1987. გვ. 131-143.
155. შოშიაშვილი ნ. ქართლის სამეფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია III საუკუნიდან V საუკუნის I ნახევრამდე. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები. ნ. I. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 1998. გვ. 63-84.
156. შპაიდელი მ. კავკასიის საზღვარი II საუკუნეში. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფასისში. “მაცნე”, ისტორიის... სერია, I, თბილისი 1985. გვ. 134-140.
157. ჩაკვეტაძე ვლ. გეგუთის ციხე-დარბაზი. თბილისი 1958.
158. ჩიხლაძე ვ. არაგვის ხეობა ახ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში. საკანდიდატო დისერტაცია. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 1999.
159. ჩიხლაძე ვ. ნასოფლარი დიდღვაბუნა. შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. II კონფერენციის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი 2003. გვ. 51-54.
160. ჩხეიძე ჯ. ბათუმი. ბათუმი 1996.
161. ცქიტიშვილი გ. სვერის ციხე. ძმ, 1970, №21. გვ. 34-38.
162. ცქიტიშვილი გ. ანტიკური ხანის შორაპნის საერისთავოს საკითხისათვის. სიგკ, თბილისი 1964, II.
163. წერეთელი გ. მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა. თბილისი 1958.
164. წითლანაძე ლ. დარიალის ციხე. ძმ, 1971, №27-28. გვ. 63-64.
165. წითლანაძე ლ. არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ ღიაში. ძმ, 1973, №33 გვ. 66-72.
166. ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფოთალურ საქართველოში. II. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1970.
167. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა და მისი როლი კავკასიის გეოპოლიტიკურ სივრცეში. “Pontika Mediteranea” I. თბილისი

- სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 1999a. გვ. 62-63.
168. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის დამკვიდრების საკითხისათვის. კულტურის ისტორიის საკითხები, VII. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 1999b. გვ. 29-32.
169. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემის წარმოქმნის საკითხისათვის. ქსუ VI სამეცნ. კონფ. მასალები. ქუთაისი 2000. გვ. 51-52.
170. ჭუმბურიძე მ., ისაკაძე რ., ქარციძე ნ., არქეოლოგიური მასალები ეგრისში ქრისტიანობის გავრცელების საკითხისათვის. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. VII (II), ქუთაისი 2005. გვ. 353-361.
171. ჭუმბურიძე მ. ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის საკითხისათვის ახ. წ. IV–VIII საუკუნეებში. ქუთაისის საერო ინსტიტუტ “გელათის” I საერთ. სამეცნ. კონფ. მასალები. ქუთაისი 2008. გვ. 107-109.
172. ხარაბაძე ს. ახ.წ. I-II სს.-ის სამარხი სოფელ ზედა გორადან (ვანის რ-ნი). კრებული, იბერია-კოლხეთი, №1. ძიებანის დამატებანი, IX. თბილისი 2003. გვ. 164-169.
173. ხახუტაიშვილი დ., კახიძე ა., მამულაძე შ., ინაიშვილი ნ., ხალვაში მ., ჯაფარიძე ვ., აფხაზაგა ნ., ნონეშვილი აღ. გონიო–აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია 1996 წელს. კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბილისი 1997. გვ. 49-52.
174. ხოშტარია ნ. ციხისძირი (ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში). თბილისი 1962.
175. ჯაბუა ნ. ადრეული შუა საუკუნეების ბაზილიკები გურიის ტერიტორიაზე. გურია, V. (მხარის კვლევა–ძიების შედეგები). საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი. თბილისი 2007. გვ. 77-85.
176. ჯავახიშვილი ივ. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში. „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის“. I. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი 1946.
177. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბილისი 1951.
178. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. წ. I. თბილისი 1960.
179. ჯანაშია ს. შრომები. ტ. I, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1949.
180. ჯანაშია ს. შრომები. ტ. II, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1952.

181. ჯანაშია ს. შრომები. ტ. III, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1959.
182. ჯანაშია ს. შრომები. ტ. V, გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი 1987.
183. ჯაფარიძე ვ. ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის.
ფსაძე, გამომცემლობა “მეცნიერება.” 1974. II. გვ. 84-104.
184. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შესახებ
ვარციხის მშენებლობის ზონაში. ძმ, 1975, № 39. გვ. 30-34.
185. ჯაფარიძე ვ. ძველი ვარდციხე (“ვარდიგორა”). ძმ, 1977, №46. გვ. 43-50.
186. ჯაფარიძე ვ. წებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის.
საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, II. გამომცემლობა “მეცნიერება.”
თბილისი 1979. გვ 78-89.
187. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი. გამომცემლობა “მეცნიერება.” თბილისი
1989.
188. ჯაფარიძე ვ. ეგრისის მატერიალური კულტურა ახ. წ. I-VII საუკუნეებში.
სადოქტორო დისერტაცია. საქ. მეცნ. აკად. არქ. კვლ. ცენტრი. თბილისი 1999. =
189. ჯაფარიძე ვ. ანტიკური ხანის შორაპნის (სარაპანისი) ახალი არქეოლოგიური
მონაცემები. პრეპრინტი. საქ. მეცნ. აკად. თბილისი 1990.
190. Амиранашвили. А. И. Иберия и римская экспансия в Азии. ВДИ, 1938, №4(5),
191. Анчабадзе З. В. История и культура древней Абхазии. изд. “Наука.” Москва 1964.
192. Армянская география VII века по р. Текст и перевод издал К. П. Патканов. 1877.
193. Бгажба О.Х., Технология изготовления цебелдинских ножей (II-VII вв. н. э). Материали
по археологии Абхазии. изд. “Мецниереба.” Тбилиси 1979. стр. 44-48.
194. Бгажба О.Х., Гунба М.М., Воронов Ю.Н. Археологические исследования в Цебелде.
изд. “Мецниереба.” Тбилиси 1983.
195. Бокшанин А. Г. Парфия и Рим. ч. II. М. 1966.
196. Блаватский В.Д. Античная археология и история. М. 1985.
197. Воронов Ю. Н. История Абхазии с древнейших времен до раннего средневековья.
Авт. канд. дисерт. Гос. унив. им. Ломоносова. Москва 1971.
198. Воронов Ю. Н. Тайна цебельдинской долины. изд. “Наука.” Москва 1975.
199. Воронов Ю. Н. Материали по археологии Абазгии и Санигии. (II-VII вв.). Материали
по археологии Абхазии. изд. “Мецниереба.” Тбилиси 1979. стр. 49-58.
200. Воронов Ю. Н. Диоскуриада-Себастиополис-Цхум. изд. “Наука.” Москва 1980.
201. Воронов Ю. Н. Раскопки башни №3. Археологические исследования в Цебелде. изд.
“Мецниереба.” Тбилиси 1983. стр. 40-67.

202. Воронов Ю. Н. Бгажба О.Х., Крепост Цибилиум-один из узлов кавказского лимеса юстиниановской эпохи. ВВ, 1987, т. 48. стр. 116-130.
203. Голубцова О. Б. Северное причерноморье и Рим на рубеже нашей эры. М. 1951.
204. Делбрюк Г. История военного искусства. Государственное военное издательство наркомата обороны союза ССР. Москва 1937.
205. Долидзе В., Шмерлинг Р. Военно-Грузинская дорога. Тбилиси 1956.
206. Джапаридзе В.М. Археологические разведки и раскопки в Егриси. Полевые Археологические исследования в 1982 году. изд. “ Мецниереба.” Тбилиси 1982 стр.49-51.
207. Джапаридзе В.М. Раннесредневековый Шорапани (Сарапанис-византийских источников) по данным новейших раскопок. Препринт. Академия наук Грузии. центр археол. исслед. Тбилиси 1991.
208. Джапаридзе В.М О городах восточного причерноморья в раннем средневековье. Bulgaria Pontica Medii Aevi, III. Editions de l'univerite, “St. Clement d,ochride.” Sofia 1992. стр. 141-143.
209. Джапаридзе В.М К вопросу о развитии раннесредневековых городов Грузии. Археология , Этнология и Фольклористика Кавказа. Материалы международной конференции. Ереван. Эчмиадзин 2003. стр. 141-143.
210. Леквинадзе В. А. Материалы по истории и архитектуре апсарской крепости. ВВ, 1961-1, т. XX.. стр. 225-242.
211. Леквинадзе В. А. Материалы по монументальному строительству в Лазике. სსშმ, 1961, XXII-В.
212. Леквинадзе В. А. Оборонительные сооружения Севастополиса. СА, 1966, №1. стр. 203-210.
213. Леквинадзе В. А. Римский кирпич со штампом из Цихисдзири. САНГ, 1967, т. 45, 3. стр. 797-800.
214. Леквинадзе В. А. По поводу Анакопийской крепости. სსშმ, 1968, XXV-В. გვ. 89- 104.
215. Леквинадзе В. А. Понтийский Лимес. ВДИ, 1969, №2, стр. 75-93.
216. Леквинадзе В. А. Вашнари. СА, №3. 1972. стр. 301-322.
217. Леквинадзе В. А. О постройках Юстиняна в западной Грузии. ВВ, 1973, т. XXXIV. стр. 171-173.
218. Леквинадзе В. А., Хведелидзе Л. И., Массовые археологические находки из раскопок Археополиса. კრებული ნოქალაქე-არქეოპოლისი, I. გამომცემლობა “მეცნიერება” თბილისი 1981. გვ.

219. Лордкипанидзе О. Д. О транзитно-торговом пути из Индии к Чёрному морю в античную эпоху. *ВДИ*, 1957, № XIX, №3, с. 377-384.
220. Лордкипанидзе О. Д., Мухелишвили Д.Л. Закавказье в международной торговле Востока и Запада. М. 1970.
221. Лордкипанидзе О.Д. Наследие Древней Грузии. изд. "Мецниереба." Тбилиси 1989.
222. Ломоури Н.Ю. Из исторической географии древней Колхиды. *ВДИ*, 1957, №4. стр.90-110.
223. Ломоури Н. Ю. Грузино-Римские взаимоотношения. изд. Тбилисского университета . Тбилиси 1981.
224. Ломоури Н. Ю. К выяснению некоторых сведений "Notitia Dignitatum" и вопрос о так называемом понтийском лимесе. *ВВ*, 1987, т. 46. стр. 59-73.
225. Мамуладзе Ш. Х., Халваши М. С., Асланишвили Л. Г. Римские гарнизоны в Апсаре. *ВДИ*, 2002, №1.
226. Машкин. Н. Г. Принципат Августа. М.Л. 1949.
227. Меликишвили Г. Т. К истории древней Грузии. Тбилиси 1959.
228. Момзен Т. История Рима. т. V. М.- Л. 1949.
229. Мшвениерадзе Д. Строительное искусство в древней Грузии. изд. "Сабчота сакартвело." Тбилиси 1959.
230. Закарая П. Древние крепости Грузии. изд. "Мерани." Тбилиси 1969 г.
231. Инадзе М. П. Причерноморские города древней Колхиды. Тбилиси 1968.
232. Тодуа Т. Колхида в составе Понтийского царства. Тбилиси 1990.
233. Казиев С. Археологические раскопки в Мингечауре. Баку 1960.
234. Кигурадзе Н.Ш, Лордкипанидзе Г.А, Тодуа Т.Т. Клейма 15 легиона из пицундского городища. *ВДИ*, 1987, №2. стр. 88-92.
235. Кудрявцев О. В. Рим, Армения и Парфия во второй половине правления Нерона. *ВДИ*, 1949, №3. 60-69.
236. Кочетов В.А. Римский бетон. Москва 1991.
237. Саникидзе Л. Экспансия Рима в Понте и Закавказье. авт. канд. дисерт. Кут. 1953.
238. Ранович А. Б. Восточные провинции Римской империи. М.-Л. 1949.
239. Трапш М.М. Археологические раскопки в Анакопии в 1957-1958 гг. *ВВ*, 1961, т. XIX. стр. 260-282.
240. Шелов Д. Б. Полемон и Танаис. *КСИА*, 1969, №116
241. Шервашидзе Л. А., Соловьёв Л.Н. Исследование древнего Себастополиса. *СА*, 1960, №3.

стр. 171-180.

242. Хоштария Н. В. Археологические раскопки в Вани. კავკასიურ-ახლოდმოსავლური კრებულები, II. თბილისი 1962. გვ. 68-75.
243. Хазанов. А.М. Очерки военного дела Сарматов. Москва 1971.
244. Ямпольский З. Вновь открытая латинская надпись у горы Бейюк-даш. ВДИ, 1950, №1.
245. Dobois de Montpereaux Fr. Voyage autour du Caucase, I. Paris 1839.
246. Cambridge encyclopedia of archaeology. London, 1980.
247. Gamkrelidze G. Hydroarchaeology in the Georgian Republic (The Colchian littoral). The international journal of Nautical Archaeology. London. 1992, №2. pp.101-109.
248. Braund D. Georgia in Antiquity. Oxford 1994.
249. Miller K. Itineraria Romana. Stuttgart 1916.
250. Wolfram H. Geschichte der Goten. Munchen 1979.
251. Webster G. The Roman imperial army. London 1985.
252. Baats D. Zur Geschichtsbewertung romischer auxiliumtruppen in der fruhen und mittleren kaiserzeit. BJ. 166.1966.
253. Robinson H.R. The armour of imperial Rome. London. 1975.
254. Connolly P. Greece and Rome at war. London. 1981.
255. Zuckerman C. The early Byzantine strongholds in eastern Pontus. 1968.

შემოკლებათა განმარტება

- ასმშ** - აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები.
- იიშ** - ისტორიის ინსტიტუტის შრომები.
- მსე** - მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის.
- მსკა** - მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის.
- მსკი** - მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის.
- თსუშ** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.
- სიგკ** - საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.
- სსმაე** - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები.
- სდსპ** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები.
- სდსაძ** - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქიტექტურული ძეგლები.
- სმამ** - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.
- სსმმ** - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.
- ფსაძ** - ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები.
- ქპშ** - ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები.
- ქუმ** - ქუთაისის უნივერსიტეტის მოამბე.
- ძმ** - ძეგლის მეგობარი.
- ВВ** - Византийский Временник.
- ВДИ** - Вестник Древней Истории.
- СА** - Советская Археология.
- САНГ** - Сообщения академии наук Грузии
- КСИА** - Краткие сообщения института археологии.

ტაბულების აღწერილობა

- I. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარზე განთავსებული რომაული საფორტიფიკაციო ნაგებობების რუკა (თ. თოდუას მიხედვით).
- II. აფსაროსი (გონიოს ციხე).
- III. ბათუმის ციხე.
- IV. ციხისძირი.
- V. ფაზისი (ფოთის ციხე დიუბუა დე მონპერეს მიხედვით).
- VI. სებასტოპოლისი.
- VII. პიტიუნტი.
- VIII. სარაპანისი (შორაპნის ციხე).
- IX.
 1. “ნამარნუს” სამოსახლოს სქემატური გეგმა.
 2. მთისძირის სქემატური გეგმა (გ. გამყრელიძის მიხედვით).
- X. ანაკოფია.
- XI. წებელდა.
- XII.
 1. სათანჯო.
 2. წარჩე.
- XIII. რეკა.
- XIV. ჭაქვინჯა.
- XV. საკალანდარიშვილო.
- XVI. შხეფი.
- XVII. კოტიანეთი.
- XVIII. არქეოპოლისი.
- XIX. აბედათი.
- XX.
 1. ქუთაისის შიდაციხე IV ს.
 2. ქუთაისის ციხის გეგმა IV ს. (ო. ლანჩავას მიხედვით).
- XXI. ქუთაისი (ციხე-ქალაქის გეგმა) (ო. ლანჩავას მიხედვით).
- XXII. მოწამეთა (სიტუაციური გეგმა).
- XXIII. ვარდციხე – როდოპოლისი (ვ. ჯაფარიძის მიხედვით).
- XXIV. ვაშნარი.
- XXV. ბიზანტიური ციხესიმაგრეები აღმოსავლეთ პონტოში (კ. ცუკერმანის მიხედვით).

- XXVI. 1 – 2 - 5. XV ლეგიონის დამღები ბიჭვინთიდან.
 3. რომაული დამღა ციხისძირიდან.
 4 – 6 - 8. რომაული დამღები გონიო-აფსაროსიდან.
 7. ფლაგიუს არიანეს წარწერა სოხუმიდან (სებასტოპოლისი).
- XXVII. 1. ისრისპირები საქართველოს არქეოლოგიური მასალებიდან – 1 – 12.
 2. შუბისპირები საქართველოს არქეოლოგიური მასალებიდან – 13 – 17.
- XXVIII. 1. იარაღები წებელდის ნეკროპოლიდან – 1 – 5.
 2. იარაღები სოფ. ღიას №1 სამარხიდან.
 3. სატევრები საქართველოს არქეოლოგიური მასალებიდან.
 4. ტარგოლიანი მახვილები არქეოლოგიური მასალებიდან.
- XXIX. 1. კოჭსაფარები მოდინახეს სამაროვანის ოცდამეორე სამარხიდან.
 2. ფარის უმბონი მოდინახეს სამაროვანის მეათე სამარხიდან.
 3. შუბისპირი მოდინახეს სამაროვანის მეათე სამარხიდან.
 4. სატევარი მოდინახეს სამაროვანის მეათე სამარხიდან.
 5. ისრისპირი მოდინახეს სამაროვანის ოცდამეორე სამარხიდან.
 6. სატევარი მოდინახეს სამაროვანის ოცდამეორე სამარხიდან.
 7. მახვილი და სატევარი მოდინახეს სამაროვანის ოცდამეორე სამარხიდან. (ზ. ბრავეაძისა და ქ. ჩიგოვიძის ფოტომასალებიდან).
- XXX. ბაგრატის ტაძრის ინტერიერში აღმოჩენილი IV ს. დიდი ბაზილიკა და VII-VIII სს. “ქუთათისის” საყდარი (გეგმა) (ო. ლანჩავას ფოტომასალებიდან).

შინაარსი

1. წინათქმა - გვ. 2
2. შესავალი §1. ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემის წარმოქმნისათვის – გვ. 3 -7
3. §2. წერილობითი წყაროები – გვ. 7-13
4. §3. არქეოლოგიური წყაროები – გვ. 13-14
5. §4. ისტორიოგრაფია – გვ. 15-20
6. თავი I - ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ. წ. I-III საუკუნეებში . §1. ეგრისის სამეფოს წარმოშობა და ისტორიული განვითარების გზა ახ. წ. IV საუკუნემდე – გვ. 21-29
7. §2. რომის იმპერიის გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში – გვ. 30-38
8. §3. რომაული გარნიზონების სტატუსის საკითხი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში – გვ. 39-47
9. §4. ეგრის-ლაზიკის ზღვისპირა ციხე-ქალაქები ახ. წ. I-III საუკუნეებში – გვ. 48-64
10. §5. შიდა ეგრისის ციხე-ქალაქები ახ. წ. I-III საუკუნეებში – გვ. 65-76
11. თავი II - ეგრისის სამეფოს თავდაცვის სისტემა ახ. წ. IV-VIII საუკუნეებში - §1. ეგრისის სამეფო და ბიზანტია-ირანის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიაში – გვ. 77-106
12. §2. ეგრისის ზღვისპირა თავდაცვის ხაზი ახ. წ. IV-VIII საუკუნეებში – გვ. 107-124
13. §3. რიონ-ყვირილას სასიმაგრო თავდაცვის ხაზი – გვ. 125-137
14. §4. ეგრისის მთისწინა ზოლის თავდაცვითი ხაზი – გვ. 138-169
15. თავი III - ეგრისის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრები. § 1. IV-VIII საუკუნეების ეგრისის დედაქალაქის საკითხისათვის – გვ. 170-179
16. § 2. ეგრის-ლაზიკის საეკლესიო ცენტრები – გვ. 180-186
17. თავი IV - სამხედრო გარნიზონები და შეიარაღება გვიანანტიკურ-ადრემუჟასაუკუნეების ხანის ეგრის-ლაზიკაში – § 1. ეგრის-ლაზიკის თავდაცვის სისტემის სამხედრო გარნიზონები – გვ. 187-197
18. § 2. საომარი იარაღ-საჭურველი რომაულ-ადრებიზანტიური ხანის ეგრისში – გვ. 198-209
19. ძირითადი დასკვნები – გვ. 210-226
20. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა – გვ. 227-242

21. შემოკლებათა განმარტება – გვ. 243-
22. ტაბულების აღწერილობა – გვ. 244-245
23. შინაარსი – გვ. 246-247
24. ტაბულები (საფორტიფიკაციო ნაგებობათა გეგმები, ქალაქთა და დასახლებათა გეგმები, იარაღ-საჭურველი და სხვა).